ISSN 0132—596 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

6

1987

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 63-ე | № 6 | ივნისი, 1987 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

# შინაარსი

## პროზა, პოეზია

ვახტანგ ჯავახაძე — ლექსები . . . . . . . . . . . 3
ფრიდონ ხალვაში — ჩემი და შენი. რომანი. გაგრძელება. . . . . . . 7
ლადო სულაბერიძე — ლექსები . . . . . . . . . . . 42
ლია სტურუა — ლექსები . . . . . . . . . . . 46
ლევან ხალვაშონია — ...სტუმრები. მოთხრობა . . . . . . . . 50
ნოდარ ნარსია — ლექსები . . . . . . . . . . 71
მიხეილ ანთაძე — ოქროს ბახტი. მოთხრობა . . . . . . . . . 74
ნუგზარ კობერიძე — ლექსები . . . . . . . . . . . 98
რევაზ დანელია — ლექსები . . . . . . . . . . . 102
ჯემალ ქარია — სამი მოთხრობა ერთი მეგობრობის შესახებ. დასასრული 104

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გიორგი ნატროშვილი — ოთხმოცი წლის ჭაბუკი . . . . . . 120
ნუგზარ მუზაშვილი — „პოეტის სიკვდილი“ . . . . . . . . 126
ალექსანდრე ელოშვილი — ქვეყნად სიკეთის მთესველი . . . . . . . . . 137

## მეცნიერება

თეიმურაზ ბიბილური — ქრისტიანული რელიგიის საწყისები საქართველოში 142
ნოდარ შაშაშვილი — საქართველოს ისტორიის საკითხები იტალიელი
მეცნიერის ლუიჯი მაგაროტოს შრომებში . . . . . . 146

(იხ. მეორე გვერდი)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## ფაქტები, მოგონებანი

სარგი დეკამირიძე — არნოლდ ჩიქობავას რამდენიმე მოსაზრება . . . . . 156
რ. მ. რილკეს, ბ. პასტერნაკისა და მ. ცვეტაევას მიმოწერიდან გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა . . . . . . . . . 161

## უცხოეთის ლიტერატურა

ელისო ჯიბიაშვილი — „და მაინც ის ანატოლ ფრანსია!" . . . . . . . 170

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ი. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

* * *

ის ყვავილში დაიბადა,
იმას ნანა ძიძამ უთხრა,
დღეს შენ მშვიდად შეგიძლია გაიარო წიწამურთან.
შენ გამზირზე მიაბიჯებ,
ღმერთი შენი კეთილია,
გზას არ იცნობ ეკლიანს და ტყვიის მრავალწერტილიანს.
ბევრჯერ, როცა კარი ცისა განიხვნა და განიზიდა,
ტაბლა-ტრამვაიზ-გარდახდილი წამოსულხარ კრწანისიდან.
ქებამ გვირგვინოსნებისა — თვითონ გაგამეცამეტა,
ღილინ-ღილინ მოიარე საწირე და მოწამეთა.
ქება თანამედროვეთა — სახიფათო ანკესია,
თუ ტყვიები არ გესროლეს,
ისე ვარდებს არ გესვრიან.
შენ არც მაშინ არ გესროდნენ ფანჯრიდან თუ აივნიდან,
ეტლი შენი წიწამურში ზარ-ზეიმით გაიელიდა.

## ილია

გვამხნევებდა,
გვასწავლიდა,
ჯავრი როგორ გვეყარა,
გვარიგებდა
ისე, როგორც
მოგვი მრევლს და მოგვი გლეხს, —
ამიტომაც,
ჩემო კარგო ქვეყანავ,
კი არ მოკლეს, —
მოგვიკლეს!

## გარსია ლორკას

წლები და წლები გამოვატარა,
უმცროს ძმასავით გამოვეტირა,
უფროს დასავით გამოვიტირა,
იასამნებიც გამოვიტარა, —
და მიყვარს ამის გამო —
გიტარა

* * *

— რა ეშველება ახალგაზრდობას? —
სწუხდნენ და სწუხან ბებრები...

ისმის პასუხი:
— მკითხეთ გასტელოს,
ჩვენც ისე დავიფერფლებით!..

მათი მარჯვენაც დაიბერება,
დრო ტკივილს აუვნებლებს...

სწუხან და სწუხან ისევ ბებრები,
რა ეშველებათ ბებრებს?

* * *

ბაზარშიაც გაზაფხულდა: ვაშლებს დარჩათ ბაზარი,
დამძიმდა და დაიზნიქა დახლი უზარმაზარი.
რენეტების პირამიდა ბრწყინავს ფერად-ფერადი
და იწყება და გრძელდება ბანანების პარადი.
რიყე თურაშაულთა და ტერასების სინაპი
ისე გვეპატიჟებიან,
არ სჭირდებათ სინება.
შაფრანს ცეცხლი ეკიდება და ივსება ხარვეზი:
ზინური და ისეთები,
სახელი რომ არ ვიცი.
იცერით დამავიწყდა ამდენ რჩევა-რჩევაში,
არც მამული გამახსენდა...
რომელია ევასი?
მაგას ფასი მაშინ ჰქონდა!
ალი ძალით კეხურებს
და ათასი ზანოვანი შეუპოვრად შეჰყურებს.
ინებივრეთ, მადონნებო, მთელი ქვეყნის წინაშე:
ინებეთ და
იგემეთ და
იხილეთ და
ივაშლეთ!

## ვინები

თქვენი ნახვა ვისურვე და გაცნობაც ვინებს,
მაგრამ ვერ კი გავიგე,
ვინები ხართ, ვინები?!
ვაკვირდები თქვენს სიტყვას,
ღიმილსა და მიმიკას,
თქვენს სიმღერას ვბაძავ და
ჩრდილიც თქვენს ჩრდილს მიმიგავს,
მაგრამ მაინც ვერასგზით გერჩევით და მერჩევით
და ცალ-ცალკე ვქეიფობთ მაჩვიეთ და მაჩვიეთ.
ენებს აქირქილებენ,
სუფრებს ავეირგვინებენ,
სტუმრებს ამინგვინებენ თქვენისთანა ვინები, —
და საგულეს აწყდება —
გადანერგილ გულივით —
გული ჩემი — გამწყრალი უფლის განკარგულებით.
დარდით დავიტვირთები,
ბოლმით დავიზვინები,
როცა რაებს რომშეენ ვიგინდარა ვინები.

## ზომიერი

გვაფრთხილებს: არ შეარცხვინოთ
მამების რეპუტაცია...
არც წყალია და არც ღვინო, —
არაუშავსრა კაცია.
უგანა მაგის ნაგრამმაც
შვე ღამესა და შვე ნაღველს,
არც უგნურია, მაგრამ არც —
ვაიმედედარავნახე.
გვირგვინებს ითვლის მეფეთა,
სიზმარში ხედავს ფარაონს,
გეშენიშნირომება და
თანაც გინდათუარაობს.
დროა, ახვენოს ირაო
მიწის აკვანს და ცის აკვანს,
გადახტეს,
გადაირიოს,
გადა-რაცუნდაისაქნას.
. . . . . . .
ცა პირს გახსნის,
ათას-ცხრაას —
რომელიღაც წელიწადს —
ალზევდება,
ამაღლდება ჩვენი მასპინძელი ცად
და მიაღწევს მთვარემდე და
მარსამდე და მზემდე —
ათას-ცხრაას-რომელიღაც
წელიწადის შემდეგ.

## ირონიულ-პაროდიული

უკვდავების გარანტია:
მაჟორს მოსდევს მინორი!
პაროდია პაროდია,
ირონია — მირონი.
დაუდგებათ დრო და დრონი
ნიღბებიან განჭინებს,
ატომმა და ნეიტრონმა
თუ ვერ გადაგვარჩინეს
და სიცილი გადაარჩენს
ჩვენს ცოდვიან გვარ-ჯილაგს,
თუკი სილამაზემაც
ველარ გადაგვარჩინა.

## მაგრამ

ახარისხებს ომი ცოდვებს,
ღმერთიც გადაიბირეს,
სიჭაბუკემ რომ იცოდეს,
რომ შეეძლოს სიბერეს...
რომ არ იყოს მაგრამები,
რომ არ იყოს რომები,
წაგიძღვება აფრა მეფის,
ზღვებს დაეპატრონები.
მაგრამების ბარიერთან
ლოდინს არ იკარებ და
ფიქრი დაგიცარიელდა
რომის ბარიკადებთან.
მაშინ გაისინჯავ უკეთ,
რაკი ალერსს იფერებს,
რა იცოდა სიჭაბუკემ,
რა შეეძლო სიბერეს...
რა შეკრიბავს მაგ არმადებს:
რა ჩაიყვანს რომამდე —
მაგრამიდან მაგრამამდე
დაყოვნებულ ხომალდებს?!

## მონანიება

ბრალიანი თუ უბრალო —
ჩემი მე მიყვარს, შენი — შენ...
ო, მაპატიე, უფალო:
სხვის თვალში ბეწვი შევნიშნე!
თავზე მეყრება ღრუბელი,
ჩერო მამშვიდებს ხეთა,
კვლავ მაპატიე, უფალო:
მტრის თვალშიც ბეწვსა ვხედავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

# ჩემი და შენი

## რომანი

### ხალიდის ბეითუხა რჯეული

### ლამაზი მიცვალებული

ქალაქში იმიტომ არ მიყვარდა, რომ ყოველდღე სიკვდილს ვხედავდი.

გული ისევ სოფლისაკენ მიმიწევდა. მაგრამ, რაც მართალი მართალია, მრცხვენოდა, იქიდან გამოპარული მხდალივით უკანვე გავბრუნებულიყავი.

იცი, გულო, რატომ ვფიქრობდი, ქალაქში ყოველდღე სიკვდილს ვხედავ-მეთქი?

აბა, დაფიქრდი.

მართლაც ხომ ასეა. ადგები კვირადღეს, გაივლი ქუჩებში, გინდა სითბოში, მზეში, ღიმილში, სიცოცხლეში გაიხალისო, გაინავარდო, გული გაიმხნევო, ჭავრი გაფანტო. შეუხვევ მეორე კვარტალთან და უცებ რომელიღაც ეზოში თავჩაქინდრული ხალხი ერთმანეთს ნაღვლიანად ეჩურჩულება, შედგები წუთით და გულს დაგიზარავს მოტირალთა შეკრებულება.

ან ცოტაზე გაივლი და ხედავ, შუა ქუჩას მოყვება პროცესია, ვიღაცა მეორე სახლიდან გამოუსვენებიათ, ფეხი შეგეშლება, ადგილს ვეღარ პოულობ, იმფერ დღეში ვარდები, გინდა სადღაც გაიქცე, დაიმალო, რომ შენი სიხარული გაიხანგრძლივო. ქალაქში ბევრი ხალხი ცხოვრობს და სიკვდილიც ხშირია. სოფელი სხვაა, სოფელში სიკვდილს იშვიათად ხედავ. ამიტომ, ალბათ, მეტხანსაც ცოცხლობ.

ეს სიკვდილი თითქოს შენ არ გეხება, შენ არაფერს გართმევს. შენ მისგან თავისუფალი ხარ, მაგრამ, თითქოს მაინც ბნელი ძალით შეგბორკავს, გაგაშეშებს, ფეხს ადგილიდან ვეღარ მოიცვლი.

იმხანად უბინაო მაწანწალასავით დავეხეტებოდი, პოდა, ერთ კვირადღეს, ზღვის ქუჩიდან მშვიდობისაზე გადუხვიე, დავინახე, პირდაპირ მთელი ქუჩა სავსეა სამგლოვიარო პროცესიით. ყველა მე შემომცქეროდა, თითქოს გავიყინე, ვეღარც უკან მივბრუნდი, ვეღარც წინ წავდგი ფეხი.

მაინც უკან მიბრუნება ვამჯობინე. მაგრამ მეც მომავალთ შორის, პროცესიაში აღმოვჩნდი და ახლა ცალკე, განზე გასვლა ან ჩამორჩენა მეუხერხულა.

ვიღაცამ ზურგზე მსუბუქად გამკრა ხელი, მერე მხარზე შემეხო და წინ მიბიძგა. შევხედე, თითქოს არაფერი.

---

გაგრძელება. იხ. „ჭოროხი" № 5.

ის ვილაცა წინ იყურება, მხოლოდ ხელით მიბიძგებს იქით, კუბოსაკენ, შეეშველე.

რაღა უნდა მექნა? მივედი და კუბოს მზიდავ ოთხიდან ერთი კაცი შევცვალე. კუბოს მეოთხედი მხარზე დამაწვა. მკვდარი ცოცხალზე მძიმეა. მაშინ მაინც ისე მემძიმა, კინაღამ ჩავიჩოქე. უცნაურმა შიშმა დამიცეცხლა, არ გამივარდეს ხელიდან-მეთქი, ცხელმა ჭარმა დამქროლა ტანში და თანაც ჩემთვის, მალულად, გულში ჩამეცინა. ირგვლივ მეოფებს მეც ახლობელი და შინაური ვეგონე ალბათ.

ცალი ხელი მაგრად ჩავავლე კუბოს ყურს, მხარიც უფრო უკეთესად მივუსადაგე, თანდათან შევეჩვიე და წელში გამართული უფრო მშვიდად, მგონი მსუბუქადაც ავმოძრავდი.

ფეხი დავარჩიე სამს კარგად ავეწყვე.

მართალი ვითხრა, ერთხანს მეგონა სულ მარტო ვიყავი, სულ მარტოდ-მარტოს მიმქონდა კუბო თითქოს.

მგლოვიარეთაგან არავინ მიცნობდა, არც არავინ მიყურებდა და ამიტომაც ასე დამოუკიდებლად ვგრძნობდი თავს.

ხანაც მეგონა ადიდებულ მდინარეში ჩავვარდი და მობოქარ, დაუნდობელ ტალღებს დასაღუპავად მივყავდი და არავინ იყო ჩემი მშველელი.

დაღუმებულნი, თავჩაქინდრულნი, ცალ-ცალკე, თანაც ერთად მიაბიჯებდნენ. იმათი ფეხის ხმა, არეული, შნოწართმეული, მძიმე და ბლაგვი, თითქოს სხეულს მიტკეპნიდა, სულს მიხუთავდა.

წვიმისა და ღვარის ჩვენებური, უხეიროდ დასხმული ასფალტი ალაგ-ალაგ ჩაენგრია და ოღროჩოღრო გზაზე, ისიც მხარზე შედგმული კუბოთი, რაც მართალია, სიარული ძალიან ჭირდა.

ჩემ გვერდით მიმავალი, კუბოს შემდგარი ერთი ვილაცა მეორე ვილაცამ შეცვალა, წინა ორიც შეცვალეს.

მე კი თითქოს ვერავინ მამჩნევდა. ამდენი კი ვიცოდი, რომ კუბოს ზიდვისას მალიმალ ეცვლებიან ერთმანეთს. თავიდან მეც ამის იმედი მქონდა, მაგრამ, უკაცრავად, ჩემკენ არავინ იყურებოდა.

რაღა უნდა მექნა?

ხომ არ ვიყვირებდი, ან ხომ არ გადავაგდებდი მხრიდან ტვირთს? შევერიგდი ბედს, გავმართე კისერი და კუბოს გრილ ფიცარს ლოყითაც კი შევეხე. მაგრამ იმ წუთას უკვე, რაც მართალია, რამე შიში ან ზიზღი აღარ განმიცდია.

სწორედ ამ დროს, იქვე, ჩემს თავს ზემოთ, სივრცეში, მიცვალებულის ღია, თოვლისფერმა სახემ იელვა.

მკვდარი ასე ცოცხალი და ლამაზი მე არასოდეს მინახავს. შავ ცისარტყელებად გადაქნეულ წარბებქვეშ დახუჭული თვალების ორი იისფერი ბორცვი მარაოსავით გაშლილი წამწამების წყვილი ბწკარით მთავრდებოდა. ოდესღაც სქელ-სქელი, ახლა ოდნავ შემჭკნარი და ჩაღრმავებული ბაგეები, სულაც რომ არ ეტყობოდათ გამოვლილი ტანჯვის კვალი, ბოლო სიტყვის სათქმელად მოკუმულიყვნენ თითქოს.

უცნაურად ამონგრეული ასფალტის ღარდაში ჩავაბიჯე ფეხი და წავიბორძიკე. მიცვალებულის სახე ჩემკენ გადმოქანდა ოდნავ, მეგონა რაღაცა ჩამჩურჩულა კიდეც და, მომეჩვენა, თავიც ისევ წინანდებურად გაისწორა. ცივმა ჟრუანტელმა დამიარა.

მართლაც გლახად შევიქენი. ტკივილმა და საშინელებამ სხეული დამიჭინჭრა. მაგრამ იმ წუთას მე უკვე აღარ მინდოდა კუბოს ზიდვაში ვინმე შემშველებოდა. ის, მაღლა, სივრცეში რომ განისვენებდა, ჩემი ოცნების სილამაზე იყო და, თითქოს მსიამოვნებდა, მხარზე რომ მაწვა იგი.

ახლა უკვე გაშლილი ნაბიჯით მივდიოდი. პირდაპირ შორს, სივრცეში ვიმზირებოდი და ცალი თვალით იქვე, ჩემ გვერდით, მის მშვენიერ, მდუმარ და მოალერსე სახის ჩვენებას ვდარაჯობდი.

ახლაც მიკვირს, ჩემო გულო ხევაძევ, მიკვირს, როგორ ამაჭიკჭიკა ასე იმ სევდიანი და იშვიათი ამბის გახსე-

ნებამ, ამდენ ქარიშხალებსა და შტორმებს შეჩვეული ბოცმანი?!

იმ წუთებში ყველაზე ამაყი, მდიდარი და ბედნიერიც ვიყავი. მაგრამ ვერაფრით ვერ მოვნახე სიტყვა, საბელად რომ დავარქმევდი იმ გრძნობას, რაც მაშინ დამეპატრონა, გულს დაეუფლა და მთელი სხეული ერთნაირი განგაშით შეკრა.

ვიღაცამ მსუბუქად წამკრა იდაყვში ხელი. მოვიხედე, შავქოჩორა, აცრემლებული, მაღალი ბიჭი მომდევდა გვერდით. ტანჯვა კი ეხატა სახეზე, ჩემ ზურგსუკან ცალი ხელი უკვე შეეშვირა კუბოსათვის. მანიშნებდა, ადგილი მისთვის დამეთმო.

შევეცადე არ ეგრძნო, რომ მე იგი შევნიშნე. არა, რატომღაც საშინლად არ მინდოდა სხვა მოსულიყო აქ, ამ მშვენიერების გვერდით და ყოველივე ამ ენით გამოუთქმელი სურათით დამტკბარიყო. არ მინდოდა ამ უღელში ვინმე შემშველებოდა, არ მინდოდა ამ მონობიდან ვინმეს გამოვეხსენი.

ის კი, ჩემს გვერდით მომავალი, თანდათან ჯიქურ მეჯიკავებოდა, გამოდი ახლა, მე შევედგები კუბოსო. მეც არანაკლებ ჯიქურ ვპასუხობდი და ჩემს გზას ჯიუტად ვაგრძელებდი.

ის კი, მსუბუქად მიძინებული ფერია, რომელიც უკვე ძველ ნაცნობად მიმაჩნდა, თითქოს გრძნობდა ჩემს ერთგულებას და უხაროდა. სწორედ იმ წუთის გამიელვა თავში — იგი უსათუოდ ჩემთვის დაიბადა ქვეყანაზე, ჩემთვის არსებობდა, ჩემგან წავიდა და სამარადისოდ მარტო დამტოვა-მეთქი.

ამასობაში სასაფლაოს მივუახლოვდით.

ამ დავაში მესამე ახმახიც მოგვადგა, ხელი მოჰკიდა კუბოს ყურს ჩემს მხარეთან, მაღლა აიტაცა და მე ცარიელი დამტოვა. კუბო თავზე გადამევლო, კაცმა გვერდი თავისუფლად აიარა და წინ გაემართა. ოდნავ შემრცხვა და წელანდელ შავქოჩორა ბიჭს დამნაშავე თვალით გავხედე.

მაგრამ იგი გზის გასწვრივ ჩარიგებულ მეყვავილეებთან მისულიყო და სხვადასხვა ფერის ყვავილთა დიდ თაიგულს კრავდა.

შარვლის ჯიბეში რამდენიმე დაჭმუჭნული მანეთიანი მეგულებოდა. მეყვავილეებს მივადექი.

ჩვენი სასაფლაოს მიდამოებში რაც მოსახლეები ცხოვრობენ, მხოლოდ ყვავილების გაყიდვით ირჩენენ თავს. ისინი რომ არ ყიდდნენ ქალაქში, არ ვიცი, რა ეშველებოდა. ერთ ყვავილსაც ვერ იშოვიდი ვერსად.

ჯერ არ მინახავს, ბაზარში კარგი, ცოცხალი ყვავილი გაეყიდოთ.

გამწვანების ტრესტს უკეთესი მიწებიცა აქვს, ხალხიც ჰყავს, თესლიც, ნერგიც, სასუქიც, და მანქანებიც, მაგრამ ამ კერძო მეყვავილეთა მიერ, ეზოებში მიტოვებულ ციცქნა ნაკვეთებზე, ხელით დამუშავებულ მიწაზე, წლის ყოველ დროს მოყვანილი ყვავილები გაცილებით უკეთესია. ფასით, რა თქმა უნდა, საშინლად ძვირია. მაგრამ მაინც ხელმისაწვდომი და ადვილად მისაგნებია.

კოკორგაუშლელ ვარდებს ცეცხლმფრქვეველი მიხაკები, ქრიზანთემები, ყელმოღერილი ყაყაჩოები, პორტუზიები და სხვა მრავალი უცნობი ყვავილი მივაყოლე. ვეებერთელა კონა შემოგროვდა. ფეხს მოვუჩქარე და უკვე ახალგათხრილ საფლავის პირთან მისულთ წამოვეწიე.

ახალამოღებულ გოროხებს მსუბუქი ორთქლი ასდიოდა. მიწის ნედლი ბელტები, გაჭრილი ორმოს ორივე მხარეს ეყარა და მომეჩვენა, თითქოს დედამიწას თავისი თბილი და მძლავრი მკლავები გაეშალა უმშვენიერესი არსების სამარადისოდ გულში ჩასაკრავად.

კუბოსთვის სახურავი უკვე დაეხურათ და უსაზღვროდ დამწყდა გული, რომ ველარ ვიხილე ის უცნობი, მაგრამ უკვე ასე ნაცნობი, დაუვიწყარი სახე. მინდოდა ვინმეს შევხვეწებოდი, ერთხელ კიდევ ეხადათ კუბო და ქალის შავით დაფარულ მკერდზე ფაქიზად დამეწყო ეს ყვავილები.

მაგრამ, ამასობაში, რეზინისჩექმებიანმა ორმა მესაფლავემ კუბოს თავ-

ბოლოში ორი თითის სიგრძე ლურსმანი უხეშად ჩააჭედა, თოკი მოაკრა და თხრილში ჩაუშვა.

მალე იქიდან, სიღრმიდან, ფიცარზე დაცემული გორობების ყრუ გრუხუნი მესმოდა.

თხრილის იქით, ძველ საფლავთან ის შავქოჩორა ბიჭი იდგა, წელან ადგილი რომ არ დაეუთმე და რაღაცნაირ ჯავრიან თუ შურისძიებით სავსე თვალებს მიმიზნებდა.

ახლა უკვე მომერიდა იმ ბიჭისა, მაგრამ, როცა ყველა ყველაფერს მორჩა, ფუფულების გვირგვინი ახალ საფლავთან მივიტანე და დაბნეულმა მოკრძალებით დავდე. შავქოჩორა ბიჭმა დამინახა, ისედაც ფერმკრთალი სახე სულ გაუთეთრდა, თვალები კი ეჭვითა და შურისძიებით ჩაუდამდა.

**დღიურიდან: 198... იანვარი**

უცნობი დილა ეფინება ზღვას.

გემი თავის ნებაზე მოძრაობს. ძაგძაგებენ მანქანები. თითქოს სუფთა, კარგი უნდა იყოს ჰაერი, მაგრამ იგი, ალბათ, უმეცნარეებოდ, უფოთლოდ, უმიწოდ ვერ იქნება ისეთი გემრიელი და სანდო, როგორსაც ვიცნობთ მთის შეილები. ჰაერი მლაშე და სქელია.

სამუშაოდ გემბანზე გადიან. ქარი უეცრად შენელდა. ქარი ალბათ სრულებითაც არ უბერავს. ეს ქარი მხოლოდ გემის მოძრაობითაა გამოწვეული. გავდივარ ზედა გემბანზე. ოკეანის უსაზღვროება ყველაფრის საზღვარია თითქოს. სტიქიონი მშვიდად ლივლივებს, რაღაცას გვემუსაიფება. გადარეულან დელფინები. მგონი ადამიანების ნახვამ გადარია ისინი.

მარჯვნივ გაიხედავ თუ მარცხნივ, გეგონება დელფინების ალლუმია. სამსამად დაწყობილნი, აბსოლუტურად სინქრონულად, აკრობატულად ამოხტებიან სიღრმიდან, ზუსტ წრეს მოხაზავენ მაღლა, ჰაერში და ისევ დაწყობილად, შხეილით ჩაეშვებიან ოკეანეში.

შხეილს ვამბობ, თუმცა, შესაძლოა, არავითარი ხმაც არ გამოგონია, მაგრამ თვით იმ სისწრაფით, ისე მწყობრად წყალში ჩაშვება მაინც წარმოშობს შხეილის ილუზიას.

მომინდა შეილს ბარათი მივწერო. სასაცილოა, რა თქმა უნდა, სადღაც შუა ატლანტიკიდან, ისიც სამხრეთისაკენ მიმავალი, როდესაც თვით სინგაპურამდე ესე იგი, მთელი თვე, მიწას ფეხით ვერ შეეხები, როგორ გაგზავნი შენ ბარათს?

გიზო ამ გაზაფხულზე საშუალოს ამთავრებს. მე თუ გვერდით არ ვეყოლე, გაუჭირდება უმაღლესში შესვლა. არა უშავს, კარგად დაამთავრებს ალბათ საშუალოს (ყველა მშობელი ასე მსჯელობს), მაგრამ ცუსინდისობა იმდენი ხდება, ბიჭს პატრონი მაინც დასჭირდება. ვინა ჰყავს ჩემს მეტი? ახლა როგორ ვილაღატო? არა, არ ივარგებს! თუ დაენახე ნაცნობს, მოგხედავს. არა და — არავერი.

უხეშ ხალხს გვეძახიან, მაგრამ საქართველო მაინც სხვაა, გაჭირვებაში შველა ასე ვინ იცის? მეზობლობა, მეგობრობა, ხელის გაწყობა? თუმცა შენ რა გაუცვეთე სხვას ისეთი, რომ პატივს ელოდე?

ვანგარიშობ, შევძლებ თუ არა მისაღები გამოცდების დროს დავბრუნდე? საეჭვოა.

რა ჯანაბად ავიტეხე ეს ზღვა? — მერამდენჯერ ვკითხულობ და თავს ვიტუქსავ.

რომანტიკა? რა დროს შენი რომანტიკაა!

ისევ კაიუტაში ებრუნდები. ოდნავ აღეწილი ვარ სირცხვილით. ყველა რაღაცას აკეთებს. ზოგი მთავარ გემბანზე, ზოგი ქიმზე, ზოგი ბრამშპილზე, ზოგი ტაკელაჟზე, ბაგირების ნახვევებთან. სამანქანოში ხომ გახურებული მუშაობაა.

მე კი გაკრიალებულ ოროთახიან კაიუტაში, მარტოდმარტო, სალამომდე, გათენებამდე ვარ სიმყუდროვეში, ვიქცევი ქალაქებში, რუკებში, მოგონებებში, განელილზე ფიქრებში და ბევრ სხვა რაღაცაში, რომლის სახელს ახლა ვერც კი ვამბობ.

ერთი სიტყვით, უსაქმურად ვარ, აბა რა ჰქვია ამას?

კაპიტნის პირველ თანაშემწეს კი მეძახიან.

ალბათ, არის საქმე, უსათუოდ ბევრია საქმე, მაგრამ მე ამ საქმეებში თითქოს საჩემოს ვერ ვპოულობ და ვერ ვაკეთებ ვერცერთს. აბა, ამ კედლის გაზეთის და ღამის საუბრებს საქმე ეწოდება?

გემბანზე ველარ გამოვდივარ. ბიჭების მერიდება. ამასობაში სამუშაო მაგიდასთან აღმოვჩნდი. ქაღალდები თითქოს სუნთქავენ, გემის მოძრაობაზე თრთიან.

ფურცელზე მიჯღაბნილად, დაუდევრად, ლობიოს მარცვლებივით რომ მოიბნევია სიტყვები, სულმოუთქმელად, ერთგვარი აღტაცებით და ბედნიერი კმაყოფილებით ვწერ:

რა ლამაზი არის მშვიდი ოკეანე,
ნისლებშეცურული თეთრი ჰორიზონტი.
ხედავ, მოიწყინებდი?...

ადგილზე ვერც ლექსი მაბამს. მოუსვენრობა მჭირს. ისევ გარეთ გავდივარ და პირველ ბანზე ვეშვები, ვჩერდები კოუტკომპანიის წინ. იქ, დიდ როიალთან, ძელსკამზე, შალვა — კაპიტანი და პოლონელი გარანტიის მეორე ინჟინერი, ზდენეკი, საუბრობენ.

— თავის კერძ ტვირთს იაპონელი პირველ პორტში, მეთხზე ტრიუმიდან წაიღებს.

— ოო, ეგ საშიშია, — აცხადებს პოლონელი სპეციალისტი.

რატომაა „საშიში"? მიკვირს, მაგრამ ვერ ვეკითხები, უცოდინრობის გამხელისა მეშინია.

— მთელი სიმძიმე წინა ნახევრისაკენ გადაიწევს და გემს შეიძლება გადატვირთვის საშიშროება დაემუქროს. — ახსნა ზდენეკმა და შევატყვე, ეს უფრო ჩემ გასაგონად განმარტა.

რუკაზე იაპონიის კუნძულებს შევხედე. თითო წითელი წრეხაზი შემოვლებულია საპორტო ქალაქებს — საკატას, ტოკუიამას, ხოსოშიმას, ხაჩინოს, სადაც „მხატვარი" ლუზას ჩაუშვებს და ნაწილ-ნაწილ დაიცლება.

მარცხნით, სადღაც სიღრმეში, ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ აფრიკას. მახსენდება რომელიღაც პლაკატი, სადაც ამ ცხელი და ყვითელი მატერიკის მოხაზულობა ზანგი კაცის სხეულისნაირად ხატია. იგი მკლავებით ჯაჭვებს იგლეჯს, თავს ითავისუფლებს.

ავდივარ საშტურმანო ჯიხურში. მაგიდაზე დევს „სახომალდო წიგნი", რომელშიც მორიგე შტურმანი დღიურს წერს დადგენილი წესითა და ფორმით.

ვფურცლავ და ვეძებ დღევანდელ დღეს. 08 საათი, 00 წუთი, განედი $14^0$, 247 სამხრეთისა, გრძედი — 03,40,9 აღმოსავლეთისა, ხედვა — 15-20 მილი. სიჩქარე — 14,5 კვანძი, ტემპერატურა — $29^0$, ქარი სამხრეთ აღმოსავლეთისა, 4 ბალი. ზღვისა 3 ბალი, წყლის ტემპერატურა 25 გრადუსი.

აი, ერთადერთი ზუსტი ამონაწერი გემის ადგილსამყოფელის დასადგენად.

კმაყოფილი ვარ, რომ ეს გრადუსთაბადე ამოვიხატე, ამით ალბათ ოდესმე ვილაცას დავარწმუნებ, მეც მეზღვაური ვიყავი-მეთქი. სათავგადასავლო წიგნებს დიდი გატაცებით ვკითხულობდი. უბეში ჩამალული წიგნი მიმქონდა, საძოვარზე რომ საქონელს გამატანდნენ. ჩავემხობოდი სადმე კორდზე, ვკითხულობდი, ვკითხულობდი, თხები კი ამ დროის, ამდუღლის ყანას შესეულნი, არხეინად წიწკნიდნენ ახალამობიბინებულ სიმინდს.

ვკითხულობდი, მაგრამ არ მიყვარდა გრძედების, განედების და ათასნაირი გრადუსების აღმნიშვნელი ციფრების კითხვა. ახლა კი მომეცა შესაძლებლობა შევუბრალო ვინმე მკითხველი მწყემსი. დიახ, ამ შემთხვევას ხელიდან არ გავუშვებ...

ჯიხურიდან კაიუტკომპანიაში ჩავდივარ. მაგიდაზე ვხედავ ლას-პალმასიდან წამოღებულ რძის ცარიელ ბოთლს. იგი თეთრი პლასტიკური მასისაგან გაუკეთებიათ. ძალიან უხდება წითელი სახურავი და ამავე ფერის ქამარი შუაწელზე. გეგონება თოჯინა-მატადორია.

ბოთლი ზემო და ქვემო ნაწილში უცნაურადაა დაჭმუჭნილი. მითხრეს, ეს

იმიტომ, ტროპიკულმა სიცხემ გადარ-თოებისას არ გახეთქოსო.

ამალამ ინფორმაციის საღამოა. ვალ-დებული ვარ ხალხს ახალი ამბები გა-ვაცნო. რადიოკვანძში ვდგავარ. ვიჭერ „მაიაკს". დღეს ქვეყნის მეთაურის სა-ახალწლო სიტყვას გადასცემენ. მოს-კოვი შორიდანაც ახლოა და, ვგრძნობ, იგი გხედავს, არ გვკარგავს, თან დაგ-ყვება.

მენატრება ზამთარი, თოვლი, ყინვა, სიცივეში რომ სითბოა, ის სითბო, სამ-ყუდროვე, მეგობრები, შინაურების გა-რემოცვა, შინაური შეჭამანდები, აჭიკისა და ტყემლის გემო, მჭადი, ფუ-ლამუში, ხაჭაპური, ჩურჩხელა.

ინფორმაცია კარგი გამოვიდა თით-ქოს. ისე კი, უნდა გამოვტყდე, ზნელ-ში ხელების ფათურით მივიკვლევდი გზას. კარგად ხომ არ ვიცი რა ხდება მსოფლიოში, მაგრამ მაინც ვილაპარა-კე. ორიენტირად გუშინდელი რადიო-გაზეთი მაქვს, ტელეტაიპით რომ ვი-ღებთ.

გემის კიჩოზე გავედი, გრძელი გემ-ბანი ზუზუნებს, ჭრიჭინებს, ირხევა. ქვეშ ოკეანეა, დიდი, მაძღარი, ცოცხა-ლი, საშიში.

თბილი, თომთომა ტროპიკული ქარი შარვალზე გადამვებელ პერანგს აფრი-ალებს, იდლიებში ფრთებს მიშლიგი-ნებს, სხეულზე მელოვება, კანზე მა-რილის მიტოვებს.

იქ, გემბანის უკაცრიელ სიმარტოვე-ში მაგიდის ნაზევე ვებება მორგვზე მივისვენე. ისევ ვიმეორებ წელანდელ საუბარს საერთაშორისო მდგომარეო-ბაზე, ის ჩვენს ოფიციალურ ინფორმა-ციაზე დაყრდნობილი საუბარი იყო. მე კი ჩემთვის ვაკეთებ დასკვნებს, იმი-ტომ, რომ ვიცი ეს ყველაფერი, რაც ირგვლივ, მთელ დედამიწაზე ხდება, შეც მეხება, ჩემი ზიარიცაა. ჩემი აზრი ერთი კაცის აზრია, მაგრამ ერთი კაცი ხომ კაცობრიობაა?!

ეჰ, სასაცილოა ახლა ალბათ ასე მსჯელობა, მაგრამ ჩემთვის არაა სასა-ცილო. მაწუხებს ეს ყველაფერი. დიახ, მეც ამ სამყაროს ნაწილი ვარ, მისი ერ-თი შემადგენელი.

დიახ, ჩემია ის პალესტინაც, ისრაე-ლიც, ირანიც, ავღანეთიც, ჩინეთიც. ჩემია დედამიწა, მე ადამიანი ვარ! ჩემი და შენი ინტერესები ადამიანური, კა-ცობრიული, დედამიწური სასიცოცხ-ლო ინტერესებია, ყველაფერი ეს არაა უცხო, ყველაფერი, რაც მიწაზე ხდება, ჩემი ზიარიცაა, იგი მეც მეხება.

ესე იგი, ამ ქვეყანაზე ყველაფერი ჩემია და შენი, ჩემო ხალხო!

მთელი სიცოცხლე თავიდან ბოლო-მდე, ერთი ამოსუნთქვით კვლავ ამო-ვირბინე, ერთი თვალის გადავლებით, ერთი ჩაფიქრებით, კვლავ გადავიჭრო-ლე ყოველ განვლილზე, და, აი, ისევ აქა ვარ.

შორიდანვე ვხედავ ჩემი კაიუტის სახელურში გამოჩრილ დახვეულ რვე-ულს. ვიცანი, ხალითისაა.

**მახვილი რვეული**
**სოფლის სავალა**

ჩემო გულო, ისევ ბავშვობა და სო-ფელი გავიხსენე. მომისმინე ცოტახანს. კარგი?

ღამე.

ჩვენი ფიცრული სახლი, კვარის შუ-ქზე წითლად მოკიაფე კედლებით. სეკ-ვზე, ლოგინში, დედის ზურგს მიმხო-ბილს მეძინა, მაგრამ ალბათ სუნთქვის შეკავებამ გამომაღვიძა. ასთმის შეტევა იყო, მგონი; ავტირდი, უფრო შემიწუ-ხდა სული, უფრო ავტირდი.

ისე ცხადად მახსოვს ყოველი, აი ახ-ლა თითქოს ხელით შევეხები იმ ავად-მყოფ, გაყვითლებულ ბიჭუნას.

დაღლილ მამას გაეღვიძა, ძილი გა-უტყდა, აშფოთდა, აყვირდა. დედა წა-მოდგა, მტირალი ბიჭი ზურგზე მოიმ-ხო, თავშალი გარედან წამოაფარა და შეაღამით სოფლისაკენ გზას გაუდგა.

ღამის სიწყნარის უცნაურობამ, შიშ-მა, დედის გამუდმებულმა ალერსმა გა-მაცუჩა, რადგაცის მოლოდინი თან მახ-ლდა.

წისქვილის კარი შეაღო, ხვიმირს თავი მიადო.

ბინდში, ქვაზე მბრუნავ ქვას ცეცხლი სცვიოდა. შევცქეროდი, მიკვირდა, მაგრამ სუნთქვა მიჭირდა. ვხიხინებდი, ხელი მეხუთებოდა, მიგუბდებოდა. დედა გრძნობდა ჩემს გაჭირვებას და წუხდა. ვეცოდებოდი, ტიროდა უხმოდ.

შუაღამე იყო, სოფელს ეძინა. მთვარე უფერულად ანათებდა მიდამოს. მეშინოდა, მაგრამ დედის ზურგს მიკრული, თავს ვიმაგრებდი.

წისქვილიდან ქვედაფურებისაკენ დაეშვა. სარაჯიძეების სახლის კიბეს აუყვა ფრთხილად, გაუბედავად. კარს მიუკაკუნა, მალე დედაბერმა გამოიხედა.

— გო, ხენიფე, ბალანა მიკვდება, მეხრჩობა, მეშეხმარე რაცხა... ა, ღმერთის ხათრით, მეშეხმარე რაცხა, — ქლოშინობდა, ოფლს ლეჩაქის ყურით იწმენდდა შუბლზე.

— ვაიმე, რა ჭირს, ამფერი! — ფაშარი, მოკანკალე, გრილი ხელი შემეხო ლოყაზე.

— არ ვიცი, ასა და აცე, თვალწინ მეხრჩობა შვილი. გოე, მეშეხმარე რამე, ღმერთი თუ გყავს, მეშეხმარე. შელოცვა იცოდი შენ. ან რაცხა შეეხრჩოლე. შენ იცი, ხენიფევ, მეშეხმარე, შვილი მიდის... გოე. — ქვითინებდა დედა.

დედაბერმა ჯოხი, ლაზლის ძაფი, სანთლის ნატეხი, ფქვილი და კვერ-ამედი გამოიტანა.

საშინელი სუნი მეცა. კვამლმა თვალი ამწვა, მაინც ძალით ჩამასუნთქეს, თან დედაბრის ჩიფჩიფი და თავზე ხელის გადაბერვა მესმოდა. სუნთქვა უფრო მიჭირდა, ჩამახველა, მგონი, გულიც ამერია და მალებინა კიდეც. ცოცხალმკვდარი, მიბნედილი, ზურგზე მოკიდებული წამიყვანა დედამ. ასე, ზურგზე ჩავიძინე. მიმიყვანა შინ, ლოგინში მძინარე ჩამაწვინა. დილით არა მიშველდა.

მახსოვს, მახსოვს, რაც მართალი მართალია, მახსოვს, იმ სარაჯიძის დედაბერმა რომ მომარჩინა.

თხილის ბუჩქებს რომ ვკრეფდი რეჯების ბოსტანში, თხილი ჯერ უმწიფარი იყო. ნედლი, მწვანე, ჩვილი ფოჩები მეხაჭნიდნენ გვერდსა და მკლავებს, მაინც ვიყრიდი უბეში.

მახსოვს, მამას სათიბარში წავყევი.

წინ ვთიბნიდი, უკან გამოშენებულ და ფესვებზე მიწამიყრილ სიმინდებს ფეხს ვაბიჯებდი და ვქელავდი.

— ჰო, მიიხედე ხანდახან უკან. ცოდვაა ეს საწყალი სიმინდი! — მარიგებდა მამა.

თანაც ეხათრებოდა ჩემი. მატყობდა, მასავით ფაქიზად გათოხნას ვცდილობდი, მაგრამ ჯერ არ გამომდიოდა.

როგორ ეშნეოდა ფხვიერად გრილი, შავი მიწა ფეხებზე და როგორ ნაწილდებოდა ყოველი მოსმა თოხისა გამარგლილ სიმინდებს შორის. მის განთხარში გამოშენებული ლორთქო სიმინდები არხეინად და მშვიდად მოიქნევდნენ ხოლმე მორკალულ ფოთლებს, გეგონებოდა ფრთებს იწვრთნებენო.

იმ წელიწადს სიმინდის კარგი მოსავალი მოიყვანა მამამ. გარე ყანაშიც კი, წინა გაზაფხულზე რომ გაკაფა, მოწვა და ნადით მოთხარა, დიდებული ტაროები დაისხა სიმინდმა. წელიწადი მართლაც ძალიან კარგი იყო, გაზაფხული, — წვიმიანი, თბილი. შემოდგომა კი — მშრალი.

იმ წლის სიმინდი გარეყანიდან აღარ ჩამოგვეზიდავს. კოლექტივი მოძლიერდა, საკარმიდამო მოგვიზომეს, სამსამი „ჩეთვერი" იქმარეთო, და გარეყანების მოსავალი საერთო ნალიებში ჩაყარეს. იმ, რა ჯავრიანად აკრაჭუნებდა მამაჩემი კბილებს, თუმცა სიტყვა არ დაცდენია.

მაგრამ გარეყანაში, მიწაში საზამთროდ ჩადებული სამოცი ფუთი კარტოფილი რომ ამოგვალებინეს, ვერც თავად წაიღეს დროზე და სულერთიანად ამოალპეს ორმოში, ეს ვეღარ მოითმინა და პაწია საყვედური შეაბედა თავმჯდომარეს.

— არაა მაგი შენი საქმე! — უპასუხა სოფლისთავმა და რაიონიდან ახალმოტანილი პატეფონი აუშვა. დაფხაჭნილ ფირფიტაზე ფრთხილად დაადო

ნემსი და რაღაც უცნაური, მჭახე ხმა სიმღერად გაისმა:

„ახ, ტრაქტორი,
მე შენს გამჩენს..."

არ ვიცი იმ შემოდგომაზე თუ მომავალ გაზაფხულზე, შეღამებულზე მოვიდნენ მეშისპალტოიანი კაცები დიძახეს. მამა ვახშმობდა, ბუხართან, მომცრო ტაბლაზე ჭამით ლობიოს და მჭადე კვერას მიირთმევდა.

უხალისოდ მიატოვა ვახშამი, წამოდგა და აივანზე გავიდა. მობრძანდითო, მოიპატიჟა.

არა, გვეჩქარებათ, ამოძახეს. ერთი ჩამოდით, ახორი გაგვიღეთ, ძროხები უნდა დავთვალოთო.

მიხვდა მისახვედრს, ალარაფერი უპასუხნია. დედაჩემს მიმართა უჩვეულო შებრალებით და მწუხარე ალერსით:

— არ დეიწყო ახლა წუწუნი და ტლიკვინი, ჩადი და უჩუმრად გაუღე ახორის კარი... დათვალონ და აირიონ, გადენონ და, თუ უნდათ, რქები იკრან...

ადგა, აანთო დედამ ჭრაქი, უჩუმრად წამოიდო ფეხებზე ძველი ჩლატები, უსიტყვოდ ჩაუარა მოსულებს და გაიღო ბოსელი. პირნათია ძროხამ, ხანუმამ, იმწამსვე იცნო პატრონი და ნაღვლიანად მიაზმუვლა.

— ჰო, ნენი, ჰო, — მიეფერა დედაჩემი ნათია ძროხას და ბნელში ცაცებით თავზე თითები მოუთათუნა.

ბოსელში ორი კაცი შევიდა. დასაძინებლად გამწესებული საქონელი ულაზათოდ და უგემურად წამოდგა ფეხზე. ჭრაქის წითელ შუქზე, ბინდში, აქა-იქ აციმციმდნენ ძროხების შეშფოთებული თვალები.

არაფერით არ გამოდიოდნენ გარეთ, მაგრამ ერთმა ყურში ჩაავლო ხელი და ძალით წაათრია ხანუმა. დედა კუთხეში იდგა. ძროხამ ერთ-ორჯერ შემოხედა, ალბათ გაუკვირდა, პატრონი რატომ არ მპატრონობს, რად არ მიმყვებაო.

ხანუმას ოთხი-ხუთი ბოხრიკიც მიაყოლეს და ფერმისკენ გარეკეს.

შინ რომ შევედი, რაც მართალია, შევშინდი, მამამ არ გამლახოს-მეთქი.

ჩაფშენილი ჭადის მოზრდილი ლუკმა ჯამში ისე ჩაეტოვებინა, ალარ იღებდა. ხელში მამა ეჭირა და წითელის ჯარცის გამჭვირვებით უჭიჯგინებდა.

დროის შეიღო, ახალი კაცი თავად მე ვიყავი და მეგონა მამაჩემი ამიტომ სწორედ მე მიჯავრდებოდა. მე მაბრალებდა ყველაფერ გონჯს, რაც მეშისხოხიანებმა ჩაიდინეს.

ძალიან მინდოდა შემძლებოდა მშობლის ტკივილი მომერჩინა. ისე, ვერ ვამბობდი, მაგრამ გულში ვიფიცებოდი, გავიზრდები და უთუოდ გავახარებ მამაც-მეთქი, აი, ნახავ, რა დრო დადგება...

კი, კი, რაც მართალია, მთლიანად ჩემს თავზე ვიღებდი ცუდს, რაც მშობელს არ მოსწონდა. არ მინდოდა მას ახალი დრო დაეწყევლა. მეც ჩუმებურად, ბავშურად ვატყობდი, რომ რაღაცეები ეშლებოდათ იმ ახლისმშენებლებს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი ჩემი ძროხის, ჩემი ხანუმის რძეს ისევ მე მომიტანდნენ. კი, ასე მეგონა.

**დღიურიდან; 198... თებერვალი**

მიხარია. ღმერთმა იცის რა მიხარია, მაგრამ მიხარია კი უზომოდ. დღე, მზე, ზღვა, გემი და ხალიჩი. აი, გემბანზე გასულს რომ ვხედავ, თავისი მეზღვაური ბიჭებით გემბანზე რომ მეშაობს, მახარებს.

სიხარული მოგონავს, მოცოცავს, მოაშუქებს ირგვლივ ყველაფრიდან.

ილუმინატორში ვხედავ, რაღაც ძაფის ჩამოშვებული ზემოდან, მისი წვერი ისე ცარიელად ჰაერში კონწიალობს. ეს ალბათ რადიოსაანტენო შნური. ეტყობა, მაქსიმოვმა ჩამოუშვა გემში ჩემთვის. იცის იურომ, ჩემი რადიომიმღები ცუდი ანტენის გამო ვერ იჭერს შორეულ სადგურებს. სირკმელს ვაღებ და შნურის წვერი შიგ შემომაქვს. ეს თითქოს შინიდან ჩემკენ გამოწვდილი ცოცხალი ტოტია. ეს უბრალო ძაფი ამხელა, ქარებით, ნისლებით, ვარსკვლავებით და ავდრებით ამღვრეულ სივრცეში მოკრეფს ნაცნობ მშობლიურ ხმებს და ჩემს კაიუტაში გადმოღვრის.

არა, ეს უსათუოდ მონატრების სიხა-

რულია. ო, კიდევ მესმის შეჩვეული, ახლობელთა საყვარელი ხმები. უცნაური კია, ჯერ ხმა მესმის გამორჩევით, შემდეგ მის პატრონს ვხედავ.

ყველა მიყვარს, ყველასათვის მიპატიებია, თუ ვინმესაგან რამ ნამცეცი წყენა წამომყოლია. რა კარგად ვხედავ იმათ სახეებს შორიდან, როგორ მინდა გავიხსენო და თვითეული ცალ-ცალკე ჩავიხუტო.

გემის საქმეებში, ეტყობა, ისე შევიჭერი, მექთად დრო ვეღარ მიპოვნია. რა ხანია ვეღარაფერი ჩავიწერე. დღეს დილით იური მაქსიმოვი შემოვიდა. ანტენის შნური, როგორც ვთქვი, ღამით ჩამოუშვა ალბათ. მერე კაპიტნის მარაგიდან ამოღებული მთელი თაბახი საწერი ქაღალდი შემომიტანა.

არავისთვის მიკითხავს, ჩემით მოვიტანეო, მომახარა იურიმ. მგონი თავიდან უკვე ვთქვი, იგი, იური, ყველაზე ლამაზი ბიჭია ხომალდზე-მეთქი, თუმცა, ტროპიკების სარტყელში, გემზე, შეუჩვეველი პირობების ატანა რომ გაუჭირდა, მაშინ უცებ იურიც ჩემ თვალში იდნავ გაუფერულდა, დავიჭდა. ახლა კი, კვლავ რომ გამომჯობინდა ხასიათი, მაქსიმოვი ისევ მელამაზა. მამაკაცის სილამაზეს ვერ ვიტანდი, ეს რაღაც ბუნების საწინააღმდეგო რამე მგონია ახლაც. კაცი მუხასავით ხორკლიანი, მძლავრი და უროვევი უნდა იყოს. უფრო ლამაზია.

არა, იური კი მაინც სხვანაირადაა ლამაზი. ნაზი და რაღაცნაირი, მიმოზასავით ყვავილოვანი კი არაა, ჩვენებურ, ტლანქ, უნაყოფო, მაგრამ ტანკენარ ნეკერჩხალს გავს, რომელიც ფერდობსაც უხდება, ქარსაც აკავებს და, თუ ვაზსაც მიურგავ, კაი ბორჯღალო შხავერის ლერწებს იტოტებს მკლავებზე და კაი მტევნებსაც მოასხმევინებს.

ქაღალდი მაგიდაზე დადო. ჩამოჯდომა შევთავაზე, — ვატყობდი მასაც უნდოდა ჩემთან ცოტახნით ყოფნა-საუბარი.

თაბახზე ერთი შეხვევა „ქვაჩკა" გაავორია. ეს ხომ ლას-პალმასიდან წამოღებული კვეია. მეცა მაქვს ცოტა. ყველამ ვიყიდეთ ჩვენი მონაგარი, სალუდავი გრომები ამნაირ ნავაეში ჩავყარე. ნაგავი უძახე შენ, შან, ბავშვები, შენი თუ მეზობლისა, უცხოეთიდან დაბრუნებულს რომ შემოგესევიან, და უმალვე ხელებში ცქერას დაგიწყებენ, ეგება „ქვაჩკები" გვაჩუქოსო, რას იზამ მაშინ?

რა შეიქნა ეს „ქვაჩკა" თუ კვეია, რაა ასეთი ბოლოს და ბოლოს? მართლაც, მგონი ეს გათხლეჩილი სიღეჭი თუ რაღაც წიწიბო, ამ ბოლო ხანამდე, მთელი კაპიტალიზმის იდეოლოგიურ იარაღად არ ვაქციეთ? აბა რა მოხდა, რა დაგვემართა ასეთი.

იური მეუბნება ქართულად: (დიახ, ეს რუსი, როგორც იტყვიან ბათუმური ჩამოსხმისაა. საოცარი გახაფხული ჩაგენთება გულში, სხვა ერის კაცი რომ შენს მშობლიურ ენაზე ამეტყველდება ეს, უბრალოდ, პატივისა და დაფასების, იქნებ, სიყვარულის დასტურიცაა. თითქოს უფრო მაღლდები, მაგრდები და თავისთავისაც უფრო გჯერა. ღმერთმა აგაშენა, ჩემო იურიო! შენ მართლაც ლამაზი ბიჭი ყოფილხარ).

პოდა, მეუბნება, — ამხანაგო გელო, მითხრეს, თქვენ თურმე წერთ. ამიტომაც მოგიტანე ეს ქაღალდი. კარგი ქაღალდია.

მერე ნელ-ნელა შემომაპარა და გამიმხილა, მეც ვწერო, და მინდა გაგვენო ჩემი ნაწერებიო. ამ განცხადებამ იდნავ დამაბნია და ცოტათი წარმოდგენაც წამიხდინა მასზე. რატომ ხდება ასე, ვერ გამიგია, მაგრამ ნირს არ ვიცვლი.

თავაზიანად მემშვიდობება, მარტო ვრჩები.

ისევ ძველ გაზეთებში ვეძებ წაუკითხავს, ან ხელმეორედ ვკითხულობ. გემი ხომ ჩემი პლანეტაა, ახალი მოძრაობით, ახალი ხილვებით, ახალი მოულოდნელობებით, ახალი იმედებითა და ფიქრებით ალსავსე. აი, ქართული ლიტერატურული გაზეთიც.

ეს რაა, — ახალი, უცნობი ავტორის ლექსები ხომ არ ამომეპარნენ?

ვკითხულობ. უზომოდ ვბედნიერდე-

ბი. კი არ ვკითხულობ, სტრიქონებს ვისუნთქავ და წყაროსავით ვსვამ თითქოს. სხეული და სული ერთობ ჯერდება. ის, წელანდელი სიხარული უფრო ლამაზი და ხელშესახებია. თითქოს მიწის, სიცოცხლის, და სიყვარულის ძახილი მესმის.

„ფიქრში გულდამა ვიგდოვარ სერზე,
რა ცეცხლი მხანძრავს არავინ იცის...

ან:

ო, როგორ მიყვარს დედამიწედ
გარდაცვალება,
ან ფოთოლივით ფრენა და განქრევა.

ან:

კოკორ ვაზზე ანაგლეჯი მტევანი ვარ,
შენ ცხელ გულზე დასაწურად მიწვეული".

მეჩვენება ცვარით გალუმპული, მუხების ნექტრით დამთვრალი, თავგანწირული გოგო თითქოს თავგამეტებით გადამვებულა ზვიგენებით აღულებულ ოკეანეში, რომელსაც პოეზია ჰქვია.

დიახ, ამ წუთში მინდა მთლიანად მთელ ხელოვნებას პოეზია დავარქვა.

პოეზია, რომელიც, მე მგონია, ულეველ თავგანწირვას მოითხოვს. სხვანაირი გულით თუ მიხვალ მასთან, სიახლოვეს არ მიეკარებს.

ხოლო, თუ მაინც ჩაიგდებ ხელს და ძალით თან წაიყვან, გულს არ გაგიხსნის, არ გენდობა, საქმეში არ მოგეხმარება, ვერ დაიმორჩილებ, ვერ ამუშავებ შენთვის. რად გინდა, ტყუილა, ეუვანიერით აყლარუნო, პოეზია საქმიანი მიყვარს. იგი ჩემთან ერთად უნდა მუშაობდეს და ყოველ უკეთმართობას ებრძოდეს. იგი გულში, სხეულში დაუკითხავად უნდა შედიოდეს, როგორც პური, რათა უკეთესად ვიცოცხლო. უნდა მეხმარებოდეს, რათა უკეთესი ვიყო თავისთვისაც და სხვისთვისაც. იგი ამბობს იმას, რაც ჩემშია, მაგრამ აგნებს და გამოაქვს ის, რასაც მე არც კი ვთვლიდი ღირებულ რამედ. სინამდვილეში პოეზიით მოტანილი წუთისოფლის უბრალოება, უმნიშვნელობა, შეუმჩნევლობა, ყოველი მისი წვრილმანიც კი დიდ მნიშვნელობას და დიდ ღირებულებას იძენს.

პოეზია წყაროსავითაა. რაც უნდა ნავავი ყარონ შიგა, იგი ჰექს არ მოიკარებს, დაწმენდილი, ცოცხალი, ანკარა გააგრძელებს დედამიწის გულზე დენას.

პოეზია დედა-ენის დედაა. მე ასე ვამბობ, ასე მჯერა და იმიტომ, რომ ჩემმა მშობელმა კუთხემ თავისი არსებობით, თავისი ბედით დაამტკიცა ეს. როცა ყოველდღიურობის ყველაფრიდან განიდევნა ენა მშობელი, ლექსმა, ზეპირად შეთხზულ-შენახულმა ლექსმა, მოუარა და აცოცხლა იგი. ლექსმა, რომელიც მშობელი ენის ლეიბლი შეილია, ახლა უკვე, გაწმენდილ დაჩაგრულ დამშეულ ენას თვითონ აწოვა ძუძუ, დაანაყრა, სული მოათქმევინა, თვალი კვლავ აუხილა და ისევ ამ მიწის პატრონი ადამიანების გულთა სამსახურში ჩააყენა.

ქართული ენა მოკლეს. არა, ეგონათ რომ მოკლეს. მაგრამ იგი ლექსში გადარჩა. ანბანიც მოკლეს, გააქრეს. ლექსი კი ლაღად და უშიშრად, ღრმად, ფაქიზი ფერების ხაზებით იწერებოდა მეხსიერების დაფებზე. მას მომავლის იმედი ჰქონდა. მას მომავალი ელოდა. ისე, როგორც აჭარა დაუბრუნდა დედა-საქართველოს, ლექსიც დაუბრუნდა დედა-ენის დედა-ანბანს.

**დღიურიდან: 198... თებერვალი**

ცოტახნით მეც ჩემს მოგონებაში შევლიდვარ:

ყავრით დახურული სახლი, ფიჭვის ძელებზე მზის ფისი გამოუდენია, დაუწითლებია. კარს ვაღებ, ოთახში ტყის სუნია. ჭერი მედამლა ძალიან, ბუხარი ბერიყაცივით ნაღვლიანად, მძიმედ და ჩუმად მიმზერს ბინდბუნდიდან. აქ უკვე სხვა სუნი, ძალიან ძველი, ძალიან ნაცნობი, ძალიან მშობლიური სუნია. სხვისთვის შეიძლება ეს სუნი უტანელიც იყოს, ჩემთვის კი საოცრად ბევრისმთქმელია, ბევრის მომგონებელი. აქ დედაჩემის ფეშტამლის სუნი მცემს. ქალთაში თავს რომ ჩავუდებდი, ზეთით, რძით, საკმაზით, ნაწურით გამეშაბმული ფეშტამლის სუნი მეცემოდა. საამო იყო და თავბრუდამხვევი ეს სუნი.

ძლიანაც რომ გაჭაღარავებული ყოფილიყო, დედაჩემი, როცა თავს ჩავუდებდი კალთაში, ხელს მომითათუნებდა მხრებზე, თმებში თითებს შემიყოფდა და ხელს ასე გაატარებდა. მაშინ თავზე და მთელ სხეულში ვიგრძნობდი დედის ხელის დიდ სითბოს, არა, იგი მარტო სითბო კი არ იყო, იგი სხვა რაღაცა იყო, ენით გამოუთქმელი, ძლიერი ძალა, იმედის ძალა, სიცოცხლე იყო თავად.

ლანდები გაიწ-გამოიწევიან. ყველაფერი თავის ადგილს იჭერს.

უცნაური ბალახები წამოზრდილან სარკმლებში, საწვეთურებში, ყორისძირებში, ნალიის ბოძთან, საქათმესთან, ახორის უკან; ლერწები კედლებზე აცოცებულან, ხელმოსაკიდი პწკარი თუ პიწკები უპოვიათ, გზა გაუგრძელებიათ და სახურავებზეც დაუდვიათ ადგილსამყოფელი.

ძველი ახორიდან გამოყრილი ძელები წვიმით დამბალა, შემხმარი ფუნა აფუებულა, გაუსუქებია ირგვლივ ნიადაგი და თართქალ-თართქალ-ლერწიანი მცენარეები გაულაღებია.

ოდის კუნჭულებში ძველმა ხმებმა გაიხუხუნეს. ნალექში კავივით მიწებებულან და მიმხმარან ხმები კედლებზე. ახლა ხელს ვახებ მათ, და იმ ძველ ხმებს, ვაძრობ, ვაღვიძებ, ვისმენ.

* * *

აქ კი ინდოეთის ოკეანეა ირგვლივ. ბინდისფერი წყალი, საშიში და აუტანელი, ალერსით, მოფერებით ეხვევა ხომალდს და ასე მეჩვენება, ვითომ ჩვენც გულში გვიკრავს, მაგრამ, არა, არ მინდა მისი მოხვევა და ალერსი. ისეთივე მოუსვენრობის მღელვარე გრძნობა მეუფლება, როგორც პატარაობისას, დედას რომ წისქვილში წავყვებოდი. განსაკუთრებით სასაფლაოზე ასვლისას, ღამით, მეშინოდა, მაშინ ხელს მაგრად ვუჭერდი დედის ხელს. ის, დედის ხელი, იყო ჩემი ხსნა. აქაც, ახლა ჩემი ნუგეში გემია.

რამდენა სიღრმე ექნება ნეტავ აქ წყალს? ვთქვათ ხუთი-ექვსი ათასი მეტრი? გამოდის, რომ ჩვენი მადანმზიდი თავისი ოცდათხუთმეტი ათასი ტონა ტვირთით, მიწის ზედაპირიდან [illegible] ათასი მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს თხუთმეტ-თექვსმეტი მილის სიჩქარით საათში. წყალი ახლა მე ჰაერის მაგვარად წარმოვიდგინე.

ვახშმობისას მეზღვაურთა სასადილოში გავდივარ. მსურს ზინა ვნახო; არა, უბრალოდ — დავინახო, მაგრამ ვიდრე სასადილოში შევიხედავ, მარცხნივ ვუხვევ და ოცდამესამე კაიუტაში შევდივარ. აქ, ზემო საწოლი თუნგოსია. ვნახავ, რამე დარჩა გემში, თუ ყველაფერი თან წაიღო? თუ წასაღები წაუღია, მაშინ ხომ გასაგებია ყველაფერი. გაქცევა ადრე გადაუწყვეტია, ყველაფერი თავიდან აეწონ-დაეწონია და განესაზღვრავს.

ილია ქილმანი, ჩვენი მაღალი, ქერაულვაშებიანი მეანკესე, როგორც შევარჩქვი მას, ჩემთან მოიჭრა. რამე საჭირო ხომ არაა, ამხანაგო პამპოლიტო, მეკითხება გაჭიმული.

ვინ ცხოვრობს ამ კაიუტაში მეთქი, ვეკითხები. აქ, ამხანაგო პამპოლიტო, ხაბაზი ცხოვრობდა.

— მეორე ვინაა?! — მკვახედ შევუყვირე.

— მოვნახავ ამ წუთში, გულო მა[illegible]ინ — კინაღამ გამეცინა, ჩემი მამის სახელი ვერ გაიხსენა უცებ და რაღაც გაუგებარი ბგერები ჩაიბუზღუნა, ბოლოში კი „ინ“ გამოარჩეულად წარმოთქვა.

სადღაც გაქრა და მალე უკანვე მოირბინა:

— ხაბაზის თანამობინადე მეზღვაური, ზებურ ვარშანიძე, ვახტზეა, ამხანაგო პამპოლიტო, — მომახსენებს ქილმანი.

— წადი, შენ თვითონ შეცვალე და ვარშანიძე აქ მოვიდეს! — ვბრძანებ ერთგვარად ძალაუფლებამოყრებილი.

მე უკვე კაიუტაში ვიყავი, ზებურ ვარშანიძე რომ მოვიდა. მომაღლო, მორცხვი და ჩუმი ბიჭია; ვიცნობ გემზე რამდენიმე დღის ყოფნით, უთქმელი, უპრეტენზიო, იმდენად ფრთხილი და

მორიდებული, რომ ზოგჯერ მშიშარა მოეჩვენება, მაგრამ, მაგონდება, ერთხელ მომახსენეს, სასადილოში რა უსაშველო დებოში ატეხეს, როცა ერთმა მეზღვაურმა, ჩვეულებრივად, მეგობრულ საუბარში დედის გინებაც გაურია. ზებურ ვარშანიძე მიახტა თურმე და კინაღამ ყელი გამოგლიჯა იმ საწყალ ბიჭს. ის ბიჭი კი, მგონი, გვარად ფომინი იყო, სარატოველი. ასე გაკვირვებია იმ სარატოველ ფომინს ამ მეტად ჩუმი ვარშანიძის ასე უცები აბობოქრება, რომ გაოგნებულს ირგვლივმყოფთათვის, მოუმართავს, რაშია საქმე, რა მოხდაო. დედის გინებამ გადარიაო, უპასუხეს. მოუბრუნდა ზებურს და უთხრა, ბიჭო, ა, ძმაო, რომელ ენაზეც გინდა შემაგინე, არაფერს გეტყვიო, თანაც მისულა და გადახვევია ვარშანიძეს. ვარშანიძემ იდაყვი გამკრა, მოიცილა ფომინი და დამორცხვებული, დადანაშაულებული, თვეჩაქინდრული გამოცურდა თურმე სასადილოდან.

ვარშანიძე ამხედ-დამხედავს და კარებთან გაშეშდება.

— რა დარჩა აქა ხაბაზს, — ვეკითხები მშვიდად.

— არ ვიცი, უფროსო, მე არაფერი არ ვიცი. ე, იქ, ზეით იწვა, ხელიც არ მიხლია, რაცხაები აქვს შენახული იქა, ე, მაღლა, მაგრამ მე არაფერი არ ვიცი.

— რა მოგივიდა, ბიჭო, რავა გეშინია, ვამართულად, გაბედულად მელაპარაკე. შენ არავინ არაფერს გაბრალებს. კაცი დარჩა უცხოეთში, ჯანაბას მაგისი თავი. მაგის გარეშე დაგვენგრევა სახელმწიფო, ან ჩაიძირება გემი, თუ იცი?!

— აბა, რა ვიცი, უფროსო... დარჩა, გეიპარა, სამშობლოს უღალატა. მე, მე არაფერი არ ვიცი...

— კარგი, მოდი, ახლავე გახსენი მისი ყუთი, რაა შიგ ვნახოთ?

— მე, უფროსო, დაფიცული ვარ, არ წავაკარებ ხელს სხვის ქონებას. მე დაფიცული ვარ და, რა ექნა, ნუ წამაკარებინებ ხელს სხვის ქონებაზე.

ვარშანიძე ხელებს მუცელზე გადაიჯვარედინებს და კუთხეში კედელს აეტუზება.

ვფიქრობ, არ ღირს ამასთან ჭიდილდავი-მეთქი და თავად ვათვალიერებ ზემო საწოლსა და კედლის თაროებს.

მეხლებგამოჭყლეტილი ძველი ჯინსის შარვალი (ეს ქონებაა!) ლაზლოს წინდები, მკერდმოხატული ორი მაისური, ტრუსები, მეზღვაურის ძველი შინელი, ერთი ნატეხი სარეცხი საპონი, ცარიელი მაგნიტოფონის კასეტები და ორიც გაუხსნელი წერილი კონვერტში დაწებებული. აი, მთელი ქონება, რაც ხაბაზს დარჩენია.

— აბა, რაღა წაიღო თან, იცი ამის შესახებ რამე?!

ვარშანიძე იშმუშნება, ფიქრობს, ერთხანს ჩუმდება და მუდარით შემომხედავს.

— მე, უფროსო, არაფერი არ ვიცი. ტრიტველი არ წასულა, რაცხა ეცვა, მეტი მე არაფერი არ ვიცი, უფროსო.

— კარგი, დაბრუნდი ვახტზე! — ვეუბნები და მეც კაპიტნის კაიუტისაკენ მივემართები.

— ვარშანიძე! მოიცა! — ვაბრუნებ ზებურის, — დღეს ოფიციანტი ზინა გვემსახურებოდათ?

— არა, უფროსო, ზინა ორი დღეა ავადაა.

კაიუტაში სიბნელეა. ილუმინატორზე ფარდაა ჩამოშვებული. კარი კი ჩაუკეტავია, შესვლისთანავე შუქს ვანთებ.

ზინა ლოგინში წევს. იგი სრულებითაც არ ინძრევა, ვაცქერდები, — სუნთქავს. მგონი, ჩემი შემოსვლა არც გაუგია. ალბათ სძინავს. საბანში სხეული ამოხვეულია.

ლამაზი გოგო... ერთადერთი ქალი გემზე...! ინდოეთის ოკეანის შუაგულში, უახლოეს ქალაქამდე მთელი თვის გზაა.

ქალი არ ინძრევა. იქნებ არც კი ძინავს? იქნებ ელოდება, როგორ მოიქცევა ის, ვინც შემოვიდა? ხოლო, ეს ხომ იცის, რომ ის, ვინც შემოვიდა, ნამდვილად მამაკაცია?

ვხედავ, ოდნავ შეირხა, წამწამები

ახლაფურა და ნელა ჩემკენ გადმობრუნდა.

— ექიმს რად არ დაუძახე, ზინა? შენ, მე გატყობ, ავადა ხარ. — ისე ბავშვია, რომ „თქვენობით" ლაპარაკი ჩემგან უხერხულიც მეჩვენება.

— აქ აღარავინ მყავს მე, გულო ძიავ. პატივცემულო, არ გამიჯავრდეთ, გავიმხელ... რა ვქნა ახა, ვის შევჩივლო.

— ჰო, ჰო, მითხარი.

— ფეხმძიმედა ვარ, გულო ძიავ, მე ახლა რა უნდა ვქნა, აჰ მითხარით, რა უნდა ვქნა, არ ვიცი.

— შენ არ იცოდი, რომ იგი გაპარვას აპირებდა?

— არავითარი, პატივცემულო, ეს რომ მცოდნოდა, აქ წამოვყვებოდი?

— ანდა, შენც დარჩებოდი, ალბათ, არა?

— მასთან ერთად ყველგან ვიქნები, მაგრამ ახლა რაღაი. რა უნდა ვქნა ახლა, არ ვიცი...

— როგორ თუ მასთან ერთად. შენ ამბობ, რომ საბჭოთა გემიდან, ესე იგი, ჩვენი სამშობლოდან სხვა, ისიც კაპიტალისტურ ქვეყანაში გადახვიდოდი სამუდამოდ?

— ასე რატომ მელაპარაკებით, გულო ძიავ?! ჩემთვის სამშობლო საყვარელი ადამიანია.

— საყვარელი ადამიანი! არ შეიძლება მოღალატე საყვარელი იყოს.

— თუ რამე ღალატად ჩაეთვლება, ყველაზე დიდი ღალატი ჩემს მიმართ ჩაიდინა. მე... მე იმას მაინც ვენდობი, გულო ძიავ. ის მე არ მიღალატებს. რაღაც დაემართა ალბათ.

— თავშესაფარი მოითხოვაო. გამოდის სამუდამოდ იქ დარჩენა გადაწყვიტა. აი, ხედავ? — ვუმხელ სინამდვილეს, რათა მისგანაც გავიგონო ნამდვილი სინამდვილე ბოლომდე.

— მე წყალში გადავვარდები, მირჩევნია.

— თავს მიხედე. მოუარე თავს, გეუბნები. არ გაიტეხო გული, — მინდა მივუფერო საწყალ გოგოს და იმედის ნატამალი მაინც გავუჩინო, — არ შეიძლება ასე აგონიაში ჩაიგდო თავი. მით უმეტეს, მაგნაირ ამბავში ხარ. უფლება არა გაქვს, გენაცვალე, არა გაქვს უფლება შენს თავს სასტიკად მოექცე. მაგით თავს კი არა, კიდევ სხვას დაღუპავ, დამთავრდება ეს ყველაფერი, დავბრუნდებით შინ და...

— მადლობელი ვარ... — თვალებს ისევ ხუჭავს ზინა და მეც კაიუტიდან გამოვდივარ.

* * *

ზემოთ, კაპიტნის ხიდურზე ავდივარ. ნისლი ჩამოდაბლდა, გემბანზე დგომა ძნელდება, — პირდაპირ ცხვირში გესხმება მარილიანი, თქორიანი ნისლი. გწვავს და იგბინება თითქოს.

ისე ვარ გულდამშვიდებული იმ გოგოს ნახვით, აღარაფერი მესიამოვნება, არც ცინცხალი ბუნებისა და უცხოს, ჯერ უნახავის, საკვირველებებით ტკბობა და არც ვინმესთან ყოფნა. თენგოს ამბავს თითქმის აღარავინ ახსენებს, ყველამ თითქოს მიივიწყა.

მოვკითხავენ, მაგრამ რას იტყვი, როცა არაფერი არ იცი. არა და, რატომ არ უნდა იცოდე. ორმოცკაციან კოლექტივში შეიძლება ადამიანი ისე დაკარგო, არაფერი გაგეგებოდეს მისი?

ჰო, ჩაცუცქული კაპიტანი თავის ჯიხურში და გენერალურ რუკებს ჩაჰკირკიტებს. სამუშაო რუკას, რომელზეც გემის აწინდელ სვლას ხაზავს, ესე იგი, კონკრეტულ ვითარებაზე მორგებით, სამოძრაო ხაზს ავლებს რუკაზე. მაგონდება, — ეს რუკებიც ლას-პალმასში ვიყიდეთ.

ერთი თქმა, თავს ვუთხარი: შედი, გაანდე ყველაფერი კაპიტანს ახლავე. ამ საცოდავი ქალის მდგომარეობა-მეთქი. ჯობს თავიდანვე იცოდეს, მერე ხომ გვიანი იქნება. სულერთია, ერთ მშვენიერ დღეს, მაინც უნდა შეიტყოს, რომ გემზე ფეხმძიმე ქალი ჰყავს. არ ვიცი მომხდარა თუ არა როდესმე, ჩვენს რომელიმე ხომალდზე ამისთანა უცნაური და შეუთავსებელი რამე. ერთ-ორჯერ ხიდურზე ხმამაღლა ვახველებ, სარკმლიდან ვიცქირები იქით, ჯიხური-

საკენ, რომელიც აქედან მშვენივრად ჩანს. მაგრამ რა, კაპიტანს თავი არც კი წამოუწევია. გვერდის აივანზე გადივარ. ლოტოსიც აქ ჩნდება საიდანღაც, რომ თავისი „ყოვლისმომცველი" ცოდნა, ზღვისა და ნაოსნობისა, მომაშველოს.

ზღვას მღელვარე არ ეთქმება, მაგრამ წყნარი, თეთრქოჩრიანი ზოლებით კია დახაზული. გეგონება ჯავრით შუბლი შეიკრა და მრისხანების ნაოჭები დაიყარაო.

უფრო მესაოცრე ისაა, რომ წინ, მოშორებულზე, ოკეანეს ჰკვეთს თეთრმავი ზვირთებით სწრაფად მომდინარე ზოლი. აი, პირდაპირ მდინარის წყალივით მიედინება თითქოს. წყალი — წყალში. მიკვირს და მინდა ლოტოსს ახსნა ვკითხო. მაგრამ მე, კაპიტნის პირველ თანაშემწეს, პომპოლიტს, ბოლოსდაბოლოს, არ მეპატიება ამდენი შეკითხვა. რაღაცას ხომ თავადაც უნდა მიხვდე? მეც ავიღე და ჩემთვის გადავწყვიტე, შუა ოკეანეში, გეოგრაფიულ სარტყელთა კვეთაზე, ან ორი ოკეანის პირობით საზღვარზე, ან სხვა წყალქვეშ მიმდინარე პროცესების შედეგად, წყლის უსაზღვრო უდაბნოებში, უდიდესი სისწრაფის მდინარეებიც შეგხვდება, ასე იყო, ხომ ვნახე, აფრიკის ქვემო წერტილში, კეთილი იმედის კონცხის აქეთ, იქ, სადაც ატლანტიკისა და ინდოეთის ოკეანეები ერთმანეთს ხვდებიან და იყოფიან.

* * *

რა უცნაურია მაინც კაცის ბუნება, ახლა აქვე ხარ, ხოლო შენი ფიქრი სულ შორს, ან სულ სხვა დროში ამოყოფს თავს.

აქ, ამ ცივ ნისლთან, მლაშე სიცივეში მდგომს, კაპიტნის ხიდურს რომ გვერდის აივანი აქვს, იქ მდგომს, ისევ და ისევ მთელი თავსგადანახადი ხელმეორედ დამიტრიალდა თავში. ჰო, სულ ერთ წუთში მოხდა! წარმოიდგინე, ამდენი სახელმწიფო, ამდენი საზღვარი, ამდენი ეროვნული, პოლიტიკური, პარტიული, იდეოლოგიური ინტერესი. ამ ინტერესთა შეჯახებანი და სხვა, სხვაც ძველიც ბევრია და ახალიც, მაგრამ უბრალო შედავებაც დიდ უთანხმოებებისაკენ მიიცოცავს. აბა, ასეა, ძმაო, შეიძლება ჩემს მამულს ნახევრამდე თავისი მიწა-წყალი სხვასთან დარჩა, სხვამ წაართვა და იმ სხვამ კარგადაც შეირგო. მაგრამ აღარაფერს ვამბობთ. რას იტყვი? ჩვენი სახელმწიფო დიდია. ახლა, იმას მეტი საზრუნავი და საფიქრალი გაუჩნდა, არაა ახლა ძველი ამბების გახსენების დრო, ძველი კონფლიქტების აღძვრისა. აბა, მაშინ კონსტანტინეპოლიც უნდა მოითხოვოს საბერძნეთმა. თუმცა ჩვენი ამბავი მაინც განსხვავებულია. აქ, უბრალოდ, მიწაზე კი არაა ლაპარაკი, იმ ჩვენს მიწაზე ჩვენი ხალხია. ამ ხალხმა თავის ისტორიულ მამულში და ერთად აშენოს თავისი ეროვნული ოჯახი?! ეს ხომ უფრო წინ წასწევს, საერთოდ, კაცობრიობის საქმეს?!

მახსოვს, ბათუმში თურქი ლიტერატორი ჩამოვიდა ცოლით, გამაყოლეს, აჩვენეთ ქალაქი, სოფელშიც გაიყვანე. სადმე პურმარილიც მოუწყეთ. ამ პურმარილზე ნაცნობ თავმჯდომარეს შევუთვალე ერგეში, ვიცოდი, რა მადლიანად, გემრიელად და დაუვიწყარად მოაწყობდა ყველაფერს.

პარკში ვიარეთ ერთხანს, პლაჟზეც გავიყვანე, მერე დელფინები ვაჩვენე, იქიდან თეატრთან მივედით.

გზაზე ქალი სულ რაღაცეებს ეჩურჩულებოდა ქმარს. ქმარიც თავს უკრავდა, მაგრამ ხმას მაინცდამაინც, რატომღაც, არ იღებდა. ისეთი გაუმხელი ინტერესით ათვალიერეს ყოველი სახლი, უბანი, ქუჩა. თავად უხსნიდნენ ერთმანეთს ყველაფერს. მე იშვიათად მეკითხებოდნენ. ჰო, ბოლოს რაღაცა იკითხეს, მაგრამ პასუხი, მგონი, არ მოეწონათ. კაცმა თავი გააქნია და ქალს თავისებურად აუხსნა უკვე ჩემს მიერ ახსნილი და განმარტებული. ცოტათი გავჯავრდი, მაგრამ არ მივახვედრე იმათ ჩემი გულისწყრომა: ვიღიმოდი, მივყვ-

ვებოდი და ვფიქრობდი: როცა სტუმარი ასე იქცევა, იმას უნდა უთხრა სათქმელი.

ერთგან ყური მოვკარი, კაცმა უთხრა ქალს: ეს „ბუ ბიზინდი" (ეს ჩვენი იყოო). აი, ეს მოხვდა გულს საშინელი სიმწვავით. ვიწყინე. კარგი კაცი იყო, სხვათაშორის, ზრდილი, კეთილი. მანამდე ძალიან გულიანად და პატივით ვებურობოდი. მეც მაინტერესებდა ბევრი რამ. საუბარიც წრფელი და მეგობრული გამოგვდიოდა, მაგრამ, აი, როგორც კი ჩაუხურჩულა ცოლს ბათუმზე, ეს ჩვენი იყოო, გავშეშდი, დავმუნჯდი, არა, უფრო მომეშალა ნერვები.

მერე, ერგეში, სუფრაზე, ვერც ვჭამე, ვერც ვსვი, ვერც ვისაუბრე. გამონაწყენდა მეგობარი თავმჯდომარე. იფიქრა, რაღაცა, ალბათ, დავაკელი სუფრას, რაღაც, ალბათ, ისე ვერაათ.

მან ხომ სუფრა უფრო ჩემთვის გააკეთა, აბა იმ თურქს სულაც ვერ იცნობდა, ან რაში სჭირდებოდა.

* * *

ამასობაში, ზღვის მდინარეს თუ გრენლთოზულ დინებას ვუახლოვდებით. მფრინავ თევზებს აქაც ვხედავ, მაგრამ, თითქოს, უფრო დიდრონი, უფრო ზანტები არიან და, თანაც, გუნდებად არ დაფრინავენ, როგორც ატლანტიკაზე. აქ უფრო დაბალზე ფრენენ. ამოხტებიან, ფრთებს აახმიანებენ და იქვე, მოშორებულზე, წყალში ჩაყვინთავენ.

ეტყობა, ამოდენა გემზე ზემოდან გადაფრენას ვერ ახერხებენ. უბრალოდ, ცაში აიჭრებიან, რამდენსაც შესძლებენ ალმა-დალმა აიწევენ და მერე, ოდნავ გვერდით გადახრილნი, ძირისაკენ ეშვებიან. კინოში მინახავს, წყალქვეშიდან რომ რაკეტა ამოიჭრება. აი, ისე ამოიჭრება აქაური მფრინავი თევზი, მაგრამ ძალა აღარ ყოფნის და მალე უკანვე ვარდება.

სულ არ მიუქცევიათ დინებისათვის ყურადღება ჩვენს შტურმანებს. ისე კი მომეჩვენა და აშკარადაც ვიგრძენი, რომ ხომალდი დინებაში შესვლისას, ერთგვარად შეირხა, შეტორტმანდა, თითქოს ცალ მხარეს გადაიწია, თითქოს გვერდიდან ქარი აწვებოდა.

სამანქანოდან უფროსი მექანიკოსი კაპიტანს იწვევს სავანგაშო ყურმილთან, რომელიც რა ხანია დევს ხიდურის ერთ კუთხეში დადგმულ ტელეფონის დიდ, წითელ, უცნაურ აპარატზე. მირიან გლახი დინჯად გადმოსცემს რაღაცას. სამანქანოში მცირე ავარია მოხდაო, მოახსენებს კაპიტანს. უებნება, გემი უნდა გაჩერდეს რამდენიმე საათით, სხვანაირად შეკეთება შეუძლებელიაო. კაპიტანი სახეზე წითლდება. როგორ შეიძლება ახლა გემის შეჩერება? როგორმე უნდა სცადოთ სვლაში, შეუჩერებლად აღადგინოთ დაზიანებული მანქანაო, უთხრა. მაგრამ ამ სიტყვებში უფრო ვედრება იგრძნობა, ვიდრე განმკარგულებელი, მტკიცე მითითება. შფოთავს და ქვეშქვეშ მე შემომხედავს ხოლმე შალვა თვალებით მეუბნება, აი, ხომ ხედავ, რას მიშვრება უფროსი მექანიკოსი, როგორ უბრალო მიზეზით აფერხებს გემის სიჩქარეს, ხელს მიშლის, რომ მანძილი დროზე დავფაროთ.

კაპიტანი ვიდრე გადაწყვეტილს რაიმეს იტყვის, ვატყობ, ხომალდი სვლას უნელებს. რაღაც შორეული, სიღრმისეული გუგუნი კიდევ უფრო ნელდება.

ხიდურზე მდგომს, ვგრძნობ, ქარი ისეთი ძალით აღარ მიბერავს სახეში, როგორც წელან, ნეტავ მართლა, აქ ამ შუა ოკეანეში, უნდა გაჩერდეს გემი?

თანაც, სალამოვდება, ცაც ილუშება, სადღაც, სივრცეში ღრუბლები საგრძნობლად გროვდებიან.

აქედან ვხედავ, ხალიჩი და მისი ბიჭები, გრძელ გემბანზე გამოფენილან და ზღვას გადასცქერიან. იმათ სეირის ნახვა უნდათ. აქ ისეთი რაიონია, ზვიგენები მრავლად არიან და ჩვენს ბიჭებს აინტერესებთ ახლოდან დაინახონ ეს ზღვის ფირალები. ზოგიერთი კარგა მოხროშილი ბაწარსაც შლის და წვერზე მავთულის ანკესებს უკეთებს. ხალითი ჩუმად მანიშნებს, აქ ჩამოდით, სეირს გაჩვენებთო. მართლაც, რამდენ-

სიც სულის ძალებში გეში, ან მთლად თუ გაჩერდება, ირგვლივ უმალ ზვიგენები გამშრაგებით დაიწყებენ ზეტიალს. მეც გემბანისაკენ ვეშვები.

ხალხი გემის კიჩოზე და გემბანის კიდეებზე გაეფინა, ყველა წყალს ჩასცქერის. ბიჭიკო მორბის ბაწრითა და მავთულისაგან ნაცუბითეულად მოღუნული ანკესით.

ინდოეთის ოკეანის წყალი ძალიან მექრია ამას, ალბათ, აქ, შუაგულში, სიღრმეც იწვევს. ბიჭიკო უცებ შიგიკავებს. აი, ნახეთ, ზვიგენიათ. ერთი კი არა, ორი ერთად გამოჩნდა. გაიელვეს და გაქრნენ. მერე, ბიჭიკოს გადაგდებულ ანკესთან, ერთი ისევ მოცურდა და ჩაკიდული ანკესის ირგვლივ იწყებს სეირნობას.

იქნებ ხორცის სუნმა მიიზიდა? სამწილად უნდა ჩასანსლოს ხორცი, მაგრამ ატყობს სახიფათო მოუახლოვდება, მაგრამ უმალ შიშით თუ ეჭვით ხითხას გვერდს უვლის და ისევ სიღრმისაკენ გაქანდება.

აგერ ჩვენი საახალწლო ნაძვის ხეც რა საცოდავად გამოიყურება. ტროპიკების ცხელ ქარებს სულმთლად გაუტრუსავს. წიწვები ცეცხლზე შემწვარივით დაწითლებია და ხელის ოდნავ შეხებაზე ცვივა მართლა, ძალიან მეცოდება ნაძვი, ჩვენებურ მიწას მოგლეჯილი და ტროპიკებში იძულებით გადმოხვეწილი.

არკადი მეუბნება, აი რას ნიშნავსო სამშობლოს მიწას მოგლეჯა. ამაზე ლექსი შეიძლება დაიწეროს, თუ როგორ ვერ შეეთვისა უცხო ჰავას ჩვენებური, ჩვენს ნიადაგში ფესვგადგმული ხე. ასე ემართება ადამიანსაც, თუ იგი მშობლიურს მოწყდებაო.

უცებ ნისლი ისე ჩამოდაბლდა, რომ გემის ნახევარი აღარ ჩანს. მიწა მომნატრებია, საახალწლოდ ნაძვის მიწიან ყუთში თითებით ვთხრი გადამწვარ, ფხვიერ მიწას. მონატრებას მაინც, ამასობაში, უცებ, ნამდვილი ტროპიკული წვიმა ეშვება. ხალხის და მის მეზღვაურებს ეხარიათ, წვიმა გემის დამარილებულ კედლებს გადარეცხავს, ლითონი იმდენად აღარ დაიჟანგება.

მე, ზღვისპირელ კაცს, წვიმაში ნაცხოვრებს, დღე-ღამე თავსხმაში ნამყოფს, კი ძველ ნაცნობივით მომნატრებია წვიმა, არა — უფრო ახლობელივით მომნატრებია წვიმა ამ შუა ოკეანეში! განა ეს რაიმე მოგონებათა აღმძვრელი შეიძლება იყოს? ეზოურიდან რეკნის ვიწრო კიბით ჩავდივარ მთავარ ბანზე. თავს ვუშვერ წვიმას. წვიმის დიდრონი, თბილი წვეთები თქაფათქუფით მეცემა თავზე, მხრებზე, თქაფათქუფით გადარბის ფეხზე გემის ლითონის მოაჯირებზე. სველი თმებიდან ჩამოწრიტული ნაკადულები ეშვებიან ყურისძირებში, შუბლზე, ლოყებზე, წარბებიდან ბრტყელი თქეშები მეცემა ქუთუთოებზე და ნიკაპზე, ენებურად ვულაპავ ნაფურს, მტკნარია, ტკბილი, გრილი.

მაინცდამაინც მორწყულ ბაღში გაუწვიმდებოდა მამაჩემს. ასეთი გლეხკაცის იღბალი, იტყოდა, — მთელი თვე წვიმას ველოდი, ვერ მოვასწარი მოწყვა, მოვრწყე, როგორც იქნა, მოვრწყე და მაინცდამაინც ახლა გაწვიმდაო. ახლა ეს წვიმა ხომ უბედურებად იქცა, რა ვქნა ახლა ღმერთო, რა დაგიშავე-რომ დამსაჯე ასე? მორწყული სახნავი კიდევ არაფერი, მორწყული მოხნული დამელეწება. წავა ზედიდან მიწა, გაჩნდება ღარები, ყანა კოხზე დავა. ველიდან ხარებს გამოუშვებდა, ჯილის ღრმად მოსხმულ ჩარდახებს ნატოვებდა. ფანარს გაანთებდა, თავს წვიმას შეუშვერდა და ასე მიუყვებოდა, ნელა, ზღაზვნით მიმავალ ხარებს. ხარებმა კი იცოდნენ სით წასულიყვნენ. ნალოისაკენ. იქ თივა ეყარა დიდი, მახსოვს, მამა იტყოდა, უღელში შებმულ ხარს ნედლი ბალახი არ ეჭმევა. — მოუშვება, დამშვიდდება, უღელს ვერ გაიტანსო. ხარს ხმელი თივა უნდა აჭამო, თუ გინდა ტანაკრეფილად და ღონივრად იმუშაოსო.

შემოვდივარ კაიუტკამპანიის წინა ბანზე. ვდგავარ რეკასთან. თითქმის არაფერი ჩანს ჭერ აქ ირგვლივ — ოკეანე, რეკაზე — ოკეანე. შევცქერი ზემოთ,

მარცხნივ — ინდოეთი ,მარჯვნივ, იქით — ჩინეთი. კაიუტაში დაბრუნებული ვიგონებ, ჩინეთს რომ ჩვენიანს ვეძახოდით. ის დრო მენანება დასაკარგავად, რადაც სხვანი ვიყავით თითქმის მაშინ. რომელი მტერი გაბედავდა თვალში ჩაეხედა ჩვენთვის? „მოსკოვი-პეკინი" ჟღერდა სიმღერა. ჩვენთან რომ ჩამოდიოდნენ, ჩინელები რატომღაც თავჩაღუნულნი, ჩაფიქრებულნი, დასევდიანებულნი მეჩვენებოდნენ. პრესაში მუშაობისას შევხვედრივარ მათ, მისაუბრია. ეჰ, არაფერი! ათას ცხრაას სამოცდაათიანი წლის ოქტომბერს — პეკინში, კანტონში, უხანში, ყოფნა მაგონდება, მერე ვიეტნამს უნდა გამგზავრებულიყო ჩვენი ხუთკაციანი დელეგაცია.

პეკინი ცივი, ქარიანი და მტვრიანი დაგვიხვდა. რაც ჩინეთის პირველი ნახვით ვიგრძენი, ეს იყო, რაღაცნაირი, უზომო, დიდი სიჩუმე. მაგრამ სიჩუმე ზოგჯერ უფრო საშიშია.

და, მაინც საოცარი იყო აეროპორტში შეხვედრის პირველი წუთები. დაძაბული, უცნაური, სიმბოლური.

აეროვაგზლის მოსაცდელში მცირე ხნით ძელსკამზე ჩამოვჯექით. კუთხეში ბუფეტიდან გამოიჭრა ფეშტამლიანი კაცი, ბოთლით ხელში და „ტავარიშ, დრუჟბა, დრუჟბას" ძახილით ჩვენთან მოვარდა. ხმელხმელი იყო, მაღალი, თეთრთმაპარსული, თვალები წვრილი, ცეცხლოვანი, ცქვიტი. ერთხანს მიუკარებელიც მეჩვენა, მაგრამ ახლოს მოსულმა კეთილად რომ გაიღიმა, სულ ერთიანად განათდა იქაურობა. თუმცა მაინც ვერაფერს მივხვდით, რას ნიშნავდა ეს. რამე პროვოკაციას ხომ არ გვიწყობენ? — ვიფიქრე ჩემთვის. ეს იყო შიშის, ეჭვის თუ ალტაცების გრძნობათა შერწყმა, ერთად მოზღვავება გაგებისა და გაუგებრობისა, მოლოდინისა, დაბნეულობისა და რაღაც გამოუცნობი, უნდო იმედისა. სასმელი სათითეურისოდენა სასმურებში ჩაგვიწვეთა და გვითხრა — აი, მე ჩვენს მეგობრობას ვლოცავო.

ემძახობაში გამოჩნდა ჩვენი, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი, გვარად ზაროვი. მებუფეტე რომ მწვანე ჩაის მოსატანად წავიდა, ზაროვმა გაგვიმხილა მებუფეტის დღევანდელი ალტაცების საიდუმლო.

გუშინ მოსკოვში ჩვენს სამომავლო მეგობრობაზე კარგი სიტყვა ითქვა. აქ, ჩინეთში, თქვენ კარგი შეხვედრები გელით...

მებუფეტემ ისევ მოირბინა და თითო ფინჯანი მწვანე ჩაი მოგვართვა, მოგვეფერა, მოგვიალერსა, როცა ილიმოდა, მახსოვს, თვალები სულ ეხუჭებოდა და, როცა თვალებს ხუჭავდა, მთელ მის სახეზე იკითხებოდა კაცისა და ქვეყნის უკიდეგანო სიჩუმე. თვალს რომ გაახელდა, იქ, სიღრმეში, თითქოს შორეული სინათლის იმედიანი სხივი აკიაფდებოდა.

აეროვაგზლიდან გზა ბალ-ბოსტნებში მიდიოდა. გზა — ვიწრო და მტვრიანი, მაგრამ სწორი და მანქანებით გადატვირთული. გარდიგარდმო ბაღჩებში მოხრილი გლეხები მუშაობდნენ. არცერთს, აი, არცერთს, გზაზე მიმავალი ჩვენი ერთადერთი ავტობუსისთვის არ შემოუხედავს. გინდა შემოეხედათ, რა იქნებოდა, არაფერი, მაგრამ, რაღაცა არ მესიამოვნა ეს საოცარი მათი გულგრილობა.

გზები, ქუჩები მოწყენილი, დაცარიელებული მეჩვენა. სადაა ეს მილიარდი ხალხი? სულ რომ არავინ ჩანს, რა ხდება?

აქა-იქ, ხანდახან ჩაიხრიგინებდა ძველი საბარგო მანქანა.

ჩვეჩნებური, იშამდელი დრო დამეხატა თვალწინ.

რუხ-ყვითელი ფერის ეძველეს სასახლეთა გოროზი მხრები ალიმართებოდა ხოლმე უძრავი მტვრის ბლონდეებში. ახალი სახლი ჯერ კიდევ არსად ჩანდა.

მაგრამ, მერე, ქალაქი თანდათან გასქელდა, გაიშალა, შენობანი გახშირდა, ქუჩები ამოძრავდა. სასტუმრო „პეკინის" ფანჯრიდან ჩანდა ქუჩა, რომლის გასწვრივ გლეხებს ბაზარი გაემართათ. იყიდებოდა მწვანე ფხალი. მერე ახლოდან ვნახე ის ფხალი. ნაზფოთლება

ფხალი. აი, ეს მთავარი პროდუქტიათ, მითხრა ვილიამ. ასე, სალამომდე ვაჭრობს გლეხი, მონარჩენს დილამდე აქვე ტოვებს. მიუხედავად გაჭირვებისა, ხელს არავინ ახლებს.

დილით პატრონი მოვა და თავის მორჩენილ ფხალს მიუჯდება, რომ ესეც გაყიდოს. ჩინელი ყაღრიანია, მომთმენი, იმედიანი. იცის, — შრომა მოიტანს სიკეთეს. იცის და მალე სიუხვეც ექნება.

მთავარი სურვილი იყო, ცენტრალური დიდი სააღლუმო ტიანანმინის მოედანი გვენახა. იქვე, ახლოს ის ძველი საიმპერატორო სასახლეც, მაო რომ ცხოვრობდა.

ოქტომბრის ქარი სალამოთი უფრო გაცივდა, თანაც, რაღაცნაირი, უცნობი, შეუჩვეველი სუნიც მოიტანა. ვერ მივხვდი, ეს ქალაქის სუნი იყო თუ გარედან, შემოდგომის გამომშრალი ტრამალებისა და სივრცეების სუნთქვა.

ოდნავ, თხლად, თეთრი ნისლიც ჩამოდაბლდა და იმოდენა ქალაქი თითქოს დაპატარავდა. ხალხი ადრე გაიკრიფა ქუჩებიდან და ქვეყნიერებას ისევ მძიმე და ცივი სიჩუმე დაეპატრონა.

მაოს სასახლეს გარს ევლიდა წითლად შეღებილი კედელი. დიდი ჩინური კედლის პატარა განმეორება იყო მგონი. ერთადერთ შესასვლელთან ორი ჯარისკაცი იდგა.

მერე ერთ ძველ ნაცოხნალურ რესტორანში წავედით და მიწისიატაკიან, ჩამავებულკედლებიან, თუნუქისლუმელიან ოთახში შემოვუსხედით მაგიდას. ცოცხალ-ცოცხალი კერძები მოჰქონდათ ზედიზედ. თითოეულმა თერამეტ-თერამეტი სხვადასხვა კერძი გასინჯა, ზოგ კერძს ღვინოც ერგო, თეთრი ან წითელი. ეს რესტორანი კერძით, გვითხრა ზაროვმა. ჩინელი გო, რომელიც გვიახ, მაოს სასახლესთან შემოგვიერთდა, ახლა ისევ გაგვიქრა. მგონი სამზარეულოში შევიდა, რაიმე კარგი, გემრიელი რომ გამოეგზავნა ჩვენთვის. ეთობმ? — ვეკითხებოდი თავს. ნუთუ ასე, ჩვენებურად, ირჯებიან სტუმრისათვის?

გო მოვიდა. ცელოფანებში შეხვეული ჩინური ჩხირები მოიტანა და საჩუქრად ჩამოგვირიგა. ისე, რაც ჩხირებით უნდა გვეჭამა, ჩანგლებით უკვე შევესანსლეთ. ჩხირები კი იყო იქ, მაგრამ ვერ მოვიხმარეთ. წყვილი ჩხირის დაჭერა ცალი ხელის თითებში, ისე, როგორც ამას ჩინელები ახერხებენ, ჩვენ არ გამოგვივიდა, ამიტომ იგი გვერდით გადავაწყვეთ და ისევ ჩანგალს მივმართეთ.

კანტონის აეროპორტში ვიეტნამის კონსული დაგვხვდა. მას კიდევ ვილაც ჩინელები ახლდნენ. მოგვეხვია ხელი მხრებზე და მანქანაში ჩასასხდომად მოგვიწვია.

აქ უკვე მზე და სიმწვანე, ერთად ჩახუტებულნი, ქმნიდნენ, თუ უკვე შექმნათ, რაღაც მარადიული, თანაც ახალი და მხოლოდ სიცოცხლისათვის გაჩენილი სამყარო. ნაცნობი, შეჩვეული, მაგრამ სრულიად უცნობი ფერებით მოქსოვილი მინდვრები, გორაკები, ტბები, ხეები, ჰაერი, ცა სხეულს დამამშვიდებელ ელექსირს აფრქვევდა და გვიხაროდა ყველას. სინათლე და სირბილე იყო ყველაფრის საწყისი და შინაარსი.

კანტონთან, გორაკზე, დიდებულად აღმართულიყო გარეული თხების ვეება სკულპტურული მონუმენტი. ეს ჩინეთის გაჩენის, მისი სიცოცხლის, მისი ხალხის დაბადების სიმბოლოდაა ჩაფიქრებული თურმე. ერთ თხას პირში ბრინჯის რამდენიმე თავთავი გამოუჩრია.

გარეულმა თხამ ჭაობში ველური ბრინჯი იპოვა, მისი თავთავი აქაურ ტყის კაცს მიუტანა. კაცმა გამოუშვა ბრინჯის მარცვლები, მერე დათესა. მოილო მოსავალი. ადამიანმა გაიჩინა მარადი საკვები, დაიმკვიდრა სამყოფი, ბინა, დაეპატრონა მიწას. გამრავლდა, გაძლიერდა, ამაღლდა. შექმნა ცივილიზაცია და არის დღეს ჩინეთი. გვითხრეს, ასეთიათ ლეგენდა. მე იმ თხების ქანდაკების ფოტოსურათი გადავიღე (რამდენიმე წლის მერე ხუნვეინბინებმა რქები მოახერხეს იმ თხებს).

მაგონდება: თხის ქანდაკების გვერდით, პატარა ქოხი იდგა. ბილიკთან.

შიგ არავინ ჩანდა, მაგრამ მაინც შევიხედე.

შიგ კაცი იჯდა, მოხრილი, ხელსაქმეს ჩაჰკირკიტებდა.

ტკერისაგან რაღაცნაირ კალათებს ქსოვდა. როგორ ჩუმად იჯდა. შემომხედა, თავი დამიქნია, თითქოს რაღაცაზე თანხმობა გამოიცხადა, მაგრამ ხმა არ გაუღია. მაინც მომინდა მასთან საუბარი.

მეორე დღეს, დილით, კანტონის აეროპორტში წითელყელსახვევიანი პიონერები დავინახე ყვავილებით. გავიფიქრე, იქნებ ჩვენს შესახვედრად არიან მოსული-მეთქი.

და, აი, გემზე რომ ვარ, დღეს ვფიქრობ:

იცვლება ყველაფერი, ქვეყნები ადამიანებს ჰგვანან. გულმოსულაში, წყენაში, მტრობა-მეგობრობაში. ადამიანებს კეთილი ადამიანი შეარიგებს, ქვეყნებს ვინ შეარიგებს თუ ისევ პატრონმა ჭკვიანმა ადამიანებმა არ გამოძებნეს შესარიგებელი?

თვითმფრინავიდან მიწა აკვარელით შესრულებულ ძველჩინურ ნახატს გავდა. მზე ამოდიოდა დიდი, ხანძარივით აგიზგიზებული და რაღაც შავი ფერებით შებერილი.

მეგონა, მნათობი, ჩინურ დროშასავით, გრიგალებისა და ბრძოლების კვამლ-მტვერიდან გაჭირვებით ამოწვეულიყო, მაგრამ თავდაჯერებული, ჩუმი, დიადი, იგი ნელა მიიზლაზნებოდა უცნობი, უსასრულო სიღრმე-სიმაღლეთა დასაპყრობად.

ქვემოთ კი, პლანტაციებში, ჩანდა კაცთა ულამაზესი ნამოქმედარი. იკითხებოდა მიწაზე დაწერილი მარადისობის ლურჯი ისტორია.

კანტონი ჩემს მოგონებაში მაინც ჩარჩა იმ დიდი გამოფენით, რომელსაც „ყველა დროის ჩინური სანათურები“ ეწოდებოდა. მრავალ ათას სანათურში არცერთი ერთმანეთს არ იმეორებდა. **ზოგის შექმნაზე არა დღეების შრომა,** არამედ ადამიანის მთელი სიცოცხლე იყო დახარჯული. სპილოს ძვლის ერთი ნაჭრიდან ოსტატს გამოეხვეწა საოცრად რთული, მინიატურული, ათასობით ერთმანეთისაგან განსხვავებული, მხატვრული დეტალებით დამშვენებული სანათური, რომელზეც სამოცდაათ წელიწადს განუწყვეტლად ემუშავა (კარგად მახსოვს, ექსკურსიამძღოლმა გვითხრა, ოთხმოც წელიწადს იმუშავა ამ სანათურზე ოსტატმა, მაგრამ მე ათ წელიწადს ვაკლებ, იქნებ უფრო დამიჯერონ).

ახლა საკუთარ თავსაც კი არ მოვუყვები ვიეტნამის დღეებზე.

ორიოდე ეპიზოდს კი მაინც ვერ ვიცილებ თავიდან.

ჰანოიში, გამომგზავრების წინა საღამოს, გვაცნობეს, ხვალ პრეზიდენტ **ხო ში მინს უნდა თქვენი მიღებაო.** ეს ამბავი პროგრამაში არ იყო თავიდან გათვალისწინებული. პრეზიდენტ ხო ში მინთან, ჩვენს ძველ მეგობართან, ხელცარიელი მისვლა მთლად სასურველი არ იყო. სუვენირები კი მთლიანად გაგვითავდა.

გვიანი იყო. ვიწექი. ჩემთან შემოვიდა მაკაროვი.

— ამხანაგო ხევაძე, იქნება რამე სუვენირი დაგრჩათ, ხვალ დილის ექვსზე ხო ში მინს უნდა შევხვდეთ და თქვენ თავად გადასცემდით.

ავდექი, ვეძებე და ჩემოდანში აღმოვაჩინე ორი ცალი უბრალო ყანწი და ერთიც სვანური ქუდი. ავიღე და დელეგაციის ხელმძღვანელს გავუწოდე.

— ნამეტანი ჩვენებურია და, რა ვიცი... თუ გამოდგება, ინებეთ.

— არა, — თვალგაცისკროვნებულმა მითხრა მან, — თავად თქვენ გადასცემთ...

და გავიდა ოთახიდან. მე მოწიწებით შევახვიე საჩუქრები ქაღალდში, რომ დილით თან წამეღო ფრანგი გუბერნატორის ყოფილ სასახლეში, სადაც პრეზიდენტის რეზიდენცია იყო, მაგრამ მარტო ჩემი ქალაქის სახელი ამ საჩუქრისათვის მეპატარავა, რადგან იგი სახელმწიფოს მეთაურისათვის უნდა მიმეცა.

პრეზიდენტი სასახლის კიბეზე შეგვხვდა. გახუნებული ტილოს შარვალ-კიტელში გამოწყობილი, ფეხზე ლაზლის

რქეული და ჩისძირიანი სანდლები ეცვა, ჩია, კაფანდარა ბერიკაცს სულ ღიმილი ეფინებოდა პირსახეზე, ღილის ნიაგი თეთრ თმაწვერს ცალ მხარეზე უწევდა.

მისაღებში რომ დავსხედით, პირველმა მე დავარღვიე მყუდროება.

პატივცემული პრეზიდენტო, ეს სახსოვარი ქართველმა გლეხმა გამოგიგზავნათ. დამიბარა, საბჭოთა ხალხის სახელით გადაეციო.

ხო ში მინი თვალანთებული ხელწამოიჭრა. ჭერ სვანური ქუდი გაშომართვა და უმალვე თავზე დაიხურა. ყველას ზეიმურად გადმოგვხედა, როგორაა, მომიხდა თუ არაო, მერე, ყანწები მოუწაწკუნა ერთმანეთს და წინ, პატარა მაგიდაზე დააწყო. დაჯდა, მალე ერთი ყანწი ისევ ხელში დაიჭირა, თვალები მოწკურა და თქვა:

—ათასცხრაას ოცდაცხრაში, მოსკოვიდან რომ თბილის-ბორჯომში რამდენიმე დღით მივდიოდი, სტალინმა გამაფრთხილა, საქართველოში, სუფრაზე სავსე ყანწი თუ გამოგიწოდონ, არ გამოართვა, თორემ ბოლომდე ვერ დაცლი და ვერც ძირს დადგამო. ბიდა, იქ რომ ჩავედი, სულ ყანწის მეშინოდა, ხელებს ვმალავდი. შინ ვარ, აღარ მეშინია. აი, ყანწი ხელში მიჭირავს, მაშინ ვასხამ ჩვენებურ სასმელს და მინდა ვადღეგრძელო ის გლეხი, აი, ეს დიდებული საჩუქარი რომ გამომიგზავნა, მისი სამშობლო — საქართველო, ჩვენი მშრომელი ხალხების მეგობრობა დავლოცოთ, ამხანაგებო! — თქვა პრეზიდენტმა და გადაჰკრა, მგონი ორიოდე წვეთი რაღაც სასმელი მართლაც იყო ყანწში.

ხო ში მინი სრულად ფლობდა ჩინურს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს და რუსულსაც. მშვენიერი რუსულით გვესაუბრებოდა. სულ იცინოდა და ძალიანაც შეეწოდა მოხუცს სიცილი. მეწხერი, თეთრი წვერი, გვეგონებოდა, ნამდვილი არ იყო. ხშირად ჩამოისვამდა ხელს წვერზე და ლია სახეზე ისევ ჟოჟღ...ომცველი, ლაღი ღიმილი აუბიბინდ...და. უცებ, თითქოს შენიშნა, რომ მე სწორედ მის წვერს ვაკვირდებოდი, შემომხედა და მარტო მე მითხრა:

— იცით, ჩვენს კომუნისტ ბელადთა შორის დღეს მარტო მე და ფიდელ კასტრო დავრჩით წვეროსნები. — და კვლავ ჩაიკისკისა. ხმამაღლა გაიცინა მთელმა დელეგაციამ.

მერე, მახსოვს, ხო ში მინი უცებ მოიღრუბლა, მუხლები ერთმანეთს მიადო, ზედ ხელები დააწყო, თავიც ჩაქინდრა და კიდევ უფრო დაპატარავდა. შევატყე, მეხსიერების შორეულ შრეებში რაღაცებს ეძებდა. მერე, ოდნავ წამოსწია თავი, ყველას თვალი მოგვავლო და წარმოთქვა:

— ლენინის დაკრძალვაზე რომ წავედი მოსკოვს, კარგად მახსოვს, ჩინეთში, კანტონის კომუნისტთა უჯრედში ვიყავი მაშინ... ირკუტსკიდან ტრანსციმბირის მატარებელზე მოვეწყვე. საშინელი ყინვები იდგა იმხანად. ნელა მიჩანჩალებდა ჩვენი მოუწყობელი, დაძველებული მატარებელი. ვაგონში ნაშირის ლუმელი იყო. გაჭირვებით გვათბობდა.

ერთიც ვნახოთ, ქარმა მოგლიჯა სახურავზე საკვამლე მილი და გადაავლომთელი კვამლი ვაგონში ჩამობრუნდა, თვალები აგვეწვა, სული გვეხუთებოდა. საჭირო იყო სწრაფად მიმავალი მატარებლის სახურავზე ასვლა და იმ საშინელ ქარში, ორმოც გრადუს ყინვაში, მეორე, ძველი თუნუქის მილის ჩამოცმა, თანაც მავთულით დაბმა-დამაგრება. იმ ვიწრო კიბეზე სქელი კაცი ვერ ავიდოდა. ყველაზე თხელი და მსუბუქი მე გახლდით. რა თქმა უნდა, სახურავზე ასვლაც მე ვიკისრე. შემოხვიეს თავი შალის საბნით, გამომაბეს წელზე თოკი და ამიშვეს დაჭვარტლულ კიბეზე. თუნუქის მილიც კინაღამ გრიგალმა წამართვა, მაგრამ, როგორც იქნა, შევძელი და თავის ადგილას დავამაგრე. უკან დაბრუნებულს ოვაცია გამიმართეს, როგორც გმირს. — ჩაიკისკისა ჩვენმა მასპინძელმა.

მგლოვიარე, ცივი და მშიერი მოსკოვიც გაიხსენა ხო ში მინმა.

დილით სასტუმროს ოთახები ისე გაციებული იყო, უცხოეთის კომენისტთა წარმომადგენლებს, ლოგინში მწოლარეთ, ჩამოჰყვირებდნენ შავი ბურის ნამცეც ნაჭერსა და პატარა ჭიქას. ეს იყო ჩვენი დილური ნორმა.

პრეზიდენტის თანმხლებმა რაღაც წასჩურჩულა, ამბის მოყოლა შეწყვიტა. წამოდგა და ფოტოსურათი გადაგვიღოთ, მიგვიპატიჟა, გარეთ გავედით და კიბეზე გავეწყრიეთ.

* * *

ინდოეთის ოკეანის ლამე. თვითონ ლამეც ოკეანეს ჰგავს. მრგვალი სარკმელი, ილუმინატორს რომ ეძახით, ღიაა.

ვწევარ გულაღმა ფართო, თავის ადგილს მკვიდრად მდგარ საწოლზე და ვიწრო სარკმელში გარბენილ ვარსკვლავებს თითო-თითოდ ვითვლი. დიახ, უცებ გადაუდარებია და ცაც მოწმენდილა. გარდა ჩემი შორეული ვარსკვლავების შემოცემცემებისა, სარკმელში უხვად, სულ ახლოდან ისმის გემის კედლებზე მხოხავი ოკეანის გაბმული ხვნეშა და ოხვრა.

შეჰგამორთულ ოთახში თავისთავთან უფრო ახლოსა ხარ თითქოს. ისვენებ არა ფიზიკურად, არამედ განიცდი უსაზღვრო დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, რაც დასვენებაზე გაცილებით ძვირფასია. იცი, რომ მალე ძილი წაგიტყუებს და თანაც გენანება სიფხიზლე გაცვალო ძილში. უეცრად ხალითი მახსენდება, მინდა ახლოს იყოს, მაგრამ არა, არა, ახლა ამ ძვირფას მარტოობას არაფერი ჯობია.

### ხალიდას ფუქარსი ჩაუდლი
### ხანინა

უნდა მაპატიოთ, გული, რომ ეს რვეული ისევ ჩემ სოფელში წაგიყვანს.

ის ავტობუსი, პირველად რომ ჩავჯექი და ქალაქიდან სოფლისაკენ გავწიე, ბრეზენტით იყო გადახურული. ძელის სკამები ჰქონდა.

ნაჭუჭმარი ქეჩით მოვედი. დილა, დედის ნამტირალევ ლეჩაქივით, სველი და რბილი იყო.

ფეხის თითებზე სისველეს და სიცივეს ვებრძოდი.

ჩქარა ავედი ავტობუსში — მძრალ ადგას დავჯდები-მეთქი, იქიდან კი მყუდროდ შევათვალიერებ ქუჩას, თანაც, დავჯდები, რომ ადგილი დავიკავო, წასვლა გავინადლო.

ძელსკამის კიდეში დავიკავე ადგილი. აქეთ-იქით ვიყურებოდი გამვლელებით და შიშით. ვამოწმებდი, შეიძლებოდა თუ არა დაჯდომა იმ ადგილზე. ცივ მუხლებზე ცხელი ხელები დავიწყე და მუხლის თავები შევათბე. ძალიან მესიამოვნა აშუშაქებული მანქანის სუნი. ბა, ბენზინის სუნი მიყვარდა, მომწონდა. იგი ქალაქთან, კაცობრიობასთან, ცივილიზაციასთან მაახლოებდა ვითომ.

გავიხედე, ჩითისკაბიანი გოგო ამოცოცდა, მოვიდა, მაინცდამაინც ჩემს გვერდით შეათვალიერა ადგილი, მკითხა, შეიძლებაო?

რაც მართალი მართალია, გამეხარდა, გამიკვირდა, შემრცხვა, დავიბენი, შემეშინდა, შევწუხდი. მეგონა სუყველანი, ვინც ირგვლივ იყვნენ, მე მიცქეროდნენ.

— შენ სა მიხვალ, ჰო? — მკითხა ამ ცოცამ გაბედულად, ძველი ნაცნობივით, თანაც ერთგვარი აგდებით. ეტყობოდა ის ქალაქში ჩემზე მეტჯერ იყო ნამყოფი და კარგად ემარჯვებოდა სხაპასხუპით ლაპარაკი და ეშმაკობა.

— რა გინდა მემრე შენ? — დამნეულად შევეხმიანე, თანაც ვეცადე გაბედულება და სიამაყე მეგრძნობინებინა ამ გვირილისკაბიან ცოცასთვის.

— ააფე, რანდა მინდოდეს, ბლაყვი ხომ არ ხარ... მოგიჯექი და ეილაპარაკოთ ბიჭო.

იქით, გვერდით რომ დასხდნენ, გოგო უფრო მომიახლოვდა, თითქმის მუხლით მომედო.

მანქანაც დაიძრა. ზღვის თქამთქუში დამორავდა. მიქრა, ბაზრის ყაყ-

ნაც მთლია, სახლები უფრო და უფრო აჩქარებულად მირბოდნენ უკან.

გოგო იჯდა, ვატყობდი, ნახევარი თვალით მე მიყურებდა, მაკვირდებოდა, სათქმელს არჩევდა.

— რა გქვია შენ? — ვკითხე უცაბედად, რათა მას არ დაესწრო რაიმეს თქმა ამით ერთგვარად ინიციატივა ვიგდე ხელთ.

— ხატიჯე მქვია.

— სწავლობ?

— ჰო, აბა, მეშვიდეში ვარ. სოფელში ვარ. კორომხეთს. მამა, ნენეი აქ მყავს, ქალაქში და მერვეში გადავალ და აქ გადმოვალ, ნენესთან.

— ნენეი — აქ, შენ—იქ, რატომ?

— ნენემ ბაბაი გაუშვა. მიხტი, ჰო, გაუშვა და სხვა კაცს გაყვა. აქაურს.

— შენ?

— მე რაი, ვარ იქა და მერვეში რომ გადავალ, აქ გადმოვალ. ნენეი ენახე და მითხრა, ჩემთან იქნებიო... მე კაბა ცოტა მოკლე უფრო მიხდება, იცი?

ჩაიხედა წვივებზე, ჩითის დაქმუჭნული კალთა ოდნავ ზევით აშოაჩოჩა და ტილოს სველი ფოთინები შეჰნიშნე ფეხებზე. დაბალ ქუსლებზე იყო, მაგრამ ხატიჯე ქუსლებს ისე წევდა ზეზე, უნდოდა ჩემთვის მოეჩვენებია მაღალქუსლიანები მაცვიაო.

რა უნდა ამ ცისას ჩემგან? — ვეკითხებოდი თავს.

— შენ სიყვარულზე წიგნი წაგიკითხია, ჰოვ? — არა ჩურჩულით, არამედ საკმაოდ ხმიერად მკითხა. მგზავრებს გადავხედე, როგორც დავრწმუნდი, არავის გაეგონა, ჩუმად ვუპასუხე:

— ელგუჯა და მზიდო... იცი?

— ეგ რაა. მე, იცი, მანონზე წავიკითხე. სულ ვტიროდი. იმხელა სიყვარული, იმხელა სიყვარული, სულ ქვეყანაზე რომ არ დიეტევა

— მერე, შენ რაი?

— იცი, ჰოვ, რა გითხრა? სიყვარულსაც სწავლა უნდა... გინდა, მოგწერო წერილი?

— მომწერე, რა მენაღვლება.

— მა, დამიწერე აბაზე მისამართი. —გამომიწოდა დაბლერჭული ფურცელი. ჯიბეში ჯგუტი ფანქარი მედო, ამოვიღე და დავუწერე ჩემი და ჩემი სოფლის სახელი. მუხლზე რომ დავაფინე ქაღალდი და წერა დავიწყე, მაშინ მუხლი თავისკენ მიაბრუნა ხატიჯემ. მერე, მისამართი რომ გადავეცი, ისევ შეეხო მუხლი მუხლს.

ამასობაში ავტობუსმა კახაბრის ველი ჩაათავა და კაპანდიბთან მოუხვია. ჭორობი, მღვრიე და დატოტვილი, ნელა მიედინებოდა. ხიდქვეშ ისევ მთლიანდებოდა, მერე ჩხრიალ-გუგუნით კვლავ იშლებოდა, რათა ზღვამდე დარჩენილ მანძილზე კიდევ ერთხელ ეჭირითა ლაღად.

— შენც ჩამოდი ჩემთან ერთად, გინდა? — მომიბრუნდა ისევ ხატიჯე. — ჩემს სახლს გაჩვენებ გინდა ?

— კი, მინდა, — ვუთხარი მეც დაფიქრებულად. მისთვის სახეზე არ შემიხედავს, მაგრამ ვატყობდი, როგორ გაიცდა ამის გაგონებაზე, რადგანაც ჩემგან ასეთ პასუხს არ ელოდა.

ავტობუსი კორომხეთის ჰოკთან გაჩერდა. ჩემი ჩამოსვლა დიდი სისულელე იქნებოდა, რადგანაც მერე შინ ვეღარაფერს გავყვებოდი. ანდა, რაზე უნდა ჩავსულიყავი? ვფიქრობდი, ვფიქრობდი, და რა მექნა ვერ გადამეწყვიტა. დრო კი ველარ ითმენდა. ხატიჯე იდგა, ხელი ხელზე წამატანა და, რაც მართალი მართალია, ძალით წამომაყენა.

— ხომ თქვი, ჩამოვალო? აბა ეს რაა, არ ექანები. გეშინია, ჰო?

მართლაც ვგრძნობდი, როგორ თანდათან ვწითლდებოდი სახეზე. ვგრძნობდი, ყველანი მე მიცქეროდნენ. მგზავრთა შორის ერთი-ორი ჩემი სოფლელიც იყო, რას იტყვიან ისინი? ვიღაცა კორომხეთელ ცისას წაყვაო. არ გადაირეოდნენ შინ ჩემები? მაგრამ მე უკვე ავტობუსის საფეხურიდან ძირს ჩავყავდი ხატიჯეს. ძირს რომ ჩავედით, მკლავში მაგრად ჩამავლო ხელი და ცოტაც წინ მიბიძგა.

ავტობუსი დაიძრა და ბენზინის გამონაბოლქვით შეზავებული მტვერი ცაში ავარდა. ჰოკი მაღთელზე ეკიდა

და ქანაობდა. მეგონა თავბოლოთი არც იყო დამაგრებულ-დაბმული და ისე კორწიალობდა ამსიგრძე, ძელებმეჩხერი, მორყეულ-მოშლილი, ფიცარამოცვენილი ჭოკი, რომ მაზე გავლას თოკზე გავლა ჯობდა. ამ ციცას კი ეტყობოდა სწორედ ჭოკით უნდა გავეყვანე გაღმა და მერე, ამის გარდა გულში რა ედო ვერ წარმომედგინა. შიში ვერ გავამჟღავნე და, ბაწარწაბმულ მოზვერს დასაკლავად რომ წაათრევენ, მეც ისე, გოგომ ხელგამოდებული გამიყვანა ჭოკზე.

ახლა მე თვითონ ჩავავლე ხელი მკლავში, მან კი ჩემი მკლავი ფერდზე მიიდო და ჩემი თითები გაინაბნენ გოგოს მკერდის მომალო ბორცვზე და აშკარად იგრძნეს ჩითის კაბაზე შიგნიდან მოწოლილი ყმაწვილქალობის სითბო.

ჩვენ მივაბიჯებდით და ჭოკი აჭითაქებით ირხეოდა და ცალი ხელით ტლანქად გვერდებზე გაჭიმულ ხომორ, დაჟანგულ მავთულს ვეჭიდებოდი.

— რანდა ქნა, ამფერია ცხოვრება. — ფილოსოფიურად ახსნა ხატიჯემ ჩვენი უცნაური სვლა და შიშნარევი სიხარულით შემომილია. — ჰო, ჰო, ამ ჭოკივით იკორწიალებს ჩვენი გზა მუდამ, ამფრად ხელიხელჩაკიდებული თუ... — ნერწყვი გადჩხირა თუ ფეხი წამოკრა ამოშვერილ ძელს, არ ვიცი, გაჩერდა.

მე ოდნავ დავიხარე, ვითომ ყური მის ბაგეებთან მინდოდა მიმეტანა, სინამდვილეში ერთი გაუბედავი კოცნა გამომივიდა. რადგან ჩემი ტუჩები მის ლოყას ჩამოევლო ზემოდან ქვემოთ, ისე მესიამოვნა და ისე დავიბენი, სიტყვებს ახლაც ვეღარ ვპოულობ იმის გამოსათქმელად.

სად მივყავდი, საით მივდიოდი? არც მეუბნებოდა, ვერც ვერაფერს ვხვდებოდი.

სოფლის შარაზე ცოტა რომ გავიარეთ, ხატიჯემ მანდარინის ბაღისკენ გადაუხვია და ხეთა შორის გაჭიმულ თიხისფერ ბილიკს გაყვა. მეც მორჩილად მივყვებოდი და, რაც მართალია, აღარ მეშინოდა, დარწმუნებით და გადაწყვეტით თანახმა ვიყავი ქალიშვილის ყოველ განზრახვაზე ბოლომდე დავმორჩილებულიყავი.

როგორც კი ბილიკი ავათავეთ, ეზოში აღმოვჩნდით. პატარა ფიცრული სახლი კოხტად გადმოგვცქეროდა. ჯერ დედაბერი შემოგვხვდა, მერე კიბესთან შეახელა ქალი შემოგვეგება და გაკვირვებით შეგვათვალიერა. შევატყვე, ეს ქალი ამ ეზოკარში ძალაუფლების მთავარი მფლობელი იყო.

—ა, უყურეთ ამას! დეიწყო ამანაც... მეიყვანა კური. — მაღლა აიხედა გაჯავრებით და რაღაცნაირი კმაყოფილებითაც, — ბერო, ხედავ ამ ფოშას, რომ კური მოგვაყენა სახლში?!

ზემოდან არავის არ გადმოუხედავს. ის წელანდელი დედაბერიც სადღაც მიიმალა.

ახლა კი შევშინდი.

ერთი თქმა ჩემთვის ეთქვი, მოდი მოეწყდები აქაურობას და გაეიქცევიმეთქი, მაგრამ მუხლებიც აღარ მემორჩილებოდნენ და გულიც არ მიშველიდა.

— ნუ გეშინია, გადააბიჯე ფეხი! — მიბრძანა ხატიჯემ და ხელჩავლებული წამიყვანა.

— მე ამასნა წავყვე ცოლად. ჰო, ასენა ექნა. — მიახალა დედინაცვალს და უფრო მძლავრად მომქაჩა (დედინაცვალი იქნებოდა, ეს ჩემით მივხვდი, დედა ხომ ქალიშვილში სხვას გაუთლოდა).

— ამ ჭყაპ ბლუშტს უყურე შენ რაებს ბედავს! — გადაირია ქალი, — არა, ძიავ, ეს დედამისივით გიზამს შენ საქნელს. — შეუძახა ვიღაცას ზემოთ. ალბათ, იქ, მაღლა ქმარი ეგულებოდა.

— ვინ ხარ, ჭოვ, შენ?! — დამეხალა კითხვით ვიღაცა თავზე. ეს უძვე ხატიჯეს მამა იყო, მივხვდი.

თავგადაპარსული და წვერმოშვებული ისე საშინელი მეჩვენა, რომ შევკრთი. მაგრამ, ვიფიქრე, უკან დახევა აღარ შეიძლება-მეთქი და მეც წელში გავიმართე და თვალები პირდაპირ თვალებში მივაბჯინე.

— რას მერჩით. ბაღანას მიეეხმარე, შინ მოვყევი და სტუმარს შინაც არ

მიშვებთ, რას გავს ეს. თქვენ ვინ ხართ, ერთი მითხარით.

ხატიჯეს ესიამოვნა ჩემი პასუხი და ხელი ხელზე უფრო მაგრად მომიჭირა.

თავმობარსული კაცი იმ ჩემმა პასუხმა ცოტათი შეაყოვნა და ჩააფიქრა.

— კაი, კაი, ერთი! რა იცი შენ, ვინაა — უთხრა ცოლს და კეფა მოიფხანა.

ხატიჯე ვიწრო კიბეზე მაღლა ადიოდა. მეც მივყვებოდი. ახლა უკვე ძალამოკრებილი და თავისთავში დაჭერებული.

უფროსები, შევატყვე, შეგვეშვნენ. აღარ ილრინებოდნენ. ისე, შორიახლოდან, თვალს გვადევნებდნენ, აბა ერთი, რა სწადიათო.

— რანდა ვქნა ამ სახლში... ამათ ხელში არ გაცოდები, ა? — თვალცრემლიანი მომიბრუნდა ხატიჯე, თავის პატარა ოთახში რომ შევიდა.

— კი მეცოდები, მარა...

— მომკიდე მერე ხელი და წამიყვანე. ვიქნები შენი ქალი, არ გინდა?

— მინდა, მარა, შენ ბალანა ხართლათ და მეც სულ კაცი ხომ არ ვარ ჯერ.

— რაის ბალანა ვარ. ეე, შენ არ იცი, ჰო. მე იმფერი ქალი ვიქნები, სულ ქუდ-წვეული იყლი შენ ქვეყანაზე. ნუ გეშინია, მომიჭირე ხელი და წამიყვანე. ერთი ამათ დაუეყენო თვალები!

— კი, მარა... — ვყოყმანობდი მე.

— ეე, შენ მართლა ფხალლობიანი ყოფილხარ. მომიჭირე ხელი და წამიყვანე, პა, გეხნევი! თვარა სულ დეგვეკარგები და მერმე გვიან იქნება.

— რა ვიცი... ჯერ პაწაი მეეცადოთ და...

ასე, რომ ვეუყვებოდი, ხატიჯე მართლაც თანდათან გულში შედიოდა. უფრო და უფრო მიყვარდებოდა, მაგრამ ასე უეცრად, ასე მოუმზადებლად, უდროოდ, რაფრად უნდა გადამედგა ამგვარი ნაბიჯი, ვყოყმანობდი. მამაკაცის ყოყმანი კი, ხომ იცი, ქალიშვილებს არ მოსწონთ, სიმხდალე ეზიზღებათ.

ამიტომ მოულოდნელად შევიცვალე და გადაწყვეტით ვუთხარი:

— წამოხვალ? წამოდი, აბა!

ამ პასუხზე ოდნავ შეკრთა გოგო.

— კარ, შენ წადი, ხიდვალმა, ე, იმ საბძელთან დამიცადე. მოვკოჭავ, ჩემსას, რაცაა და გამევეპარები. იქ დამიცადე, ჰო?

— იქა? გალმა?

არ დაემშვიდობებიყარ არავის, ისე გამოშტერებულივით ჩავიარე კიბე, გავიარე ეზო და იმავე თიხისფერი ბილიკით შარაზე ჩავედი. ჰოკზეც გავედი და გალმა ის საბძელიც მოვნახე.

დაბნელებამდე ვიდექი და ველოდი ხატიჯეს, მაგრამ გოგო აღარ ჩამოსულა ჩემთან.

არ ვიცი რა დაემართა. ალბათ დედონაცვალი დაუდარაჯდა და არ გამოუშვა.

ვინ იცის, რა გზით წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, ხატიჯე რომ მყოლოდა. ვფიქრობ ახლა, აქ, ზღვაზე.

ჰო, ვეუბნები გულს, ბალანა ქალის მოყვანა სჯობია. შვილები გეყოლება კაცს. შენაც გაიხარებ და ქვეყანაც.

**დღიურიდან: 198... თებერვალი**

წუხელ, სხომალდო კრებაზე, უკვე შევამჩნიე, ბეზლენი, წუწუნი, საყვედურები გემზე კულტმუშაობის შესუსტების გამო.

რაღა თქმა უნდა, შენიშვნები ჩემდამი იყო მომართული.

შალვა იჯდა მაგიდასთან, კაიუტკამპანიის ერთ კუთხეში და თავჩაღუნული უსმენდა ორატორებს. ორატორები, იცოცხლე, ალაპარაკდნენ. რას ეტყვი, რით იმართლებ თავს?

მაგრამ ერთ რამეს მაინც ნათლად მივხვდი — შალვა ძალიან აქტიურად იცავდა თავს, როცა საყვედური გემის საერთო ხელმძღვანელებს ეხებოდა, ხოლო ახლა, როცა სწორედ ჩემს მუშაობაზე ცალკე, გამოკვეთილად ითქვა, იგი გაჩუმებულია. სიჩუმე კი, როგორც იტყვიან ხოლმე, თანხმობის ნიშანია.

უფროსმა მეზღვაურმა დიმა ოსოვმა, პირდაპირ ხმალამოღებულმა გაილაშქრა კულტმუშაობის ახლანდელი სტილისა და მეთოდების წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვა დაუყოვნებლივ გარდაქმნა საქმისა ამ დარგში. იგი

ამბობდა: „ასეთი უპასუხისმგებლო პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის შედეგია, რომ მშვენიერი კოლხეთის შვილი, რიგითი მეზღვაური, თენგო ხაბაზი, გემიდან გადაეშვა და კაპიტალისტურ სამყაროში დარჩა. ეს ჩვენი ეკიპაჟის შეურაცხყოფაა. ეს ჩვენი ნაკლია, ეს ჩვენი პოლიტიკური ჩავარდნაა... სად იყო პამპოლიტი, სად იყო პარტორგი, სად იყო კომკავშირი? რეისის დაწყებისთანავე ასეთი დარტყმა?! გამოდის, რომ ჩვენ ვერ შევისწავლეთ კარგად ხაბაზის ვინაობა, წარსული, მშობლების საქმიანობა, გარემო, წრე, მისი ზრახვები, მისი ინტერესები და გემზე მივიღეთ ანტისაბჭოურად განწყობილი ახალგაზრდა, ესე იგი, სოციალიზმის მტერი.

ვატყობდი, კარგად ვხედავდი, რომ იმ ბიჭს ჩვენი არაფერი არ მოსწონდა.

აქ ერთი ჯინსის საყიდლად ბიჭები მთელ წელიწადს ცურავენ. ის პორტელად წამოვიდა საზღვარგარეთ რეისში და უკვე შინიდანვე ჰქონდა ორი ჯინსი. ისე განებივრებული იყო, რომ ერთი ჯინსი კაიუტაში დააგდო და წავიდა.

მოხდა ასეთი ამბავი და ჩვენ ამას პირველხანს კიდეც გვიმალავდნენ. საჭიროა მთელი სისასტიკით გატარდეს პარტიული ზომები.

გარდა ამისა, იგი ოსოვი ამტკიცებდა, რომ გემზე არ შეიქმნა თვითმოქმედი წრეები, არა გვყავს მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდი, არ ხდება გაზეთის ხმამაღალი კითხვა (იგულისხმება რადიოგაზეთი). ჩვენ გვყავს ნიჭიერი ხალხი, განაგრძობდა ოსოვი, ნამდვილი ტალანტები, ნამდვილი მხატვრები, მუსიკოსები, აკრობატებიც კი, და, რაღა თქმა უნდა, ჩვენ გვყავს პოეტები და მწერლები...

ყოველივე ამას, მოკაუჭებული თითის ჩაღმა ჩაქნევით აკონკრეტებდა ოსოვი: — აქ კი დომინოს და შაშის თამაშში თითები გავიცვითეთ. ერთი ჭადრაკია და ისიც ჩვენამდე, რიგით მეზღვაურებამდე, არ მოაღწევს, რომ ხანდახან ეს თითები ჩვენც მაღალ-მაღალ ფიგურებზე ჩამოვასვენოთ.

დიან, მას შეეძლო იუმორიც მოეხმარა.

გვერდიდან ლოტოვმა ჩამჩურჩულა, მაგი ლექსებს რომ წერს თუ იცით. არა, არ ვიცი-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ახლა ჩემთვის გასაგებია რატომ ახსენა წეღან ნიჭიერი ხალხი და განსაკუთრებული ხაზგასმით პოეტები და მწერლები.

კარგად გამახსენდა, ეს ის ოსოვია, ნეპტუნის დღესასწაულისათვის რომ კუპლეტები შექმნა. კარგი-მეთქი, წავჩურჩულე პასუხად ლოტოვს, თუ წერს, წეროს ლექსები, კარგია ძალიან. გულს დაიმშვიდებს კაცი და დანარჩენ კაცობრიობას დაეხმარება სიმშვიდის შენარჩუნებაში. ლოტოვმა რატომღაც სიამოვნებით ჩაიცინა. თავი ჩაღუნა ერთხანს, მაგრამ ისევ წამჩურჩულა:

— იცით, მაგას ასი კუპლეტი აქვს ლენინზე და სულ ზეპირად ამბობს — დამთავრებულიც არ ჰქონდა ლოტოვს თავისი სათქმელი, რომ ვიღაცამ დარბაზის შუაგულიდან მართლაც დაიძახა:

— ოსოვ, ჩიტაი სტიხი, ნაშ ნასტაიაშაია პოეზია ნუჟნა!

ჰაი, — აღმომხდა გულიდან, — ეს უკვე ნამეტანია. ხედავ? — ნამდვილი პოეზია გვჭირიათ, ეძახიან.

ოსოვმა თვალი გამოაპარა ჩემკენ და ისე, „კოსოდ" გადმომხედა. მეც ვუღიმოდი და, აპლოდისმენტებში, ვთხოვდი მას ლექსი ეთქვა.

იგი, უსაზღვროდ კმაყოფილი იმით, რომ მე, — დაწერილი ტექსტების ავტორს, ზეპირი თქმით დამამარცხებდა, ამაყად გადახედა კაიუტკამპანიაში მყოფთ, ერთი მზერა კაპიტანსაც ესროლა, ჩაახველა, მარცხენა ხელი ოდნავ მაღლა ამართა და დაიწყო:

მაღალი ხმით, ჭრელ-ჭრელი სიტყვებით, რევოლუციების, სისხლის, დროშების, ტყვიისა და ცეცხლის, აფეთქების, გამარჯვების, მოედნების, ქვემეხთა ქუხილისა და უმაღლეს ჩინთა ხსენებით ლექსი თითქოს ლექსობიდან გამოვიდა, დაგლეჯილ ფურცლებივით მაღლა აიჭრა, არაფრისმთქმელ ლოზუნგებად მიეწება კედლებს, ჭერს, ჩამოფარა ილუმინატორებს, აფრიალდა,

აფორიაქდა, აშმაურდა, აქლოიალდა და ბოლოს ჩაცხრა.

ყველაზე მეტად აღტაცებული, რა თქმა უნდა, თავად ოსოფი იყო.

დაჯდა, შუბლზე ხელი მოისვა, ჩამოცვენილი თმებიც უკან გადაიყარა, მაგრამ ნათქვამში რომ მისეული და ხალდი არაფერი იყო, ალბათ ეს მხოლოდ მე ვიცოდი და, ეს რომ მე ვიცოდი, ამის შესახებ მხოლოდ თვით ოსოფმა იცოდა კარგად.

ტაშის გრიალს ჩემი ტაშიც შევუერთე. ხალხს რომ არ ეფიქრა, პროფესიულ ლიტერატორის შეშურდა უბრალო, რიგითი პოეტის წარმატებაო, ტაშს მე უფრო გამორჩეულად ვუკრავდი.

გემზე ასეა, კრება მხატვრულ ლიტსაძიებაში გადაიზრდება ხოლმე, ხოლო შაშის თამაში — გემის ტექნიკურ-ეკონომიკურ პრობლემებზე კამათში.

ისე შევსულვარ კაიუტაში, არ გამიგია. ვწევარ ფართო საწოლზე, გულაღმა, და შევცქერი ჭერში სავენტილაციო ჭრილს, საიდანაც ჩამოღებულია მთელი მოწყობილობა, რათა ამ მხუთავ ტროპიკებში სუფთა ჰაერმა თავისუფლად იდინოს.

მძიმე, მარილიანმა ჰაერმა გამომაღვიძა დილაა. წყალი გადაღმა ხმაურობს უცხოდ, უცნობ ხმაზე.

ყველაფერი გუშინდელი წავიდა, ჩამოირეცხა.

გაეიღვიძე თუ დავიბადე? ყოველ დილით გამოღვიძება და ფეხზე დადგომა ხომ ხელახლა დაბადებასა და ცხოვრების თავიდან დაწყებას გავს?

ვფიქრობ ახლა ინდოეთის ოკეანეა. შავია თუ მუქი? ამ ოკეანეს თავისი ფერი აქვს, ატლანტიკას — თავისი, ამბობენ, წყნარი ოკეანეც სხვანაირი ფერისაა.

წყალი წყალია, მაგრამ ფერი მართლაც ყველა ზღვასა და ოკეანეს ოდნავ განსხვავებული, თავისი აქვს.

ახლა, აქედან ზემოთ, ჩრდილოეთისაკენ, არაბეთის ზღვაა. თვალმოხუჭული წამით გადავირბინე სპარსეთის ყურე, ირანი, კასპიისაც დასავლეთიდან ჩავუქროლე და შინ დავბრუნდი.

აქედან შინაურებთან რადიოკავშირი ადვილია, მოდი მოვისინჯავ.

ავრბივარ ზემოთ, რადისტთან. ვალერი სნეგოვი აწიკწიკებს მიმღებებს, რაღაცას ეძებს. აი, კიდეც მიაგნო საჭირო სადგურს, რაღაც დაუკაკუნა, გადასცა, პასუხიც მიიღო, კავშირიც უპასუხა და გამოთიშა.

შინ მინდა კავშირი-მეთქი, — ვეუბნები ვალერის.

რადისტი თვალებს ლულავს, ანგარიშობს რაღაცას, მერე აპარატებს უბრუნდება.

მოხერხდა. აი, მოსკოვი, ბათუმიც აგერაა,

— ალო! გიზო, შვილო, გამარჯობა! ინდოეთის ოკეანეში ვართ. კარგად ძალიან კარგად, თქვენ? ჰმ, შენი ჭირიმე, აბა, შენ იცი, ბიჭო, უთხარი დედას, სოფელში სართვის გასაღები ყორეშია, კართან, მარცხნით, ღვინო არ დაამჟავოთ, ბიჭო, ადით, აუცილებლად გადაიღეთ. ჰო; წიწილებს მხოლოდ სიმინდი დაუყარეთ, გესმის? ბიჭო, სკოლას, კარგად ამთავრებ თუ იცი? — ეჩქარობ. გიზო სხვას გადასცემს ყურმილს. ნათელე მგონი ქვითინებს.

შინიდან ყველა აწვდის თითო სიტყვის თქმას. ყველა მესალმება, ყველა მეხვეწება, მალე დაბრუნდე.

დამთავრდა. კმაყოფილი ვარ. ჩავდივარ ქვემოთ.

ისევ გონების თვალმა გადაუქროლა სპარსეთის ყურით ზემოთ, კავკასიას. იქ, ირან-ერაყის ზეცაში დამწვარის სუნი მეცა, კიდევ რაღაც საზიზღარი და საშინელი სუნი — სიკვდილისა. აი, რელიგიური ძმობა, აი, მეზობლობა, აი, სიგიჟე, დიდებს არ უსმენენ, პატარები ვერ უბედავენ და იღვრება სისხლი ტყუილად, ირწყვება უდაბნოები, იღუპება ტექნიკა, იარაღი, ნადგურდება სოფლები, ქალაქები, იწვის ნავთობის ცენტრები, ნავსადგურები. ვისთვის, რისთვის, რატომ?

მინდა ვიყვირო: შეჩერდით, დაფიქრდით, დაამთავრეთ!

სარკმელში ციმციმებს წყნარი და ვებერთელა ინდოეთის ოკეანე. შემოდის დმიტრი ოსოკი, — რადგან გუშინ ნათლობა მოხდა, გიტოვებ ჩემს ლექსებს, წაიკითხეთ და დამიბრუნეთ დღესვე, მეუბნება თავდაჭერებულად.

„დამიბრუნეთ დღესვე". ეს რას ნიშნავს? მგონი ეშინია არ მომპარონ. ვეუბნები, ნუ წახვალთ, ახლავე წავიკითხავ და წაიღეთ-მეთქი. არა, მარტომ წაიკითხეთ, კარგად გაიგეთ და დამიბრუნეთ. „კარგად გაიგეთ!" ვკითხულობ. იგი მიდის, გასვლისას მე მიყურებს, როგორ კითხულობს, ვგრძნობ, რომ მიყურებს.

ჭენებით ჩავიკითხე, ავდექი, ჩავირბინე შიგა ტრაპი და კაიუტკამპანიის წინა დერეფანში, რომელიც საერთო თავშეყრის და საუბრის ადგილად იქცა, ოსოკს გავესწორდი, რვეული გავუწოდე.

— კარგია ,ამხანაგო ოსოკ, მართლა კარგია. რაა, იცით? საჭიროა ასეთი ლექსები, ჩვენ პოეტები, სამწუხაროდ, ვეღარ თუ აღარ წერენ აწეულ, ამაღლებულ ლექსებს ბრძოლაზე, გამარჯვებაზე. ეს თქვენ გამოგდით.

რასაც ვამბობ, თავადაც არ მჯერა, მაგრამ ჩავდივარ ცოდვას.

— გამომდის კი არა, გამომდგავს, ამხანაგო პამპოლიტო, — მკვახედ მპასუხობს თავდაჭერებული პოეტი და რვეულს ხელიდან მგლეჯს.

იქვე, კედელზე მსოფლიოს პოლიტიკური რუკაა გაკრული. ოსოკი ისე დგას, რომ მისი თავის ზემოთ, თვალს ვავლებ ხმელთაშუა ზღვის მთელ არეს, დარდანელიდან გიბრალტარამდე, მერე ატლანტიკას მივყვები ქვემოთ, ცოტას ვჩერდები კანარის კუნძულებთან, ერთი წამითაც შევეხები დაკარში, ოდნავ ვუახლოვდები ეკვატორთან, მერე, სწრაფად შემოვუვლი აფრიკას სამხრეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მიმავალმა, ავუარე მადაგასკარს და აი, მოვედი იქ, სადაც ახლა ვართ.

გავყევი ვიწრო დერეფანს მარცხნივ და სპორტდარბაზში შევიხედე.

გემს რომ გარედან ტალღები ეხლება, კრაჭუნობენ და ძიგძიგებენ თავნები და კარები, გაკრიალებული სპორტული ინვენტარი ითხოვს ხელის შეხებას, ხმარებას, ვარჯიშს. აქამდე კარგად არავის გახსენებია სპორტი, მთელი მისი წარმტაცი მომხიბვლელობა.

უბრალოდ, არავის ეცალა ამისათვის. მოვიარე სხვა კუთხე-კუნჭულები, დერეფნები, გემბანები.

ვარ კაიუტაში მარტო. მოგონებები აქ უკითხავად წამოგესევიან. გემი მოგონებების ქვეყანაა.

მოდა, მეც ისევ ბავშვობაში ვბრუნდები, ჩემს იმ აწეწილ-დაწეწილ ღარიბ ბავშვობაში.

აი, ომამდელი სოფლის სკოლა. საპიონერმაისო ზეიმი. მოსწავლეები, ხალხი, დემონსტრაცია სოფლისაბჭოს ცენტრში. სახელოწაგლეჯილი ბიჭი დოლზე კომბალს უბრაგუნებს და წინ მიუძღვება ბავშვებს, მიუძღვება იქით, მოსახვევისაკენ. ის მედოლე მე ვარ.

დიახ, პირველი მაისია, ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წლისა. სოფლისაბჭოს ცენტრში პურის საცხობი ააშენეს, და ჭადრისმჭამელ სოფლებს, აწ და მარადის, პირველი მაისის ზეიმის დღიდან მოყოლებული, უხვად ექნებათ ნამდვილი პური.

ლაზლის ჭრელ წინდებზე ქალამნები მაცვია. ქალამანი ახალია, ხარის სქელი ტყავისაგან შეკერილი. მახსოვს, მამაჩემმა ხარის დიდ ხმელ ტყავს ჩამოჭრა ერთი ზოლი, რომელშიც ორი წყვილი ქალამანი ამოიღო ერთი, დიდი — თავისთვის, პატარა — ჩემთვის. ჯერ ტყავის ბალნიან ზოლს ერთი მუჭა ნაცარი დააყარა, იატაკზე დააფინა, მერე ასტამი შეაბრუნა და ტარის წვერით ბალნის მოფხეკა დაიწყო. ცალი ფეხით ზოლის ბოლოს ეჭირა, რათა არ დაჩოჩებულიყო ტყავი. გაფხიკა, გაასუფთავა, მერე ზომაზე დაჭრა და წყალში ჩააწყო დასალბობად. ამასობაში დანები დალესა. კანაფის წვრილი თოკი დაგრიხა აპეურებში ამოსაბმელად და ქალამნის შესაკვრელად.

ეს სავანგებოდ, საზეიმოდ, საპი-

ველმოსილად გამიზნული ქალიშვილი იყო, ამიტომ მამაჩემი განსაკუთრებული მონდომებით კერავდა.

იდგა აპრილის ბოლო დღეები. ნალიაში სიმინდი დაცოტავებული იყო, კერძო ლობიოც. ბოლო ჩურჩხელა ქანქარებდა ყავარქვეშ გამოკიდული. დედაჩემი ველურ ფხალფხულებს დაეძებდა ჭალებსა და ღელე-ღურდებში, რომ სადღესასწაულოდ კარგი ფხალეულობით შეეკმაზა.

ერთადერთი ჩვენი მოსწავლეებისა მახლობელ ბენჩქვისძირის მისახვევამდე და უკან.

დანგი-დუნგი და დანგი-დუნგი და დანგი-დუნგი! — გაისმის ჩემი პატარა დოლის მოგუდული ხმა. ბავშვებს ფეხი აწყობილი მთლად ვერა აქვთ, მაგრამ ფეხისხმა მაინც არ ისმის, რადგან უმრავლესობას ქალამანი აცვია. ქალამანს კი ამ ხეშეშ, დაღორღმაჭულ გზაზე, რაღა ხმა ექნება.

ჩემ წინ ერთადერთი ბიჭი მიაბიჯებს. მეჯიდ კონცელიძე. ფეხებს ოდნავ მაღლა წევს და ისე მიდის, ნაბიჯის გადადგმისას ქუსლები ქვემოდან მოუჩანს. ვხედავ როგორც ქუსლზე ქალამანი და წინდაც კარგა მოზრდილად გამოცვეთილა და, ამ ნააპრილარ ცივ ტალახში მწყობრი მარშით მიაბიჯებს ყოჩაღი მეჯიდი. ხოლო ყველაზე წინ იმიტომ არის, რომ მას ქვეყნის მეთაურის სურათი მიაქვს, როგორც ხელით მაღლა რომ აეწევა.

მეჯიდს ნახევრად შიშველი მკლავებით სულ მაღლა ეჭირა სურათი და ასე გაწვეპილი, გაჭირვებით მიაბიჯებდა, სხვადასხვა ფერის ნაჭრებით ბევრგან დაწაკერებული „ბლუზა“ ეცვა. რომელსაც სახელოები ნახევრამდე წახეული ჰქონდა ვხედავდი, მკლავები სულ ნახშირივით ჩაშავებოდა წყლისპირის ცივი, ნესტიანი ქარისაგან, ბალანიც აბუჯგოდა ვხედავდი, მაგრამ მეჯიდი მაინც მტკიცედ, შეურყევლად და არხეინად მიაბიჯებდა.

ერთგან, ბიჭმა წაიფორხილა, ეტყობოდა, შიშველი ქუსლი წვეტიან კენჭს მიარტყა. წვეტი იმ ასჯერ დახეულ კანგასქელებულ ქუსლს ვერ ატკენდა, მაგრამ, ალბათ, ქვა გადაუბრუნდა. დაღლილმა ბიჭმა თავი ვეღარ შეიკავა და, ისე, სურათით ხელში, პირდაპირ შუაგზაზე პირქვე გაიშხლართა. სურათი ხელიდან არ გაუშვია, არ დაუკვნესია, არც დახმარება უთხოვია, არც არავინ მიშველებია. დემონსტრაცია არ შეჩერებულა, მხოლოდ მიმავალი რიგები ორად გაიყო და შუაში ჩარჩა ჩამხობილი მეჯიდი. იგი ნელნელა წამოდგა, სურათი მაღლა აღმართა და სირბილით ისევ წინ გავიდა. თავისი მეთაური ადგილი დაიჭირა .გადახეულ სახელოებიდან წუნწკლები ჩამოსდიოდა.

მაგრამ მოწაფეთა და მასწავლებელთა მარშით მიმავალმა მთელმა მასამ უცებ ხმა გაიკმინდა. შეშფოთებული და შეშინებული დირექტორი, მაღალი, საოცრად ლამაზი, ხუჭუჭთმიანი, მუდამ უზადოდ ჩაცმული, გაპარსულ-გაფაქიზებული, ვიქტორი დაეწია მეჯიდს, ჯერ სურათი შეათვალიერა ახლოდან, ხომ არ დასვრიათ და, როცა დარწმუნდა ყველაფერი რიგზე იყო, შვებით სულდათქმულმა მეჯიდსაც შეხედა სახეზე, ხელებზე, ფეხებზე, მერე ნელა გვერდზე გავიდა და გზის ნაპირ-ნაპირ ნაბიჯი აუწყო.

მეც ვატყობდი, რომ მოხდა რაღაც მოულოდნელი და საშიში რამ. დიდი კაცის სურათი მოსწავლემ ტალახში ჩააგდო .ყოველ შემთხვევაში, ასე მოინათლებოდა ყოველივე ეს მაშინ, როცა „ხალხის მტრები“ ახალგაზრდა საბჭოეთს ყველგან „ძირს უთხრიდნენ“. ამიტომ იყო სწორედ ვიქტორი, ჩვენი ხუჭუჭთმიანი დირექტორი, ისე საშინლად შეშინებული და ფერწასული. ეს, ალბათ, ამდენ მოსწავლეში თავად ამოირჩია მაინცდამაინც მეჯიდ კონცელიძე. მართალია, იგი სხვაზე მაღალი, გამოსაჩენი ბიჭი იყო და დემონსტრაციის მისი წინ გაშვება ერთგვარად მოუხდებოდა, მაგრამ იგი ხომ „საეჭვო“ ოჯახიდან იყო?! ეს კარგად იცოდა დირექტორმა და ამიტომაც ეტყობოდა, დაფრთხა, შეფიქრდა, იცოდა პასუხს მოსთხოვდნენ.

კი, იმ ზამთარს არაფერი მომხდარა. მაგრამ სამაისო ზეიმის წინადღეებში მაინც მოხდა მოსახდენი. ერთ ღამეს, როგორც მაშინ დაპატიმრებაზე იტყოდნენ, მეჯოგის ნენეაც „ასწიეს".

ეს მაისობა, მართალია, ისე, ოდნავ ჩაგვემწარდა, მაგრამ გარედან თუ შეხედავდი, მაინც რიხით, ზეიმურად ჩატარდა.

ოღონდ, როგორც ბავშვებს გვეგონა, დირექტორის საქმე წამხდარი იყო. ყველა ელოდა მასაც ჰა-ჰა და „ასწევდნენ", მაგრამ ამასობაში სასწავლო წელიც მიიწურა.

ქალაქიდან კი უფრო დიდი, მძიმე ამბები მოდიოდა.

ბევრი დიდი კაცი „ასწიეს". გვითხრეს, ეს მამაძაღლები კოლმეურნეობებს თურმე მოხარშულ სიმინდს ათესინებდნენ, თამბაქოს პლანტაციებში ხომ დიდ მავნებლობას ჰქონდა ადგილი. აგრონომები, თამბაქოზე წვერის გადატეხისას, ღეროებს თითქმის ნახევრამდე მოატეხინებდნენ, რათა დაკლებულიყო თამბაქოს მოსავლიანობა და ამით სახელმწიფო დაეღარიბებინათ.

ეს „ხალხის ვერაგი მტრები" გაძვრნენ სახელმძღვანელო თანამდებობებზე და...

იმ ზაფხულს, დაბლა, აჭარისწყლისპირას, სოფლსაბჭოს ეზოში, კაკლის ხეებზე რადიო-რუპორები ჩამოჰკიდეს, რომ ხალხს კარგად მოესმინა ქალაქში გამართული სასამართლო პროცესი, სადაც, საჯაროდ, ყველას თვალწინ ირჩეოდა „ხალხის მტრების" საქმე.

ერთ დღეს სოფლებიდან მშრომელები საბჭოს ცენტრში ჩაიყვანეს, რომ მასას თავისი ყურით მოესმინა იმ გახმაურებულ პროცესზე მიღებული „სამართლიანი" განაჩენი, რაც ქვეყანამ „ღირსეულად მიუზღა სოციალიზმის დაუძინებელ მტრებს".

მახსოვს, ჩვენთან მიმავალ თანასოფლელებს მეც აედევნე.

რადიოში თუმცა ათასნაირი ხმაური და ფხაკუნი იყო, მაინც, შიგადაშიგ, გამორჩეულად გავიგონეთ სასამართლოს თავმჯდომარის რამდენიმე კითხვა ბრალდებულებისადმი.

ერთი ახლაც ჩამესმის ყურში, ეს, ალბათ, განაჩენის გამოცხადების წინ ხდებოდა:

„— ბრალდებულო გოგიბერიძე, რას სთხოვთ სასამართლოს?

რადიოში, დამსწრეთა აღშფოთების ხმები ისმოდა, ზოგი იძახოდა: „სიცოცხლის შენარჩუნება", მეორენი კი პასუხობდნენ — „სიკვდილი ხალხის მტრებს, სიკვდილი!..."

ბოლოს დარბაზი ოდნავ მიყუჩდა და ჩვენ გამორჩეულად, ხელმიწვდენით ზუსტად გავიგონეთ ბრალდებულის სიტყვები:

— ნუ შეწუხდება სასამართლო, — არაფერს არ ვითხოვ.

— საბოლოოდ რას იტყვით? — მოიხადა ვალი თავმჯდომარემ.

და ჩვენ გავიგონეთ კაცის ბაგებიდან კანკალით ჩამოღვარული სიტყვები:

— მშვიდობით, ჩემო უძველესო, გაუტეხელო, პირმწყაზეც და პირნათელო სამშობლო — საქართველოვ! მშვიდობით, დიდი შოთას უკვდავო ვეფხისტყაოსანო, მშვიდობით, დიდო საბჭოეთო, მშვიდობით ტკბილო ცხოვრებავ, მშვიდობით, ჩემო ცოლ-შვილო! გამაგრდით ტირილი არ გაბედოთ. იგი მე არ დამიმსახურებია. მე ყველაფერს ვთანხმდები, ოღონდ სამშობლო იყოს... რაღაცას კიდევ ამბობდა, მაგრამ დარბაზი აღშფოთდა, აღელდა.

დამსწრეთა გუგუნმა ბრალდებულის საბოლოო სიტყვა გადაფარა. მაგრამ ღრიალში მაინც გამორჩეულად გაისმა — „სიკვდილი, სიკვდილი ხალხის მტრებს!"

იმ ზაფხულის ბოლოს კი, ახალ სასწავლო წელს, ჩვენს სკოლაში ხუჭუჭთმიანი დირექტორი, ბიქტორი, აღარ დაბრუნებულა.

* * *

დილით ადრე ტელეფონი აწკრიალდება. უფროსი თანაშემწე, სტარპომს რომ ვეძახით, ჯემი ბაბუხია, მირეკავს.

— ამოდით, ზემოთ, ლამაზ კუნძულს გაჩვენებ.

ჯიმიმ ტროპიკებში შესვლისთანავე წვერი მოუშვა. უმრავლესობამ მოუშვა წვერი, ტროპიკებში რომ შევედით. ყველამ შეიცვალა იერი. სახის, შეხედულების შეცვლა, ზოგჯერ, მგონია, ხასიათის და რაღაც წინანდელი ჩვევების ერთგვარ გამოცვლასაც იწვევს.

ჯიმი მიუკარებელი, ცინიკოსი და უყურადღებო მეგონა. ათვალწუნებით, ოდნავ აგდებულადაც და ერთგვარად უნდობლადაც უყურებდა კაპიტანს. მის ყოველ მითითებას ყოველთვის ნერვიული ბუზღუნით ღებულობდა.

მე კი, როგორც ახალბედა მეზღვაურს და არაპროფესიონალს, თანაც გემის ანგარიშგასაწევ პოლიტხელმძღვანელს, მისმენდა, მაგრამ არასოდეს არაფერს მეკითხებოდა.

ზღვაზე, სტიქიის წინაშე, თანამდებობის შეგრძნება ხშირად წაიშლება და ყველა თანასწორდება, ხოლო ზღვა რომ დაწყნარდება, როცა გემზე მშვიდი, კარგი ცხოვრება დამკვიდრდება, უფროსები თავის უფროსობას უფრო მკვეთრად გამოავლენენ, ხოლო უმცროსები უფრო მორჩილად ეგებებიან ზემოდან წარამარა წამოსროლილ ბრძანებებს.

ჯიმის რუსული „ტელევრეიკა" ეცვა. გათხუპნული, ჭუჭყიანი, ზეთიანი და დაჭმუჭნული, ხოლო ასეთ სამოსში წვერი მაინცდამაინც არ უხდებოდა.

„ტელევრეიკაზე" ფრჩხილისოდენა ნამცეცა ნიშანი ეკეთა. შევნიშნე, იმ ნიშნის შუაგულში სტალინის პორტრეტი იყო.

— ნახე, ნახე, — მეუბნება ბაბუხია, რა ლამაზი კუნძული გამოჩნდა ეგერ, მარჯვნით, და რა, ლამაზი გათენება იწყება. მზე ყველგან თავისებური ფერისაა, — მიხსნის ჯიმი. — აქ, ინდოეთის ოკეანეში, მზე უფრო დიდია, მსუქანი და მორთული, უცნაური ფერადი გვირგვინებით გარშემორტყმული.

— ვხედავ, აი, გადასარევია, მართლაც, — ვეთანხმები და მიხარია, რომ ბაბუხია ასე გამოიცვალა ჩემს მიმართ.

აბა, აბა კაცი. ახლა, მე რომ ეძიერებდე სამუდამო მუშაობას ზღვაზე, შეიძლება უფრო დამოუკიდებლობისა და მომავალი ავტორიტეტისათვის ვიზრუნო, არ გავითქვეიფო, შევინარჩუნო დისტანცია ხელქვეითებთან დამოკიდებულებაში, რათა მერე იქნება წინ წამოწიონ ასეთი თავშეკავებისა და პრინციპების მქონე კაცი. მაგრამ მე ხომ უკან, ხმელეთზე ვბრუნდები, ჩემი წუთისოფელი იქ უნდა გავლიო. აქ მე ყველასაგან სიკეთის, ნდობის და პატივის მოხვეჭა მირჩევნია ყოველსა სხვა რამ მოსახვეჭელსა.

ამიტომ ასე აშკარა კმაყოფილებით და დაუფარავი სიამოვნებით ვხვდები მთავარი თანაშემწის ამგვარ კეთილგანზრახულობასა და კეთილდამოკიდებულებას, — გამომხილოს თავისი აღტაცება, გამიზიაროს იგი და ამით მასიამოვნოს.

სინათლემ რომ იმატა და კუნძულიც უფრო დაახლოვდა, იქ, გორაკებზე, თეთრი კოტეჯები გამოჩნდა.

ქვემოთ, ზღვისპირზე, პატარა ქალაქი გამოიკვეთა, სწორი ქუჩებით, დიდრონი ხეებით, ფერადი რეკლამებით. აი, ვხედავთ, სხვადასხვა ფერის ავტომობილების მოძრაობასაც.

— ჩვენ აქ არ შევდივართ. ჩვენი კურსი — ჩრდილო-აღმოსავლეთია. სინგაპურისაკენ. კაპიტანს ძინავს ახლა. ნუ ეტყვით, რომ ეს კუნძული გაჩვენე ახლოდან. მე ღამით ოდნავ შევანელე სვლა. მინდოდა გამთენიას ამ კუნძულს მივახლოვებოდი. მე ეს კუნძული მიყვარს. აქ ბევრჯერ ჩამივლია გრძელ რეისებში მიმავალს თუ მომავალს და სულ ამ კუნძულის ნახვის სურვილი მტანჯავს. რა ჯანაბა მემართება ასეთი, არ ვიცი.

ა, ქალივით მიყვარს ეს კუნძული... სულ მინდა, ერთხელ მაინც, ღუზა ჩავუშვა მის ნაპირზე, გავიარო მისი მიწის ზედაპირზე. არა და არ იქნა. ჩავუვლი, შორიდან ვესალმები. მგონია ეწყინება, რომ არ შევხედო და არ მივესალმო. მოდა, თქვენ გაგიმხილეთ,

ჩვენი გზა უფრო ქვემოთ უნდა გასულიყო.

იგი ლოკატორის კიდეზე იდაყვდაყრდნობილი უცქერის იმ ლამაზ კუნძულს და მგონი, ორმაგად ტკბება, რომ ამის მოწმედ და თანამოზიარედ მეც ვყავარ.

— ლიტერატურის კაცი ხარ, პოეტური გაგების და მიმიხვედრით, ან ჩემზე უკეთ დააფასებთ ამ მშვენიერებას.

— დიდებულია ნამდვილად, ჯიმი, დიდებული!

მაგრამ ერთი რამის გამხელა გადაწყვეტილად მინდა. მიწის გამოჩენამ ულამაზესი, გულისდამამშვიდებელი და რაღაცა, ამამაღლებელი ნექტარი მასხურა.

ამ ტრასაზე გემებიც ბლომად გამოჩნდნენ.

იგერ, უშველებელი, ბრტყელი ტანკერი მიდის. წინ პატარა ბუქსირი მიუძღვება.

იაპონური ხომალდი აღმოჩნდა. ეტყობა, კუნძულთან ჩაუშვებს ღუზას. ჯიმი მიხსნის, ხუთასი ათასი ტონა შეუძლია მაგას ატაროსო. იქით, ძველი, ფართო ბარჟა შევნიშნეთ. ბარჟაზე უშველებელი ლითონის ოთხი მილი ერთად აწყვია. გეგონება დაშლილი კოსმოსური ხომალდი მოაქვთ.

კუნძული თანდათან უკან-უკან მიდის, მიცურავს და პატარავდება. წინ — ისევ წყლის უსაზღვროება, რასაც ჩვენი გემის გაბმული, მონოტონური ვუგუნი, როგორც ამ სიცარიელეში ადამიანის ყოფნის მაცოცხლებელი დასტური, აცხოველებს და ერთგვარად გულთან აახლოებს.

ამასობაში, ვახტიორი შტურმანის, ჯიმი ბაბუხიას ცვლაც მოვიდა და ღამენათევი, დაღლილი სტარპომი, ჩემთან ერთად, დაბლა ეშვება.

— თქვენთვის ერთი რაღაცა საჩუქარი მაქვს. შემოდით ჩემთან, გადმოგცემთ.

სტარპომის კაიუტის თაროები გემის საადრიცხვო ქაღალდების შეკრული ტომებითაა გამოტენილი, ჯიმი საწერად შეკერილ სქელ წიგნს მაძლევს „მორფლოტის" დამღით. მხარზე წამოსხმულ ტელეგრეიკას იქვე, საკარძელზე მოაფენს და სარკმლიდან მომავალი სინათლე იმ პატარა სამკერდე ნიშანს ხვდება, რაზეც წელან სტალინის სახე ვიცნობ.

— ეს მამაჩემისაა. ძველი ნაფრონტალია. — მიმითითა ტელეგრეიკაზე, — ნიშანიც იმან დაამაგრა ალბათ. უყვარდა სტალინი მამაჩემს. დამიბარა, ტელეგრეიკაზე იყოს ასე, არ მოაძროო. იყოს, რა მენაღვლება. პოდა, ვატარებ ასე გემზე, ქარაშოტებში. ხან სად წამოვწვები ხან სად ღამით, მორიგეობისას, მათბობს და...

ოცდაჩვიდმეტში დაიჭირეს . ბაბუა, მაგრამ მამაჩემს მაინც სტალინი უყვარს. ხშირად მეუბნება: მაგარი კაცი იყო. დიდი კაცი იყო. დიდი კაცი კი ხელმძღვანელად შვენის ქვეყანას, ოჯახსაც შვენის მაგარი, ჭკვიანი და, ზოგჯერ, მრისხანე მამა. შიში შეიქმს სიყვარულსაო, უთქვამთ.

ის, ქვეყანა და ხალხი ჩვენს შეგნებაში ერთად იყო.

საუზმის დროა. მადლობას ვეუბნები და ჩემი კაიუტისაკენ მივდივარ.

* * *

მაგრამ, ჩემდა უნებურად, კაპიტნის კარებისაკენ ვუხვევ.

— კარგი ქენით, რომ მოდით. აი, ახლა რაციამ ცნობა მომიტანა ლონდონიდან. ერთი ინგლისური სავაჭრო ფირმა წყნარი ოკეანის ბასეინში მყოფ გემებს სთხოვს, მოიფიქრონ, მარტის თხუთმეტს, მშრალი ტვირთის მზიდავი რომელი გემი შეძლებს შევიდეს ავსტრალიის ერთ-ერთ ნავსადგურში, ხორბლის წასაღებად.

— საით მიდის ხორბალი? — ვეკითხები შალვას.

— ხორბალი, — მრავალმნიშვნელოვნად შეჩერდა კაპიტანი, — ხორბალი მგონი, ალექსანდრიაში მიდის. დიახ, ეს ფრახტი კარგ თანხას მოგვცემს. ახლა უფროსი მექანიკოსი რომ ხელს შეგვიწყობდეს და ცოტათი სიჩქარეს მოუმატებდეს, ჩვენ, როგორც გამოვთვა-

ლეთ, შეგვიძლია დარჩენილ დროში, იაპონელებს გადავუტვირთოთ მარგანეცი, მივიღოთ საწვავი იქ მდგომი რომელიმე ჩვენი ხომალდისაგან და პირდაპირ ავსტრალიისაკენ გავწიოთ. კი, კი მოვასწრებთ თხუთმეტ მარტამდე.

— ავსტრალიაში მაინც, რომელ ნავსადგურშიო? — ახლა ამ კითხვამ, მგონი, საბოლოოდ დაარწმუნა შალვა, რომ მას საქმე აქვს საზღვაო საქმის არც თუ ცუდად მცოდნესთან, სერიოზული სახე მიიღო და ბეჯითად მითხრა:

— აი, ეგ არ ვიცი.

— იმიტომ, რომ თუ ბრისბენია, მაგალითად, ხომ, მაშინ ადვილია, ეს ქალაქი ჩრდილოეთითაა ოდნავ, პოდა მელბურნს, მაგალითად, სიდნეი ჯობია სიახლოვეში. ასეა, არა?

— კი, კი მართალი ხართ, — გულო, — ღიმილით მიდასტურებს შალვა, — ქალაქ-ნავსადგურზე ჯერ ლაპარაკი არაა. ჯერ გემი და თანხმობაა საჭირო. ჩვენ უნდა დავუკავშირდეთ საზღვაო ფლოტის სამინისტროს მოსკოვში და ჩვენს სანაოსნოს, რას იტყვიან.

— მე მგონია ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა არ დავკარგოთ ეს ფრახტი, ახალი კონტინენტის ნახვაც, — გულში სიხარულის სითბო მეღვრება, ერთი წუთით როცა წარმოვიდგენ, რომ იაპონიის შემდეგ გემი დაუყვება სამხრეთისაკენ, ჩაუვლის ფილიპინებს, კვლავ გადაჭრის ეკვატორს, ვნახავთ ავსტრალიას.

კაპიტანი ჩაფიქრებულია, რაღაცა აწუხებს კაპიტანს, რაღაცა გაახსენდა არასასიამოვნო.

— მაგრამ იმ სამწუხარო შემთხვევის გამო შეიძლება აღარც დაგვიმტკიცონ ჩვენი ახალი შორი რეისები.

ვიცი, რასაც გულისხმობს შალვა. ამას ალბათ ხაბაზის შემთხვევის გამო ამბობს. რას ერჩი, — მართალიცაა. გულისპირი ჩახსნილი აქვს, ლას-პალმასში ნაყიდი ჯინსის პერანგი აცვია. შიგ, გულის კოვზთან, ვხედავ რაღაც სუსტად რომ ციმციმებს: ჯვარია, ძეწკვზე დაკიდებული. სიამოვნებს, უნდა, რაა მერე? ჰქონდეს, რა მოხდა ამით?

მე, კომისარი, პოლიტიკური ხელმძღვანელი გემისა, აი ამ წუთას, ამაში რაღაც უფრო ადამიანური სიკეთის მარადიულობას ვხედავ, ისეთ, თითქოს ფორიაქის სული მყუდროვდება, სათნო, მაღალი და კეთილი იმედები გონებაში გროვდებიან. თავი მიმძიმდება, არა ტკივილით, არამედ სინათლით. მაგრამ საიდანღაც, სიმწვილის სიღრმიდან, ეშმაკის კბილივით გალეული ყიზილბაშის მახვილივით მოხრილი ჩემსკენ მოცურავს, ბორბის. მოღიმის ამაყი ნახევარმთვარე. მე ჩემი წასულები მაგონდებიან, ჩემი ცრემლნაფრქვევი ბალღობა მეცხადება. გიჟივით ავრბივარ ოდეს არბენილ ბილიკებზე და ნამონასტრევზე მდგარ მინარეთის ჩრდილში ოფლში ოფლს ვიწმენდ შუბლზე. აქაურობის შემდეგ აქაურობაზე ვიდარდებ...

მეზობელი მყავდა. ხოჯა იყო, ფანატიკურად მორწმუნე, მქადაგებელი. კარგად აკაკანურებსო, იტყოდნენ, ე. ი. გალობსო. მგალობლობა — არაბულად ლოცვებს რომ კითხულობენ, დიდად ფასობს. ჩვენებურს არ ესმის არაბულისა, იგი მარტო ხმამ, მიმღერებამ უნდა მოხიბლოს, მოაჯადოოს, დაიმორჩილოს.

ისე გაწელილად, ამაღლებულად გაჰყვიან ხოლმე მოლები, გეგონება ცხელი ხორშაკიანი ქარი შემოიჭრაო, თუ აქლემების ქარავანი მიედინება უდაბნოს უნაპირო სიტიალეში, გილონდება გული, გისველდება თვალი, იღუნები წელში, თავს ხრი დაბლა და ხარ მორჩილი. ეტყობა, მთავარი მორჩილებაა და არა რწმენა. მორჩილება საცოდაობაა.

მაშინ კიდევ მოქმედებდა მეჩეთი. მერე კი, როცა აღარ იყო მეჩეთი, ყოფილ ხოჯას ვეთხარი, გავუბედე და ვუთხარი:

— მუსლიმანობა არაა ჩვენს ქართულ ხასიათზე მოსარგებელი რელიგია, ნუ გამიჯავრდები, ბიძიჩემო. მუსლიმანობა ჩვენთვის უცხო, ძნელი, მოუხერხებელი, უხეში, არაეროვნული

დარჩა. ჰო, ერის შესახებ მინდა რაღაცა გავიგონო შენგან.

— ხარ ქართველი შენ? — თითქოს თავის თავს ჰკითხა, მერე თითებით ჩამოივარცხნა თეთრი, ქათქათა წვერი და ჩაღრმავებულ თვალებში შორეული სინათლეები აუკიაფდა. — აბა ვინ უნდა ვიყო, შვილო?! ის რომ არ ვიყო, ვინც ვიყავი გაჩენიდან, მაშინ არავინ და არაფერი ვყოფილვარ. — იხრება ჩემკენ. — ქართველი ვართ, ბაბი, აბა ვინ ვართ, ჩემო ბაბავ? საქმე ისე წავიდა, რომ ქართველი და გიაური, ქართველი და ქრისტიანი ერთნაირს, ერთიდაიმავეს ნიშნავს. თურქები „გურჯი მუსლიმანებს" გვეძახიან. ქართველი ქრისტიანი ყველა მუსლიმანს თათარს ეძახიან. ასე, აირია ყველაფერი. რა დაიწყობს ამას?

— ისტორია, დრო, ბიძაჩემო, — ვუთხარი.

— არა, ჯობდა ქართველს ერთი რელიგია ჰქონოდა, ერთად ვიქნებოდით — ამბობდა იგი და კვლავ თითებით ივარცხნიდა წვერს.

— ერთად ვართ, ბიძავ, აბა რამ გაგვყარა. ჩვენი რელიგია ის ენაა, ერთმანეთს რომ ველაპარაკებით. ა, რას იტყვი ბიძავ, ხომაა მშობლიური ენა ჩვენი რელიგია?

— რაც იწამა, ყველას ერთად ეწამა... — ჩაიდო წვერები პირში.

— ისლამი? რელიგიას, რომელიც მშობლიურ ენაზე თავის ლოცვასაც არ მათქმევინებს, რაფრათ ვენდო, ბიძია, ა?

შემომხედა და დამარცხებულივით ჩაქინდრა თავი.

ოდნავ ჩამსხვილებული, ჩაგვერისტებული იყო. მაგარი, ჯანიანი მშრომელი. მჭამელი, მოუღლელი, მოუსვენარი და, რაც იშვიათია, მხიარული.

საბჭოობა და კოლექტივობა რომ დაეპატრონა სოფელს, — ალი-ეფენდი წავიდა ჯამედან. — როგორ, მთავრობას თუ არ უნდა, ქვეყნის პატრონი თუ ლოცვა-კითხვას საჭიროდ აღარ თვლის, მე რა უნდა ვქნა, მე ხომ სახელმწიფოს, მთავრობას არ შევეწინააღმდეგები? — ეუბნებოდა ზოგ-ზოგებს. — წადით აქედან, მე თქვენ გეუბნებით, არავითარი ლოცვა-კითხვა მეჩეთში აღარ იქნება.

გამთენიის ადგებოდა, კოლექტივის ყანაში ყველას ჩაასწრებდა. ნახევარ ნაპირს გათოხნილს დაახვედრებდა ბრიგადირს, რომელიც მზეამოსულზე რამდენიმე კოლმეურნეს ძლივს მოიყვანდა სამუშაოდ. შრომადღეში მაშინ არავინ არაფერს არ იძლეოდა. მუშაობდნენ, მუშაობდნენ მთელი წელიწადი, წლის ბოლოს — არაფერი. რამე გროშები თუ იქნებოდა, იმასაც გადასახადებში იკავებდნენ. გლეხი მარტო ხელს აჭერდა უწყისზე.

ჰო, ამ ალაგას, ძველად, ჩვენი სოფლის ეკლესია ყოფილა. ირგვლივ მზის ბუჩქებია და მზის ბუჩქებში ძველებური, ჩვენებური საფლავებია. ეს მაშინდელი საფლავებია, ჩვენ რომ ჯერ ისევ ქრისტიანები ვიყავით. აი, იმ გორას, მაღლა რომ აწვეულა და თავზე ქოჩრად მზის ბუჩქები დაუხუჭუჭებია, ხან საყდარს ეძახიან, ხანაც ნასაყდრევს. ეტყობა, ზედ გორაზე, საყდარი იდგა. ჰოდა, იქ უფრო მეტია საფლავები.

ერთხელ, მახსოვს, ვიღაცას ასაფლავებდნენ. გაჭრეს მიწა, ზედ ძველ საფლავზე მოხვდნენ. აღარ წაიყარეს მიწა. ჩაჰყვნენ ძირამდე, სულ ჩამდნარიყო ყველაფერი, მარტო ხმელი ძვლები ჩანდა მოპნეული. იქვე რამდენიმე თიხის ჭურჭელი იდო. ალბათ, თან ჩაყოლებული. მაშინ, ქრისტიანები რომ ვიყავით, ალბათ, სხვანაირად ასაფლავებდნენ, იმ ჩონჩხს ეტყობოდა, როგორც იყო დამარხული ძველი თანამოძმე. მერე, მუსლიმანობა მოვიდა და, სხვანაირად დასაფლავება დაიწყეს. თავით მექისკენ, სამხრეთისაკენ.

ეკლესიის ნანგრევის ქვა მეჩეთისათვის უზიდიათ. ეტყობა, ჯამე წელამდე იმ ძველი ეკლესიის ნათალი ქვით აშოუყვანიათ. დანარჩენი, წელზედა, მუხის ძელით ძალიან მკვიდრად უშენებიათ. მაგრად აუშენებიათ. ეს მზის ბუჩქებიც მუსლიმანობამდეა დარგულ-მოშენებული. მზა ხომ წმინდა მცენარედ

ითვლება. სასაფლაოზე რგავდნენ მამის მამანი.

უცნაურია, — მეჩეთის ხის კედელზე ლაზ ოსტატებს გემი და სიმინდი მიუხატავთ: ერთი ძირი, მაღალი, წყვილტაროიანი, ფართოფოთოლება მწვანე სიმინდი და, იქით — გემი, არა, იალქნიანი კი არა, ისე, ანძებიანი, საკვამურებიანი, ორთქლით მოსიარულე. შეხედავ, შეიცნობ დროს. სიმინდი და გემი, — აი, შინაარსი, ოცნება, აზრი ლაზი კაცისა, მისი იდეალი, მისი საფიცარი.

**დღიურიდან: 198... თებერვალი**

ახალი დღე ძველ ნაცნობივით მოდგება სარკმელ-ილუმინატორს. სხივები თითებივით მოებჯინა შუშას. ქერათმიანი მზე იყურება და მაღვიძებს. ვდგები, ვიპარსავ, ვიბან, ვიცვამ და მაღლა, ხიდურზე ავრბივარ. ვესალმები მევახტეს, არც ვუყურებ ვინაა, ისე ვესალმები. უფრო კი თვით ამ დილას, ამ დღეს, მზეს, ახალგათენებულ სამყაროს ვესალმები.

ვხედავ, გრანდიოზული კონტეინერმზიდი გვერდიდან გვეწევა და წინ გვისწრებს. ვცნობ, ბრიტანული ალმით. ამნაირი ტიპის გემებით ტვირთზიდვაზე გადასვლას ჩვენი ბიჭები ფლოტში მომხდარ რევოლუციად თვლიან. იმ რაოდენობის ტვირთით დატვირთული სხვა, ტრადიციული გემის დაცლას თუ ათი დღე მაინც დასჭირდება, ამას ერთი დღეც კი ყოფნის, მეუბნება ელექტრიკოსი ბიჭიკო, თავისი ვეითელი წვერის ვარცხნით რომ მოულოდნელად გვერდით ამეტუზა.

— სიდნეიში თუ მოეხვდით, იქ მყავს ერთი... ფერიაა ნამდვილი.

ჰო, ბიჭიკოს ძალიან უყვარს ქალებზე საუბარი. რა თქმა უნდა, ქალები უყვარს. შეიძლება თუ არა ასე გამოთქვა აზრი? — ქალები უყვარს. კი, შეიძლება, ასე მსჯელობს ბიჭიკო.

ხანდახან გემზე იმერულად პურმარილის გაწყობას მოახერხებს ხოლმე. თავისი დაჭერილი თევზითა და თავისივე გამოცხობილი თხელ-თხელი მჭადებით.

მთელი მეზღვაურული ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთი დღით შეუვლია ჩემს გემს სიდნეიში. მხოლოდ ერთი საათით გასულა ქალაქში, როგორც თვითონ იტყვის, თორმეტნახევარი სიტყვა იცის ინგლისურად და, აი, ასეთ ვითარებაში როგორ მოახერხა გაცნობოდა „ფერიას“? მაგრამ ამგვარ წვრილმანებზე არაფერს ვეკითხები. კი, თქვას, კარგია, გავერთობი, არა, მეც ჩემს თავს ვიჭერ იმაში, რომ ამ თემაზე ლაპარაკი ზოგჯერ მსიამოვნებს.

— მალე სინგაპურში ვიქნებით. ამ ქალაქს შორეული აღმოსავლეთის ბაბილონს ეძახიან, — მეუბნება ბიჭიკო, — ეს ქალაქ-სახელმწიფოა... ჰო, ერთი სიტყვით, ნახავთ. ჯობია საკუთარი თვალით ნახოთ. მაინც წინასწარ გეტყვი, რომ იქ არის უნივერმაღები — „მოსკოვი“ და „ოდესა“. საბჭოელ მეზღვაურთა პატივსაცემად ხდება ასე, ალბათ. მაგრამ იქ, იმ ქალაქში, იცით, რანაირი გოგოები არიან? ზღაპარია პირდაპირ! საკუთარ იახტებზე ამხედრებული ლამაზმანები მიადგებიან ხოლმე უცხოეთის გემს და ოკეანეებში ნახეტიალებ ბიჭებს შეესევიან. გადაირევი, აბა რა იქნება, მაგრამ სქელჯიბიანებს შორიდან ცნობენ. ჩვენ...

მერე, ბიჭიკო წვერის ჩიჩქნით სხვა თემაზე გადადის, თანაც საათზე იყურება. მგონი თვალზე მოწოლილი ცრემლიც დამიმალა. საუზმეზე ეჩქარება, ვატყობ.

იქით, შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ჰორიზონტზე, ზღვისა და ცის შესაყარში, გრძელი, მუქი ხაზი იკვეთება.

წარმოვიდგენ რუკას. ეს, ალბათ, კუნძული სუმატრაა. დიახ, კუნძული სუმატრა!

მალე დავუყვებით ამ კუნძულის აღმოსავლეთ ნაპირებს, გავივლით მალაკის სრუტეს და სინგაპურის მახლობლად რეიდზე დავდგებით.

აქ საზღვაო გზა თითქოს ვიწროვდება. გემების მოძრაობა ინტენსიური ხდება. სულ უფრო ხშირად ვხედავთ

მოშავალ ხომალდებს. აი, ბიჭებმა იცნეს ერთი, საბჭოთა გემია, მგონი „კონსტანტინე პაუსტოვსკი". კაპიტანი მოლია ამოდის, რაციით უკავშირდებიან „პაუსტოვსკის" კაპიტანს და შალვა ამ რაიონის გადიდებული მასშტაბის რუკებს სთხოვს. — ხომ არ მოგვეხმარებით, მასესხებით.

იქიდან უპასუხეს, კი, მოგიგზავნით რუკების საქმესო.

შეთანხმდნენ, განსაზღვრულ ადგილას შეანელებენ სვლას, შეხვდებიან, ჩვენ ჩავუშვებთ მოტორიან ნავს. წავლენ შტურმანი და ორი მოტორისტი.

კაიუტის კარის სახელურში რვეული შორიდანვე ვცნობ, ხალითის ახალი რვეულია. ვფიქრობ: ზღვისას რას მეტყვის, თავად იგერ არა ვარ? ალბათ, ისევ ხმელეთის გახსენებამ დაწერინა. ხალით, ხალით, სეირი კაცი ხარ, შენ! რვეული სახელურიდან ამოვაძვრე და ისევ ისე ხვეულად მიმაქვს ბინაში.

ვერ ვითმენ და პირველივე ფურცელს ვკითხულობ. ეს ერთგვარი მიძღვნა თუ შესავალი წერილია მგონი, ისე გაშინაურდა ხალითი ლიტერატურას, რომ თავის რვეულებზე უკვე პროლოგ-ეპილოგების დატანებაც დაიწყო. მეღიმება ჩუმად, მაგრამ კითხვისას ჩემში თანდათან რწმენა-კმაყოფილება ბატონდება. ეს კი ძალიან დიდი რამეა.

ხელნაწერს არა აქვს ის ძალა, ავტორიტეტი, რაც ნაბეჭდ ტექსტს. ოდნავ სულელური და უნიჭო ნაბეჭდი ტექსტი რატომღაც უფრო მეტ ნდობას იმსახურებს, ვიდრე საკმაოდ ჭკვიანური ხელნაწერი. მე მგონია, ხელნაწერში რომ უტყუარი ნიჭიერება დროზე დაიჭირო და მისი მომავალიც მიახლოებით მაინც პირველმა განსაზღვრო, ესეც თავისთავად ძალიან დიდი ნიჭია.

ხალითი წერს, რომ იგი წუხელ ისევ თავის ზეგან სოფელს ეწვია. კვლავ თავის სიჭაბუკეში იმოგზაურა და იმ ლელე-ლერწნებიდან მოტანილი ამბავი მომიტანა მე.

დავცქერი და სუნი მცემს შორეული ახლობელი მიწისა.

□ [illegible] □

## ლადო სულაბერიძე

* * *

წამომყე, მკვდარ ჩიტს მივასვენებ, მოვახვიე ნისლის სუდარა,
ღრუბლებზე საფლავს გავუჭრი და მას მეტი არა უნდა რა.
წამომყე, სულო, გამოთხრევინე ჩიტისათვის ღრუბლის სამარე,
მერე ამის სულს გაჰყე თანა, ინავარდე და იყამარე
ამ ჩიტის საფლავთან...
წამომყე, მკვდარ ჩიტს მივასვენებ, მოვახვიე ნისლის სუდარა,
ღრუბლებზე საფლავს გავუჭრი და ამას მეტი არა უნდა რა.

* * *

გადავემალე მზეს პალმის ჩრდილში, ააქნია ფოთლები ქარმა,
შვეულმფრენივით ზე აიჭრა და წამიღო ზეცისკენ პალმამ.
გავურიდეო პალმების ჩრდილს, ირიდილეო ქალის ჩრდილები,
გაჩენის დღიდან სულ ამაზე მეჩურჩულებ-მეჩიჩინები
და მაინც ურჩი
გადავემალე მზეს პალმის ჩრდილში, ააქნია ფოთლები ქარმა,
შვეულმფრენივით ზე აიჭრა და წამიღო ზეცისკენ პალმამ.

* * *

ჭიამაია მიამბობს ახლა ხვალისა და ზეგის ამინდებს,
ამ ღრუბლიანში ზეცა ხვალ-ზეგ მზეს ამინთებს თუ არ ამინთებს.
თავისი პერანგი გაიხადა და ჩამაცვა თავისი პერანგი,
თავისი ფრთებიც შემასხა და გავფრინდები ფრთებით ფერადით
ჩემი მზისაკენ...
ჭიამაია მიამბობს ახლა ხვალისა და ზეგის ამინდებს,
ამ ღრუბლიანში ზეცა ხვალ-ზეგ მზეს ამინთებს თუ არ ამინთებსა.

* * *

აღარსად არის არც მამონტი, აღარ არის არც დინოზავრი,
დიდი ხანია აღარა ჰქუხს მათზე სამონადირო ზარი...
ბულბული კი სტვენს და აკილის ბუჩქნარებში გალობს ბულბული...
ნეტავ აკილის ბუჩქნარებსაც დაუშენს მეხს ცა მოღრუბლული
ხვალ ანდა მერე?!
აღარსად არის არც მამონტი, აღარ არის არც დინოზავრი,
დიდი ხანია აღარა ჰქუხს მათზე სამონადირო ზარი.

* * *

გახსოვს, შაბუა, თოვლისა და ყინულეთის თეთრი სამეფო,
ცრემლები ჩემი გაყინული რო მინდოდა სადმე ჩამეფლო?..
სად, სად ჩავფლით?.. ხო იქნება გაუხრწნელად ყინვის ქანებში?!
ნეტავი ვინმე თუ იპოვის ოდესმე და გააქანებს შინ
და ჰკითხავს რამეს?!
გახსოვს, შაბუა, თოვლისა და ყინულეთის თეთრი სამეფო,
ცრემლები ჩემი გაყინული რო მინდოდა სადმე ჩამეფლო?..

* * *

თურმე დავქროდი, დავდიოდი ანტიკური ხანის ქალაქზე
და ფეხს ვადგამდი მიწამიყრილ ძვალზე, ხმალზე, თავის ქალაზე.
უძლებდა საწუთროის ქარებს უძველესი ჩემი სოფელი,
ჩიტებს გაფრენილთ ვაცილებდი და ვხვდებოდი ჩიტებს მოფრენილთ
და რა ვიცოდი, —
თურმე დავქროდი, დავდიოდი ანტიკური ხანის ქალაქზე
და ფეხს ვადგამდი მიწამიყრილ ძვალზე, ხმალზე, თავის ქალაზე.

* * *

ქარი ყვავილის მტვერს გადაიტანს მეორე ყვავილზე...
ყველას აქვს თავისი სასწაული, სვე და თავის ზნე.
ყვავილის მტვერთა შეხვედრების გზა ლოცვა, ლოცვა!..
გადაიქროლებს ხევხევებსა, მინდვრებს და ბორცვებს
და... —
(საოცრება), —
ქარი ყვავილის მტვერს გადაიტანს მეორე ყვავილზე...
ყველას აქვს თავისი სასწაული, სვე და თავის ზნე.

* * *

ჰა ეს სანთელი, იდუმალი გზებისაკენ მისაშუქები,
გადანახული იქ, იქა მაქვს შენთვის უცხო მხრის საჩუქრები.
იმ ვარსკვლავისკენ, ჯერ რომ არ ჩანს, იმ ვარსკვლავისკენ იარე.
მე შევაჩერებ ფიცხელ ქარებს წვიმიანსა და თოვლიანებს...
იმ ვარსკვლავისკენ...
ჰა, ეს სანთელი, იდუმალი გზებისაკენ მისაშუქები,
გადანახული იქ, იქა მაქვს შენთვის უცხო მხრის საჩუქრები.

* * *

გადაირია ეს ხე წუხელის, იტრაბახა, იჭორიკანავა, —
(ქარს შეესწრო ტყეში... შეესწრო ხეების კარნავალს), —
რას იპრანჭებით, რას იგრიხებით ისა და ესაო?!
მეხიმც დაგეყარე, ვერც კი ასწვდებიან ჩემს ცას და მზესო...
ვერა მხედავენო?!
გადაირია ეს ხე წუხელის, იტრაბახა, იჭორიკანავა...
(ქარს შეესწრო ტყეში... შეესწრო ხეების კარნავალს).

* * *

მზეთუნახავებო, გამოვეშურე, მე ამოვხსნი მეფის ქარაგმებს,
ცხენს ფრთები შევასხი, წინ ყველა ავსულს გავაჩანაგებ.
გამოვეცურავ ტბას, თუმც მკლავებზე მაგრებენ გველაზებს.
ვიპოვი თქვენს ქოშებს, ნატვრისთვალსაც ვთხოვ ანგელოზებს...
ოღონდ თქვენ მელოდეთ...
მზეთუნახავებო, გამოვეშურე, მე ამოვხსნი მეფის ქარაგმებს,
ცხენს ფრთები შევასხი, წინ ყველა ავსულს გავაჩანაგებ.

* * *

შემრცხვა, ფეხშიშველი ვერ წაგიყვანე ნადიკვარამდე...
შენი აღთქმის გზას უშენოდ, აბა, მე ვითღა ვკვალავდე?!
ერთხელ წამოდექი, წამომყე, დედა, მიგიყვან ფეხშიშველს,
ჩემს ნიშს ემთხვიე, დაცხრები, აღარ იეშვიშებ...
დაგლევს ეგ ჯავრი...
შემრცხვა, ფეხშიშველი ვერ წაგიყვანე ნადიკვარამდე...
შენი აღთქმის გზას უშენოდ, აბა, მე ვითღა ვკვალავდე?!

* * *

ვარსკვლავებს, — კალმახებს, — კომეტების ცვივა ქვირითი,
მიწაზე ჩამქრალნი რითიღა ავანთო, ეს მარქვი, რითი?!
მოჰქროდა ციდან, ცეცხლოვანი ბილიკით მოჰქროდა,
ცის ყვავილები, — მეგონა, — ელვარენი ჩემთვის მოჰქონდა, —
ხელთ ჩასჭკნობია...
ვარსკვლავებს, — კალმახებს, — კომეტების ცვივა ქვირითი,
მიწაზე ჩამქრალნი რითიღა ავანთო, ეს მარქვი, რითი?!

* * *

ანაზდად შევდექი ციურ ფრთოსნების ღია სამოთხესთან,
ვეცქერდი იმათ შადრევანებივით სულთა ამოხეთქვას.
ავერა ჩემიცა, გალიით გამოხსნილი ჩემი ჩიორაცა...
ჰოი, შე წმინდანო, მაგ სამოთხის მიმაჩვიო რა ცას,
ნუ მიხმობ ცოდვილს...
ანაზდად შევდექი ციურ ფრთოსნების ღია სამოთხესთან,
ვეცქერდი იმათ შადრევანებივით სულთა ამოხეთქვას.

* * *

როგორაც გინდა, წუთისოფელო, მძიძგნე და მძენძე,
ნუ მაპოვნინებ ოღონდაც ყვავილს, რომელსაც ვეძებ.
იმ იდუმალი მღვიმეების და კლდეთა ჩრდილში
ჰყვაოდეს მარად ჩემი ბედის საწყალი ნიში
უცნობ მხარეში...
როგორაც გინდა, წუთისოფელო, მძიძგნე და მძენძე,
ნუ მაპოვნინებ ოღონდაც ყვავილს, რომელსაც ვეძებ.

## ლია სტურუა

### სიყვარულის იმედით

მთელი სიცოცხლე იმედით შესცქერი
ხვალინდელ დღეს,
მერე ხვალინდელი დღე გუშინდელად
იქცევა
იმედი — სევდად, ეს სევდები,
ერთმანეთს მიმატებული —
სასოწარკვეთად...
უკვე ცოტათი შეგეშინდება გათენების,
რაც უფრო მკვეთრად და ლამაზად
იქნება
შელეშილი ამინდი, მით უფრო...
იქნებ, იმიტომ გვაღვრის თავზე
ასეთ ცხელ დღეებს ღმერთი,
რომ არყოფნის სიცივე
შეათბოს, შეგვიმსუბუქოს...
მეც, ალბათ, მას ვბაძავ,
როცა მაცივრიდან ამოღებულ
ყინულოვან რძეს შევდგამ ცეცხლზე
და ის რომ ათუხთუხდება,
პერპლიდან გადმოვა სულიერივით
და პურის მკვდარ ნაჭერს ეტყვის
ორიოდე ცხელ სიტყვას,
ვითომ ის ჭეჭილია და თვითონ მდინარე,
მაშინ მე შენ დაგიძახებ
და გაჩვენებ, როგორ მომადგა სახლში
თავისი ფეხით ზაფხულის პეიზაჟი
და, რძისა და პურისა არ იყოს,
ჩვენც გავუგებთ ერთმანეთს,
თანაც ცოტა ხნით დაგვავიწყდება,
რომ მაგი მიწის ქერქები ერთი ორივე
და გაეყარება დღევანდელი დღე,
რომელსაც ბლომად ლურჯი მელანი
დაალევინა ღმერთმა,
ხოლო ხვალ რა იქნება, ეს ზამთარმა
იცოდეს
და მისმა სუსხიანმა სასოწარკვეთამ...

* * *

თავს თუ ვინმეს მოვაკვლევინებ,
ისევ, იალბუზის მთას, ზვავებიანს,
მეცოდინება, მაინც, რომ უანგაროდ
მომკლა,
რადგან არც შური აქვს ჩემი,
არც შიში,
რომ წყობილსიტყვაობაში ვაჯობებ...
თან, იქნებ, ზვავის ხმას რომ გაიგებს
და ჩემს ატირებულ ძაღლს დაინახავს,
რაღაც ეტკინოს გულში ადამიანს —
ჩემს მეზობელს, მეგობარს, ან, სულაც,
უცხოს,
მოსწყდეს ფუფუნებას,
სახლის მოოქროვილი კოლოფიდან
გამოძვრეს
და ჩემსკენ წამოვიდეს.
გზაში ადიდებული მდინარეები
შეხვდეს,
სოფლების წამლეკავი,
ბავშვებით დახუნძლულმა ხეებმა

შესძახოდნენ: — მიშველეთ!
გარდაცვლილი სახლებიდან
უმწეო ფუძეში გამოანათის
და აუჩრდილის ტელევიზორის შუქით
ლურჯად გაგრილებული კუნჭები...
იქნებ, მაშინ იგრძნოს
როგორ კლავს თოვლი,
თითქოს, ვარდის ბუჩქი ამოგისვეს
თვალებში,
ან უპატრონო კნუტები ჩაგიყარეს შიგ,
როგორც ჭაში და ისინი გეხაჭნიან
განწირული ბრჭყალებით...
თუ არ შეეშინდება ამ სიღრმე ჭის,
მე ამასაც ვეტყვი, როგორ დავიღალე
სიტყვების ყვირილით,
რომლებიც იკარგებიან უგზო-უკვლოდ,
რადგან მათი მკაფიობა
თითო-ოროლა ადამიანის სიყვარულზეა
დამოკიდებული,
ხოლო ლექსი რომ გათქმევინონ,
ისე უნდა უყვარდე,
როგორც საკუთარი თავი, შვილი,
უკიდურეს შემთხვევაში —
ერთგული ძაღლი, ან სახლის ფუძე,
რომელიც მათი გულისთვის
თავს მოაკლევინებს
იალბუზის მთას, ზვავებიანს...

## კენტავრი

ისე დავდივარ შემოდგომის ქუჩებში,
თითქოს, ყვითლად შემიგუბდა სუნთქვა
გუშინდელი ბრინჯაოს ჭალები,
გაჩახჩახებული,
ატირებულ, მხრჩოლავ სანთლებად
გადაიქცა,
დაიწვა ყველა ელსადგური...
ბადაგივით ტკბილი გახდა
ადამიანების ურთიერთობა,
რასაც 220 ვოლტი ძაბვის ენაზე
გაუცხოება ერქვა.
ხეებს დაევლათ ქალაქის განათება,
ყვითელს,
წითელს — სიყვარულის წახალისება,
ხოლო ზოგიერთების
კარაქიანი პურითა და ცხელი ჩაით
დაოკებულ ვნებას
ფუთი მარილის ჩაყრა პირში
და მარადიულ მწყურვალედ გადაქცევა.
ამ საქმიდან კი არ შეიძლება პოეტი
არ გამოდნეს,
რომელსაც ხმა თუ არ ეყო,
ქალაქის ფანჯრებში გამოკიდებულ
ყველა გალიას შეაგროვებს,
მომღერალი ჩიტებით სავსეს
და სახმო სიმებზე ჩამოიკიდებს,
ცეცხლს წაუკიდებს
გახამებულ თოვლისფერ ლოგინებს,
რძის ფხვნილით სავსე ქილას
ხბოს გააჩენინებს,
სიყვარულის ენით გალოკილს —
გაუგებენ კი
ოცნებას გადაჩვეული ადამიანები,
თუ ბადაგის სიტკბოთი
ღვიძლატკივებულები
საკუთარ ნაღველში ამოწობილ
ისარს ესვრიან კაცს,
რომელიც წელს ქვემოთ ცხენია,
რადგან მანქანით ვერ იარა
ამ ვიწრო და დამხრჩვალ ქუჩებში,
ვერ დაჟანა საწყლები,
ხალხიც შეეცოდა,
მაძღარი, კმაყოფილი, ამპარტავანი,
მაგრამ შიშველი ბარტყივით უმწეო
დროის წინაშე
და შხამიანი ენებისა და ისრების
სამიზნედ გადაიქცა,
როცა ისედაც ტკიოდა ზურგი
მაგიდასთან ჯდომისგან და წერისგან
და ახლა მთელი ტკივილი
ხერხემალში დაუგროვდა,
მაგრამ არც ხმა ამოუღია,
არც წიგნი აუფარებია,
ისე კვდებოდა...
შემოდგომა იყო ისეთი სველი და
ფერიანი,
თითქოს ყვითლად შემიგუბდა
სუნთქვა...

## სევდიან გუნებაზე დაწერილი ლექსი

ერთადერთი, რაც გამაჩნია
განუყოფლად ჩემი — ეს არის სევდა,
რომელიც მემკვიდრეობით კი არ
მივიღე,
როგორც საკმაოდ ხორციანი ფეხები
და დახვეწილი ხელის მტევნები
წითელი და ცისფერი წინაპრებისგან,
ის საკუთრად ჩემი იყო
და ისე აშკარად გამოხატული,
ასე ბავშვი რომ კბილების ქავილამდე
ტკბილ რძეს სვამდეს
და, მხოლოდ, ჩემს ჭიქაში ერთის
ხსენი...
ან, უცებ, ამ მხიარულ, ლაღლაღა
ბავშვებში
ისეთი ფერწასული გამოვჩნდებოდი,
თითქოს, გასანთლულ ძაფზე ასხმული
პეპლები მესროლა ვიღაცამ...
იქნებ, უკვე მაშინ ვიცოდი,
როგორ ტირის მიწის სიღრმეში
დაუმწიფებელი პური
ან რა უმწეოდ სუსტი და წვრილია
გახამებულ საყელოში ჩატენილი ყელი...
ხოლო თავბრუ იმიტომ მესხმის,
რომ ჩემს ტვინში მეშაითი კიდია
თავდაყირა,
რომელსაც ფეხის ძვალი მოიტეხა
და ახლა ისღა დარჩენია
გასანთლული ძაფით ერთმანეთზე
მიკერებული
პეპლები მაყაროს
და მეტი გაფერმკრთალება რომ
აღარ შეიძლება,
სრულიად გამჭვირვალე და გაუგებარი
დამტოვეს
ჩემს ჯანსაღ, მშვენიერ,
მზეგადაყლაპულ
ახლობლებში,
რომლებსაც სულ არ ჭირდებათ იმის
ცოდნა,
როგორ ტირის მიწის სიღრმეში
დაუმწიფებელი პური
ან რა სუსტი და გალეული
გახამებულ საყელოში ჩატენილი ყელი...
ამიტომ ჩემს თვალსაჩინოებას
სიყვარულით არბილებენ, ათოებენ,
ამსუბუქებენ,
და, უკვე, მე თვითონაც დამაჯერეს,
რომ ჩემს ტვინში
თავდაყირა დაკიდებული მეშაითი
უმჯობესია ჭირხლმა შეჭამოს,
როგორც გვიან და უაზროდ
ამოსული პური...

## გადასახლება

ორი თვით გადამასახლეს ყოფაში —
უმეგობრობაში, კედლებისა და ჭერის
შეკეთებაში,
წამდაუწუმ ვისინჯავ მაჯას, წნევას
ვიზომავ,
ხელოსნებს ვეაჭრები და
ვეპირფერები...
მეგობარი მირეკავს, რომელიც, თურმე
ჩემს დღეშია:
ყელი ტკივა, გული უფრიალებს,
სახურავი თავზე ენგრევა
და მეუბნება, რომ მობეზრდა
სიცოცხლე
— რას ამბობ, — ვიოცებ მე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შეიძლება მოგბეზრდეს
ფორიაქი მზესა და მთვარეს შორის.
სადღაც, შუაში, თოვლიც რომ
                    გაეპარება ცას
დაკარგული მძივივით,
ან, სულაც, უქმური, საცერში
                    გატარებული
წვიმები რომ დადიან
და უცებ, აყვავებულ ატმის ხეს
გადმოაგდებს ღმერთი,
საიდანღაც ვარსკვლავებიდან,
ისეთ ვარდისფერს...
მეგობარი უგულოდ მეთანხმება,
ალბათ, ვერ დავარწმუნე,
მე კი ვუბრუნდები ჩემს გადასახლებას
აქვე, ორ ნაბიჯზე საწერი მაგიდა დგას,
რომელიც ანდამატივით მიზიდავს,
მაგრამ ახლა მასთან მისვლა
მყინვარზე ასვლას უდრის.
მე კი სულ მომიდუნდა
მთამსვლელის ჟინი და თავგანწირვა...
საღამოს ტელევიზორში ვხედავ,
როგორ ინგრევა სვანეთი,
წყლით იფარება სამეგრელო,
ნიკორწმინდას ფრთებს ატეხავს ზვავი
მე კი ვზივარ საკუთარი სახლის
                    მყუდროებაში
და სევდა მჭამს —
  სამშობლო მენატრება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან მალაზონია

# ...სტუმრები

მოთხრობა

> გზა არს რამე, რომელი წინაშე თვალთა კაცთასა წრფელ იყოს, ხოლო დასასრულნი მისნი მიმყვანებელნი მიხრებლად ჯოჯოხეთისა.
>
> იგავთა. 14, 12.

ერთმანეთს თევზაობისას გადაეყარნენ ამ ათი-თორმეტი წლის წინათ დეკემბრის სუსხიან საღამოს და მას აქეთ მხრებზე გადაკიდებული ბადეებით აღმა-დაღმა დადიოდნენ შეფიცული ძმებივით. იონა ჭაში, ევნატე ხომერიკი და ბათუ ოდიშარიას მოგვიანებით ზაზა მენაბდეც შეუერთდა და სულ მოკლე ხანში ღელეც არ დატოვებიათ ამქვეყნად დაუზვერავი. ერთმანეთი პირველი შეხვედრისთანავე მოუვიდათ თვალში და ამის მიზეზი ის იყო, რომ ბადის სროლა ყოველ მათგანს სიცოცხლეს ერჩია. თევზი მაინცდამაინც არ უყვარდათ, მუდამ ახლობლებს ან მეზობლებს ურიგებდნენ დაუყვედრებლად. ოღონდ ბადე ესროლათ მდინარეზე და, შინ ხელცარიელიც რომ დაბრუნებულიყვნენ, მაინც კმაყოფილი იყვნენ. სხვა მხრივ მათ საერთო თითქმის არაფერი ჰქონდათ, პირიქით, ამქვეყნის ავ-კარგი იმდენად განსხვავებულად ესმოდათ, რომ ყოველგვარ დავას თუ კამათს გაურბოდნენ კიდეც. ასე იყო თუ ისე, სათევზაოდ წასვლა ერთმანეთოდ ვერც წარმოედგინათ.

ასაკით თითქმის ტოლები იყვნენ — ორმოცდაათს მიტანებულები. ევნატე ხომერიკი თუ იქნებოდა ოთხი, ხუთი წლით უფროსი, ჭუჭა ტანის, უწვერულვაშო, მკვირცხლი, კამათის მოყვარული, ყოვლისმცოდნეობის პრეტენზიის მქონე მასწავლებელი, საგნებს შორის რატომღაც არითმეტიკას რომ ამჯობინებდა. ადრე გამელოტებულ, დევური აღნაგობის ბათუ ოდიშარიას უცნაურად სუსტი მკლავები ჰქონდა, შავი ულვაში, ჭროლა თვალები და როხროხა ხმა, მოზომილი, თითქოსდა დასწავლილი ნაბიჯებით დაიარებოდა თითქმის ოცდაათი წელი ერთ-ერთ ანსამბლში მღეროდა თავდაუზოგავად. მაღალი, თითქმის ჩონჩხად ქცეული ზაზა მენაბდე პირტიტველი იყო, სიტყვაძუნწი და ზანტი მიხრა-მოხრის. ადრე ათასგვარი ხელობა ემარჯვებოდა, ახლა კი არავინ იცოდა, თევზაობის გარდა რას აკეთებდა. იონა ჭაში დურგალი იყო, საშუალო ტანის, ქერათმიანი ხელოსანი, ჩაკუნთული, პირმცინარე და თხელულვაშა. ჰყავდა ოთხი შვილი და მეუღლე, გულისხმიერი, გამგონი და ოჯახს თავშემოვლებუ-

ლი მეუღლე. თითით საჩვენებელი დურგალი იყო, ოქროს ხელები ჰქონდა, მაგრამ თავგადადებული მუშაობა მაინცდამაინც არ უყვარდა და ხალხიც ზარმაცს ეძახდა.

ქალაქის გარეუბანში ერთმანეთისგან მოშორებით ცხოვრობდნენ.

სათევზაოდ წასასვლელად უმეტესწილად ეგნატე ხომერიკთან იკრიბებოდნენ და სიხარულისგან ბავშვებივით აღტკინებულები გზას რომ დაადგებოდნენ, ალმა-დალმა ხეტიალისას დიდი ხნის წინათ მიტოვებული სოფლები აგონდებოდათ, ის სოფლები, სადაც პირველად უსვრიათ ბადე ჩხრიალა მდინარეებსა თუ ყინულივით ცივ ტბებში. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ წვრილშვილიანი ზარმაცი დურგლის იონა ჯაშის გამოისობით, ფეხს ვერ ადგამდნენ შინიდან. ეს ღალატს ნიშნავდა მათთვის. პირველი, ვინც ცოფდებოდა, რა თქმა უნდა, ეგნატე ხომერიკი იყო, რომელსაც ჭკუის დარიგება და ადამიანის შეურაცხყოფა ბადის სროლაზე ნაკლებად არ უყვარდა. მერე მას დანარჩენებიც აჰყვებოდნენ და წვრილშვილიან იონა ჯაშს მიწასთან ასწორებდნენ. უცნაური ის იყო, რომ თითოეულ მათგანს რატომღაც მოვალეობად მიაჩნდა „ზარმაცი" დურგლისთვის ჭკუა დაერიგებინა, თუმცა არავინ იცოდა ვინ შეარქვა და რატომ ეძახდნენ იონას ამ სახელს. და მაინც ხალხში ისე იცნობდნენ, თითქოს ლუკმის დალეჭვაც ეზარებოდა. მაგრამ ხელობას ვერავინ უწუნებდა. ის კი არადა, ცხრა მთას იქით რომ კარგი დურგალი დასჭირებოდათ, უსათუოდ მას მიადგებოდნენ შინ. ამას გარდა, ჭის ამოთხრა რომ მოესურვებოდა ვინმეს, ასეთი გუმანი ჰქონდა, სადაც ბარს დაჰკრავდა, წყალი ამოჩუხჩუხდებოდა. ცივი წყაროს მიგნება ალმა-დალმა ხეტიალისას ისევე შეეძლო, როგორც მწევარს ნაკვალევზე გეშის აღება. ამიტომაც ეძნელებოდათ სათევზაოდ უმისოდ შინიდან ფეხის გადგმა.

ერთხელაც, ადრიან გაზაფხულზე, ჩვეულებისამებრ, ეგნატე ხომერიკთან მოიყარეს თავი და ბჭობა გამართეს, როდის წასულიყვნენ ბადის სასროლად. გასულ ზამთარს ისეთი დიდთოვლობა მოჰყვა, რომ მთა და ბარი ახლაც გადათეთრებული იყო.

იონა ჯაში, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ამჯერადაც საეჭვოდ იგვიანებდა. გულმოსასვლელი ის იყო, რომ არავინ იცოდა, გამოჩნდებოდა თუ არა ბოლოსდაბოლოს. უკვე შესაღამოვდა, მაგრამ ზარმაცი დურგალი არსად ჩანდა. მოთმინებადაკარგულმა და გაწიწმატებულმა ეგნატე ხომერიკმა იონა ჯაშის ხოტბა-დიდება წამოიწყო:

— სულ ერთი და იგივეს გონებაშეზღუდულებს უჩიჩინებენ, რამდენადაც მე ვიცი, — ტუჩების კვნეტით გაიძახოდა იგი და ბუხრით გამთბარ დაბალ ბალატში დამდუღრულივით ადგილს ვერ პოულობდა.

— ასეა, კი, — ნაძალადევი ოხვრით კვერს უკრავდა ეგნატეს ბათუ ოდიშარია.

— სულ დაკარგა სინდისი, — ხელი ჩაიქნია ბუხართან დაყუდებულმა ზაზა მენაბდემ, დაბალ ჭერს უნებურად თავი აარტყა და დაშინებული სამფეხა სკამზე დაჯდა.

ეგნატე ხომერიკი ჩქარი ნაბიჯით პალატის სარკმელს მიუახლოვდა, მოწმენდილ ცას ახედა და მერე თოვლით დაფარულ ეზოს მოავლო თვალი.

— ასეთი ამინდი უნდა დავკარგოთ იმ უტვინოს გამოისობით? — წამოიძახა სახეგაფაკლულმა ეგნატემ და თავი დანანებით გადააქნია, — თუმცა, უწიგნურს რა უნდა შეაგნებინო, — დაუმატა და თითქოს გული მოიფხანაო, თავდაჯერებული თუ თვითკმაყოფილი ბოლთის ცემას მოჰყვა. ზაზა მენაბდემ რამდენჯერმე გამეტებით მუხლზე ხელი დაირტყა. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ფიცრული კარი ჭრიალით გაიღო, პალატაში იონა ჯაში შემოიძურწა, ქუდი მოიხადა და დამნაშავის ღიმილით კედელთან ისე აიტუზა, არავის მისალმებია. ზარმაცი დურგლის მოულოდნელი გამოჩენა ისე გაუხარდათ, რომ წყენა თუ ბრაზი იმწამსვე გადაუვარ-

დათ გულიდან და ზაფშვებიდით აყლუჰტულდნენ. ზათუ ოდიშარიამ სიმღერაც კი შეშმოსძახა. მხოლოდ ეგნატე ხომერიკი იდგა გაქვავებულივით და სიხარულს არ იმჩნევდა. იონამ დაიმორცხვა, თავი ჩაღუნა და რაღაც ჩაიბუზღუნა, მაგრამ, ზღრიალსა და აყალ-მაყალში მისი ნათქვამი რომ ვერავინ გაიგონა, ნირწამხდარმა სათითაოდ თვალი მოავლო ყველას და სასოწარკვეთილი ხმით ხმამაღლა წამოიძახა:

— ვერ მოვდივარ მე! ვერ მოვდივარ!

ჩამოვარდნილ სიჩუმეს მხოლოდ ბუხარში შეყრილი შეშის შიშინი არღვევდა.

— რათ, რა თქვი? — წამოიფოფრა ეგნატე ხომერიკი და ზარმაც დურგალს მომაკვდინებელი მზერით თვალებში ჩახედა, — აბა, ერთი გაიმეორე!

— ვერ მოვდივარ, — ისე ამოღერღა იონა ჯაშმა, თითქოს ეშაფოტზე მდგარიყოს.

ეგნატე ხომერიკი რამდენიმე წამს თვალმოუშორებლად მისჩერებოდა, მერე სახე დაემანჭა, ნიკაპი აუკანკალდა, ელვის უსწრაფესად შებრუნდა, პალატის გასასვლელთან გაჩნდა და კარს ლონიერად წიხლი ჰკრა. ყველას ეგონა, რომ თეითონ ტოვებდა იქაურობას, მაგრამ მოულოდნელად იონას კუშტად მოხედა და მუქარით ხმადაბლა უთხრა:

— სადაც გინდა, იქ წადი! ოღონდ, იცოდე, რომ დღეიდან ბადეს ველარ ეღირსები!

ასეთ გულქვაობას და დაუნდობლობას ეგნატესგანაც არ ელოდნენ და ყველანი გაისუსნენ.

— კაი ახლა, თუ კაცი ხარ, — ამოიკნავლა ზათუ ოდიშარიამ, — იქნება ისეთი საქმე აქვს, რომ...

— ჩვენ მოცლილები ვართ! — ნიშნისმოგებით გააწყვეტინა სიტყვა ეგნატემ, — მარტო ამ ვაჟბატონს აქვს საქმე და საზრუნავი! — წამოიყვირა მერე ისე, რომ იონასთვის თვალი არ მოუშორებია.

— იქნებ ვერაა კარგად, — შემრიგებლური ტონით ჩაილაპარაკა ზაზა მენაბდემ.

— ან, ხომ შეიძლება ოჯახში ჰყავდეს ვინმე ავად; გკითხოთ ჯერ, — გამოსარჩლა ბათუ ოდიშარია.

— თუ ასეა, მაშინ თქვას, რაა მიზეზი, რომ ასე იოლად გადაგვიდგა, — უცებ გული მოიბრუნა ეგნატემ და კარი მოხურა.

— თქვი, იონა, რატომ გვწირავ, — ხვეწნითა და მუდარით უთხრა ზარმაც დურგალს ზაზა მენაბდემ.

ისევ გაისმა ბუხარში შეყრილი შეშის შიშინი.

— მეზარება, — ჩაიბუზღუნა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ იონამ და ორივე ხელით ქუდს დაუწყო წვალება.

— ასე იცის ზედმეტმა ფერებამ! — ისევ წამოიყვირა ეგნატემ და ბოლოის ცემას მოჰყვა.

ზარმაცი დურგლის ჯიუტი ხასიათი კარგად იცოდნენ თავგადაკლულმა მებადურებმა — თუ მოეპრიანებოდა და ჯორზე შეჯდებოდა, ძირს ჩამოსვლას სიკვდილი ერჩია. ამიტომაც ყველანი გაჩუმდნენ და ბედს შეეგუენ, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ხვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, რიგრიგობით ჰქონდათ დარიგება დაუწყეს.

— ზარმაცს ტყუილად არ გეძახიან შენ, — თქვა ზაზა მენაბდემ, კართან მდგომ მორცხვად მომღიმარ იონას გახედა და ნელა წამოიმართა, იმის შიშით, ჭერს თავი არ ავარტყაო. მერე, წელში ოდნავ წახრილი ტახტთან მივიდა, იქვე მიგდებულ კურტაკს ხელი დაავლო და ჩაცმას შეუდგა.

— ხალხი ბრძენია, ბრძენი! — ისე წამოიძახა ეგნატე ხომერიკმა, რომ ბოლოის ცემა არ შეუწყვეტია, — ყველას და ყველაფერს თავის სახელს არქმევს!

იონამ უნებურად მხრები აიჩეჩა, მომღიმარმა თავი გადააქნია და ფეხების ბაკუნს მოჰყვა, როგორც სჩვეოდა, როცა უხერხულობას გრძნობდა.

— სიზარმაცე დაგღუპავს შენ, — ახლა ბათუ ოდიშარია მისდგა დურგალს, — ხელის განძრევა რომ არ გეზარებოდეს, ქოხის ნაცვლად ჭარვასლა

გექნებოდა დღეს. არც შენი იცი და არც სხვისა გჭირია. ჩვენთან წამოსვლა და ჰაერზე ყოფნა მუშაობის ხალისს მოგცემდა, ხელს გააძლიერებდი და ოჯახსაც წაადგებოდი.

— მოეშვით, ბატონო, ამ კაცს, — უცებ შეჩერდა და ვითომდა ხვეწნით და მუდარით წამოიძახა ევნატე ხომერიკმა, — თვითონ იცის თავისი საქმე.

იონა გრძნობდა თავის დანაშაულს, ნირწამხდარი ქუდს აწვალებდა ისევ, თვალი ყოველ წამს გექცევაზე ეჭირა და მოთმინებით იტანდა ძმების დაცინვას. ბოლოს, როცა ლანძღვაც დაუწყეს, კარისკენ შეტრიალდა, სახელურს დასწვდა და გაირინდა. ეს უკვე დამუქრებას ნიშნავდა, მაგრამ არავინ გამოსდევნებია. მაშინ იონამ კარი გამოაღო, ზღურბლზე გადაალაჯა და შეჩერდა.

— წადი, წადი, რა გაქვს ჩვენთან საერთო, — მიაძახა ევნატე ხომერიკმა, — უშენოდაც გავძლებთ რამენაირად.

— გეტყვი, ხომ! სულ დაკარგე სინდის-ნამუსი, — დაედევნა იონას ბათუ ოდიშარია.

— თავი გაანებეთ! — მთელი ხმით იყვირა წამოჭარხლებულმა ევნატემ.

იონა შემობრუნდა და ძმებს ახლა წარბმოღუშულმა გამოხედა. მერე ორიოდე გრძელი ნაბიჯით გამოღებულ კარს მიადგა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— რა გინდათ ჩემგან, არ მაქვს უფლება, ჩემს ნებაზე ვიარო?

— ცოტა გაინძერი-მეთქი, გეუბნები და ვერ შეგაგნებინე, — უცებ მოლბა თითქოსდა იონას სიზარმაცით შეწუხებული ევნატე, სინამდვილეში კი მოეჩვენა, რომ დურგალი სათევზაოდ წასვლაზე დაიყოლია. ზაზა მენაბდემაც და ბათუ ოდიშარიამაც იგივე გაიფიქრეს.

— მიხედეთ თქვენს თავს, — ხმას აუწია უცებ იონამ და ყველანი სათითაოდ მუქარით შეათვალიერა.

— ახლა აქეთ გვიყვირი?! — დაიბნა ევნატე, სახე ისე წამოეჭარხლდა და იმედგაცრუებულმა შეჰყვირა: — თავს ხომ არ გაგიჟდები ძალიან! შენ რა ღირსი ხარ ჩვენთან იარო! შენნაირმა კაცმა ბადის ნაცვლად ცარიელი ტომარა უნდა გადაიკიდოს მხარზე!

ეს უკანასკნელი სიტყვები იონასთვის იმდენად მოულოდნელი, თავზარდამცემი და შეურაცხმყოფელი იყო, რომ ადგილზე გახევდა, ხმის ამოღებაც ვერ შეძლო. თავისივე დაუნდობლობით შეცბუნებული თუ გაოცებული ევნატე ზარმაც დურგალს თვალებგადმოკარკლული მისჩერებოდა. ბათუ ოდიშარიას და ზაზა მენაბდეს ნიკაპი აუთამაშდათ, ისეთი სახე ჰქონდათ, თითქოს ძმა სასიკვდილოდ გაემეტებინათ, რამდენიმე წამის შემდეგ იონამ ჯერ რაღაც ამოიზმუვლა, მთელი ტანით შეირხა და მერე დამუქრებით ხმამაღლა დაიყვირა!

— დილით ექვსზე გავდივართ აქედან!

თქვა თუ არა ეს, ქუდი თავზე ჩამოიფხატა, შებრუნდა და გრძელი ნაბიჯით ეზოში გაიბოტა.

რამდენიმე წამს ხმა არ ამოუღიათ. ყველასთვის მოულოდნელად ბათუ ოდიშარიას, ალბათ თავის სიცოცხლეში პირველად, ნიკაპი აუთამაშდა. ამ სასწაულმა ევნატე თითქმის გამოაფხიზლა და ახლა წარბგახსნილი და ოდნავ დაბნეული ისეთი თვალებით იყურებოდა წინ, რომ ვერავის ხედავდა. ზაზა მენაბდეს კისერი წაეგრძელებინა და პალატის კარს მიშტერებოდა.

* * *

ევნატე ხომერიკი საკმაოდ უცნაური ბიოგრაფიის კაცი იყო: ბაქოში დაიბადა, არხანგელსკში გაიზარდა, უფაში სკოლა დაამთავრა, ვილნიუსში პედაგოგი გახდა, საინგილოში მასწავლებლობა დაიწყო, სამარყანდში დაქორწინდა, ტულაში ტყუპი შვილი შეეძინა, სიმფეროპოლში ცოლს გაეყარა, ზუგდიდში ორი სეზონი მსახიობობდა, გურიაში ბადის სროლა შეიყვარა და, ასაკში რომ შევიდა, დაღლილ-დაქანცულმა საბოლოოდ თბილისის გარეუბანში მოიკიდა ფეხი. მისი აშკარად ხეტიალი მამამისის, სამსონის წყალობა იყო. ჩია ტანის სამხედრო ფერშალი

არმიაში მსახურობდა, და ბედი ხან საით მოისროდა, ხან საით. ის კი არადა, ერთხელ ეგნატემ, რამდენიმე თვით, სახალინზედაც ამოყო თავი. უმთავრესი მიზეზი მისი მომთაბარე ცხოვრებისა ის იყო, რომ მამამისს თავდავიწყებამდე უყვარდა და გვერდიდან წამითაც არ იშორებდა. ქართული წერა-კითხვაც მან შეასწავლა არხანგელსკში, რადგან დედა, თიანეთელი სანიტარი ქალი, ეგნატეს ამქვეყნად მოსვლას გადაჰყვა ბაქოში. ბავშვობიდანვე უცნაურობა დასჩემდა: ვისაც და რასაც თვალს მოჰკრავდა, იქნებოდა ეს მავთულებზე ჩამომსხდარი მერცხლები, გარნიზონის ეფროსის სახეზე დაყრილი ჭორფლი, გამოღებული ფანჯრები, ფერადი ფანჯრები, თაროებზე ჩაწყობილი პურები, მინდორებზე მიკრებული ლილები, მატარებლის ვაგონში მყოფი მგზავრები თუ სხვა, ყველას და ყველაფერს გუნებაში დათვლიდა და მერე რატომღაც ორზე გადაამრავლებდა. ასეთი ახირება, როცა წამოიზარდა, ჩვევად ექცა და, ალბათ, ამანაც გაუმძაფრა არითმეტიკისადმი უსაზღვრო სიყვარული. თავის თანატოლებთან მუდამ ჭიუტი და ჯიბრიანი იყო. მოკვდებოდა და თამაშში პირველობას არავის დაუთმობდა. ფატი, მასზე უფროსი გურული ქალი, საინგილოში გაიცნო, სადაც მამამისის, სამსონის პოლკი იდგა იმჟამად, ხოლო თვითონ დაბალ კლასებში მასწავლებლობდა. ეგნატეს აზრადაც არ ჰქონია მისი ცოლად მოყვანა, რადგან გარეგნობითაც იწუნებდა, ასაკითაც და პროფესიითაც (ბუღალტრად მუშაობდა საავადმყოფოში), მაგრამ მოხდა თითქმის დაუჯერებელი რამ: როცა ერთხელ მოსწავლეებთან და ექიმებთან ერთად საინგილოდან ექსკურსიაზე სამარყანდში ჩავიდა, იქ ისეთი თვალით დაინახა ფატი, რომ მზეთუნახავად მოეჩვენა და იმავე დღეს დაქორწინდნენ. მერე ბედმა სიმფეროპოლში არგუნათ ცხოვრება, სადაც ეგნატემ, ღმერთმა იცის რატომ, ცოლზე გული აიცრუა და ღამეებს თვეობით ვიღაც ესტონელ ქალთან ათევდა. ეს ამბავი მთელმა ქალაქმა იცოდა. შეიძლება ფანატიკურად შეყვარებულმა სამსონმა, იმის შიშით, ეგნატესთვის გული არ ეტკინა, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა. ფატიმ დამცირებას და შეურაცხყოფას გაქცევა ამჯობინა, დაავლო ხელი ჩვილ ტყუპებს და უკვალოდ გადაიკარგა. ეგნატეც, თავისი ამპარტავნული ბუნების გამო, აღარ გამოჰკიდებია. ის კი არადა, მამამისთან ზოგჯერ ფატის მიწასთანასწორებდა და დასცინოდა — არითმეტიკას მასხრად იგდებდა (სამსონი უბედნიერეს კაცად თვლიდა თავს, ტყუპი შვილიშვილი რომ შეეძინა ტულაში, მაგრამ მზად იყო კიდევ ათი რძალი გაეცვალა, ოღონდ ეგნატე გვერდით ჰყოლოდა). ორი წელი მაინც ელოდა ფატი ქმარს და მერე, იმედი რომ გადაეწურა, გუნებაში მიაფურთხა არითმეტიკის თაყვანისმცემელ მეუღლეს და ერთი მილიციელი გაიჩინა საყვარლად.

მალე ეგნატე მამასთან ერთად სიმფეროპოლიდან ზუგდიდში გადაბარგდა.

...და იქ, სრულიად მოულოდნელად, არტისტულმა ცხოვრებამ გაიტაცა, გრიმი, პარიკი და სცენაზე დგომა ოცნებად ექცა და ისე აფორიაქდა, რომ რასაც ირგვლივ ხედავდა, გუნებაში უკვე აღარ ითვლიდა და, ადრე თუ არითმეტიკას ეთაყვანებოდა, ახლა კერპად თეატრი გადაექცა. ამის შემხედვარე სამსონს გული უკვდებოდა (რადგან მსახიობობა ცუღლუტობად მიაჩნდა), მაგრამ კრინტს არ სძრავდა. მეორე სეზონზევე თეატრის აფიშებზე უცხო გვარი გამოჩნდა — ეგნატე ხომერიკი, და, ასე დაადგა ცხოვრებაში ახალ გზას ადრე არითმეტიკის თაყვანისმცემელი მასწავლებელი.

მაგრამ წარსდგა თუ არა მაყურებლის წინაშე ფოსტალიონის როლში (დარბაზში ზამთრის იმ საღამოს მხოლოდ წინა რიგები იყო დაკავებული), ეგნატეს ძვალ-რბილში გამჯდარმა ჩვევამ უნებურად პარტერში მსხდომი ხალხი გადაათვლევინა და ორზე გადაამრავლებინა. ამასობაში (სანამ ამ ამოცანას

კონნებაში სწორ პასუხს მოუძებნიდა) სათქმელი გადაავიწყდა და სპექტაკლის უმთავრესი სცენა ჩავარდა. მსგავსი რამ შემდეგაც ხშირად ემართებოდა ართიმეტიკის ყოფილ მასწავლებელს, ბოლოს და ბოლოს რეჟისორი მოთმინებიდან გამოიყვანა და ეგნატე ხომერიკი თეატრიდან თავაზიანად დაითხოვეს. სამსონს გულში უხაროდა ეს, რადგან იმედი მიეცა, გზასაცდენილი შვილი სკოლას დაუბრუნდებოდა და, როგორც თვითონ თვლიდა, ისევ „სერიოზულ", „საპასუხისმგებლო" პროფესიას მოჰკიდებდა ხელს. ეგნატეს (როგორც კი რეჟისორმა თეატრიდან წასვლაზე ჩამოუგდო საუბარი) პატივმოყვარეობა იმდენად შეელახა, რომ სცენა და საერთოდ ხელოვნება იმ დღიდან ჭირის დღესავით შეჯავრდა. გაბოროტებული შინ აღარ მიდიოდა და უკვალოდ გადაიკარგა. სამსონმა, რაღა თქმა უნდა, ვერ აიტანა მზესავით საფიცარ შვილთან განშორება (ღმერთმა იცოდა, სამუდამოდ თუ დროებით), დადარდიანდა, დასნეულდა და ეგნატეს გაქცევიდან მეხუთე თვეს მოკვდა. შვილი მხოლოდ გასვენებაზე გამოჩნდა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სამსონი დიდის პატივით მიაბარეს მიწას ჯარისკაცებმა. ეგნატე ცოცხალ-მკვდარს ჰგავდა, და, ალბათ, ამიტომ აღარავის გაჰკვირვებია, ცრემლიც რომ არ გადმოვარდნია თვალებიდან...

მერე წამდაუწუმ ის დღე აგონდებოდა, როცა მამა მიატოვა და ისე ნანობდა თავის გულქვაობას, რომ მოსვენება დაკარგა, უძილობა დასჩემდა. რამდენიმე თვის შემდეგ, თითქოსდა დანაშაულის გამოსყიდვა სურდა, მოულოდნელად გადაწყვიტა იმ სოფელში ჩასულიყო და ეცხოვრა, სადაც სამსონმა ბავშვობა გაატარა. ასეც მოიქცა; სამეგრელოდან გურიაში გადავიდა და ხომერიკების დიდი ხნის წინათ გამოკეტილ ხის წაფერდებული სახლიდან ცუმლი აყარდა. მეზობლობამ და მოგვარეებმა კარგად მიიღეს ეგნატე და ამას იგი მამის ხსოვნისადმი პატივისცემად ღებულობდა. ასეც იყო. იმზანებში ყურის მეზობელმა, ვიღაც წრითურმა კაცმა ლორჯოებზე სათევზაოდ წაიყვანა. თავდაპირველად სოფელში რამდენიმე კვირით აპირებდა დარჩენას და მერე, თვითონაც არ იცოდა, საით გაუწევდა გული. მაგრამ, ერთხელ, მოულოდნელად (ღმერთმა იცოდა, რატომ), მამისეული სოფლის ფლორით დაინტერესდა და იქაური მცენარეული სამყაროს ძირფესვიანად შესწავლა გადაწყვიტა, რადგან იმხანად მოეჩვენა, რომ თუ ამას მიაღწევდა, ცხოვრებაში სწორ გზას დაადგებოდა. ამ საქმიანობაში მანამ იყო ჩაფლული, სანამ ლუკმაპურისთვის ფული ეყო და როცა (თვენახევრის შემდეგ) ჯიბე დაუცარიელდა, ისევ ზუგდიდს დაუბრუნდა ახალ გატაცებაზე უკვე ხელჩაქნეული. და, მაშინ, მამის ანდერძს მიაგნო შინ შემთხვევით, სადაც სამსონი გულისტკივილით უბარებდა შვილს, ჩამოშორებოდა „არტისტობას" ანუ „სამარცხვინო პროფესიას" და დაბრუნებოდა „მართალ და ყველასთვის საჭირო საქმეს — პედაგოგობას". ეგნატემ ამ წერილის წაკითხვისას მჭადისოდენა ცრემლებით პირველად იტირა მამა და უმალ სკოლას დაუბრუნდა (მისი გამოჩენა ყველას გაეხარდა, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც, რადგან გრძნობდნენ, რომ ამ „ჭუჭა და ფიცხ კაცს" კეთილი გული ჰქონდა). სკოლას რომ დაუბრუნდა, მივიწყებული არითმეტიკა მოაგონდა და ისევ იწყო ეგნატემ გუნებაში მისდაუნებურად ყველაფრის გადათვლა და ორზე გადამრავლება. ამ სასაცილო ახირებას თითქოს გადაჩვეული იყო, მაგრამ ნაცნობმა გარემომ მაინც თავისი უკარნახა. გარდა ამისა, სხვა უცნაურობაც სჭირდა ეგნატეს: არითმეტიკის ოთხი მოქმედებიდან გამსაკუთრებით ემარჯვებოდა ორი — მიმატება და გამრავლება. შეცდომას (არც თუ იშვიათად) გაყოფასა და გამოკლებაში უშვებდა. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყო, მუდამ მეტის, ბევრის შეძენაზე ფიქრობდა. რა თქმა უნდა, ასეთ მისწრაფებებს ნერვიულობა სდევდა და ვერც წარმოე-

ღვინა, თუ ამქვეყნად სადმე მშვიდი ცხოვრება სუფევდა ისე ჩაძირული იყო ყოველდღიურ წვრილმანებში, რომ სიკვდილის არსებობაც გადავიწყებული ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, წამითაც არ დაფიქრებულა ამ მარადიულ საიდუმლოებაზე. ეგნატეს ღრმად სწამდა, რომ თუ ცხოვრებაში ყველაფერი ბევრი ექნებოდა (ვთქვათ, ერთი ჩაჭენის ნაცვლად თერმეტი) ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ სწორ გზაზე იდგა. ყველგან თავის გამოჩენას ცდილობდა და ყველაფერში ყველასთან პირველობის ჩემპიონობდა. რა თქმა უნდა, ამას ვერ აღწევდა, რასაც თვითონაც გრძნობდა და დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა კიდევ უფრო უფორიაქებდა სულს. ერთხელ, მისდაუნებურად, წითური კაცი მოაგონდა და იმ დღეს, არც თუ მაინცდამაინც ხალისით, სათევზაოდ გასწია. შინ გვიან საღამოს დაბრუნდა ხელცარიელი, მაგრამ, გუნება ისე გამოეცვალა, რომ თავის თავსაც ველარ სცნობდა: გულგახსნილი, სახეგაბადრული და გამხიარულებული წამოწვა დაობებულ ლოგინზე და დილამდე ისე უდარდელად ეძინა, რომ სიზმარში არითმეტიკაც კი აღარ დასიზმრებია. და, აი, მაშინ, ირწმუნა ეგნატემ, რომ ამქვეყნად მხოლოდ ის ადამიანი ცხოვრობს სწორად, ვისაც შეუძლია ბადის სროლა ყველაფერზე მაღლა დააყენოს. „არითმეტიკას წინ რა დაუდგება! ეს რახანია გადაწყვეტილია: არ უნდა ლაპარაკი! ოღონდ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ არითმეტიკის გარდა, სხვა რამეც მოიძებნება ამ ქვეყანაზე", — გუნებაში თავს იმართლებდა გაორებული ეგნატე და მაღაზიებში ბადეს და მაღალყელიან რეზინის ჩექმებს დაეძებდა. მის ამ გატაცებას სკოლაში მორიგ ახირებად ღებულობდნენ და ბევრი დაუფარავად დასცინოდა კიდეც. ეგნატე ასეთ „თავგასულ ბრიყვებს" (როგორც თვითონ ეძახდა მათ) ლეკარძლიანი სიტყვებითა და ლანძღვა-გინებით პასუხობდა და ბოლოს იმდენს მიაღწია, რომ ბადით თევზაობას მტრებიც კი უქებდნენ. მალე დიდი თუ პატარა თაყოლი და ყოველ უქმე დღეს ბროლივით გამჭვირვალე მდინარეებში დაბოდიალებდა მათთან ერთად ფეხებდაკაწრული. ეგნატეს ისე ეჭირა თავი, თითქოს სასწაულებრივი აღმოჩენისთვის მიეგნოს. ჭალებში ბადის სროლისას ყველას გვერდულად დგომას ასწავლიდა და უამრავ შენიშვნას აძლევდა შემწყნარებლური ღიმილით.

— ფინაჩურ თევზაობას შინ ხელცარიელი მისვლა გერჩიოთ! — უკიჟინებდა წამდაუწუმ თავის მრევლს და თუ ვინმეს ცხვირჩამოშვებულს ნახავდა, მხარზე ხელს მოუთათუნებდა და ამხნევებდა. ადრე თუ ყველაფერს ითვლიდა და ორზე ამრავლებდა, ბადით დაჭერილი თევზის დათვლა საძრახისად მიაჩნდა და მისდაუნებურად ამ უცნაურ დაინტერესებას სულ გადაეჩვია... და ასეთ ახირებულ კაცს ყოველდღიური საქმეებიც ეხერხებოდა: ბაზარში ვაჭრობაც, საცხოვრებელი თავის იაფად დაქირავებაც, ჭორ-კორეაც და თუ საჭიროდ ჩათვლიდა, სკოლაში სხვისი საათების ხელში ჩაგდებაც. ეს მაშინ, როცა ბადის სროლა თავს ერჩია.

ასე გადიოდა დრო და ეგნატეს წამდა, რომ აშკარად მისი არჩეული გზა სწორი იყო. ყოველ შემთხვევაში, მიაჩნდა, რომ სხვებზე მეტი ესმოდა იგიც და კარგიც და მიტომაც არასდროს არავის არ უსმენდა. პირიქით, მოითხოვდა კიდეც, რომ ყველას მხოლოდ მისთვის დაეგდო ყური.

სულ მალე ეგნატე იძულებული გახდა სკოლიდან წასულიყო და აი, რა მოხდა: შემოდგომის ღრუბლიან კვირა დილას, როცა ბავშვებს თევზაობისას რიგრიგობით ათასჯერ გაკემსილ ბადეს ასროლინებდა, ერთ მოზარდს სიპ ქვაზე ფეხი დაუსხლტა, მდინარეში ჩავარდა და დახრჩობას ძლივს გადაარჩინეს. პირველად იმათ ამოიდგეს ენა, ვისაც ეგნატემ ბადის სროლა ძალით შეასწავლა და ისედაც თავი ჰქონდათ გაბეზრებული ჭკუის სასწავლებელი ლექციებით, ახლა, რადგან მიზეზი უპოვნეს (დახრჩობას გადარჩენილი ბავშვი

იმ დღეს ხმას ვერ იღებდა, ვეღარ დაბეჯითებით მის განთავისუფლებას მოითხოვდნენ. მოწაფეები, მშობლები ჩივილსაც კი აპირებდნენ. ეგნატემ ყველასთან შებრძოლება უაზრობად ჩათვალა და უხმოდ და უჩუმრად დატოვა სკოლა. ამის შემდეგ იგი დიდ ქალაქში გადავიდა, თავდაპირველად დროებით, მაგრამ მოხდა ისე, რომ საბოლოოდ იქ მოიკიდა ფეხი.

ასე დამთავრდა ეგნატე ხომერიკის ხეტიალი ამქვეყნად და მისი ცხოვრება გახდა ადრინდელთან შედარებით უფრო მშვიდი და უფერული. ოღონდ, ბაღის სიოლას ვერ შეელია და ძველებურად დადიოდა სათევზაოდ ქალაქიდან შორს, ალმა-დალმა. ისევ პედაგოგობას დაუბრუნდა, ამჯერადაც დაწყებით კლასებში და პატარებს არითმეტიკისადმი უსაზღვრო სიყვარულს უღვივებდა. მერე ის იყო, თავის მომავალ ძმებს — იონა ჯამს, ზაზა მენაბდეს და ბათუ ოდიშარიას გადაეყარა შემთხვევით ბაღის სიოლისას, ამ დღიდან ეგნატე თავს აღარ გრძნობდა მარტოდ და მისი ცხოვრებაც უფრო აზრიანი გახდა.

* * *

ჩინჩხად ქცეულ წოწოლა ზაზა მენაბდეს ოთხი ცოლი ჰყავდა გაშვებული, როგორც თვითონ ამბობდა, ყველაფრის გარეშე, რადგან თურმე არც ერთმა შვილი არ აჩუქა და მისი ერთადერთი საზრუნავი მოხუცი დედ-მამის პატრონობა იყო. ადრე, სანამ დაქორწინდებოდა, ფილოსოფიით ყოფილა დაინტერესებული (თუმცა, სკოლა რომ დაამთავრა აღარსად უსწავლია) და ამონაწერებით სავსე რვეულებით ჰქონია ოთახი გამოტენილი. ისე კი, ლუკმაპურის საშოვნელად, მამის ხელობა — დალაქობა აირჩია. დადიოდა ხმები, რომ ზაზა მენაბდე ჩუმჩუმად რაღაც გამოგონებაზე მუშაობდა და საიდუმლო ნახაზები მუდამ თან დაჰქონდა, თითქოს იმის შიშით, სხვებს არ მიეგნოთ. სინამდვილეში კი ეს იყო ლექსებით და ძველი ბერძენი მოაზროვნეების გამონათქვამებით [illegible] ბლოკნოტები. ხშირად [illegible] გრანდიოზული საქმის [illegible] ოცნებობდა. ჩუმად ყოფნა უყვარდა და, თუ სადმე დავა ატყდებოდა, მხოლოდ მაშინ ამოიღებდა ხმას, რომელიმე ფილოსოფოსის სიტყვებს დამარცვლით წარმოთქვამდა და დამუნჯდებოდა. მერე, როცა ირგვლივ მიმოიხედა და ამონაწერების გარდა არაფერი შერჩა, დალაქის თეთრი ხალათი გაიხადა, რვეულები და ბლოკნოტები ნაკუწ-ნაკუწად აქცია და დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, თუ რა გზას სწეოდა, ბოლოს ირწმუნა, რომ ამქვეყნად სიმდიდრე ძალაა, ოქრო-ვერცხლი ყველაფრის წამალი და წვრილმან სპეკულიანტობას მიჰყო ხელი. როცა ცოტა ფული დააგროვა, მადა გაეხსნა და ყალბი საბუთების კეთებას შეუდგა, რის წყალობითაც ორი წელი პატიმრის ხალათი ხვდა წილად. ციხიდან რომ გამოვიდა, ერთხანს მზარეულად მუშაობდა, მაგრამ ამ საქმეს გული ვერ დაუდო და მღებავის ხელობა შეისწავლა. მოხუცი მშობლებიც დაწყნარდნენ და კმაყოფილნი იყვნენ, რომ გზასაცდენილი შვილი ჭკუაში ჩავარდა. ამ ხნის განმავლობაში ზაზა მენაბდემ ოთხივე ცოლის გაშვება მოასწრო და დარწმუნდა, რომ ოჯახისთვის არ იყო გაჩენილი. რაც დრო გადიოდა, ნანობდა, ბრძნული აზრებით სავსე რვეულები რომ ნაკუწ-ნაკუწად აქცია: მეგობარი მას არ ჰყავდა, მოძღვრად თუ მასწავლებლად სახელდახელოდ ვინ დაუდგებოდა და ისევ წიგნებში დაეძებდა ამქვეყნად თავის სავალ გზას. მაგრამ, ვერც ბრძენთა ნააზრევში რომ სასურველი ვერაფერის მიაგნო, ძველი ხელობა გაიხსენა და დალაქის თეთრი ხალათი ჩაიცვა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ზაზა მენაბდემ იმ ხანებში ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია, ფარ-ხმალი დაჰყარა და გულჩახვეული და უკარება გახდა. ზოგჯერ ისეთი მტრული გამოხედვა ჰქონდა, რომ მისი სახის შემხედვარე დამფრთხალი კლიენტი წვერის გასაპარსავად სავარძელში აღარ უჯდებოდა. მერე ის იყო, ჯერ

მამა მოუკვდა მოულოდნელად (მეზობლისგან რამდენიმე ღერი სიგარეტი მოუტანია შინ, მაგიდაზე დაუწყვია, თავის საწოლზე ჩამომჯდარა და იქვე სული დაულევია), სულ მალე დედაც გამოიტირა და მარტოდმარტო დარჩენილმა ლექსების წერა დაიწყო. სადალაქოში, როცა თავისუფალ სავარძელში ჩაესვენებოდა (კლიენტები, რაც დრო გადიოდა, იშვიათად ეკარებოდნენ), გულის ჯიბიდან ორად გაკეცილ გაცრეცილ ფურცლებს ამოიღებდა და ფანქრით ნაჯღაბნ სტრიქონებს საათობით ჩასცქეროდა. მაშინ იყო, ხმა რომ დაუყარეს — რაღაც გამოგონებაზე მუშაობს და ნახაზები თან დააქვს, სხვებს რომ ხელში არ ჩაუვარდესო. ლექსებს, რა თქმა უნდა, არავის აკითხებდა, მაგრამ ერთხელ გაბედა და კარის მეზობელს, მასზე ოდნავ უმცროს თმაგაჩეჩილ მხატვარ-ფოტოგრაფს მიუტანა გადათეთრებული რვეული. მოხდა ისე, რომ ზაზა მენაბდის პოეტობა მთელმა ეზომ შეიტყო. უფრო მეტიც, ზოგი მის დანახვაზე რომელიმე ლექსს პათეტიკურად წარმოთქვამდა, სხვები კი წარამარა სახლის კედლებზე აკრავდნენ პროკლამაციებივით. უფროსებს ბავშვებიც აჰყვნენ და დაცინვა აუტანელი გახდა. უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა ზაზა მენაბდემ და თმაგაჩეჩილ მხატვარ-ფოტოგრაფს იმდენი ურტყა, სამუდამო კონტუზია დამართა, და ხელმეორედ მოუხდა პატიმრის ცხოვრების გაცნობა, ამჯერად უფრო დაწვრილებით. ოთხ წელიწადს კოლონიაში კეთილსინდისიერად მუშაობდა (ურალს იქით ტყისმჭრელის პროფესიასაც დაეუფლა) და სხვების წაბაძვითა თუ წაქეზებით პურის ცომისგან, ცოცხებისგან, ხის ტოტებისგან და ათასგვარი ხარახურისგან ლამაზი და სასაცილო სათამაშოების კეთება ისწავლა. ზედამხედველი იმდენად მოხიბლული იყო ზაზა მენაბდის ნიჭით, რომ მას სასჯელის მოხდის შემდეგ გამდიდრებას უწინასწარმეტყველებდა. მართლაც, კოლონიიდან რომ დაბრუნდა, დალაქის ხალათის ჩაცმას სათამაშოების კეთება არჩია და ლუკმაპურის ფულიც მეტად ჰქონდა. იმ ხანებში ერთმა მასავით წოწოლა ქალმა, რომელთანაც არც თუ იშვიათად იძინებდა, ბეჩში გაუჩინა. რაც დრო გადიოდა, სასაცილო და ლამაზ სათამაშოებს — კურდღლებს, მელიებს, დათვებსა თუ მაიმუნებს, ზაზა მენაბდეს ხალხი პირდაპირ ხელიდან გლეჯდა და ფულიც კარგა ბლომად დაუგროვდა. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს წოწოლა ქალმა პირწმინდად გაქურდა და ბეჩშიანად სადღაც უკვალოდ გადაიკარგა. ზაზა მენაბდეს აინუნშიაც არ ჩაუგდია ეს ამბავი, რადგან პატიმრობის წლებში ირწმუნა, რომ მხოლოდ ფულით ამქვეყნად საკუთარ გზას ვერ იპოვნიდა...

პირტიტველ სახეზე კი უკვე ნაოჭები გაუჩნდა, უფრო ზანტიც გახდა და საგრძნობლად დაეტყო. არადა, ორმოცს ისე გადააბიჯა, რომ მეგობარი არ ჰყოლია. თვითონვე გრძნობდა ამ სიცარიელეს, გამოყრუებულ სახლში ჯდომა აუტანელი ხდებოდა და სასაფლაოზე სიარულს მოუხშირა. მერე ალმა-დალმა უმიზნო ხეტიალი დაიჩემდა: სიამოვნებდა შინ შუაღამისას ქანცგაწყვეტილი რომ ბრუნდებოდა, რადგან ბოლო ხანებში შემოჩენილ უძილობას დაღლილობით ებრძოდა. უცნაური ის იყო, რომ ორჯერ ციხეში ნაჯდომი სიგარეტს ან არაყს დასანახავადაც ვერ იტანდა. რაც დრო გადიოდა, უჭირდა მარტოობა და კატებით აავსო ოთახი. მერე ცინდლები მის ნახელავ მელიებს თუ კურდღლებს ეთამაშებოდნენ და ეს იყო ზაზა მენაბდის ერთადერთი თავშესაქცევი.

ორმოცს გადაცილებულმა საკუთარ გზას რომ ვერ მიაგნო, სხვების ცხოვრებით დაინტერესდა, ირგვლივ მყოფ ხალხს თვალთვალი დაუწყო; ჭორიკანა დედაბერივით თითოეული მეზობლის ასავალ-დასავალი სურდა შეეტყო. მერე ბაღებსა თუ სკვერებში დადიოდა საღამოობით და ათასგვარ ამბავს იგებდა დიდისგან თუ პატარისგან. ზაზა მენაბდეს ყველაფერი აინტერესებდა — ვინ როგორ ცხოვრობდა, ვის რა ამო-

ნებდა ან ვინ ვის მტრობდა ამ ქვეყანაზე. ბოლოს, კარგა ხნის თვალთვალის შემდეგ, დარწმუნდა, რომ თითქმის ყველა ოქრო-ვერცხლისთვის და საბადოებისთვის იკლავდა თავს და საკუთარ ქისას ყოვლისშემძლედ თვლიდნენ. თუმცა იგი, ჯერ კიდევ ადრე, კოლონიაში ყოფნისას მიხვდა, რომ ბედისგან გაწირულ კაცს მილიარდერობაც ვერ უშველიდა. მაგრამ, რადგან ყოველ ნაბიჯზე ხედავდა, როგორ იბრძოდა ხალხი მეტი და მეტი ქონების შესაძენად, ისიც, სხვების ფულს აყოლილი, ფულზე ფიქრით ათენებდა ღამეებს. და, მაინც, ბინის გაქურდვა ან ჯიბგირობა აზრადაც არ მოსდიოდა, თუმცა, ოღონდ გამდიდრებულიყო და სპეკულიანტობასაც გაიხსენებდა... თან იმის იმედი ჰქონდა, რომ ფული და ქონება სახელს მოუხვეჭდა.

სიკვდილზე კი არასდროს უფიქრია...

ერთხელ, შემოდგომაზე, ქალაქიდან გასვლა და ხეტიალი გადაწყვიტა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა ფართო შარაგზას. მერე შეკვეთილებული მინდვრებისკენ გადუხვია და მოდიდებული მდინარის ნაპირს დაუყვა. როცა დაიღალა, ქვაზე ჩამოჯდა და წყალში კენჭების სროლას მოჰყვა. მოულოდნელად, შორიახლო, იმ ადგილას, სადაც მდინარე გუბდებოდა, სამი ფეხებდაკაპიწებული მებადური დაინახა. მოჰკრა თუ არა მათ თვალი, მოჯადოებულივით გაირინდა და დიდხანს გაუნძრევლად იჯდა. მეთევზეები გვერდიგვერდ იდგნენ და მდინარეში ბადეებს რიგრიგობით ისროდნენ. ზაზა მენაბდე მონუსხულივით უყურებდა შორიდან, და მერე, როცა სამთავე მდინარეს ალმა აუყვა, ქურდულად აედევნა. იგი კარგა ხნის შემდეგ წინ მომავალმა ეგნატე ხომერიკმა შეამჩნია, სახე მოექუფრა, შეჩერდა და თავის ძმებს გაგულისებით, თითქმის ყვირილით მიაძახა:

— მგონი ვიღაც მოგვიგზავნეს! ამ აყლაყუდას, ალბათ, ბრაკონიერები ვგონივართ!

იონა ჯაშმა და ბათუ ოდიშარიამ უკან ისე მიიხედეს, რომ ნაბიჯი არ შეუნელებიათ და წოწოლა უცხოს დანახვაზე ბადეები მხრებზე უფრო მოხერხებულად მოიგდეს.

— დაბრმავდით თუ დაყრუვდით! — აღრიალდა მეგობრების გულგრილობით გაცეცხლებული ეგნატე და უცნობს მომაკვდინებელი მზერა ესროლა. ზაზა მენაბდე ისეთი შიშით და დამფრთხალი ღიმილით მიუახლოვდა მებადურებს, თითქოს მისი ბედი თუ ყოფნა-არყოფნა მათ ხელში იყო ახლა. სახეზე ცნობისმოყვარეობაც აღბეჭდვოდა, იმდაგვარი გამომეტყველება ჰქონდა, ლატაკი და წყალწაღებული ზღაპრულ განძს რომ წააწყდება მოულოდნელად.

იონამ და ბათუმ დამფრთხალი ღიმილით მომავალი უცხო რომ დაინახეს, შეჩერდნენ და ერთმანეთს გადახედეს.

— ბანდიტები სად უნდა ეძებო ამდენი აღარ იცი? — მაშინვე მიაძახა ეგნატე ხომერიკმა ზაზა მენაბდეს, როგორც კი მიუახლოვდა და მებადურებს მოკრძალებითა და მოწიწებით მიაჩერდა.

— ჩვენ თუ დასაჭერი ვართ და... — წამოიწყო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ბათუ ოდიშარიამ, მაგრამ რატომღაც დაშინდა, ტუჩები მოიკვნიტა და მხრები უხერხულად შეათამაშა.

— რა გვაქვს სახვეწარი ან დასამალავი! — წამოიყვირა ეგნატე ხომერიკმა და მენაბდისკენ მუქარით ნაბიჯი წადგა.

— ბრაკონიერებს ჩვენ თვითონ დავდევთ, თითქოსდა თავისთვის ჩაიბუზღუნა იონა ჯაშმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ისმოდა მხოლოდ მდინარის ტალღების შხუილი.

— სათხოვარი მაქვს თქვენთან, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ზაზა მენაბდემ და მებადურებს მუდარის თვალით დაუწყო ყურება.

— რა გნებავს, — მაშინვე დამცინავად მიაძახა ეგნატემ უცხოს და კიდევ ორი-სამი ნაბიჯით წაიწია მისკენ.

— ბადე მასროლინეთ ერთხელ მაინც.

— ისეთი ხვეწნითა და ვედრებით ამოილუღლუღა ზაზა მენაბდემ, თითქოს

სილოცბლის შენარჩუნებას თხოულობდა.

წოწოლა უცხოს ამ სიტყვებმა ეგნატეს და მის ძმებს აფიქრებინეს, რომ მასხრად იგდებდნენ და კოპები შეკრეს. იონა ჯაშმა, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მხარზე გადაკიდული ბადე ღონივრად მოიქნია და ქვებზე დაანარცხა.

— დაიჯერო, ამიტომ მოგვდევ? — ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა ეგნატემ წოწოლა უცხოს და თავით ფეხამდე ახედ-დახედა.

— კი, — გულუბრყვილო ღრეჭით უპასუხა ზაზა მენაბდემ.

— ა, ბატონო, თქვენი ნება იყოს, ისროლე, სანამ არ მოგწყინდება, — მოულოდნელად ნიშნისმოგებით უთხრა ეგნატე ხომერიკმა და თავისი ბადე ფეხებთან მიუგდო.

— კიდევ სხვას ხომ არაფერს გთხოვ, — იჭვნეულად შეეკითხა ზაზა მენაბდეს ბათუ ოდიშარია.

— არა, არა, — მიამიტურად უპასუხა მან, — ოღონდ ბადე მასროლონეთ და თქვენზე ვილოცებ.

იონა ჯაშმა დაიჯერა წოწოლა უცხოს გულწრფელი სიტყვები და ახლა თანაგრძნობით შეათვალიერა იგი.

— კი, ბატონო, ჩემი ისროლე, — ხმა შეარბილა ბათუ ოდიშარიამ და თავის ბადიანად ზაზა მენაბდეს მიუახლოვდა.

— სათამაშოდ გვცალია ჩვენ? — გაჯავრდა უცებ ეგნატე და ძმებს წყრომით გადახედა.

— ისროლოს, რა დაგვაკლდება, — გამოექომაგა უცხოს იონა ჯაში, ქვებზე დაგდებულ ბადეს ორივე ხელით დასწვდა და მენაბდეს გაუწოდა.

— სათამაშოდ და საცუნდრუკოდ არ წამოვსულვართ ჩვენ! — უფრო გაბრაზდა ეგნატე, მაგრამ მას აღარავინ უსმენდა.

ზაზა მენაბდემ ისეთი მოწიწებით ჩამოართვა იონა ჯაშს მძიმე ბადე, თითქოს მეფისგან ნაბოძები ძღვენი ყოფილიყოს, და სახეგაბადრული გაიცინა. მერე ეგნატეს წამით უნდოდ შეხედა, მდინარისკენ შეტრიალდა და წყლისკენ ფრთხილი, შეპარული ნაბიჯით წავიდა. ბადე ისე ეჭირა ორივე ხელით, თითქოს ურჩ ბავშვს ყურებით მიათრევდა და შორს, გაღმა, მოლიმარი იყურებოდა. ეგნატემ აჭრელებული მზერა დაადევნა; ბათუ ოდიშარიას და იონა ჯაშს ცნობისმოყვარეობა აღბეჭდოდათ სახეზე. ზაზა მენაბდე რომ ნაპირთან მივიდა, შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, მდინარე გამოცდილ მეთევზესავით დაზვერა, მერე წელში ოდნავ მოიხარა, ბადის ერთი ფრთა მარცხენა მხარზე მოიგდო, მარჯვენა მუჭით მეორე ჩაბღუჯა, ხელი რამდენჯერმე გაიქნ-გამოიქნია და მძლავრად, ღონივრად გასტყორცნა. გაისმა ტყლაშუნი და იონა ჯაშის გამამხნევებელი შეძახილი:

— ყოჩაღ! კარგია! თევზიც რომ არ მოჰყვეს, არა უშავს!

ეგნატე ხომერიკმა ხელი ჩაიქნია და დამცინავად ჩაიღიმა. ბათუ ოდიშარია რატომღაც მოიხიბლა უცხოს ბადის სროლით და თავს აქეთ-იქით აქნევდა. ზაზა მენაბდემ წყლიდან ბადე ორივე ხელით ამოზიდა და რიყის ქვებს რამდენჯერმე დააფერთხა. ამის დანახვაზე ეგნატე გადაირია და წოწოლა უცხოს გულმოსულმა გასძახა:

— რას აკეთებ, თუ იცი! ტომარა ხომ არ გიჭირავს ხელში!

მაგრამ ამ დროს რიყის ქვებზე ლიფსიტა აფართხალდა და ამ ერთადერთ პატარა თევზს რომ თვალი მოჰკრეს, მონუსხულებივით გაირინდნენ. ზაზა მენაბდე ტუჩებს აცმაცუნებდა და თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა. პირველად ეგნატე ხომერიკი გამოერკვა და აღტაცება რომ ვერ დამალა, ქვებზე მოფართხალე თევზისკენ გაქანდა კისრისტეხით. მას ბათუმ და იონამაც მიბაძეს და სამთავენი ყიჟინით დაეცნენ ლიფსიტას. თევზი ხელიდან უსხლტებოდათ; რომ ვერ დაიჭირეს, თავი ანებეს და ხტუნაობა დაიწყეს. ზაზა მენაბდე ახლა მათ მიაჩერდა, სახეზე ღიმილი მოეფინა და ტაშ-ფეხი შეათამაშა. ბათუ ოდიშარიამ უძველესი წარმართული სიმღერა წამოიწყო. მერე

იონა ჭაში ილეკვდა, ეგნატე ხომერიკიმაც თავი ველარ შეიკავა და დურგალს დუდღუნით გადაეხვია.

უხაროდათ რომ უცხო მტერი კი არა, მოყვარე აღმოჩნდა, ბადით მოჭადოებული და მოხიბლული. მათ ზეიმს თითქოს ქვებზე მოხტუნავე თევზიც კვერს უკრავდა. ბათუმ სიმღერა შეწყვიტა, უცხოს ხელი მხარზე დაუტყაპუნა, ეგნატეს გადახედა და თვალებით რაღაც ანიშნა. იონა ჭაშს არ გამოპარვია ეს და რამდენჯერმე თავი დააქნია.

— კი, უნდა მივიღოთ, — უთხრა ღიმილით ეგნატემ ზაზა მენაბდეს და ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

იქვე ქვებზე ჩამოსხდნენ და ერთმანეთს გაეცნენ... მერე, როცა ზაზა მენაბდე ეგნატე ხომერიკს, იონა ჭაშს და ბათუ ოდიშარიას დაუახლოვდა და მათთან მეგობრობამ სიცარიელე შეუვსო, მიხვდა, რომ მიაგნო იმას, რასაც ეძებდა.

ასე გადაეყარნენ ერთმანეთს წუთისოფლის შარაგზაზე.

* * *

დევერი აღნაგობის ბათუ ოდიშარია ისე გახდა ორმოცდაათის, რომ სულ ღიღინებდა, ყველას ეღიმოდა, დიდსა და პატარას ეფერებოდა, მდიდარსაც და ჯიბეგაფხეკილსაც სიყვარულს ეფიცებოდა, მაგრამ ქვეყანა რომ დაქცეულიყო, უბედურებას გულთან ახლოს არ მიიტანდა, რადგან უდარდელობა ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. უსაშველო მჭამელი იყო და ღვინის მოძულე. სვამდა მხოლოდ მაშინ, ისიც ორ-სამ ჭიქას, როცა დაიძალებდნენ და ისიც ტანჯვა-წვალებით სცლიდა სასმისს. მოგუდული, სასიამოვნო ბოხი ხმა ჰქონდა და არაჩვეულებრივი სმენა. თუ სადმე ახალ სიმღერას მოჰკრავდა ყურს, მაშინვე იმახსოვრებდა და აღარასოდეს ავიწყდებოდა. ჰყავდა ძვალ-ტყავად ქცეული ცოლი და გვიან შეძენილი თოთხმეტი წლის ბუთხუზა ბიჭი. სტუმრად წასვლა მისთვის ზეიმი იყო, შინ ვინმეს მიყვანა კი ეჯავრებოდა. მის ასეთ სიძუნწეს თუ ხელმოჭერილობას ახლობლებიც და შორეულებიც დასცინოდნენ, მაგრამ რახან დიდებულად მღეროდა, წარამარა ეპატიჟებოდნენ. ბათუს კი ვინ რას ლაპარაკობდა, ოდნავადაც არ აინტერესებდა. მისი ერთადერთი საზრუნავი ამქვეყნად ის იყო, რომ ყველაფერი ბევრი ჰქონოდა, ექნებოდა ეს ოთახი, ტანსაცმელი, ბროლის ჭიქა თუ კედლის საათი. ბადე ექვსი იყიდა, როცა თევზაობამ გაიტაცა, და მაინც ვერ იჯერა გული, სურდა კიდევ მეტი ეშოვნა. რვა წყვილი მარტო რეზინის ჩექმა ეწყო შინ, მაგრამ ხმარობდა ერთსადაიმავეს, დანარჩენებს ხელუხლებლად ინახავდა უზარმაზარ სარდაფში. საქმის კეთება და მიდგომ-მოდგომა ეხერხებოდა, ოღონდ საკუთარი თავისთვის, სხვებისთვის კი ნაბიჯსაც არ გადადგამდა, მეხლებშიაც რომ ჩავარდნოდნენ. გული მხოლოდ მაშინ მოსდიოდა, როცა სიძუნწისთვის ვინმე ისეთი დასცინოდა, ყველაფერი მასზე მეტი რომ ჰქონდა. ასეთებს გაურბოდა და მიპატიჟებაზედაც კი უარს ეუბნებოდა ავადმყოფობის მომიზეზებით. სპილოს ძალა ჰქონდა, მაგრამ საჭიროდ რომ ვინმეს მასხრად აეგდო, ხმას ვერ გასცემდა, იმდენად მხდალი იყო. ერთსა და იმავე სკოლაში სწავლობდა, ერთსა და იმავე გუნდში მღეროდა და ერთსა და იმავე ქალაქში ცხოვრობდა. უცხო მხარეში ფეხის გადადგმა ეზარებოდა, რადგან ეშინოდა მოშორებოდა შეჩვეულ გარემოსა თუ ატმოსფეროს და ამიტომ თვითმფრინავში ან გემზე თავის სიცოცხლეში არ მჯდარა, მხოლოდ მატარებლით მგზავრობდა ახლომახლო დაბებში, ისიც მაშინ, როცა სხვა გზა არ ჰქონდა.

ღრმად მოხუცი დედ-მამა ჰყავდა, საკმაოდ ცნობილი ფარმაცევტები, რომლებზედაც მზე და მთვარე ამოსდიოდა და მზრუნველობას არ აკლებდა. ადრე მშობლები ცალკე ცხოვრობდნენ, როცა დაუძლურდნენ და მუშაობა აღარ შეეძლოთ, ბათუმ თავისთან გადაიყვანა და ძვალ-ტყავად ქცეულ მეუღლეს უბრძანა, დღედაღამ ფეხზე მდგარიყო. შვიდი თუ რვა წლის იქნებოდა, ერთად-

ერთი უფროსი ძმა — რომ დაელუპა (საკოლის ქვის კიბეზე დაეცა და სული იქვე დალია). მოწაფეობისას არაფრით არ გამოირჩეოდა, სიმღერის გაკვეთილზე ფამფამა მასწავლებელი წკეპლით თავზე დაადგებოდა, რომ პირდამუწული მჯდარიყო. არადა, გასაოცარი სმენა ჰქონდა. ომი ახალდამთავრებული იყო, რომელიღაც ნათესავის ოჯახში, ჩაიზე, თეთრი პური და ჰალვა დაინახა, გული აუძგერდა და ყველასთვის მოულოდნელად ისეთი სიმღერა შემოსძახა, რომ იქ მყოფნი გააოგნა. მერე და მერე გათამამდა და სახელიც გაითქვა. ორი თუ სამი წელი ვეტერინარიას სწავლობდა, როცა მობეზრდა, ინსტიტუტი მიატოვა და მომღერლის გზას გაჰყვა. ოცდაათის იქნებოდა, დაოჯახება რომ გადაწყვიტა, მაგრამ შესაფერი საცოლის ძებნას დიდხანს მოუნდა, რადგან ქალი, მისი აზრით, გარეგნობით უსათუოდ შეუხედავი უნდა ყოფილიყო და, ამავე დროს, აუცილებლად — არაჩვეულებრივი დიასახლისი. ბოლოს და ბოლოს, მაჭანკლის დახმარებით, მიაგნო ასეთს და ხელიც მოაწერა. ქორწილი ზედმეტად ჩათვალა, სუფრასთან მხოლოდ ორი თუ სამი მეზობელი და მშობლები ისხდნენ. ქალი ისეთი მეოჯახე აღმოჩნდა, როგორსაც ნატრობდა, დილიდან დაღამებამდე ფეხზე იდგა და თვალებში შესციცინებდა. პროფესიით აგრონომი იყო, მაგრამ მუშაობა კატეგორიულად აუკრძალა და ისიც, ბედს შეგუებული, ქმარს ევლებოდა. მერე, შვილი რომ შეეძინათ, წლები ისე გადიოდა, რომ სახლიდან ფეხს ვერ ადგამდა.

ერთხელ, ზამთარში, უპატრონო ბავშვთა სახლში გამართულ უფასო კონცერტზე გოგონებმა გუნდის ხელმძღვანელს საჩუქრად თავიანთი მოქსოვილი ხელთათმანები მიართვეს. ბათუ ოდიშარიას ისე შეშურდა ეს, რომ ხმა დაკარგა და თითქმის მთელი თვე აღარ უმღერია. თან, წამდაუწუმ, გუნდის წევრებთან ბავშვების მოქსოვილ ხელთათმანებს აქებდა! ამის მიუხედავად მაინც არავის ეჯავრებოდა; ისე დიდებულად მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, რომ უყვარდათ კიდეც და მზად იყვნენ ყველაფერი ეპატიებინათ: სიძუნწეც, სიხარბეც, შურიანობაც. ვინც ბათუ ოდიშარიას იცნობდა, უკვირდა, ასეთ ადამიანს გულწრფელი, მომხიბლავი და გადამდები სიცილი რომ შეეძლო. მართლაცდა, საოცარი იყო! რომ გაიცინებდა, გამოდარებასავით სახე გაუნათდებოდა და იქ მყოფთ, რაგინდ უგემურ ხასიათზე ყოფილიყვნენ, ხალისიან გუნებაზე აყენებდა.

მიაჩნდა, რომ ამქვეყნად ცხოვრების აზრი უზომო ქონების შეძენაში იყო. სხვებისაგან განსხვავებით, მეტს არაფერს დაეძებდა და მიზნის მქონე კაცის თავდაჯერებით დააბიჯებდა წუთისოფლის შარაგზაზე. მხოლოდ მაშინ აფორიაქდებოდა, როცა სიხარბე თვალს უბნელებდა და შური გონებას უმღვრევდა. რახან დარწმუნებული იყო, რომ სწორ გზაზე მიაბიჯებდა, არასოდეს არავის არაფერს ეკითხებოდა. გარდა ამისა, ეშინოდა, ჩამორჩენილობა არ დაეწამათ მისთვის. თუ რამეს კითხულობდა, მხოლოდ გაზეთებსა და ჟურნალებში. წიგნი თავის სიცოცხლეში არ გადაუფურცლავს და ვერც იმას იტანდა, როცა სხვები ამა თუ იმ რომანზე ან მეცნიერზე ჩამოუგდებდნენ საუბარს, რადგან უვიცად და დამცირებულად გრძნობდა თავს. „ყველაფერი ბევრი კარგია", — უყვარდა ხშირად თქმა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიბრძნემ ერთხელ კინაღამ დაღუპა, არჩეული გზიდან არ გადაუხვევია. ცოლი რომ შეირთო, იმ წელს, კარის მეზობლის მამა გარდაიცვალა და ბათუ ოდიშარიამ საჭიროდ ჩათვალა ქელეხში შესანდობარი შეესვა. სუფრასთან არხეინად იჯდა (როგორც სჩვეოდა ყველგან, ჭირში თუ ლხინში) და მის წინ მსხდომი შეურაცხყოფილი ჭირისუფალი დრო და დრო წყრომით აყოლებდა თვალს. ხვდებოდა, რომ მას კიცხავდნენ, მაგრამ ბათუ ოდიშარიას გულს არაფერი ეკარებოდა! როცა მოაწია დრომ, ეთქვა ერთი-ორი სიტყვა მიცვალებულზე, რიხით წამოდგა და

მკერდზე მეშტის ბაგეთით დაიწყო ლაპარაკი ყალბი, ათრთოლებული ხმით. მაგრამ, მისი პირფერობა უცხო არ იყო საზოგადოებისთვის და ყველა, როგორც ხდება ხოლმე, მოთმინებით უსმენდა. მან კი, დარწმუნებულმა იმაში, რომ ამქვეყნად ყველაფერი ბევრი კარგია, იმდენი სიტყვა დახარჯა და იმდენხანს იტატყანა (რა თქმა უნდა, აქებდა და ადიდებდა მიცვალებულს), რომ ხალხი აჩოჩქოლდა, აირდაირია. ის კი მაინც გაუთავებლად ლაქლაქებდა. მოთმინებიდან გამოსულმა ჭირისუფალმა დაცინვად მიიღო მისი შესანდობარი, ერთ-ერთმა მეინახემ რამდენჯერმე მუხლი წაჰკრა კიდეც. ბათუ ოდიშარია კიდევ ბევრის თქმას აპირებდა მაინც, მაგრამ როცა იმედი გადაეწურათ, სტაცეს ხელი აქეთ-იქიდან და ჭიკავ-ჭიკავით გარეთ გააგდეს. მერე ეზოში ვილაც გამოექომაგა — ამისთანა ხმის მქონე კაცი სუფრიდან როგორ გამოაპანღურეთო და ბათუ ოდიშარიამ შეიფერა ეს, აიფოფრა, გათამამდა და ოჯახს მკვდარი და ცოცხალი შეუკურთხა. ამის თქმა და მისი ფეხქვეშ გაგდება ერთი იყო. ისე ურტყეს და იმდენი ურტყეს მაშინ, რომ ოთხი თვე ლოგინიდან არ წამომდგარა. ამ მწარე გაკვეთილის მიუხედავად, ბათუ ოდიშარიას მაინც სჯეროდა, რომ ამქვეყნად ყოველივე ბევრი კარგია და საჭიროა. ორსართულიანი აგურის სახლი რომ ააშენა მჟუდორო, ხეხილით სავსე ეზოში (რაც კი შესაძლებელი იყო დიდ ფართობზე), მთავარ შესასვლელთან ოთხი ძირი იზაბელას ვენახი ჩაყარა თავისი ხელით და წარამარა, შინ თუ გარეთ, გამრჯე მეურნის გამოცდილებას იჩემებდა. მაგრამ მისგან ეს არავის უკვირდა. საინტერესო ის იყო, რომ ყოველივე ბევრისადმი უსაზომო სიყვარული აქაც გამოამჟღავნა და ვენახს იმდენჯერ და იმდენ წყალს უსხამდა უშველებელი ვედროებით, რომ აღარც ერთმა ძირმა არ იხარა.

იშვიათად ავადმყოფობდა, მაგრამ სურდოც რომ შეჰყროდა, უამრავ წამალს სვამდა განუწყვეტლივ. ბევრი აბი, რა თქმა უნდა, საერთოდ ვერ მოქმედებდა და მუდმივად გაციებულ ბათუ ოდიშარიას ზოგჯერ ცხელებით უხდებოდა ლოგინში წოლა. ოღონდ თავისი პრინციპი დაეცვა და, ავადმყოფობა მთელი თვე რომ გაგრძელებულიყო, ფეხზე ეკიდა. წამლის საჭირო დოზით მიღებაც კი წარმოუდგენლად მიაჩნდა, უსათუოდ ბევრი უნდა გადაეყლაპა და ძვალ-ტყავად ქცეული, თვალებგადმოკარკლული მეუღლე წამდაუწუმ უსიტყვოდ აწვდიდა აბებს.

მართალია, დევური აღნაგობისა იყო, მაგრამ ისეთი სუსტი და მომჩვარული მკლავები ჰქონდა და ისე ესირცხვილებოდა ეს, რომ რაგინდ პაპანაქება სიცხე ყოფილიყო, მაინც გრძელსახელოებიან პერანგს ატარებდა. ერთხელ, დილით, გადაწყვიტა ვარჯიში დაეწყო, ძალ-ღონე რომ შემატებოდა. იმავე საღამოს უზარმაზარ შუშაბანდში ქერთმა მუშამ თოთხმეტი ორფუთიანი სიმძიმე ჩაამწკრივა ხვნეშა-კვნესით. მეორე დღეს ბათუ ოდიშარიამ შვიდზე გაიღვიძა და მკლავებს დიდხანს სველი ტილოთი იზელდა. მერე ორფუთიანებისკენ გაემართა ნაძალადევი ქშენით და მძიმე ნაბიჯით და მისი ტანჯვა თითქმის ცხრის ნახევრამდე გაგრძელდა. ამდენ ხანს ვარჯიში, რა თქმა უნდა, მავნებელი იყო, მაგრამ თავის ადათს არც აქ უღალატა. ამას გარდა, ყოველდღიური მომზადების გარეშე ცდილობდა რამდენიმე სიმძიმე (ბევრი რომ გამოსულიყო!), ერთად აეწია და ვერც ხვდებოდა, თავს სასაცილო მდგომარეობაში რომ იგდებდა. ბოლოს და ბოლოს, იმდენხანს და იმდენჯერ ეჭაჩებოდა წყვილ-წყვილ ორფუთიანებს, რომ გელალმა გაიშოტა და იქვე მდგომმა მისმა ბუთხუზა ბიჭმა ყვირილი მორთო. თავზარდაცემულმა მეუღლემ სასწრაფო დახმარება გამოუძახა და ბათუ ოდიშარია საავადმყოფოში გააქანეს. თითქმის ათი დღე იწვა იქ დახუთულ პალატაში და შინ რომ დაბრუნდა, შუშაბანდში ნამწკრივებულ ორფუთიანებს ბრეზენტი გადააფარა უსაზღვროდ გახარებული მეუღლის თვალწინ.

მუდამ ბეერისადმი ავადმყოფურ ლტოლვას შემდეგშიაც ვერ ელეოდა, თუმცა სიმძიმეების აწევას საბოლოოდ გამოეთხოვა. მისთვის საერთოდ არ არსებობდა სიტყვები — —„ცოტა", „საკმარისი", „ნაკლები", „საშუალო", და ეს იყო ამქვეყნად მისი ცხოვრების უმთავრესი მრწამსი.

და აი, ასეთი ბუნების ადამიანი, ერთხელ, კვირა საღამოს, სრულიად შემთხვევით, როცა თავის ბუთხუზა ბიჭთან ერთად ქალაქგარეთ მდინარის ნაპირს სასეირნოდ დაუყვა, იონა ჯაშს გადაეყარა თევზაობისას და ისე მოიხიბლა ბადის სროლით, რომ დურგლის ყოველ მოძრაობას რეტდასხმულივით უყურებდა...

იმ დღიდან ბათუ ოდიშარიას ცხოვრება სხვა გზით წავიდა.

* * *

თავის სიცოცხლეში წამალი არ დაულევია იონა ჯაშს. თუ ღმერთი გაუწყრებოდა და ავად გახდებოდა, თეთრხალათიანი ექიმის დანახვას თვეობით ლოგინში წოლა ერჩია და, ბედს მინდობილი, მოთმინებით ელოდა გამოჯანმრთელებას. სიკვდილის ისე არ ეშინოდა, როგორც ნემსის ან რეცეპტიანი ბოთლის. მეექვსე კლასამდე დადიოდა სკოლაში, მერე სწავლაზე გული აიცრუა და მამამისის გზას გაჰყვა — დურგალი გახდა. მუდამ მშვიდს და პირმცინარს ყვირილი და ალიაქოთი ეჯავრებოდა; თავზე რომ ჭერი ჩამოენგრეოდა, მაშინაც კი ხმამაღალი სიტყვა არ დასცდებოდა. საშუალო ტანის ჩაკუნთული იონა ჯაში მხოლოდ მაშინ ჰკარგავდა წონასწორობას, თუ ვინმე გაბედავდა და შეურაცხყოფას მიაყენებდა. ასეთ დროს პირდაპირ აფთარს ემსგავსებოდა და მთელი ბანდა რომ მდგარიყო მის წინ, უკან არ დაიხევდა. არადა, იმდენად მორცხვი იყო, რომ როცა ნახელავს უქებდნენ, ბავშვივით წითლდებოდა. დურგლობა მამამისმა თავდაპირველად ძალდატანებით შეასწავლა, რადგან იონას ეზარებოდა მუშაობა, გულს ვერ უდებდა საათობით ფიცრების გაშალაშინებას თუ გარანდვას. გარდა ამისა, ძილი ისე უყვარდა, რომ დილით ადრე ადგომას სიკვდილი ერჩია. მერე მამა მოუკვდა და ოჯახის სიმძიმე მას დააწვა მხრებზე: დედა და ორი უმცროსი და უნდა ერჩინა. ეს იყო უმძიმესი წლები იონას ცხოვრებაში. დურგლობის გარდა არაფერი ეხერხებოდა და სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, მამის ხელობას გულით მოეკიდა. მერე ბედმა ისეთი ცოლი არგუნა, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა: დამჯერი, მშვიდი, მოსიყვარულე, ხელსაქმის მცოდნე და თითით საჩვენებელი დიასახლისი. რამდენიმე წელში იონამ კარგი ხელოსნის სახელი გაითქვა, ოთხი შვილის მამა გახდა და მის ოჯახს სიხალისე და სითბო შეემატა. საერთოდ ზანტი კაცი იყო, პატარა ფანჯრის ჩასმას თითქმის ორი დღე უნდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ მის ნახელავზე ყველას თვალი რჩებოდა. ცოლს იშვიათად გამოელაპარაკებოდა, უფრო დილით, როცა შვილები ძილს უფრთხობდნენ. მაშინ იონა თავს რამდენჯერმე გადააქნევდა და ლოლას (თავის მეუღლეს) ძლივს შესამჩნევი საყვედურის კილოთი ეტყოდა:

— ავდგები მაშინ, რახან არ მაძინებთ; აბა რა ვქნა.

ერთადერთი პერანგი რომ ჰქონოდა და ვინმეს ისიც ეთხოვა, გაიხდიდა და ჩააცვამდა. ყველაზე მეტად ისეთ კაცს სცემდა პატივს, ვისაც დიდი და გრანდიოზული საქმეების საკეთებლად თავის გადადება უაზრობად მიაჩნდა. საერთოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ ფულის ყადრი არ იცოდა, მით უფრო, შენახვა ან დაგროვება. ცოლის დიდი რიდი ჰქონდა და, ალბათ, მისი ხათრით იპარსავდა ყოველ დილით წვერს და კვირაობით აბანოში დადიოდა, თუმცა კი ერთიც ეზარებოდა და მეორეც. არ უყვარდა სტუმრად წასვლა და აქეთ-იქით ხეტიალი; სამუშაოს რომ მორჩებოდა, შინისკენ გასწევდა, მადიანად ივახშმებდა, შვილებს (ოთხივე ბიჭი ჰყავდა) სათითაოდ ლოყაზე ხელს მოუთათუნებდა, ცოტა ხანს თა-

ვისთვის ჩხირკედელაობდა, ვატას წოვით ამშვენებოდა (ეს იყო მისი ერთადერთი გასართობი) და დასაძინებლად წვებოდა. ცხოვრებაში მტრად ვინმე არასდროს მოკიდებია. მაგრამ მუდამ პირმომღიმარს ხომ ხედავდნენ, ბრიყვად თვლიდნენ და მხოლოდ კარგი ხელოსნობისთვის სცემდნენ პატივს. ზოგი კი შეუბღვერადაც ნათლავდა ალბათ, ამის გამო არც თუ იშვიათად მარტივ კითხვებს უსვამდნენ გამოსაცდელად. იონა, რა თქმა უნდა, ხუმრობად ღებულობდა ყოველივე ამას და მაინც განუმეორებელი ღიმილით შეჰყურებდა. ვერაფრით ვერ წარმოედგინა, თუ მის გონებაჩლუნგობაზე ეჭვობდნენ! ეს რომ დაეჯერებინა, დაბადებას აწყევლინებდა ყველას! არადა, ძვალ-რბილში გამჯდარმა განუმეორებელმა ღიმილიანმა გამოხედვამ რამდენჯერმე დიდ უხერხულობაში ჩააგდო. ერთხელ აივნის შეკეთებას შეპირდა მეზობელს. როცა მუშაობას უნდა შედგომოდა, აღმოჩნდა, რომ სარდაფში დამწყობილი ხის მასალა წინა ღამით გაექურდათ ქურდებს. ეს რომ შეიტყო იონამ, სახეზე უფრო მეტად მოეფინა ღიმილი და ტილოს ხელსაწყოთა ზურგზე მოიგდო.

— რას იღიმები ამხელა კაცი, — მიაძახა გაცეცხლებულმა მეზობელმა, — ქურდს ნატამალი ხომ უნდა გქონდეს! გამძარცვეს და გამაუბედურეს და შენ იღიმები?

იონას გული ატკინა ამ სიტყვებმა, სახეზე ღიმილი გაუქრა და ნირწამხდარმა უხმოდ დატოვა გაბოროტებული მეზობლის სახლი.

პირველი ბიჭი რომ შეეძინა, იმ წელს, მძახლებს გაუმასპინძლდა როგორც შეეძლო და სადგურზე გაჰყვა გასაცილებლად. როცა მატარებელი ჩამოდგა, გაახსენდათ, რომ ბილეთები შინ დარჩენოდათ. უკან დაბრუნების და მოტანის დრო კი აღარ იყო. მუდამ აუღელვებელი იონა ღიმილით შეჰყურებდა თითქოსდა დასაღუპავად განწირულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ მძახლებს, რომელთაც შეცხადებამ და ვაიუშველებელმა რა არ ათქმევინა მოსეირე ხალხს. იქვე მდგომი სადგურის მორიგე დაეჭვებული უყურებდა აურზაურის ამბებს. ამ გაჭირვებაში მძახლებმა მომღიმარ იონას რომ შეავლეს თვალი, უფრო მეტად აყვირდნენ, მიცვივდნენ და ლანძღვა დაუწყეს. მათი შემყურე მოსეირე ხალხი ათასგვარ ჭორს თხზავდა... ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ კონდუქტორის წყალობით ორი თავისუფალი ადგილი გამოძებნა კუპეში და მძახლები გაოგნებულ იონას პირზე კოცნით გამოეთხოვნენ.

ერთხელ ვიღაც ფამფალა ქალს კისერზე შემობმული ღვედით უზარმაზარი ნაგაზი გამოეყვანა ქუჩაში სასეირნოდ. გვიანი საღამო იყო და იონა სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა. ძაღლს ორი მეტრიკი წამოეწია, ერთ-ერთმა მოფერება დაუპირა და ზურგზე ხელი მოუთათუნა. ნაგაზი დაფრთხა და უცხოს შეუღრინა. მეტრიკმა იუკადრისა ეს და ძაღლს მუცელში წიხლი ჩაუზილა. ნაგაზი ქალს ღვედიანად ხელიდან დაუსხლტა, მეტრიკს ყელში სწვდა და ჯიჯგნა დაუწყო. შორიახლო ვიღაცამ წამოიყვირა. განსაცდელში ჩავარდნილ მეტრიკს მეგობარი მიეშველა და ძაღლს ფერდებში გამეტებით წიხლები დაუშინა. ახლა მას სწვდა აფოფრილი ნაგაზი, იმავე წამს მიწაზე დასცა და ისევ ძველ მტერს მიუბრუნდა. თვალებად ქცეული ფამფალა ქალი ამაოდ ეძახდა გაცოფებულ ძაღლს. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ დაჭმულ-დაფლეთილმა მეტრიკებმა იკადრეს გაქცევა და უკან მოუხედავად ქუჩა გადაჭრეს. იქ კი იონა იდგა მომღიმარი სახით და თავს ოდნავ აქნევდა აქეთ-იქით. მეტრიკები შედგნენ, იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს და შარვლების ფერთხვა იწყეს. დროდადრო უკან იხედებოდნენ და ფამფალა ქალს, რომელსაც ღვედი უკვე ხელებში ჩაებღუჯა და ძაღლს თავისკენ ექაჩებოდა, ლოცვა-კურთხევას უთვლიდნენ. მერე იქვე მდგომი იონა რომ შენიშნეს, მისი ღიმილი დაცინვად მიიღეს და დაუმორჩილებლები მუშტებით

მიცვივდნენ, ძაღლის ჯაჭვი რომ მასზე ეყარათ. ყილაყამ ისევ წამოიყვილა შორიახლო... და იონა ჩალურჯებული თვალებით დაბრუნდა შინ, თუმცა, არც თვითონ დარჩა ვალში მეტრიკების. ლილა დამბლადაცემულივით მისჩერებოდა ქმარს და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

თავისი განუშორებელი ღიმილის წყალობით იონა ხშირად ჩავარდნილა მსგავს ფათერაკებში, მაგრამ იგი მაინც პირმცინარი დაიარებოდა ამქვეყნად, თითქოსდა რაღაც დიდი სიბრძნე იცოდა და არავის უმხელდა. თუმცა, შემთხვევაც არ ყოფილა ვინმესთვის ჭკუა დაერიგებინოს.

მესრით შემოვლებულ ბაღჩიან პატარა ეზოში მამისგან დატოვებული, ალაგ-ალაგ შელესილი ოროთახიანი აგურის სახლი ედგა, ისეთი, ერთი შეხედვით რომ ბარაყს წააგავდა. დურგალ იონას ფიქრადაც არ მოსვლია ბინის გადიდება თუ გაფართოება, რადგან მიაჩნდა, რომ რაც ჰქონდა, საკმარისი იყო მისი ოჯახისთვის. საერთოდ, ზედმეტს არაფერს ითხოვდა, ჩასაცმელი იქნებოდა თუ დასახურავი. სადურგლო ხელსაწყოებიც კი თითო-თითო ჰქონდა. მეზობლები თუ ნაცნობები ხელოსნები მამის დანატოვარ სახლზე ოთახების წამატებას რომ ურჩევდნენ (ლილას, რა თქმა უნდა, ბინის გაფართოებაზე სიტყვაც არ დასცდენია), იონა მხრებს იჩეჩავდა მხოლოდ. „რაც მაქვს ხომ მყოფნის, მეტი რათ მინდა“, — ფიქრობდა იგი და სახლს მეშტრის თვალით შეხედავდა. ის კი არადა, პატარა სამზარეულოს მონჯღრეული კარის გამოცვლაც ზედმეტად მიაჩნდა.

რახან ერთი საათის საქმეს მთელ დღეს ანდომებდა და სახლის ნაცვლად ქოხმახი ედგა, ზარმაცი შეარქვეს. „რაც მაქვს ხომ მყოფნის, სხვებმა რა იციან ჩემი ოჯახის საქმე“, — ხშირად ფიქრობდა პირმომღიმარი იონა და მშვიდად მიაბიჯებდა წუთისოფლის შარაგზაზე.

— შენისთანა ხელოსანს ქოხი კი არა, სასახლე უნდა ედგას. ნუ იზარმაცებ და იცხოვრებ ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ, — ჭკუას არიგებდა ევნატე ხომერიკი.

„მე მეტი არ მჭირდება“, — გუნებაში ედავებოდა იონა მასწავლებელს და თავს ისე იჭერდა, თითქოს არც ესმოდა ნათქვამი.

— ოქროს ხელი გაქვს, მართალია, მაგრამ ძალიან ნელა მუშაობ. მე თუ მკითხავ: ყველაფერში ზარმაცი როგორ უნდა იყო, — დამრიგებლური ტონით ეტყოდა ზოგჯერ ევნატე.

„რა უჩქარება ამ ხალხს, ერთი გამაგებინა“, — ფიქრობდა თავისთვის იონა და მხრებს იჩეჩავდა. გარჯა და შრომა არ აკლდა და მაინც ქვეყანა ზარმაცს ეძახდა! იონას სწყინდა ეს და თან უკვირდა კიდეც, რადგან ვერ ხვდებოდა, რას უსაყვედურებდნენ. „რაც მაქვს, სამყოფი მაქვს და ზარმაცს რატომ უნდა მეძახოდნენ? ცუდან ხომ არ ჩამოცვენილა ჩემი სახლი და კარი“, — გუნებაში თავს იმართლებდა იგი.

ეჯავრებოდა, როცა ჭკუის სწავლებას დაუწყებდნენ, თვითონ კი არასოდეებით სხვის საქმეში ცხვირს არ ჩაყოფდა.

მერე შვილი რომ შეეძინა, იმ წელს, ევნატე ხომერიკის ბადით თევზაობას მოჰკრა თვალი შემთხვევით და მას შემდეგ მისი ცხოვრება გახალისდა და გაცოცხლდა. მაგრამ ბედმა ასეთ ადამიანს შეახვედრა, რომელთანაც წყნარი საუბარიც სანატრელი გაუხდა! სხვა თუ არაფერი, წარამარა ევნატე ხომერიკის ჭკუის დამრიგებლური სიტყვების მოსმენა არც სულ მთლად ეთილებოდა. არადა, ბადის სროლა ისე შეეყვარდა, რომ მზად იყო, უარესიც აეტანა.

თავის სიცოცხლეში არაფერი უძებნია იონა ჯაშს, მშვიდად, უხმაუროდ, ღიმილით მიაბიჯებდა წუთისოფლის შარაგზაზე და სხვათა ფაციფუცს არასდროს აჰყოლია. პატარაობიდან ერთი უცნაური ჩვევა აეკვიატა: რა გზითაც სახლიდან წავიდოდა სადმე, შინ იმავე გზით უნდა დაბრუნებულიყო უსათუ-

რდა. იონას კი პატარა, მყუდრო ქოხი ჰქონდა სასიარულოდ ამოჩემებული. ამ ახირებამ რამდენჯერმე დიდ უსიამოვნებაში ჩააგდო, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. ერთხელ, ზამთარში, გვიან საღამოს, სამუშაოდან რომ ბრუნდებოდა, ორი შეიარაღებული ბანდიტი დახვდა და აივნის შეკეთებაში აღებული ფული წაართვეს (შებრძოლება, რა თქმა უნდა, უაზროდ ჩათვალა). იგივე შეემთხვა მომდევნო გაზაფხულზე. ერთი წლის შემდეგ ბანდიტებმა ახალთახალი ჩექმები წაგლიჯეს ამოჩემებულ ქოხზე... და იონა მაინც იმავე გზით დაიარებოდა შინ.

უსწავლელობა თუ უწიგნურობა არ ესირცხვებოდა, მაგრამ ჯიუტი და თავმოყვარე იყო. სხვისი რჩევა მხოლოდ მაშინ ეთაკილებოდა, როცა იცოდა, რა ეკეთებინა.

— მიიხედ-მოიხედე ირგვლივ და დააკვირდი ხალხს, — დამრიგებლური ტონით ეტყოდა ეგნატე ხომერიკი, — თავი ისე გიჭირავს, თითქოს სოლომონ ბრძენი იყო. ადამიანს როცა გაუჭირდება, გვერდით მდგომს ჰკითხავს ჭკუას. ასეა წესი. ჰოდა, ცოტ-ცოტა ჩვენც გაგვეგება რაღაც ამ ქვეყანაზე. თუ რამე რჩევა დაგჭირდა, მკითხე მე, ნუ მოშერიდები. გამრავლების ტაბულა არ იცი და ჭკუის სწავლება გესირცხვება! ხომ ხედავ, იმ ქოხზე სიარულმა რა მოგიტანა. სხვა გზით იარე, სანამ დროა. დამიჯერე მე.

— კაცმა ყველაფერი უნდა იცოდეს ამ ქვეყანაზე, — ასწავლიდა ბათუ ოდიშარია, — მე, სხვა თუ არაფერი, სიმღერის მაინც გამეგება ცოტა რაღაც. ვიღაც გადამთიელებისთვის მისწავლებია მრავალჟამიერი და შენ, თუ მიკადრებ, არ დაგზარდები.

— ფული უნდა დააგროვო, ფული, — ურჩევდა ზაზა მენაბდე, — რა იცი, სად და როდის დაგჭირდება. სხვისი იმედით ჩემმა მტერმა იცხოვროს! უფულობა ჩემზე უკეთ ვინ იცის რა არის; ამის გამოცდილება მაინც მაქვს. გასაჭირში რომ ჩავარდე, ლოცვა-კურთხევა არ გიშველის, იცოდე.

შორი უცხო იყო მისთვის და თუ ვიღაც-ვიღაცების მეფურ ცხოვრებაზე ჩამოუგდებდნენ სიტყვას, იონა მომჩივანთა ხათრით თავს აქეთ-იქით გააქნევდა და საქმეს მიუბრუნდებოდა. ჭორი და ამქვეყნის ავკარგზე ლაქლაქი ჭირის დღესავით ეჯავრებოდა. მერე და მერე, როცა მხარზე გადაკიდებული ბადით ეგნატე ხომერიკთან და მის ძმებთან ერთად დაიწყო ხეტიალი, უფრო ხათრიანი და დამთმობი გახდა..

თუმცა, იონა მაინც თავისი გზით დაბიჯებდა ამ ქვეყანაზე და სხვების შეგონებებსა თუ ჩიჩინს ყურს არ უგდებდა.

* * *

ერთ ზამთარს, დიდთოვლობისას, სათევზაოდ აღარ წასულან ძმადშეფიცული მებადურები. თითქოს მთა და ბარი გასწორდა, ისე იყო გადათეთრებული ველ-მინდვრები. დრო და დრო ქარბუქიც ამოიჭრებოდა დღისით თუ ღამით. მეტი თუ არა, სამიში იყო იმ ზამთარს წელამდე თოვლში სიარული. სხვა რაღა გზა ჰქონდათ, მოწყენილები ისხდნენ შინ ბადის სროლას დანატრებული ძმები და მოთმინებით ელოდნენ იმ დღის დადგომას, როცა სათევზაოდ გასწევდნენ შეგულებული ადგილებისკენ. როგორც იქნა, ამ დრომაც მოაწია. ადრიან გაზაფხულზე ხშირ-ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს სალაპარაკოდ. დიდი შეხლა-შემოხლისა და წაკინკლავების შემდეგ, შაბათი დღე ამოირჩიეს და მზადებას შეუდგნენ.

იმ საღამოს იონა ჯამში შეღამებამდე ქემსავდა თვალჩავარდნილ ბადეს.

მთასა და ბარში ჯერ კიდევ დიდი თოვლი იდო.

* * *

როგორც დათქმული ჰქონდათ, უთენია ეგნატე ხომერიკის პალატში შეიკრიბნენ ბადეებით და ზურგჩანთებით. ყველას გამონასკვული ყურებიანი ქუდები ეხურათ, ეცვათ თბილი ქურთუკები და გრძელი რეზინის ჩექმები. ჯერ კიდევ ბნელოდა, ეზოდან რომ გადიოდნენ. წინა ღამით მოეყინა და მშრალ თოვლს ხრაშახრუში გაჰქონდა. ოდნავი

ნიავიც არ ქროდა. ცაზე აქა-იქ ვარსკვლავები კიაფობდნენ. ისეთი სიცივე იყო, სიბალისეს და სიმხნევეს რომ მატებს მგზავრს. გადათეთრებულ მიწაზე ოთხი სილუეტი ერთმანეთის მიყოლებით მიაბოტებდა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ, შორს, აღმოსავლეთით, ცა ოდნავ შეთეთრდა.

ყველაზე წინ ევნატე ხომერიკი მიაბიჯებდა თავაწეული, უკან დევური აღნაგობის ბათუ ოდიშარია მისდევდა. შემდეგ წოწოლა ზაზა მენაბდე მიდიოდა მობუზული და ბოლოს — იონა ჯაში. დიდი მინდორი მეხლამდე თოვლში გადაჭრეს, რომ გზა შეემოკლებინათ. ცაზე ვარსკვლავები გაქრა და სილუეტებიც თანდათან გაფერმკრთალდა. როცა გზაჯვარედინთან გავიდნენ, შეჩერდნენ და იქაურობას თვალი მოავლეს. უკვე ნათელი იდგა. მოკრიალებულ ისეთ ცაზე მალე ამოიწვერებოდა მზე.

მეზადერების წინ, პირდაპირ მიმავალი გზა ხეობაში ჩადიოდა, მარცხნივ — თავთხელ მდინარისკენ, მარჯვნივ — პატარა ტბისკენ, ხოლო უკან — დიდ მაგისტრალს უერთდებოდა.

ცოტა სული მოითქვეს, მხარზე გადაკიდებული ბადეები შეისწორეს და ზურგჩანთები მოიწესრიგეს. მერე აქეთ-იქით იწყეს ყურება: ვერ გადაეწყვიტათ, რომელ გზას დადგომოდნენ.

— ჩემის აზრით, პირდაპირ უნდა წავიდეთ, — თავი მაღლა ასწია ევნატე ხომერიკმა და ხელი წინ გაიშვირა, — უფრო მალეც ჩავალთ მდინარეზე და სასიარულოდაც იოლია.

— არა, მგონი აჯობებს მარცხნივ ჩავუხვიოთ, — ამოილუღლა ბათუ ოდიშარიამ, — აქედან უფრო მოკლეა გზა.

— უკეთესია მარჯვნივ ვიაროთ, — ძლივს გასაგონად ჩაილუღლუღა ზაზა მენაბდემ, — ტბას შემოვუვლით და მერე იქიდან ჩავალთ ჭალაში.

იონა ხმას არ იღებდა, იდგა თავისთვის და ოდნავ მოღიმარი სახით გზას გაჰყურებდა. უნებურად მას მიაჩერდნენ ამის იმედით, რომ თავის აზრს ისიც გამოთქვამდა. მაგრამ იონა ხმის ამოღებას არ აპირებდა. ევნატე ხომერიკი უცებ წამოენთო და გამაღიზიანებლად მომღიმარ დურგალს დამცინავი ტონით უთხრა:

— თავს თუ გაგვიყადრებ, გვირჩიე, რომელ გზას დავადგეთ.

— სულ ერთია, — გულუბრყვილოდ უპასუხა იონამ, — ბადე ყველგან შეიძლება ვესროლოთ.

— ნამდვილად? — თითქოსდა გაიოცა ევნატე ხომერიკმა.

— კი, — თქვა იონამ, — აბა, თევზისთვის არც ერთი არ ვიკლავთ თავს.

ევნატემ ხელები გაშალა და ბათუ ოდიშარიას იმედდაკარგული თვალებით ისე მიაჩერდა, თითქოს შველას და თანაგრძნობას მისგან მოელოდა.

— ბადეში რომ თევზი აფართხალდება, ის მაინც სხვაა, — ისევ ჩაილუღლუღა ზაზა მენაბდემ.

— გესმის?! — უყვირა ევნატემ იონა ჯაშს და ნიშნისმოგებით ხმადაბლა დაუმატა, — ახლა რაღას იტყვი.

— კი, ბატონო, ჩემთვის სულ ერთია, — თავისას მაინც არ იშლიდა დურგალი.

მოთმინებადაკარგულმა და გაწიწმატებულმა ევნატემ თოვლს ფეხებით ბეკნა დაუწყო და საკუთარი ბედ-იღბალი დაწყევლა. მერე იონას მომაკვდინებელი მზერა ესროლა, თვალები მოჭუტა და დამარცვლით ჰკითხა:

— უკან მიმავალ გზას ხომ არ დავადგეთ, შენის აზრით!

— რა ვიცი, ისეც შეიძლება, — წყნარად უპასუხა დურგალმა და მხრები აიჩეჩა.

— არა, მე დღეს სახლში გაფშეკილს მიმიტანენ ნამდვილად! — წამოიყვირა ევნატემ და ბათუ ოდიშარიას და ზაზა მენაბდეს მოავლო თვალი.

— საინტერესო რაა, — მშვიდად ჩაილაპარაკა იონა ჯაშმა, — რომელი გზითაც გინდათ, იმ გზით წავიდეთ.

ეს უკვე მეტისმეტი იყო და გულგაცეცხლებულ ევნატეს ხან ბათუ ოდიშარია აწყნარებდა და ეფერებოდა, ხან — ზაზა მენაბდე.

მერე ენებათიელევა დაცხრა, რო-

გორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე და ოთხივე მხარეს მიმავალი გზის ავ-კარგობაში არწმუნებდნენ ერთმანეთს. მხოლოდ იონა ჯაში იჩეჩავდა მხრებს ისევ.

დიდხანს იდგნენ ასე გზაჯვარედინზე და წრიალნენ, საით წასულიყვნენ...

ბოლოს, რაღა თქმა უნდა, ისევ ეგნატე ხომერიკმა გაიტანა თავისი, ადგილიდან დაიძრნენ და პირდაპირ გასწიეს. აქ, ხეობის ბოლოში, სადაც მდინარე მკვეთრად უხვევდა, ბადის სასროლი ადგილები ეგულებოდათ. მოყინულ თოვლში ალაგ-ალაგ ფეხი ეფლობოდათ და სიარული უძნელდებოდათ. როცა ფერდობს დაუყვნენ, მზეც ამოვიდა და ცა უფრო ლურჯი გახდა. მდინარე უკვე კარგად მოჩანდა აქედან. თოვლის თვალისმომჭრელი სითეთრე ძნელად სამზერს ხდიდა ფერდობებს. მალე დათბა კიდეც და სიარული უფრო გაჭირდა.

— კაცისას ვინ რას გაიგებს, — წამოილაპარაკა უცებ ზაზა მენაბდემ და მოკრძალებულ ლურჯ ცას წამით ახედა, — ისე ცხოვრობს, თითქოს არასოდეს მოკვდება.

არავინ უპასუხა, თუმცა ყველამ გაიგონა ნათქვამი.

— ეჰ, სისულელეა ყველაფერი, — ჩაიბუზღუნა ზაზა მენაბდემ და მის წინ მიმავალ ბათუ ოდიშარიას უზარმაზარ ნატერფალს შეავლო თვალი.

— რათ, რათ? — ისე იკითხა ეგნატე ხომერიკმა, რომ უკან არ მოუხედავს.

— ერთი ბრძენის ნათქვამი მომაგონდა, ციხეში მაქვს განაგონი განათლებული ხალხიდან, — ხმამაღლა თქვა ზაზა მენაბდემ.

— რათ, მაინც, რა გითხრა ასეთი, — გამოსძახა ეგნატე ხომერიკმა.

— სრულიად უბრალო რამაა საჭირო, რომ ხალხმა ერთმანეთი არ დაჭამოსო.

— რა არის ასეთიო, იმ ბრძენმა, — ახლა უკან მოიხედა და აგდებული ტონით იკითხა ეგნატე ხომერიკმა ისე, რომ ნაბიჯი არ შეუნელებია.

ბათუ ოდიშარიას უკვე ისე დაცხა, რომ ქუდი მოიხადა და ქურქი შეიხსნა.

— რაო და, ყველამ, ქალმა თუ კაცმა, გაღვიძებისას საკუთარ თავს უთხრას, რომ ეს ჩემი უკანასკნელი დღეა და ამ რწმენით გაატაროს მთელი სიცოცხლე; ასე რომ ცხოვრობდეს ყველა, შურისთვის და სამტროდ ვეღარ მოიცლიანო.

ეგნატე ხომერიკი შეჩერდა, მთელი ტანით შემობრუნდა, თავი ოდნავ გვერდზე გადააგდო, თვალები მოჭუტა და გაქვავდა. შედგნენ მის ნაკვალევს მიმდევარნიც. არც ერთი ხმას არ იღებდა.

— რათ, რათ? — ახლა მეორე მხარეს გადააგდო თავი ეგნატემ, კისერი წაიგრძელა და ზაზა მენაბდეს გამოხედა, — ასე რომ იყოს, იმავე დღესვე დაღამებამდე ამოვჟლეტავდი ჩემს მტრებს! გესმის რაც გითხარი? ასე გადავცე იმ შენს ბრძენს! — მერე შებრუნდა, ზურგჩანთა შეისწორა, თავი მაღლა აიღო და გრძელი ნაბიჯით განაგრძო გზა.

იონა ჯაში ღიმილით მისჩერებოდა ზაზა მენაბდის კეფას.

ბათუ ოდიშარიამ გადაიხარხარა და ეგნატეს კვალში მიჰყვა.

— ეჰ, რა უნდა ელაპარაკო ასეთ კაცს, — ჩაიბუზღუნა ზაზა მენაბდემ და ადგილიდან დაიძრა.

— მე თუ მკითხავთ, უბრალოს ნათქვამი არ უნდა იყოს ეს, — წინ მიმავალთ გასძახა იონამ და ნელი ნაბიჯით აედევნა.

— მოდი ახლა და ყველას წერა-კითხვა ასწავლე! — წამოიძახა კარგახნის შემდეგ ფიქრებში წასულმა ეგნატემ და თავი მწარედ გააქნია, — დასწყევლოს ღმერთმა, რას არ გაიგონებს კაცი.

ფერდობს დაუყვნენ, ფეხი უფრო ღრმად ეფლობოდათ თოვლში. ბათუ ოდიშარიას დაღლა დაეტყო, ახლა ტახტზე წამოწოლა ყველაფერს ერჩია, მაგრამ ამის გამხელას ვერ ბედავდა და კიდეც ესირცხვებოდა. ზაზა მენაბდე მხნედ გამოიყურებოდა, იმ წუთებში რატომღაც პატიმრობის წლები აგონდებოდა და დროდადრო თავს აქნევდა. წინ მიმავალი ეგნატე ხომერიკი ტუ-

ჩებმოკეტილი ფიქრებში ვიღაცას გაგულისებით ეკამათებოდა. ირინა ჯაში პირმომღიმარი ჩადიოდა ფერდობზე და თავისი ამორჩეული გზა ედგა თვალწინ, სადაც ბანდიტებმა რამდენჯერმე გაძარცვეს.

ფერდობი რომ ჩაიარეს, ეგნატე ხომერიკი შეჩერდა, შედგნენ დანარჩენებიც და ხეობაში გაწოლილ მდინარეს გახედეს. უკვე ისე დათბა, რომ ქურთუკებით წამოსვლას ნანობდნენ.

— მუხლები ხომ არ დაგასვენოთ ცოტა ხანს, — გამბედა და ნაფიქრალი ხმამაღლა თქვა ბათუ ოდიშარიამ.

— შეიძლება, კი, — დიდსულოვნად დაეთანხმა თავადაც დაქანცული ეგნატე ხომერიკი და, ჩამოსაჯდომი ადგილი რომ შეერჩია, ირგვლივ მიმოიხედა.

შორიახლოს მკვეთრად ჩაჭრილი ფლატე დაინახა, ისეთი, ზურგის მისაყრდნობადაც რომ გამოდგებოდა და იქითკენ გასწია. ის ადგილი დანარჩენებსაც მოეწონათ და უკან აედევნენ. ზურგჩანთებით და მხარზე გადაკიდებული ბადეებით ფეხი ისე მოიყარეს ფერდობის ძირას, რომ ზურგით დათრელილ ფლატეს მიეყრდნენ.

დედამიწის ლურჯი და ყამყამა ცა დაჰყურებდა. თითქოს სიმყუდროვე და სიმშვიდე ეფინა მთის გადათეთრებულ ფერდობებზე.

რამდენიმე წუთს უხმოდ ისხდნენ და იქაურობას თვალს ავლებდნენ. შორს, თეთრი მთის ფონზე ცა კიდევ უფრო ლურჯად მოჩანდა.

გაისმა ყრუ, მოგუდული, უცხო, თითქოსდა ფარული გუგუნი და წამით ისევ სიმყუდროვე გამეფდა. მეზადურებმა უნებურად ლურჯ ცას ახედეს. გუგუნი ისევ განმეორდა, თანდათან ახლოვდებოდა და მიწიერი ხდებოდა. მერე ამ ყრუ, მოგუდულ ხმაურს თითქოსდა თეთრი მთა აედევნა და დაბლა დაქანდა. თოვლის ზვავი იმ ფერდობისკენ მიგრიალებდა, სადაც მეზადურები ისვენებდნენ... გამაყრუებელი გრუხუნის ექო ხეობას მისწვდა და მერე ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა.

მათი გვამები რომ იპოვნეს, ისევ ისე, მთის ფერდობს ზურგით მიყრდნობილები ისხდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ნარსია

## სხვა რამ ყველაფერი ზღაპარია

შვილთა სიცოცხლე
რომ მაბარია,
სხვა რაღაც თითქოს ზღაპარია...
ირგვლივ სამშობლოს მთა-ბარია,
და მდელოაც ვიღაც თხაპარია.
ადრე წამოვსულვარ ვარდობიდან,
თითქოს ძლიერი და მამაცი ვარ...
წუხელ მომავალზე ვდარდობდი და
უცნაურად ტანში გამაცივა.
ველნი პირბადეებს იფარებენ,
რაღაც ჩვეული იპარება...
სადღაც ადრეულად მიბარებენ,
სული ტკივილებით იფარება.
მგონი სალამურებს უკრავენ და
ეჭვი ამოხეთქავს დამალული...
ფიქრი გამხდომია უკარება,
ჰოდა, რაღად მინდა სალამური.
მიდის ეს სიცოცხლე ნება-ნება,
და წინ უფსკრული თუ ვულკანია...
ჩემი სინანული მენანება,
ნაღველს მთელი გული უკავია.
იქნებ ვარდობისთვემ გამახაროს,
მოდი,
ატრიალდი კამათელო...
თეთრი ღიმილით მსურს დაგალამო,
და ამგვარადვე გავათენო.
მოქრის თბილი სიოს მობრძანება
თითქოს სინათლეთა ბოძებია...
ყველანაირ დარდს მოკრძალება,
თუკი ეს დარდები მომძებნიან.
უფრო სხვანაირად ვიყონები,
დიდხანს იბოგინეს იმ ფლიდებმა...
გზაზე დავდგებოდი,
ვიფარებდი,
მაგრამ მგონი ნისლი იფლითება.
...გუშინ სულ სხვა სევდა ლაღანებდა,
დღეს კი სხვათა ბედი მაბარია...
იქნებ გადაცურდეს დალამება,
სხვა რამ ყველაფერი ზღაპარია.

## შიშველ თითებით...

შიშველ თითებით ნაღვერდალს ვჭეჭყავ
და ცოტა რამეს ვთხოვდი მაცხოვარს,
რომ ჩემმა შვილმა,
რომ ჩემმა ბექამ,
მადლობა მითხრას — ისე მაცხოვრა.
მომდის ღვარცოფი,
გრგვინვა და ჭექა,
დარდმაც თავისი დარდები მითხრა...
როგორც ფილტვები დაცხრილულის
ჭლექმა,
ისე დამცხრილა მამულზე ფიქრმა.
ასედაც ხდება:
თვალთონვე ვკუწავ,
იმ თბილ ოცნებას, რომელსაც ვარწევდე-
ამდენი ტანჯვით გავმტყდარვარ თუმცა,
უნდა გავუძლო,
წელშიც რომ გავწყდე.
ვიცი, კაცური სიცოცხლე რაც ღირს,
სხვაც რომ არ იყოს,
ეს მყოფნის დარდად...
არავითარი არ მრჩება განძი,
ტკივილისა და შვილების გარდა.

ვინ ვაზიარო ჩემეულ ტანჯვებს,
ალბათ არავინ დამიდგა მხარში...
ხომ შეიძლება უეცრად დავჭკნე,
ქვეყნად იმედნი ტკივილი ვხარშე.
ასე ვიყავ და ასე ვარ დღემდე,
სულ მიზნად მქონდა ცისაკენ ლტოლვა...
შევრჩი ბეჭებზე მოჭერილ ღვედებს,
გამწირა ყველა სწორმა და ტოლმა.
...გარეთ ყინვაა,
ხან თოვს და ხან წვიმს,
შიშველ თითებით ნაღვერდალს ვქექავ...
ჩემს ვაჟს ვუსურვებ
სიცოცხლეს ხანგრძლივს,
იქნებ კაცურად იცხოვროს ბეჟამ.

## ტაძარი კვეტერა

ვუძღვნი შოთა ლომსაძეს

შინდების მტევანი შემომემტვრა
და მაინც,
რძისფრად ჩანდა შორიდან...
ფეხზე ადგომით შემხვდა კვეტერა,
ჩემებრ მოყვარეს სად იშოვიდა?
ძმურად გავკარი
მხარზე მას მხარი,
მინდოდა მეთქვა სანუგეშო რამ...
და ვეღარ ვკადრე სიტყვა მასხარის,
რადგან ღვთის გმობა ძალზე მეშორა,
ბილიკზე იდო ჩრდილი იფანთა
და ვიდრე ღამე ჩრდილებს დაშლიდა...
ცას რომ შევხედე,
ცა პირს იბანდა
და ვერაფერმა ვერ დამამშვიდა.
ერთ დროს ტაძარი იდგა გულფიცხად,
გაბეზრებული სპარსულ ხალათით...
მერე დაკლდა ხელი უფლისა
და სძულდა, როცა იყო ლალატი.
არ დამხვედრია იგი უნდოთა,
ერთურთს გავენდეთ იმ სალამოსაც...
მას ტკივილისგან დაცლა უნდოდა
და ვერ შევიძელ უცებ წამოსვლა.
არაკაცთაგანს ვინმეს რას ეტყვი,
ან არაკაცთან სევდას რა უნდა?..
ასე გამომყვა ფიქრი ნასეტყვი,
იმ მარტოსულის ნაფე-ნაფედან.
თუ აცრემლება ან თუ დაცხება
უნდა ტევრობდეს ტევრი შელიანი...
თავი ჩაღუნეს ნორჩმა ცაცხვებმა,
ტირილი იყო — მათი შრიალი.
ვიდრე ჭრილობას გზაზე გავფენდი,
ეშმაკეული მდევდა ტყის ლანდი...
თავზე დამადგა ღრუბლის ნაფლეთი
და ცოტა შევცბი ბარში მისვლამდე.
ტანზე მოვისხი სუნთქვა სითია,
რადგან კვლავ ენთო ესე ტაძარი...
თუმცა მშიოდა,
თუმცა მციოდა,
ფიქრები სხვაგან ვერსად დავძარი.
...გული საგულეს ვეღარ მეტევა
და სამშობლოსთან ის მაქვს სადავო...
რომ მარტო დარჩა, ჩემი კვეტერა
და ჯავრი ჩემო,
სიდან სადაო?

## ნანაია, ვოი, ნანა

სული შფოთვას დაემგვანა,
მოთენთილი ვარ ამ თვეით...
ნანაია, ვოი, ნანა,
ქამი მადგას ჯალათივით.
მზე მაკლდება თანდათანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამტყდი, ვეღარ დავფრინე ლაღად–
უბეში მაქვს მჭრელი დანა,
უნდა შევაშინო დაღლა
ვიღაც მორბის,
ვიღაც გარბის,
კაცი მინდა ჭირშიც, ლხინშიც,
მითამაშებს ცალი წარბი,
გაწყდეს უჯიშოთა ჯიში.
ვეღარ ვგუობ კომპლიმენტებს,
მართალს ვარჩევ ჩემდა თავად...
გულის კარი მოვიკეტე,
ხშირად მიწევს ჭირთან დავა.
გავცქერ ეშელონის ბორბლებს,
ბორბლებივით ვეტრფი სრბოლას...
და მგონია,
ეს მე მომკლავს,
როცა სადღაც ისმის სროლა.
როცა ქარებს ეკვრით სუნთქვა,
გამწყვეტია ჯავრით ქანცი...
ზეცა მინდა,
ზეცა სუფთა,
არა ჯანღები და ქაცვი,
მოიმედეს ხვალის დღითა,
ფრენა მინდა ან ხვალ, ან ზეგ...
როცა ვინმე ცრემლებს ღვრიდა,
არასოდეს ვმდგარვარ განზე.
...კიდევ თუ მეწვევა დაღლა,
განა დავუჩოქებ, განა?..
კიდეც მოვისწრებდი ბაღნარს,
ნანაია, ვოი, ნანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ანთაძე

# ოქროს ტახტი

მოთხრობა

ბერი ექვთიმე:

„ქვეყნად იყო ერთი ყვავი და ის ყვავი მე ვიყავი", გაუთფიქრე ახლადგამოღვიძებულმა და იმავ წამს პირჯვარი გადავისახე, რადგან ამგვარ მკრეხელობას მაცდური ჩაგვჩურჩულებს ხოლმე, მას კი, როგორც ჩანს, ადამიანი სრულად ვერასოდეს განიშორებს.

ავდექ და აღვასრულე დილის ღვთისმსახურება. „დღეს განსაკუთრებით მოეთხოვება გონებას ჩემსას გარინდება და დავანება ნათლისა წიაღ, აკი დღეს უნდა გადავწყვიტო, გავხსნა თუ არა ქანდრიის გზისკენ მიქცეული სარკმლის დარაბა"-მეთქი, ვუთხარ უფალს, ხოლო ჩემს გლახაკ თავს ვერჩიე, „ალივსე-მეთქი სიმშვიდე სულით". სწორედ ასე ვთქვი და მივხვდი, უნებურად რომ შემცდა სიტყვათშეთანხმება, პირიქით უნდა მეთქვა, მაგრამ ეგებ სწორედ სიმშვიდე აღივსება სულით და არა სული სიმშვიდით. თუმცა სულერთია — მე ხომ ფილოლოგიურ ძიებებს ჯერ კიდევ მაშინ ვანებე თავი, როდესაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, უზენაესის მადლით, ჭეშმარიტ გზას დავადექ. არც ჩემი ორწლიანი მღვდლობისას გამომდევნებივარ სიტყვის გარეგან მხარეს, მხოლოდ კაცის ზნეობაზე ვწუხდი და მიმაჩნდა, რომ თუკი მოძღვარი ვიყავ, უნდა დამემოძღვრა კიდეც ერი. ქადაგებისას მუდამ დაურიდებლად განვაქიქებდი ყოველგვარ უწესობას, რასაც კი ირგვლივ ვხედავდი, არ ვერიდებოდი სიცხადეს და ზუსტ მისამართებს, სახელდებით ვიხსენიებდი ყოველ მოძალადესა და ღვთისმგმობს, ქურდსა და ავაზაკს, მექრთამეს და მემრუშეს იმისდა მიუხედავად, თუ რა თანამდებობა ეკავა ცოდვილს, რას ხელმძღვანელობდა ან რა უფლებებით სარგებლობდა. ვგონებ ოდნავ მაინც მოვახერხე სამწყსოს გამოფხიზლება, მაგრამ აღარ დამცალდა: ძირს დამცეს, გამთელეს, მგვემეს და გონს მომიყვანეს.

დღემდე არ ვიცი, ვინ იყვნენ ის დალოცვილები, შემთხვევით გზასშემოყრილი შარახვეტიები თუ წინასწარ შეთქმულნი ანუ ვინმე ჩემზედ განაწყენებულის მიერ მოგზავნილი შურისმგებელნი. ღამით ეკლესიიდან შინ ვბრუნდებოდი, უფანაროდ ვიყავი, გასაძარცვავად არა ვღირდი, ჯიბისა და ნაქსოვი ჯემპრის გარდა არა მქონდა რა, თუმცა არც არავის გაუძარცვივარ, უბრალოდ გადამეყარნენ — ექვსი თუ შვიდნი იყვნენ, ჩემი ხნის ხალხი, ახალგაზრდები — უმიზეზოდ ამიხირდნენ და ისე მცემეს, რომ იტყვიან, სიგრძე განად მომიქციეს, ხმა არ ამომაღებინეს, ხელი არ გამანძრევინეს,

წინათ შემდგნენ, მაწამეს, მაფურთხეს, სულით ხორცამდე შეურაცხმყვეს და თავიანთ არ დამანებეს, სანამ სრულმა წყვდიადმა არ მომიცვა.

მთელ თვეს უგონოდ ვიწექ საავადმყოფოს სარეცელზე. კიდევ მეტი დრო ჩემი დაგლეჯილ-დამტვრეული ძვალრბილის გამთელებას მოუნდა. საკუთარი მდგომარეობა ალბათ ვეშაპის სტომაქში დანთქულ იონას სასწაულად, ამქვეყნად ერთადერთ სასწაულად, რომელიც ცოცხალთათვისაა განკუთვნილი. ბევრი ვიფიქრე განკურნების დღეებში, ბევრიც ფიქრით განვიცადე და იმ დასკვნის ჭიშკართან მივედ, რომ ყოველგვარი სატანჯველი მხოლოდ ჩვენსავე სულშიბუდობს. მთელი ადამიანური წინააღმდეგობები, შეუთავსებლობები, ურთიერთგამომრიცხავი და შეუგუებელი სურვილები აქ იყო, ჩემს შიგნით. ხოლო სამყარო და მისი მოსახლე ადამიანები კეთილნი იყვნენ თავისთავად თუ არა, ჩემს მიმართ მაინც. ჩემი შეცდომაც აღმოჩნდა — ამქვეყნიური ცხოვრების ფრიად ალღუმში დაბნეული კაცის შეცდომა — სხვებს ვთხოვდი პასუხს, ნაცვლად იმისა, რომ ანგარიში მუდამ საკუთარი თავისთვის გამესწორებინა.

ტანით კი განვჯანსაღდ მაგრამ სული ჩამომიმდა, გამოფიტულიყო. ქვეყნიერება დაემსგავსა ცრიან ჰანგს, რომლის დაძაბულსა და მოწყენილ ბგერებს ექოსავით ეხმიანებოდა იდუმალ საკრავთა მომხიბვლავი ჰოვანება. დაცემა აღდგომის საწინდარი აღმოჩნდა, მაგრამ აღდგომა დაცემამდელი მდგომარეობის მსგავსი რომ ყოფილიყო, აღარ შეიძლებოდა. სამუდამოდ შემრჩა პირველი ცოდვით მოშინარე დაკარგული სამოთხის განცდა. მლოცველობას დავეხსენ, ბერად დავეყუდე მოსოფლის მონასტერში, სადაც ეს უკვე სამი წელია სრულ მარტოობაში ვცხოვრობ. უფლის წინაშე უმტკიცესი აღქმა დავდე, არასოდეს გავადგამ ფეხს აქედან და არც გამიდგამს, ეგ კი არა დამჭედილი დარაბებიც კი არ ავხსენი ერთადერთ სარკმელს, რომელიც ჭანდრის გზას გადმოჰყურებს, ჩავიკეტე გალავნით შემოსაზღვრულ მონასტრის სენაკებსა და ეზო-მიდამოში. გულის სიღრმეში ვიმედოვნებდი, „თუ ბედად მიწერია ამქვეყნიური ცხოვრება კვლავ შევეერთო, იგი თვით მომაგნებს, თავისი ფეხით მომაკითხავს და აქედან გამიყვანს"-მეთქი, მაგრამ სამი წლის მანძილზე მსგავსი არაფერი მომხდარა.

ამასობაში მეც დავმკვიდრდი მარტოობაში, გავძლიერდი.

ამიტომაც გადავწყვიტე დღეს დაფიქრება: იქნებ ჩამოვხსნა დარაბები ერთადერთ სარკმელს, რომელიც მონასტრის საერო სამყაროსთან აკავშირებს და რომლიდანაც მოჩანს ჭანდრის გზად ოდითგანვე ხმობილი, ხშირ ტყეში გაკლაკნილი, მაღლა მთისკენ მიმავალი ვიწრო შარაგზა.

ღირს?

იქნებ არ ღირს?

## თენგიზი:

იმ დღეს დილის ექვსი საათიდან მიწევდა ადამის სახლთან მორიგეობა. კიდევ კი, მანქანა წინა საღამოსვე წამოვიყვანე პარკიდან, დავეღრიჯე გარაჟის უფროსს, უთენია აქ ნუ მომათრევმეთქი, თუმანიც ჩავუჩურთე და გამომატანა. ძლივძლივობით ვიჯექი საჭესთან ამ უთენია, ვიდრე დანიშნულების ადგილს მივაღწევდი. საერთოდ, მუდამ უკმარისობის განცდა მიპყრობს ხოლმე დილაობით, გაღვიძებისთანავე, განსაკუთრებით თუ წამოსახტომი და გასაქცევი ვარ და ბევრახნით ნებივრობის საშუალება არ მაქვს. მტანჯველი და შემაშფოთებელია ეს განცდა — თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი გამომრჩენია მხედველობიდან და ვერ კი მივმხვდარვარ, რა წუხილი მღრღნის და რა მაშინებს. მინდა გავექცე ამ უცნაურობას, გასაქცევი კი მხოლოდ ერთია — ფიქრი. რადიოში ჰიმნის ჰანგები რომ აჟღერდა, ზუსტად ექვს საათზე, „ჟიგული" ერთი ცნობილი მხატვრის სახელოსნოს ჭიშკართან

გაეახეროე, ადამიას სადარბაზოს გასწვრივ და წამსვე ფიქრს მივეცი თავი.

თუმცა არც ჩემი მოვალეობა მავიწყდებოდა — თვალყური უნდა მედევნებინა ადამიას სადარბაზოში შემსვლელი ყოველი ძეხორციელისთვის და უბის წიგნაკში ჩამენიშნა. განსაკუთრებით სიფხიზლე მმართებდა, თუკი დგებუაძე გამოჩნდებოდა. ამ ანტისაზოგადოებრივი ელემენტის ფიზიონომიაც და მთლიანი პორტრეტიც ფოტოებიდან მქონდა გაზეპირებული და თუ თვალს მოვკრავდი, სასწრაფოდ უნდა მეცნობებინა ჩვენებისთვის. ასე რომ საქმე არ მაკლდა, თუმცა ეს ხელს არ მიშლიდა ფიქრს ხელიგნობაში ავყოლოდი, მეტადრე მაშინ, როცა ნაგვის მანქანა მოვიდა და ცნობილი მშატვრის ლამაზმა ცოლმა ჩამიარა ვედროთი. სანამ მიაქონდა ნაგავი, მისი გემრიელი თეძოებისთვის თვალი არ მომიშორებია, უკან რომ ბრუნდებოდა, საჭეზე თავი ჩამოვდე, ვითომ მეძინა, თან მალულად ვუთვალთვალებდი. ქალმა, როგორც ყოველთვის, იშვნეული მზერა მტყორცნა, მერე კი თავის ცარიელ ვედროს ისე ჩახედა, თითქოს ამოწმებდა, რაიმე ნაგვის ნამუსრევი ხომ არ ჩარჩა შიგო. გულში მეცინებოდა, ვინ იცის ამ ძუკნას ვინ ვგონივართ მე და ჩვენიანები, ასე ხშირად რომ გვხედავს თავისი ქმრის მახლობლად საეჭვოდ გაჩერებულ მანქანაში. ალბათ, ფიქრობს, ეს ბიჭი ქურდი და მამაძაღლიაო, რას წარმოიდგენს საბრალო ქალი, სწორედაც რომ პირიქითაა.

დაახლოებით ათის ნახევარზე ადამიას სადარბაზოში ვილაც კაცი შევიდა, დგებუაძეს ჰგავდა, მაგრამ დგებუაძე ნამდვილად არ იყო. თუმცა, რაღაც ჰგავდა, ალბათ ისიც კაი ძაღლიშვილი იქნებოდა. ჩემი თეორიით ამქვეყნად მობინადრეები რამდენიმე ქვესახეობად იყოფიან; ესენია ძუკნები, მამაძაღლები, ძაღლიშვილები, ძაღლის გაგდებულები და წესიერი ხალხი. უბრალო ჩამოთვლიდანაც ჩანს, რომ უკანასკნელნი შედარებით ცოტანი არიან.

რას იზამ?!

## ლადო:

ათ საათზე ჩვენი კარის მეზობლის, დოცენტ ადამიას კივილმა გამომაღვიძა. მწიგნობარი კაცია, ერთი სიმპათიური, მაგრამ ლოთი და ცდუნისმეოლია, ეტყობა. ყოველ დილით შემაზარზენი გოდებით იღვიძებს. ყვირილი! ღრიალი! რა არის ეს? ტკსინით მოწამლული ნერვული სისტემის კრუნჩხვა თუ დატყვევებულ-დათრგუნული სულის საიდუმლო ამოძახილი? თუ ორივე ერთად? „ნუ სვამ, ნუ კამ ამდენსო!" — ამის ძახილი უშვქის უბედურს? მაშ რა უშველის? ტკვა? სინანული? სიკვდილი?

ან შესაძლოა იცოდეს კაცმა, რა უშველის?

რაკილა გამომეღვიძა, დაძინება აღარც მიცდია. ლოგინშივე ვიცვალე ლენტუქა უკვე ამიარიყო და სამზარეულოში საქმიანობდა. მე სახე მტკიოდა. ამხელა კაც ლაწირაკების სახადი რომ დამემართა მეტის ღირსიც ვარ. ცოტა თავიც ბრუოდა, თუმცა შესაძლოა, ამის მიზეზი წითელი კი არა, წუხელ მირთმეული წითელი ღვინო იყო. მომშივდა.

— ლენტ! — გავძახე სამზარეულოში, —ის დავლევდი, რამე ნამცხვარსაც მაყოლებდი.

მთავარ სიმშვიდე და აუმღვრევლობა დაუდევ, რაღა თქმა უნდა, მთავარია სმე.

ბალიშიდან თავი წამოვყავი და მაგიდაზე ქემოსოფელში წასაღებად გამზადებულ ჩემს ნახაზებს შევხედე.

სა) არის ერთადერთი რამ, რაიც უნდ იყოს სხვა ყველაფერი, თუნდაც ლუკას საამო ფხაკაფხუკი ჩემს დასარეზლად, უნდა მიეკუთვნოს აუხსნელ-გაუგებარი სისულელის საყვარელ კატეგორიას, რომლის ინტერგრაციას არავითარი მნიშვნელობა არა ქვს არაფრისა და არარაისთვის. სუერნგვაცია, ტოტალური.

რა კარგია, რომ დღეს ქვემოსოფელში მივდივართ მე და ჩემი პატარა ლენუკა, ბაბუამისის მამულში, ძველ, მი-

ტოვებულ, დიდებულ სახლში, ათიოდე დღის გასატარებლად, მით უფრო, ჩემი საქმე — ჩემი ნახაზები მიმაქვს თან.

ოცდახუთი წლის ასაკში საყმაწვილო სენის — წითურას მოხდის შემდეგ გავიაზრე, რომ განვლილი მეოთხედი საუკუნიდან თვრამეტი წელი განათლების ოფიციალურ რიტუალს მივძღვნა. „ოფიციალურს" იმიტომ ვამბობ, რომ ართფიციალურად „სწავლა სიბერემდეო", ნათქვამია. მოდა, ერთხელაც ვიცვალე გვერდი თბილ ლოგინში და დავფიქრდი — მაინც რა ვისწავლე ამასობაში, რომელსაც სიცოცხლის უკეთესი წილი წარსულს მივაბარე? ფაქტიურად, ბევრი არაფერი. მოვიპოვე ჩვენს სინამდვილეში საკმაოდ გაუფასურებული უმაღლესგანათლებამიღებული კაცის ცენზი. ეს ასე ვთქვათ, საქმის ფორმალური მხარეა. ერთხელაც გადავკოტრიალდი საწოლში. ახლა, საკუთრივ შეძენილ საუნჯეზე ვთქვათ: რა შემიძლია? შემიძლია კარგად, გამართულად ხაზვა, მათემატიკური აზროვნების მეტნაკლებად პროფესიონალური მომარჯვებით, რაც, სამწუხაროდ, ბევრს არ შეუძლია...

— ლადო, ადე, პური მოიტანე! — სამზარეულოდან გამომძახა ლენუკამ.

### ლენუკა:

— ახლავე! ახლავე ავდგები! — მოპასუხა ლადომ.

მე სახელდახელო ნამცხვარს ვეცხობდი, თლონდაც თავად არ მიყვარს ტკბილეულით საუზმობა, ჩაის კარაქიანი ბუტერბროტი თუ არ შევატანე, ვერ დავნაყრდები, პური კი ნამცეცი აღარ გვქონია სახლში.

დღეს ქვემოსოფელში მივდივართ, ლადომ აიხირა, გინდა თუ არა, იქ რამდენიმე დღე ვიცხოვროთო. თავისი ნახაზებიც მოაქვს. მე მაინცდამაინც არ მიმიწევდა გული ცის კიდეზე მიტოვებული ძველისძველი ცარიელი სახლისკენ — ათი დღეც არაა, რაც საქორწინო მოგზაურობიდან დავბრუნდით, ქალაქი მომენატრა, მაგრამ რაკი ლადომ აიჩემა, მის ნებას დავყევი.

წუხელ, ეტყობა, მოსალოდნელი მგზავრობის შფოთვა შემიჩნდა — დიდხანს არ დამეძინა, მერე კი ბებია დამესიზმრა, პირველად დამესიზმრა, რაც აღარ არის... ბაბუა ხშირად დამსიზმრებია, ზოგჯერ სხვებიც — წასულები, რაც მუდამ მოლცებს, რადგან ძილში არ მავიწყდება, ცოცხლები რომ არ არიან, და ეს გრძნობა ერთდაიმავდროს ტკბილიცაა, საამოც, შემაშფოთებელიც და სასიხარულოც: ისინი იქ არიან, მე კი ბუნდოვან ძილში წყალობასავით მეძლევა ამქვეყნად სამუდამოდ მოსანატრებელი და მონატრებული უძვირფასესი ადამიანების ნახვის მცირე უფლება. ამგვარი სიყვარულიანი განცდა სხვა არაფრის მიმართ არ მქონია, თუ არ ჩავთვლით ამ ბოლო ხანს ქმრის ძლიერ სიყვარულს — ძალიან მიყვარს ჩემი ლადო, ახლა საწოლში რომ ნებივრობს და პურზე წასვლას აჭიანურებს.

გემრიელ ნამცხვარს ვეცხობ. პატარა ბავშვივით უყვარს ტკბილეული.

მაინც რა კარგად მოუფიქრე ჩვენს მამა-პაპისეულ სახლში წასვლა. ბავშვობის მერე იქ არ ვყოფილვარ. ბაბუამ იმ სახლში დალია სული. თბილისში რომ ჩამოასვენეს, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს წყინდა, ამხელა გზა რომ ჩამოატარეს და იქვე რომ არ მიაბარეს მიწას. ისე კარგს კი იზამდნენ — მაშინ აღარც მე ვნახავდი მიცვალებულს და მეხსიერებაში სულ ცოცხლად დამრჩებოდა, ისეთად, ბოლოს რომ ვნახე აქ სამი წლის წინ. მეცხრე კლასში ვიყავი, მოსანახულებლად რომ ჩამოვიდა.

ის ბოლო შეხვედრა არ მავიწყდება, ანდა რა დამავიწყებს, ისეთი თბილი და საყვარელი ამბავი მომითხრო:

„ბებიაშენი თბილისში გავიცანი, ერთ თვეში შეუყვარებიც მოვასწარი და ცოლად შევირთე. ზამთარში მოხდა ეს ამბავი და კარგა გვარიანად რომ გამოიზაფხულა, მშობლებთან წაყვანა გადავწყვიტე- ქვემოსოფლამდე ლინეიკით ვიმგზავრეთ და მთელი გზა მხიარულ

კორკორში გავატარეთ, მაგრამ ჩვენი სახლი-ხომ იცი სადაც დგას, მთის მწვერვალზე. სულ ზემოთ და იქამდე ხუთიოდე კილომეტრი კიდევ ფეხით უნდა აგვევლო. ბებიაშენის ნებიერი და ჭირვეული ხასიათი ხომ გახსოვს, პირდაპირ, ზუსტად ასი ნაბიჯიც არ გვექნებოდა გადადგმული, გამოშიცხადა — მე ამდენი ფეხით სიარული არ შემიძლია და არსადაც აღარ მივდივართ. ჩვენს სახლამდე რომ ბილიკი ადის, იმაზე მაშინ კი არა, ახლაც არანაირი ტრანსპორტი არ დადის. კარგი, გეყოფა, წამოდი-მეთქი, დაყოლიება დავუწყე, მაგრამ არა და არ გატყდა, რა აღარ მოიმიზეზა — ლეკებისა და დიდოების მეშინიაო. რაღა დროს დიდოობაა-მეთქი — მაშინ ყაჩაღებისა და ტერორისტების, ანდა ჟანდარმებისო. მაგათ აქ რა ესაქმებათ, შენ უბრალოდ ზარმაცობ-მეთქი. დიახაც, ვზარმაცობ, ფეხით სიარულს ჩვეული არა ვარ და ახლავე უკან, ქალაქში დავბრუნდეთო. ეგებ ჩემს მშობლებთან შეხვედრისა რცხვენოდა ახალრძალურად, ეგებ მართლაც ეზარებოდათ", ამბობდა ბაბუა და მოგონებას მხიარულად, ანცი ბიჭივით ულიმოდა, „მოკლედ, რომ შევატყვე ველარაფერს გავხდებოდი, ვტაცე ხელი, კიდე კარგი, ორმოც კილოზე მეტს არ იწონიდა, ხომ გახსოვს, რა ციცქნა ქალი იყო, და მთელი გზა სახლამდე ბავშვივით ხელში აყვანილი ავატარეთ", დაასრულა ბაბუამ.

ამას რომ მიამბობდა, სულ ბებიაჩემის თეთრი, განიერფარფლებიანი, ფერადი ლენტებით შემკული ფეტრის ქუდი მედგა თვალწინ, დღემდე რომ შემოგვრჩა ოჯახურ რელიქვიად. ბაბუას გამოვუტანე და ვკითხე, ეს ქუდი ხომ არ ეხურა მაშინ-მეთქი. არ მახსოვსო, ვერ მოიგონა ბაბუამ. მოდი, ამ ქუდს წავიღებ დღეს ქვემოსოფელში. მეც ხომ ბებიაჩემის ტანისა ვარ, ბაბუას თქმისა არ იყოს, „ციცქნა" — ორმოცდახამ კილოს ვიწონი.

ჩემმა მეუღლემ ინება, როგორც იქნა, აბრძანება, ჩუსტების ფრატფრუტით მიაშურა ტუალეტს, თან რაღაც ქაღალდებიც შეაყოლა ხელს. ახლა კარგა ხანს არ გამოვა იქიდან, შენი კაბინეტია-თქო, ვეხუმრები ხოლმე. ხან წიგნს კითხულობს იქ, ხან გაზეთს.

რა სასაცილო და საყვარელი ვინმეა.

## ლადო.

მე მგონი, ლენუკამ ვერ შენიშნა, ტუალეტში საწერ-კალამი, ქაღალდი და კონვერტი რომ შემოვიტანე. მოვუკიდე სიგარეტს, ფურცელი მუხლზე დავიდე და ასე, მუზასთან წყალწაყარი მწერლის პოზაში ჩავფიქრდი.

ბევრი აღარ დამიხანებია. სიტყვები ადრევე მქონდა მოფიქრებული და სახელდახელოდ დავწერე: „ჩემო საყვარელო მარინა! ჩვენი ურთიერთობა, რაც შვიდი წლის მანძილზე გვაკავშირებდა, უფლებას მაძლევს ეს ბარათი მაინც მოგწერო. შენ ჩემთვის ყველაფერი იყავი, შენ მაქციე ჩვიდმეტი წლის ლაწირაკი მამაკაცად, ადამიანად და შენი კეთილშობილება მაფიქრებინებს, რომ სწორად გაიგებ ჩემს საქციელს. შემინდობ, თუ რამ ტკივილი მოგაყენე. მე, ჩემის მხრივ, ყველაფერი გაპატიე, თუ კი რამ მაწყენინე. შენ ძველებურად განსაკუთრებული ადგილი გაქვს ჩემს გულში და პატარა არსება, რომელსაც ჩემი მეუღლე ჰქვია, ამ ადგილს არ იკავებს. მას, სწორედ გაიგე, თავისი საკუთარი როლი აკისრია. რამდენიმე თვეა, რაც მე და შენ ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ წამითაც არ დამვიწყებიხარ. მუდამ შენი ლ. P. S ჩვენი ურთიერთობის მომავალი მთლიანად შენთვის მომინდვია, თუ გინდა, აღარასოდეს გნახავ, თუ გინდა — ყველაფერი ძველებურად იყოს".

მერე წერილი კონვერტში ჩავდე და მისამართი წავაწერე. ყოველივე ამას რომ ჩავდიოდი, ლენუკასი მრცხვენოდა, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო, რადგან სიყვარულსა და სიკეთეს თაყვანს ვცემ. სხვას არაფერს არ ვცემ თაყვანს, ამ ორი რამის გარდა, არც ქეიფებს, არც მეგობრულ კონტა-

ქტებს, თუმცა ესეც საჭიროა ცხოვრებაში. ვარჯიში, სპორტი, ტურიზმიც საჭიროა ტანისა და სულის სიმრთელისთვის, ამიტომაც მივდივართ დღეს ქვემოსოფელში. თამბაქოს წევა სულ არ არის საჭირო. სიგარეტი უკანასკნელად მოვქაჩე, ნამწვი ჩავაქრე და ხელ-პირის ბანას შევუდექი. წარსულისა და წინაპრების ხსოვნაც საჭიროა და კიდევ ამიტომაც მივდივართ დღეს ქვემოსოფელში. საჭიროა კიდევ ყოველივე ეს, მაგრამ არათაყვანსაცემი. სათაყვანო მხოლოდ სიკეთე და სიყვარულია და კიდევ საქმე, საქმე, საქმე, სწორედ საქმე — ხაზვის ცოდნით რომ გამოიხატება, მაძლევს საშუალებას დღესდღეობით ლუკმა-პურისათვის ორიოდ გროში მოვიპოვო. გარდა ამისა, ცხოვრების მანძილზე ხუროთმოძღვრების ანბანის რამდენიმე „ასოც" შევისწავლე, რაც, თუ ბედმა ინება, შემდგომ არქიტექტურაში მუშაობისთვის გამომადგება. ასე რომ ამ ეტაპზე არც ცუდად, არც კარგად. მზად ვარ ვემსახურო სააღმშენებლო ხელოვნებას, რომლის კარიბჭესა თუ ზღურბლთან მიახლოვებულმა უკვე ვიგრძენი, თუ რაოდენ უზარმაზარი ტვირთი და მანძილია შრომა-ძიებით დასაძლევი, თუ გსურს, რაიმე ღირებული შეჰქმნა შემოქმედებაში.

— აღარ გამოდიხარ?! დაიკივლა პეტრის მაღაზია, მშია! — მეძახის ლენუკა. თავს დამნაშავედ ვგრძნობ მის წინაშე. იმ საიდუმლო კონვერტს პერანგქვეშ ვმალავ, იქვე აზრად მომდის ერთი ლამაზი ბარათი ლენუკასთვისაც დავწერო. ეგებ ამით გავაწონასწორო ჩემი საქციელი. ჩანაფიქრი სისრულეში მომყავს.

### ვოვა:

ამ გამოყრუებულ ქვემოსოფელში მშობლების ნებასურვილით გადმოვსახლდი, რათა ცუდ წრეს გავრიდებოდი და ქალაქს გადავრჩენოდი. ჩემი არსების ერთ ნაწილსაც სწორედ ეს უნდოდა. მაგრამ მეორე ნაწილი არ მასვენებდა, მებრძოდა. საბოლოოდ ასე მოვარიგე ორივე: თბილისში პრინციპულად არ მივდივარ, ძველ ამხანაგებს არ ვნახულობ, წამლებსა და საჭირნელზე არ ვჩალიჩობ და ფულს არ ვხარჯავ. მაგრამ თუ ვინმე კეთილი ნაცნობი რაიმეს მისაჩუქრებს, უარს არ ვამბობ. ამიტომ თითქმის ყოველ დილით გავდივარ სადგურზე, იქნებ ვინმე — ან აქაური, ან თბილისელი — ჩამოვიდეს და ხელს რაიმე საინტერესო ჩამოაყოლის.

ქვემოსოფელში მსუბუქად ცრის. სადგურზე მოლოდინით დაღლილ მგზავრებს აწვიმთ. მატარებელი მძიმედ მოჩოჩავს და ფანჯრების ათასსახიან პანორამას მოატარებს თვალწინ. გამცილებლები ტამბურებში გამომდგარან. ბაქანზე გიჟი დიდთავა ლოთი დადის ყვირილით და თავის ჭკუაში წესრიგს ამყარებს.

მცივა.

ისე, თავს ცუდად არ ვგრძნობ.

მატარებელი ჩერდება, მაგრამ მზემოკიდებული, გაჟამსალებული ხალხის ნაკადები ვაგონებიდან არ იღვრება. ეს გაგრა-თბილისია და ქვემოსოფელში ჩამომსვლელი არავინ ჩანს, არც მებარგულების ურიკები არახუნდება, არც ტაქსის რიგი დადგება.

სულ არ მრცხვენია ახლა ბაქანზე გამოვდგე და საჯაროდ ვითხოვო სულ ცოტა ნარკოტიკი, მაგრამ, ჯერ ერთი, მაინც არავინ არაფერს მოგცემს, მეორეც — მატარებელი უკვე დაიძრა. საკუთარი სურვილის თქმისა ნამდვილად არა მრცხვენია. მხოლოდ ზნეობით ივადმყოფებს ეშინიათ თავიანთი ბილწი გრძნობების გამომზეურების.

მატარებელი თვალს მიეფარა. მე ფეხს არ ვიცვლი. თბილისიდან ორი შემადგენლობა უნდა ჩამოვიდეს. ერთ-ერთს დიმა ჩამოყვება. იმედი მაქვს, ხელცარიელი არ იქნება.

### ლადო:

ხელჩანთა ავიღე (მარინასთან გასაგზავნი კონვერტი უბეში მედო) და მი-

ნიდან გამოვედი, ნელა დავეშვი ჩემი სადარბაზოს ძველ კიბეზე. ეჰ, რაც მე ეს საფეხურები მითვლია ბავშვობაში, როდესაც სკოლაში წასვლა მეზარებოდა ხოლმე. კაცმა რომ იკითხოს, რა ძალით ცოდნა მომცა ამდენმა სწავლამ? არც ერთ დისციპლინას ამ თვრამეტი თუ ოცი წლის მანძილზე ღრმად და დაწვრილებით არ დავეუფლებივარ. ჩემი ერუდიცია დილეტანტურია, ამ სიტყვის პირდაპირი და ვულგარული გაგებით. ყველაფერზე ზოგადი და ზედაპირული წარმოდგენა მაქვს, რადგან ადრევე მივხვდი: უსასრულობაში ჩაღრმავება უაზრობაა, მასთან შედარებისას სხვადასხვა სიდიდეები ტოლნი არიან, ანუ თუ რომელიმე მეცნიერის ღრმა ცოდნა ჩემს დილეტანტობას ბევრად აღემატება, ორივე ერთად მაინც არაფერს ნიშნავს აბსოლუტური ცოდნის წინაშე.

ჩვენს სადარბაზოში ოთხმოცდაორვა საფეხურია. თევზს აქვს სუსტად განვითარებული თვალები. ბავშვობაში მიდრეკილებას ვიჩენდი მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართ. ბავშვობაშივე დავკარგე მათდამი ინტერესი და დღეს სავსებით მაკმაყოფილებს იმის ცოდნა, რომ მათემატიკა მხოლოდ მშრალი აბსტრაქციაა, დისკურსიული ლოგიკის „სულთა" გამოვლინება და თავის უღრმეს წიაღში იმ მეტაფიზიკურისა თუ მისტიურ მუსიკას უერთდება, რომელსაც საბოლოო ჯამში შემეცნების ყველა სხვა დანარჩენი გზაც ერწყმის, ხოლო ფიზიკა...

— გამარჯობა, ლადო, — მეუბნება საფოსტო ყუთთან მდგარი გასაღებმომარჯვებული მეზობელი. როგორ მოხუცდა ეს კაცი. საფოსტო ყუთიც სულ დაიფანგა, ალბათ მალე გამოცვლიან. დრო მიიწევს წინ და სიცოცხლე ცვდება, როგორც ამ კიბის საფეხურები და მოაჯირი, ცვდება და ნატიფდება, გამჭვირვალდება და ცხადდება. ლენუკას შია. უნდა ვიყიდო ერთი თეთრი და ერთი შავი პური. ეს საკმარისია. იყოს სიმშვიდე და ცოტაოდენი სითბო. მარინას წერილი უნდა გავუგზავნო. ნეტა რას იფიქრებს?

ამ პატიოსან მოხუცს [illegible] ვუპასუხებ თუ არა?

## თენგიზი

ჩემი მორიგეობის ვადა დასასრულს უახლოვდებოდა. მამაძაღლ ადამიას სახლთან სიმშვიდე სუფევდა. ძაღლიშვილ დუკებუძის ჭაჭანება არსად ჩანდა. ვიჯექი წყნარად საჭესთან და ვფიქრობდი. ფიქრი, ფიქრი, არავითარი გრძნობა — ასეთია ჩემი დღეები.

თერთმეტ საათსა და ცამეტ წუთზე ადამიას სადარბაზოდან ჩემი ხნის ბიჭი გამოვიდა ბელჩანთით. სასწრაფოდ ჩავწერე ბლოკნოტში, თუმცა საეჭვო არაფერი შემინიშნავს. თუ არ ვცდები, მანდაც ცხოვრობს, ხმელ-ხმელი, მხრებში მოხრილი. შავგვრემანი ყმაწვილია. ნეტავ წესიერი კაცია თუ ძაღლის გაგდებული? სახლის კუთხეში საფოსტო ყუთს მიუახლოვდა, რაღაც იჭვნეულად მიიხედ-მოიხედა და კონვერტი ჩაუშვა. მერე სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა ქუჩა, საფუნთუშეში თეთრი და შავი პური იყიდა და უკან დაბრუნდა, კვლავ შევიდა თავის სადარბაზოში.

მომშივდა.

## ლენუკა:

სანამ ლადო პურს ამოიტანდა, მე რაც შემეძლო ლამაზად გავაწყვე საუზმე, ისე ლამაზად, რომ ხელის ხლება დაენანებოდა კაცს. გადაწყვეტილი მაქვს, ყოველთვის ასე მოვრთო სუფრა ჩემი ლადოსთვის, ყოველი წვრილმანით გავუხალისო სიცოცხლე. ვიცი, რომ ჩემს ქმარს, ვიდრე გამიცნობდა, ხანგრძლივი და სერიოზული ურთიერთობა ჰქონდა ერთ ქალთან. ისიც ვიცი, რომ ხშირად ახსენდება წარსული და ამ დროს საოცრად ნაღვლიანი მზერა აქვს ხოლმე. მე ეს მზერაც მიყვარს, ეს ნაღველიც და ვცდილობ შევაკავო

ეჭვი თუ ბრაზი, რომელიც ჩემდაუნებურად მეძალება, როდესაც ვხედავ: აი, ახლა ის გაახსენდა, ის მეორე! ამ დროს თითქოს გაორებული ვარ: ერთის მხრივ სიყვარულია, მეორეს მხრივ — მრისხანება. ნეტავ როდის დაძლევს პირველი მეორეს? მჯერა.

მოვიდა და ჩემი საყვარელი შავი პური მომიტანა. სუფრას დახედა, უცნიდან მხრებზე მომეხვია და მითხრა:

— ისე დაგიხატავს, კი არ უნდა შეჭამო, სახსოვრად უნდა შეინახო, — და ტკბილად, ნაზად მაკოცა ყურზე. შემოვტრიალდი და ჩავეკარი.

მოვა დრო, როდესაც ყველაფერი სახსოვრად იქცევა. იმ სევდის წარმოდგენაც კი მზარავს. საშიში არ არის, ალბათ, იმ დრომდე ვიცოცხლო.

**ლადო:**

კოცნაობას რომ მოვრჩით, დავსხედით და გემრიელად შევექეცით ლამაზ სიტყვებს. ლელუამ მადა ვერ წამიხდინა, თუმცა ლენუკას თვალს ვერ ვუსწორებდი, ჩემი სიცრუის მრცხვენოდა. მან მარინას არსებობაც კი არ იცის, არათუ ის, რომ წერილი გავუგზავნე ათი წუთის წინ. მრცხვენოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა: ვერ წავშლი მარინას ჩემი ცხოვრებიდან, რადგან ის არსებობს, ცოცხლობს, სუნთქავს აქვე, მახლობლად, მე კი არ მინდა, ო, როგორ არ მინდა შეზღუდული მქონდეს უფლება იქ დაბრუნების. ვიცი, რომ ბავშვობაში ან თუნდაც ახლო წარსულში ვერასდროს დავბრუნდები. იმასაც ეგუება გონება, რომ გარდაცვლილებს ველარასოდეს ვნახავ, მაგრამ აწმყოში, ამავე ქალაქში ცხოვრობდეს ადამიანი, რომელთანაც ამდენი რამ გაკავშირებს და არ შეგეძლოს მასთან მისვლა, მისი ნახვა? ამაში არის რაღაც არაბუნებრივი, ძალდატანებითი და სრულიად აუტანელი...

— ძალიან გემრიელი ნამცხვარია, — არ ვივიწყებ ქათინაურს. ლენუკას ბავშვივით უხარია, მე კი, ეგებ ჩემი ორპირობის გამო, უეცარი შფოთვა მიპყრობს. რა ხდება? ვზივარ საზეიმოდ გამზადებული, სუფთად გაპარსული, ვსაუზმობ მოსიყვარულე ცოლთან ერთად და მაშინებს დიდი კითხვის ნიშანი, მიწრიალებს თავში (თუ სულში?) ბოროტი ფიქრი. რაშია საქმე? არა, დაწყნარდი, მეტი, მიჰყევი სიცოცხლის დინებას, სწორად, მართლად, ჯანსაღად მიჰყევი. მაგრამ სად არის ძალა? სულიერი გადაღლა მიბოჭავს სხეულს, ის კი, თავის მხრივ, სულს ამძიმებს და ნერვებს ბურდავს.

— რა გემრიელი პური გიყიდია, — ქათინაურს მიბრუნებს ლენუკა და ბოლო ლუკმას სანსლავს, — მიდი, ბარემ უკვე ჩანთასაც ჩაგილაგებ, არ დაგაგვიანდეს.

მშვიდად! სხვა რამეზე უნდა გადავერთო. რას ფიქრობდი წელან ფიზიკის შესახებ? მათემატიკა მისტიკურ მუსიკას უერთდება-მეთქი, ხოლო ფიზიკა, რომელიც ჩვენმა საუკუნემ აინშტაინის ფარდობითობის თეორიით დააგვირგვინა, საერთოდ სათუოდ ხდის რაიმე ნივთიერის აბსოლუტურობას და აქსიომატურობას, რადგან, რაკილა დრო და სივრცე ისევე ფარდობითია, როგორც „ზევით" და „ქვევით" (ფარდობითია არა ჰიპოტეტურ-ფიგურალურად, არამედ ექსპერიმენტული ფიზიკის ზუსტი აზომვით), მაშასადამე უსასრულოდ დიდი იგივე პაწია, რაც უსასრულოდ მცირე, ესე იგი მატერიალური სამყარო არის და არც არის, რასაც საბოლოოდ ისევე ამ მისტიკურ მეტაფიზიკასთან მივყავართ, რასაც მეცნიერებაზე ბევრად ხელმისაწვდომად, პოპულარულად ანუ ადამიანურად გვიხსნის რწმენაც და მისი პირმშო ჰუმანიტარული დისციპლინები, ანდა ხელოვნება.

— გმადლობთ საუზმისათვის, — ვთქვი და ბოლო ლუკმის ლეჭვით წამოვდექი.

**ბერი ექვთიმე:**

დავბორიალებ მონასტრის ეზოში და ვცდილობ ნელა, ლოცვასავით ვი-

ფიქრო ჩემი საფიქრალო. გალავნის ძირას სარეველებს წამოუყვიათ თავი, გადალეწილებით. იქვე ჩვენი ლამაზი ჭრელი ვარიკა იქნება, ბაღჩაში ცქებს ჭია-ღუას და ამ სურათის შემხედვარე კიდევ ერთხელ, მერამდენედ, მერამდენემილიონედ ვხედავ ნათლად, თუ რა მარტივადაა სამყარო აგებული. მერედა, რას მაძლევს ეს ხედვა? ყვითლები კი სიბრძნისაგან განკერძოებულად?

ბოლოთის ცემით ვუახლოვდები ნახევრად გამხმარ ბებერ კაკლის ხეს. იგი მალე მოკვდება და მოსაჭრელი შეიქმნება. მისი დანახვა მუდამ მეორედ მოსვლის წინათგრძნობას აღმიძრავს.

ჩამოვხსნა თუ არა დღეს დარაბა გარესამყაროს სარკმელს?

წელან ცრიდა, ახლა ოდნავ გამოიდარა. უჩვეულოდ ცივა ბებერი კაკლის მეჩხერ ჩრდილში, მზის გულისკენ მიეწევა. მაგრამ მაინც ვერ ვთბები, თუმცა ახლა აგვისტოა. უკანასკნელ ხანს ჩემს არსებაში ჩაბუდებული ორჭოფობა საცნაურვყავ — ვიგრძენ, რომ უცნაური ხიბლით მიზიდავს მარტოობა, რომელმაც ასეოდენ მტანჯა აქ ყოფნის პირველ ხანებში. ეტყობა, ანგელოზები საბოლოოდ მთხოვენ არ მქონდეს სხვა არრა მოვალეობა, თვინიერ მათდა სამსახურისა. კი, ბატონო ზიგმუნდ, თქვენებურად შეატრიალეთ ეს ამბავი და დაარქვით უკმარისობისგან გაქცევა, რელიგიაში თავის შეფარება, სუბლიმაცია და, თუ გნებავთ, სიგიჟეც. ჩემთვის სულ ერთია, მე ვარ მართალი და არა თქვენ. არაფრის კეთება ლოცვის გარდა არ მინდა, ამიტომ ხორციელად არავის არ ვჭირდები და არავინ არ მჭირდება ამ ორიოდ კეთილი ადამიანის გარდა, ვინც დროდადრო სარჩო-საბადებლით ამარაგებს ჩემს მწირ სტომაქს. მაშ რატომღა ამეკვიატა დარაბების გახსნის სურვილი? რატომ არ მინდა დავკმაყოფილდე ამ წმინდა ქვითკირის გალავნით, მადლიანი ძველთაძველი საყდრით, მყუდრო ეზოთი და მორჩილი ბაღჩით. ეს რომ ვიკმარო, განა მართალი არ ვიქნები? რა წამს ვიზრუნებ ხორცისათვის (იქნებ დარაბის გახსნა სწორედ ასეთ ზრუნვას ნიშნავს), იმავ წამს მოლალატე დამერქმევა. ღალატს ნუ ჩავიდენ და სხვას ყველას და ყველაფერს ზეცის კურთხევა ჰქონდეს. აქ დიდი ხანია გადავწყვიტე, სანამ ვცოცხლობ, არავის არაფერი ვთხოვო, მით უფრო, მოვთხოვო. თანდათანობით ჩამინავლდა სულმოკლეობის ნამცეცი გრძნობა და შევიცან, თუ რას ნიშნავს ერთი აზრით იყვე გამსჭვალული წლების მანძილზე, ერთი სურვილი გტანჯავდეს, ერთი მიზანი გქონდეს.

რა უცნაურად სუსტია ეს აგვისტოს მზე. იქნებ დარაბების ჩამოხსნის სურვილიც სისუსტეა და სხვა არაფერი, სულმოკლეობის შემოტევისას კი შეცდომებისა და ცოდვებისგან თავს ძნელად იზღვევს ძე-ხორციელი... მაგრამ მე ხომ ვცდილობ და ვახერხებ კიდეც, არ შევეპუო არანაირ ცდუნებას. თუმცა, მაშ რაღად მჭირდება დარაბის გახსნა?

ბაღჩაში კაკლის ხიდან ჩამოვარდნილი მუხლუხო მიცოცავს. „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს“ და ვინ მიხვდება, ვინ გამიგებს ჩემს გულისნადებს... ჰოდა კი ამ დროს ისე ღიმილისმომგვრელად წაიჩოჩა სხეულის რგოლთა ტალღოვანი რხევით, თითქოს დამცინა. აგე, ჭია-ღუამაც კი გამიგო. დროა ავდგე და ჩამოვგლიჯო ის წყეული დარაბა. ამდენ ფიქრადაც არ ღირს.

დამცინავი მუხლუხო ჩვენმა ვარიკამ ისე სწრაფად აკენკა, ვერც კი მოვასწარ წინ აღუდგომოდი ამ აგკაცობას. სწორია, ცხელ გულზე არაფერი არ უნდა გავაკეთო, სულწასულობის სულელ მუხლუხოს არ უნდა ავყვე. რა მოხდა, თუ კი დავაგვიანებ?! კაცთა ცხოვრება ხომ დაგვიანებათა უწყვეტი ნაკადია. შმაა. მზარეთებს გმირული სულისკვეთება. მცირე დაღლილი ვეყრდნობი გალავნის ქვითკირით ნაგებ კედელს ანუ „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“. ახლა ვარიკამ მომაჟყრო სახის ცალი ნახევარი, თითქოს ისიც მიმიხვდა მუხლუხნაყლაპი, რომ

ეს ჩემი ფიქრი ნაძალადევი ხუმრობაა. როგორ იზრდება ჩვენი ვარიკა, ცოტა ხნის წინ პაწაწინა წიწილა იყო. უმეცარმა კაცმა მომიყვანა, იმან, საჭმელი რომ ამოაქვს ხოლმე. ჩანს, არ იცოდა, მუდმივად რომ მარხულობს ბერი. ვარიკას ყრმობის გახსენებამ ჩემი თავი მომაგონა პატარაობისას, მეცხრე კლასში ღლიჯრს რომ ვწერდი დიდი, ბატისფეხურა ასოებით. რა შეიცვალა მას შემდეგ? არაფერი. ისევ ისა ვარ, ვინც ვიყავ. მშია, მაგრამ ვარიკა არ შემჭამეე. ერთი მწერალი, ფრიად ტლანქი და გაუნათლებელი, მაგრამ გენიოსი, ყველაზე დიდი მწერალთა შორის, თავისი არანაკლებ ცნობილი თანამოკალმის შესახებ ხშირად ამბობდა, „ეგეთ ღვთაებრივი ცეცხლით დაფერფლილო". ეჰ სად არის ეგ ღვთაებრივი ცეცხლი? ან კი რა საჭიროა იგი განდეგილი ბერისათვის? რა ვიცი. ნამდვილად არ ვიცი. არც არავინ იცის და არც შეიძლება იცოდეს. მშიერი თვალი კვლავ ვარიკასკენ გამირბის. ჭობია მოვამთავრო ეს უსაშველო ბორიალი და გადასაწყვეტი გადავწყვიტო. ღვთისმშობელო მარიამ, შენ დამიფარე... „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა..." და რა ხანია უკვე გადაწყდა — შევალ სენაკში და დარაბას მოვხსნი ქანდრის გზისკენ გამავალ სარკმელს. მოვხსნი. ღიახაც, მოვხსნი და მე ამის არ მეშინია.

მოვხსნი და მერე?

„მერე, დაჭექი და კერე", ბავშვობისდროინდელი ლექსი შემახსენა ვარიკამ და მრგვლად დაჭყეტილი პაწია თვალი მზიარულად ჩამიკრა.

### ვობა:

ქვემოსოფლის სადგურში სიწყნარეა. თბილისის პირველი მატარებელი ჯერ არ ჩამოსულა. აგვისტოს ალიგმზიანი დღეა, მაგრამ მცივა. შესაძლოა სიცივისგანაა, რომ მეცელი ამტკივდა. რელსებზე უპატრონო ძაღლმა გადმოირბინა, ბაქანთან ჩაცუცქდა და მოისაქმა. ზიზღი მომგვრო გულზავამზე, ყელში მომაჭირა... როგორ მეზიზღება ყველაფერი ნივთიერი... ზიზღი საგნებს... ყველაფერი განავალია... თითოეული ნივთი, რაგინდ ლამაზი და ძვირფასიც არ უნდა იყოს, თავისი შინაგანი თვისებით განავალს უფრო ჰგავს, ვიდრე სულ ებრალო რიცხვს ან იდეას... სულ გამოეფილოსოფოსდი ამ გამოყრუებულ ქვემოსოფელში... ძაღლმა თავისი საქმე მოამთავრა და აპრეხილი კუდი ძირს დაუშვა. საზარელი კუდი აქვს, ნახევრად წაწყვეტილი, გაქუცული, წითლად დაიარებული და დაჩირქებული. აქამდე არ მომსვლია თავში, რომ სიკვდილი იგივე სი-კუდ-ილია, ესე იგი, სიცოცხლის კუდი.

მატარებელი ჩამოვიდა, დიდა ჩამოვა, მაგრამ ხელცარიელი. ერთი მასტიკა მომცა წამლად, „ისე კარგი რამეა", დამიფასა კიდეც საჩუქარი და თავის გზას გაუყვა. მე მეორე მატარებლის დასახვედრად სადგურში დავრჩი.

### თენგიზი:

არის რაღაც ადგილი ჩემს გონებაში, რომელიც ამღვრეულია და გაურკვევლად მაწუხებს. არ ვიცი, რით დავამშვიდო. ეგებ შიშმილის ბრალია.

ზუსტად თორმეტ საათზე ჩემი შემცვლელი რეზო გამოცხადდა საკუთარი, უფრო სწორად კი, სიმამრის მანქანით. მაგას რა უჭირს, შეძლებული მშობლების შვილია, ჩემსავით რაიონში კი არა ჰყავს ლარიბი დედ-მამა. ბიძამისი ჩვენი შეფის მეგობარია. კაი ბიჭია, მამაძაღლი რომ არ იყოს. ხაჭაპური და ნამცხვარი მომიტანა, დედაჩემის ნახელავიათ. არ იციან ქალაქელმა ქალებმა ხაჭაპურის გამოცხობა, მაგრამ მოშივებულზე მაინც ხელად შევყლაპე. ახლა შემეძლო ჩემს გზას გავუდგომოდი. მანქანა საღამომდე პარკში უნდა მიმეყვანა და ჩამებარებინა, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ კაი დრო რჩებოდა. სად წავსულიყავი? ჩემი საბრალო თანაკურსელები მომაგონდნენ და მათი შემშურდა, რადგან ახლა ალბათ ნაირნაირ პლაჟებზე ეყარნენ ძაღლის გაგდებულები, ნებივრობდნენ. ივნისში იმათ შორდათ

ჩემი, ტურნს ასხამდნენ პოლიტეკონო-მიას და იურისპრუდენციის ისტორიას, მე კი შეფმა სუსიებიდან გამათავისუფლა და პრემია გამომიწერა, რომლითაც ახალი ამერიკული ჯინსი ვიყიდე, ახლაც მაცვია, ჯერ ისევ გაუხუნებელია. საით წავიდე?

ამ დროს ადამიან სადარბაზოდან ის ყმაწვილი გამოვიდა, წელან წერილი რომ გააგზავნა და პური იყიდა. თან ტანმორჩილი ლამაზი გოგო ახლდა. გოგოს ეცნაური, ძველ სურათებზე ან კინოში რომ მინახავს, ისეთი ქუდი ეხურა და ძალიან უხდებოდა. ბიჭს მხარზე მოხდენილი ჩანთა და კიდევ რაღაც უზარმაზარი ქაღალდების შეკვრა წამოეკიდებინა. ახლა უფრო მეტად მეძაღლი-მეგონა, შესაძლოა იმიტომ, რომ ასეთ ეგზოტიკურ ძაღლს ფლობდა. ან ცოლი აქნებოდა, ან ისე ქალი. მანქანის გაჩერებას შეუდგნენ. ის, რაც დამამშვინებს გონების ამღვრეულ ნაწილს, ჩემს ხელობას არ აწყენს პატარა გავარჯიშება საზოგადოებრივ საწყისებზე. ტაქსი გააჩერეს და ჩასხდნენ. მანქანა დაიძრა. რეზოს, რომელიც მხატვრის ცოლის პლეიდანგადასაყვანად უკვე მოკალათებულიყო სიმამრის „ვოლგის“ საჭესთან, გამოსამშვიდობებლად ხელი დავუქნიე და იმ ტაქსის კონსპირაციული დისტანციის დაცვით დავედევნე. ორიენტირად იმ პაწაწინას ძველებურ ბათქებიან ქუდს დავადგი თვალი და თან ვფიქრობდი, ნეტა ვინ არის ეს ძუკნა, იმ ბრიყვის ცოლია თუ ისე კაპაი-მეთქი. კაცმა თუ აღმოჩნდებოდა, ჩემთვის უფრო საინტერესო გახდებოდა დასაკვირვებლად და ამოსაცნობად მაგათი ამბავი, რადგან ყველა პატიოსანი ქალი ერთნაირად პატიოსანია, ყველა ბოზი კი — თავისებურადაა ბოზი.

გმირთა მოედნიდან ჩელუსკინელების ქუჩაზე რომ ჩაუხვიეს, მივხვდი — სადგურისკენ უქირათ გეზი.

## ლადო:

სადგურისკენ გზად ჩუმად ვისხედით. მე ღიმილით ვუყურებდი ლენუკას, რომელსაც სოლიდად უხდებოდა ქოლგისფერი და ისეთივე [illegible] შემკული „რეტრო“ ქუდი, [illegible] სტისოვარი. ვუღიმოდი ლენუკას სილამაზეს, ვუღიმოდი ჩემს ნაბიჯებს, რომლებიც ზუსტად შეესაბამებოდნენ ქვემოსოფელში გასატარებელ მომავალ ათ დღეს. ამის გამოთვლას წითური გათანგული ავადმყოფი მთელ დღეს მოვუნდი, ზუსტად გავიანგარიშე რამდენი უნდა დამეხარჯა, რა, როდის, რომელ დღეს. მოკლედ, ჩვენი ქვემოსოფლური არდადეგები დაწვრილებით მქონდა დაგეგმილი.

როდესაც ლენუკას პირველად გავუმხილე ჩემი მიდრეკილება ყველაფრის წინასწარ გათვლისა და დაგეგმვისაკენ, მან პედანტი მიწოდა არ მწყენია. ერქვას ასე თვისებას, რომელიც მეხმარება წესრიგში მოვიყვანო ჩემი ამორფული და არამდგრადი ემოციები, არ მივეცე უსაქმობის ზარმაც, ბოჰემურ, დამღუპველ ინსტინქტს. გამოვრიცხო ვალებისა და გეგმების დადგენა უალოსად საჭიროა ჩემისთანა ყურადღებაგაფანტული კაცის გასაწონასწორებლად.

გმირთა მოედანს რომ გავცდით, ცა მოიღრუბლა.

— რას ჩაფიქრებულხარ, ჩემო ფილოსოფოსო, — ჩამჩურჩულა ლენუკამ და მხარზე თავი საყვარლად მომადო.

ირონიულად ჩავიცინე — ჩემს ცოლს დიდი მოაზროვნე ვგონივარ, არადა მე, ფიზიკა-მათემატიკის არ იყოს, არც ფილოსოფიის ჩავყოლივარ ყისმათში, რადგან ფილოსოფია ლაბირინთებად დაგრაგნილ, პარადოქსულ წრეშია გამომწყვდეული. ჩემმა ბუნებამ ვერც დოგმატიზმის ერთგულებისა და პასიური სიბრძნის მიმდევრობა შეძლო, ვერც სტოიკოსთა ფანატიკური ნებისყოფისა და სიმტკიცის. ამ ორი უკიდურესობისთვის საჭირო სულის სიმაღლე მე არ გამაჩნია. ტრანსცენდენტალიზმი, დიალექტიკამ, ფენომენოლოგიამ საბოლოო ჯამში ვერაფერი ახსნა ისე, რაც თავისთავადაც გასაგები არ არის, გასაგებია, მაგრამ მერე რა?.. მერე ის, რომ უკვე მოვედით.

ბორჯომის სადგურთან შეგვიჩერეთ, თუ შეიძლება, — უთხრა ლენუკამ მძღოლს.

### ლენუკა:

ტაქსისტს ფული გადაუხადა, ბარგთან სადარაჯოდ დამტოვა, თვითონ კი ჩქარი-ჩქარით გასწია სალაროსკენ ბილეთების ასაღებად. მე მანქანაშივე შევნიშნე ნახაზებში ჩამალული კონვერტი, რომლის შესახებ არაფერი ვიცოდი. წამსვე მივხვდი — იმ ქალს უგზავნის წერილს. მაგრამ რატომ აქამდე არ გაუგზავნა? რატომ მოაქვს ქვემოსოფელში? იქნებ მოინდომა, იქიდან უნდა გაუგზავნოს. რატომ, რა მიზანი აქვს გულში? სანამ ბილეთებს იღებდა, ცდუნება შემიჩნდა კონვერტი ნახაზებიდან ამომეცოცებინა. ვერასოდეს ვიფიქრებდი ასეთი წარმოუდგენელი უზნეობა — სხვისი წერილის მოპარვა თუ მომივიდოდა აზრად. გული მეტკინა ჩემი ბილწი ზრახვის გამო, თან ეჭვი და ტკივილიც მაწვალებს. ნეტავ ახლა არ ვტიროდე და შევძლო, ვითომც არც არაფერი, ისე გავუცინო ლადოს, ბილეთები რომ აიღო და აჩქარებული მოაბიჯებს ჩემკენ ღიმილით.

### თენგიზი:

მანქანა „ბავშვთა სამყაროს" წინ „სტაიანკაზე" მივაყენე და ერთხანს ტროტუარზე სევდიანად გაუეჩებულ ლამაზქუდას ვუცქერდი, ბარგს ყარაულობდა და სალაროში შესულ ქმარს ელოდა. ქმარი იყო თუ არა, არ ვიცოდი, მაგრამ სიადვილისთვის ასე დავარქვი. რაკი ბილეთებს ახლა იღებენ, მაშ შორს არ მიდიან-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ არ ვჩქარობდი: თუ ცენტრალური ვაგზლისკენ ქნეს პირი, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, ალბათ, ზღვაზე მიემგზავრებიან-მეთქი, მაგრამ თუ ბორჯომის სადგურზე ავიდოდნენ, გადაწყვეტილი მქონდა, გავარკვევდი სით გაუწევიათ-მეთქი.

ასეც მოხდა. კიბეებს აუყვნენ. მეც ჩავკეტე მანქანა და შორიახლო მივყევი. ქვემოსოფლის „ელექტრიჩკაში" შეილაღეს. ვაგონს ჩავუარე, შევიხე[illegible]რტე და დავინახე, როგორ მოკალათდა თეთრქუდა ფანჯარასთან, როგორ შეალაგა ბარგი-ბარხანა მისმა ქმარმა ბადურიან თაროზე.

„ბინდისფერია ქვეყანა, უფრო და უფრო ბინდდება", დასძახოდა რადიორეპროდუქტორი ხალხმრავალ ბაქნებს.

ვიდექი და მატარებლის დაძვრას ველოდი, ბარემ გავაცილებ ჩემს ბედთაქუდას-მეთქი. უცებ ვხედავ ქმარი ვაგონიდან ჩამოვიდა და აჩქარებული გაუყვა შემადგენლობას. თვალს მივადევნე და, ბიჭოს, ელმავალთან არ მივიდა! დავიძარი, ნეტავ რასა შვრება-მეთქი. მემანქანეს რაღაც კონვერტი მიაწოდა და ერთხანს ელაპარაკებოდა. ისე მიახლოება ვეღარ მოვასწარი, რომ გამეგონა რას ეუბნებოდა, გამოცდილი კი გვარიანად გავოცდი: რა საიდუმლო წერილებს არიგებს ეს კაცი დილიდან, რა უცნაურად მიდი-მოდის-მეთქი. ეგება მსხვილი ყალიბის ძაღლიშვილია, თანაც ადამიას სადარბაზოში ცხოვრობს.

„რაც მტრობას დაუნ"... — სიმღერა უცებ მოისხიპა და ინფორმატორმა ქალმა კვატის ხმით გამოაცხადა, — „მატარებელი ნომერი ექვსასოცდამეტეტი „თბილისი-ქვემოსოფელი" გადის ბორჯომის ვაგზლის მეორე ლიანდაგიდან.

წამში ვიაზრე: ეს მარშრუტი თავიდან ბოლომდე ორსაათიანია, კვირა დღეა, საქმე არაფერი მაქვს, მანქანა საიმედოდ დგას გაჩერებაზე და მოდი, ჩემს თამაშას გავაგრძელებ-მეთქი. მეტი აღარ მიფიქრია, პირდაპირ ვაგონში ვტენე თავი.

### ლადო:

მემანქანეს ბარათი ჩავაბარე და ავუხსენი, რაც უნდა ექნა, საზღაურად ფული შევაძლიე. მაგრამ შორს დაიჭირა, კაი ბიჭი ჩანდა.

გამოვბრუნდი, მიხაროდა, რომ ლენუკას წინაშე ჩემი დანაშაულის გამო-

სასყიდი გეგმა ჯერჯერობით ალიჩუზე ჭდებოდა.

ვაგონში მხიარულ ხასიათზე ავფრინდი და რას ვხედავ — ჩემს პატარა ლენუკას, ფანჯარაზე თავმიდებულს, თვალები ცრემლებით ავსებია.

— რა იყო? — ვკითხე და წინ დავუსკუპდი.

— არაფერი, ისე, — მითხრა და უბე ხელისგულით მოიწმინდა, — ბებია გამახსენდა.

ცხვირის წვერზე ვაკოცე- ჯერ სულ ბავშვია და უბრალო რამეებიც კი ცრემლს ჰგვრის ხოლმე. მოდი, პატარა ლექციას წავუკითხავ, რომ ხასიათი გამოვუკეთო.

— ლენუკა, მითხარი, — დავიწყე მე, — წელან მანქანაში ფილოსოფოსი რომ დამიძახე, მართლა ეგრე გგონია თუ დამცინი.

— დაგცინი, — მითხრა და გამიღიმა.

— სწორსაც შვები. იცი, ლენუკა, ეგზისტენციალისტებმა საერთოდ გააუქმეს ფილოსოფია და კეთილგანწყობილ ყოველდღიურ მსჯელობად აქციეს, რაც უსაქმური, ყბედი და გონებაადგზნებული ხალხის საყვარელი გასართობია, მეტი არაფერი.

— შენ სწორედ ეგეთი ხარ, — მითხრა გამოჯავრებით.

— სულაც არა. ფილოსოფიაში ახალს მე ვერაფერს ვიპოვი იმის გარდა, რაც ისედაც „ვიცი", ხოლო, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ვიცით ის, რომ არაფერიც არ ვიცით. ასე რომ ცოდნა ცნობადის ხეზე მოწყვეტილი მაცდუნებელი ნაყოფია, კაცის სწორი გზიდან ამაცდენელი. ჩემი ფიქრი და მიზანი ცოდნისაკენ არ არის მიმართული.

— აბა რისკენ? — მკითხა ლენუკამ და გამიხარდა, ასე უცებ რომ მოვახერხე მისი დაინტერესება.

— არ ვიცი. ერთსახა პასუხი ძნელი მოსაძებნია, რადგან რამდენიმე სიტყვა ერთდროულად მადგება ენაზე. ამ სიტყვებს შორის უპირველესის გამოთქმა ტყუილად და ამაოდ თვით მის მიერ გვაქვს აკრძალული.

— ნამდვილი ყბედი და ჭკუააგზნებული მყავხარ, — მითხრა ლენუკამ და მატარებელიც დაიძრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლენუკა:

„წუთისოფელი ასეა", ხრიალებდა ვაგონის რადიო, მერე კი მატარებელი დაიძრა და ბორბლების რახრახმა სიმღერის ხმა შთანთქა.

ლადო დამეხმარა, თორემ უკვე ვტიროდი, რადგან მივხვდი, რომ ვაგონიდან ბოლო მომენტში იმ ქალთან წერილის გასაგზავნად ჩავიდა. ეტყობა სადღაც ახლომახლო საფოსტო ყუთია. ნეტავ რად დასჭირდა ეს საქციელი? რატომ მატყუებს? ზის ახლა და ბრძნულ აზრებს აფრქვევს — თავის ჭკუით ხასიათს მიკეთებს. მეც თავს ისე ვიჭერ, თითქოს ძალიან მახალისებდეს ეს ინტელექტუალური მასლაათი. აი იმ ყურდაცქვეტილი ბიჭის მზერა კი ნამდვილად მაინტერესებს. რას მომჩერებია? წელან ბაქანზე დაბორიალებდა და ფანჯრიდან ერთთავად მე მიყურებდა, მერე უცებ აქ გაჩნდა, სამი სკამის იქით ზის, დაუცქვეტია ყურები და თვალს არ მაცილებს. გიჟია ვიღაცაა. იქნებ ერთი ნახვით შევუყვარდი. ეჰ, ლადო, ლადო, რა დროს ეგზისტენციალიზმია, კიდევ კარგი ეს იდუმალი უცნობი შევნიშნე და ცოტა გული გადამეყარა, თორემ შენი ფარისევლობა უკვე უკიდურესად მაღიზიანებს. ხომ იცი, რომ ვიცი! რაღას მიმალავ? არ ჯობია პირდაპირ მითხრა: იცი, ლენუკა, მე ისევ ის მიყვარს! შენ კი — ფილოსოფიით, ცნობადის ნაყოფით...

ის ბიჭი არა მარტო ყურდაცქვეტილი, თვალდაჭყეტილიცაა. ნეტავი ერთი მაგას. მომბეზრდა, დიდი ფეთხუმი ვინმეა. ჯობს ფანჯარას გავხედავ. იქ ელვის სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს ნაირნაირი პეიზაჟები. ამასობაში დროც გავა. ნეტავ რად გვინდოდა ეს მოგზაურობა, რა დაგვრჩენია იმ ძველისძველ სახლში? უცნაურია „დაკარგული დროის" ამბავი (ეს ლადოს ერთ-ერთი საყვარელი გამოთქმაა): როცა თავისუფალ წუთებს, საათებს რაიმეთი ვავ-

ხებთ — მოგზაურობით, საუბრით, ამ ფეთხუში ტიპის თვალთვალით, ან თუნდაც პეიზაჟებით — დრო ქრება, იკარგება და ბოლოს აღმოჩნდება, რომ სიცოცხლეც ამ მატარებელივით, ანდა მოწეული სიგარეტივით სწრაფად ჩაიარა. არადა რატომღაც, რაღაცის შიშით, ამგვარ დროის კარგვას ველტვით დღემუდამ.

## ზარი ეკვეთება:

მამ გადავწყვიტე: ავხსნათ დარაბა და გარეთ გავიხედოთ! გადავწყვიტე, მაგრამ ვერ გავარკვიე ჩემი ტყნაური ამბავი: ამ სამი წლის მანძილზე გარკვეულ მყუდროებას შევეთვისე, მეგონა მარტოობას სრულად ჩავუღრმავდებოდი, ახლა კი რაღაც ახალს ვაპირებ.

ცხადი ერთია: როცა კაცი განუყოფელობაში ხარ, ყველაზე მართებული გზა მოთმინებაა: ეცადე უზენაესს, გარკვევა, გზა გამოჩნდება, ოღონდაც ფრთხილად იყავ, იცხოვრე მშვიდად, პატიოსნად და მოთმინებით. ამინ!

ამიტომ ავითრიე ფეხი და ჩემს ბნელ სენაკში წყნარად ჩამოვჯექი. ეკლესიასტე ავიღე და კითხვა დავიწყე. უფალს უფრო დამამშვიდებელი და სისხლის დამაოკებელი წიგნი არ უბოძებია მოკვდავთათვის წინასწარმეტყველთა ხელით.

ბალღობისას დედა მიკითხავდა ხოლმე ზღაპრებს ძილის წინ...

ეკლესიასტე ზეპირად ვიცი. ვფურცლავდი შეყვითლებულ მძიმე ფოლიანტს და ვფიქრობდი, ნეტავ რომელი ზღაპარი მიამბო დედამ უკანასკნელად, ან რისი იყო ეს? სამწუხაროა მახსოვრობის თვისება — არ გვებაძდება ჩვეული და რიგითი მოვლენები, ისინი კი, ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა უკანასკნელნი აღმოჩნდნენ...

წიგნი დავხურე და საყდარში გავედი. დავდექ შუაგულში და მზერა დავასვენე ნაცნობ ფრესკებზე. ნეთუ მომბეზრდა, წმინდანო, მარტოობა? რა მომელის, როცა დარაბებს გავხსნი და დიდი ხნის უნახავ სამყაროს გავხედავ? ჩვეული სიმშვიდიდან ხომ არ ამოვვარდები, დიდო ღვთისავ? ხომ არ ამამღვრევს სარკმლის მიღმა დანახული ვეშაპის სტომაქი, სადაც ერთხელ უკვე მომავლინეს მაგანმა მკვეხელებმა თუ ჩემივე შეცდომებმა დამითხარე, წმინდაო გიორგი, ნეთუ მაინც განგებას ვეჯანყდები, ვერ ვეპუები. ვიგლახები უმწეოდ და შესაბრალისად? რატომ? წმინდაო ნიკოლოზ, მსწრაფლშემწეო, განა განგებამ უკეთ არ იცის თვისი საქმე, განა მორჩილება არ მმართებს, განა ასე მძლავრია ადამიანში ხორციელი საწყისი — შეურიგებლობის, ვამოუვალობის, ბრძოლის, ჭიდილის?

პირქვეარი სამჯერ-სამგზის გარდავისახე და სამხრეში გავედ. შეაცეცხლი გავაღვივე, სამფეხა სკამზე ჩამოვჯექი და კოცონს მივაშტერე თვალი. ეტყობა ცხოვრებისგან განდგომამ დიდი ძალისხმევა მომთხოვა და ახლა სანთლის პატარა ხეშტერში ვეძიებ. ასე იყო მაშინ, ნაცემ-ნაგვემი საავადმყოფოში მეღებების სიცეთით რომ ვერა ვძლებოდი და წამით მარტო დარჩენა რომ არ მსურდა. ალბათ, ახლაც ასეა, სარკმლის გაღება რომ მინდა: ეს წვრილმანია, მაგრამ ხომ არ შეიძლება წვრილმანი სიურველის აისრულეთად მთელი სასიცოცხლო ძალა დახარჯო, არადა, ის წვრილმანიც, შესაძლოა, წლების მანძილზე ღრმად დაგეხსნას. ამას სიგიჟე ჰქვია.

დამშვიდდი, ტკაცა-ტკუცით მეპასუხებოდა ცეცხლი, გონიერივით მიხმობდა და ვედრებით მიწვევდა პრიალა ენებს, დამშვიდდი და დათმე.

რატომ? ვეკამათებოდი ცეცხლს, რატომ უნდა დავთმო ეს მცირედიც, როცა მთავარი უკვე დავთმე.

ცეცხლი მომნუსხავად იღიმოდა და აშეწრილ არსს მიმშვიდებდა, მახსენებდა, რომ მთავარი და ძირითადი წვრილმანებისგან შედგება. ცეცხლი უდიდესი სიბრძნით მომძლვრავდა, მაგრამ მე მის არ ვეპუებოდი.

ისევ საყდარში დავბრუნდი და ჯვარცმის წინ მოვიყარე მუხლი.

მითხარ, მაცხოვარო, რას ვებრძვი,

რას ვცდილობ ყოველ ცისმარე? რა მსურს?

ამის ცოდნა შეუძლებელია და რაც შეუძლებელია, იმის ცოდნა არც უნდა მოიწადინოს მოკვდავმა. მპასუხობდა ჯვარცმული მხსნელის მდუმარება.

უცებ ჩემს თავს მხიარულად გავუბრაზდი. რა ფილოსოფიურ-მელანქოლიურ განწყობაზე ვარ დღეს, ჩემმან მზემან! თვითდაცინვის სურვილი მომეძალა და მკრეხელურად რომ არ გამეცინა, მეტანია შევასრულე, ძირს დავემხე უფლის წინაშე. ჩემი გული კი განაგრძობდა ჩემივე თავის აბუჩად აგდებას: ადე, წადი, ჩამოხსენი ის დარაბა და მორჩი გაუთავებელ ორჭოფობას.

ავდექ და ჩემს საკანს მივაშურე, მაგრამ ერთხელაც, უკანასკნელად შევყოვნდი. წამოვწექ ჩემს ხმელ საწოლზე და თვალები დავხუჭე. უფლის მხოლოდ დიდი სიყვარული ეგების ჩვენგან ჩვენთვისვე, სხვა რამ მას და ჩვენ არაფერი გვშორდება. ამიტომ ვთქვი: ღმერთმა დაგვლოცოს, ადამიანებო! მისი სიკეთე და სინათლე არ მოგვაკლებოდეს, ძალა მოგვეცემოდეს სიყვარულისთვის. ყოველ ახალ დღეს ახალი სიხარული მიეტანოს ჩემი ნათესავ-ახლობლებისა და მოყვასებისთვის, ჩემი ნაცნობ-უცნობი თანამოქალაქეებისთვის, ჩემი თანამემამულეებისა და საერთოდ მთელი ადამიანთა მოდგმისათვის. ღვდელთისმშობლის მადლი გვფარავდეს, განსვენებულნი მაცხოვარმა შეიწყალოს, ცოცხლებს წინ წმიდა გიორგი გვიძღოდეს და მსწრაფლშემწე წმინდა ნიკოლოზი ეშველებოდეს, შენს მონამორჩილს კი, ამასთან ერთად, მისი დიდი მოსახელე მთავარანგელოზი შეეწიოს. ამინ!

განვაგრძობდი უძრავად წოლას ჩემს სასთუმალზე თვალდახუჭული და ვიცოდი, რომ პირველი, რასაც ადგომისთანავე გავაკეთებდი, მრავალი წლის წინ დაჭედებული სარკმლიდან დარაბების ჩამოხსნა იქნებოდა.

## თენგიზი.

მატარებელი მიქროდა. ტკბილქუდა და მისი ქმარი ხან ლაპარაკობდნენ, ხან ფანჯრიდან უცქეროდნენ გარემოს. მერე ბიჭმა რუბიკის კუბიკი დაიძრო და ჩაუკირკიტდა. თეთრხალათიანმა ქალიშვილმა თბილთბილი ღვეზელები რომ ჩამოატარა, იმათ იყიდეს და ჭამას შეუდგნენ. ვუცქერდი ლამაზ ოჯახს, მადიანად რომ ნთქავდა ერთდროის ძროხადყოფილ დაკეპილ ხორცს და ვფიქრობდი, არის თუ არა ადამიანი ბუნების უმაღლესი ქმნილება, თუ უბრალოდ ის ცხოველია, ვინც ყველა სხვა ცხოველი შეჭამა-მეთქი.

ერთი-ორჯერ კი გამომხედა, მაგრამ მგონი არ შევუნიშნივარ. უჰ, რა გოგოა! რას არ მივცემდი, ჩემი რომ იყოს. რას მივცემდი? ყველაფერს. იქნებ არც არაფერს?! ჯერ ერთი, ეს ის ქალი არ არის, აღებ-მიცემობით რომ მოიპოვება, ასეთი სულისწამლები ძუკნის ხელში ჩასაგდებად მთელი სტრატეგია დამჭირდებოდა, მე კი ქალების საკითხში სასტიკად არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელთაც უნარი აქვთ დინჯად, მოთმინებით და გონიერებით იარონ დასახული მიზნისაკენ. არც რუბიკის კუბიკის ნერვები მაქვს. სიყვარულში ვნების მონა ვარ, მძულს ჭკვიანი და კეთილშობილი მიჯნურები, ისეთები, ეს ძაღლის გაგდებული რომ არის, ჩემი ტკბილქუდას ქმარი, უშნაკური კუბიკის ამწყობი.

მატარებლის რადიოკვანძი მთელ საათს დუმდა, მერე უცებ ჩაირთო და ახრიალდა. ამ დროს კონტროლიორმა მოაკითხა ჩვენს ვაგონს, ყველას შეუმოწმა ბილეთები, მათ შორის იმათაც. მეც მომადგა, მე ბილეთი არ მქონდა, მაგრამ საბუთი ვუჩვენე და მოკრძალებით გამეცალა.

## ლადო.

მირახრახებს მატარებელი. რადიო რაღაცას მღერის. ლენტიკა მოწყენილი გაჰყურებს სივრცეს გაბუტულივით, მე

კი ხელსგამოყოლებულ რუბიკის კუბს ვაწყობ და ჩემს ნახაზებზე ვფიქრობ. საქმე და შემოქმედება ჩემთვის სხვა არაფერია, თუ არა ერთადერთი ხელში-საწვდომი საიდუმლო რიტუალი და მსახურება. ოღონდაც როგორი? რანაირად? ამის გარკვევა მესახება ძიებისა და დასტატების გარდუვალ მიმართულებად. მით უფრო, რომ შემოქმედება განუყოფელია პირადი ცხოვრებისა და ზნეობისაგან, რამეც განვლილმა გზამ ყველაზე ღრმა და მწარე ცოდნა შემაძენინა: მარინას დაკარგვამ, ტკივილმა და ლენუკასთან თავისშეფარებამ დამარწმუნა, რომ ცოდვისა და ჰედონიზმის, ნეტარებისა და ტროსტარების გზა ჩემი ბუნებისა თუ ჯანმრთელობისათვის მიუღებელია, რადგან იგი ამ მატარებელზე სწრაფად მიმაქანებს დაღუპვისაკენ და სასტიკად მიჭირს მონანიება-მოქცევის ტანჯვასთან შეგუება. რაც ამას მივხვდი (როგორ უხდება ეს ქუდი ლენუკას), სჯობს სავლის გზას ამთავითვე ვუთხრა უარი, რადგან ჩემგან პავლე მაინც არ გამოვა და უმალ ავაზაკად დავრჩები. თუმცა ეს და კიდევ მრავალი სხვა საკითხი გასარკვევ-და-საზუსტებელია. რა ლამაზია ჩემი ლენუკა.

## ლენუკა:

ისეთი თვალებით იყურება, დარწმუნებული ვარ, ისევ იმ თავის მარინაზე ფიქრობს. რადიოში კი რომანსია, ძველებური, რუსული კლასიკური რომანსი, არტისტული, ხმადაყენებული, სადღესასწაულო ოდნავ სასაცილო ბარიტონით ნამღერი, ბანალურ-დრამატული და მეტად რაფინირებული. მატარებელი კი მიქრის ქალაქიდან უაზროდ. ეჭვიანი ტკივილით დამთვრალი და გზააბნეული. ბედნიერი წუთები ცოტაა და მალე ილევა, მერე კი მოდის შიში, სულელი, მაგრამ ძალიან საშიში შიში თანმხლები ეჭვით, მტანჯველი ფიქრით, უნდობლობით. არ შეიძლება, რომ მატარებელი, სადაც მე და ჩემი ლადო ვსხედვართ, გადაიჩეხოს, რაიმეს შეასკდეს, დაიწვას, აფეთქდეს. არ მესმის [illegible]ნი დაღუპვა, როცა ასე ლამაზია [illegible] ნის სარკმლიდან დანახული [illegible] გაცრეცილი, თითქოს რაღაცით შეწუხებული ტენორი (თუ ბარიტონი, რას გაარჩევ ამ რახრახში) თავდავიწყებით მღერის: „Не уходи!", მერე კი სიმღერას იწყებს არანაკლებ იუმორისტული ხმა — ქალის ხმა — მეცოსოპრანო, მკერდისმიერი და ყალბი, ტირის, რაღაცას მისტირის და ტუჟის ქალაქში უკან დარჩა. ქალაქში ცხელა. მე კი კარგად ვგრძნობ, რომ სიმშვიდე და სიყვარული, ალბათ, აღარ მიმატოვებს. თუმცა, თუ „ალბათ", მაშ რაღა კარგად ცოდნაა. არა, არა, არა, არა, ათასჯერ არა, ათიათასჯერ არა, ასიათასჯერ არა, მერე კი — დიახ, დიახ, დიახ... ფორტეპიანოს კლავიშები რიგრიგობით მოდიან თეთრი და შავი ფერებით. რუბიკის კუბს ლადო რომ ჩაღრმავებია, ფერების კიდევ უფრო მდიდარი დიაპაზონი აქვს. ნუთუ არ ვუყვარვარ? ღმერთო, ხომ არაფერი დამიშავებია, ღმერთო, მღერის მეცოსოპრანო, დაეძებს რაღაცას, თან კეკლუცობს და გაუბედაობით შეპყრობილს თავადაც არ ესმის რა სურს, რას ელტვის, რას დაეძებს. ან მე კი ვიცი? ან იცის ვინმემ? ლადომ? კონტროლიორმა? იმ ფეთხუმმა ყურდაცქვეტილმა ბიჭმა? ლეიზელების გამყიდველმა? სხვა მგზავრებმა? მელოდია კი მთლად სიცრუისკენ ვითარდება და აყოლებული დედაკაცის ყელიდან ამოღერილი ფოლადის მავთულები მარწუხებივით დაავლებს ყურებს სინაზის მოსასმენად სულგანაბულ საბრალო ბიჭუნას, რომელსაც უმღერიან: „Серенада одити!" რა სიშინელეაა, რა უსაფუძვლობაა და მაინც რა მშვენიერია თავდავიწყებით მჭროლავი მატარებელი გაცრეცილი ცის ფონზე, როცა სარკმელში კრიალოსნის კენჭებივით იცვლებიან ბუნების ლამაზი ხედები. კრიალოსანი, კრიელეისონ.

პოემა

...ს, სკამძელზე ჩამოჯდარი და მძღოლკა მთლიანად მოვწიე ყნურჩეულობით, ეგებ „სიდჯანილია" და არ იმოქმედოს-მეთქი ისე ავღელდი, ცახცახმა ამიტანა. საშინლად ნერვიული გავხდი ამ ბოლო ხანს, ნამდვილი ფსიქოპათი ვარ, ოცდახუთი წლისა. თმები მცვივა, კბილები ნახევარზე მეტი აღარა მაქვს. სისულე-ლ-ე-ებ!! რა კეთილხმოვანი სიტყვაა: სი-სუ-ლე-ლე! სულელი. რამდენად არაკეთილხმოვანია, დავუშვათ ასეთი სიტყვა, როგორიცაა „სიყვარული". ქვემოსოფლის ბაქანი ჩამკვდარია. არავინ დადის, არავინ ფორთხავს, ბაქანზე არაფერი არ არის კარგი, ყველაფერი ცუდია. საზიზღარია წვიმა, რომელიც ნერვებს ასველებს. სველი ნერვები კი ბიოდენთა მოკლე ჩართვას ახდენს და ერთმანეთში კომპარულად ურევენ ძველსა და ამწამინდელს ვებბა, დროენმოფლამელი, წითელლოყება დედი პირს აბჩენს ბავშვობისდროინდელი ზღაპრისეული ბილეთიან. შიშველი ქალი აგონიაში იგრიხება და ორგანიზმიან კრუნჩხვას ასრულებს. მოცანცალებს რელსებზე საჭყალი, იბოლი კუროლელი — მარტო, სულ მარტო, ტყეში. გო-ოლ! — ღრიალებს სტადიონის ათიათასიანი მძვინვარე ხახა და მყრალი ამონასუნთქი ბუქად ტრიალებს პროჟექტორების შუქზე მერხებზე ცისფერთა და საკონტროლოს ვიწრო მათემატიკაში გბელისხეთქებით, მასწავლებელმა არ შეგვნიშნოს-თქო. ახლა კი ვხედები, რომ გვხედავდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა, როგორც ზოოპარკის ბუ და თავს ასოთხმოცი გრადუსით ატრიალებდა, კალში ნისკარტი და ზარდამცემი გამოხედვა ჰქონდა. არაფერი... არაფერი. არაფერი... სპერმა, გადანთხეული ნაგავზე, საპირფარეშოში, ჯამაწვილცოდვილობისას. ნაფოფსმომცემი სითხე სიბინძურეში უმ რასაკვირველია, მხოლოდ საზრალო სიამოვნებისათვის... გამოხრული ქათმის ძვლები, ასობით შეჭმული ქათამი, ხრტილები, ხოჭკლიანი კანი, სკინტლით გამოტენილი ნაფლეთები, ტრუსის სუნი, ღვინიან მოდლვარე ზღვა, ტალახიანი ქვები, მედუზები და ამღვრეული, ქაფქაფიანი წყალი... ბინძური საცვლები... ბორმანქანა... კბილის ტკივილი... სიკედ-ილი. კუბო, მიცვალებული მამის ნესტოდან ჩამოღვენთილი მოვარდისფრო სითხე — გაწყალებული სისხლი... ცრემლი, ჭირისუფლის, სიყვარული, სინანული, სამუდამო გამოთხოვება. ველარასოდეს, ველარასოდეს ნახავ... ყოველდამე ლოცვა სულის მოსახსენებლად... ბევრი ფიქრი — გრძნობა, რომ არსებობს, რომ არსებობენ... იქიდან გხედავენ... სანთელი, საფლავზე საკურთხი, ყვავილი... გადახარშული სევდა, ღიმილი პატარა ბავშვების დანახვისას: ცოცხა მოგვალი თავები, სასაცილო ყურები და ხმები... კეჭები... ახალშობილის სიმსუბუქე და შიში — არ გამივარდეს... დაამებული ტკივილი — ტკბილი, შეშლი ძილი... ალერსიანი ქალის შეხება ხელით ლოყაზე... გადაიფარა... მზით გარუჯული გრილი კანი, ფერადი, ლამაზი კენჭები და გამჭვირვალე პაწაწინა ტალღების ლამუნი... გემრიელი ნაყინი შოკოლადით ანდა ფორთოხლით, დაშაქრული მარწყვი, ნიგვზის ტორტი, დაკაკლული ბროწეული... ოცნება პარალელურკლასელ ნაწნავიან გოგონაზე, დიდი თაფლისფერი თვალები რომ აქვს, როგორ ეკონცებდი ტუჩებში თვალმოხუჭულს... ყველაფერი... ყველაფერი... ცელქი მრგვალი თეთრყურში ქანდარაზე ამოცირავდა და მხიარულად დაჰყვირა: „არრრრრა!" კალათბურთის თამაში ფიზკულტურის გაკვეთილზე — მოვიგეთ, გვეხარია გოოგოლლებს. „დინამო! დი-ნა-მო!" — ჩვენები იგებენ, ვყვიროდით, ვხტოდით, მერე გამოვდივართ ქუჩებში. ზეიმია. თასი ჩვენია! ვაშა! შვილის ნუკრი და კუროლელი დამეგობრდნენ ერთ დაბურულ ტყეში-მე მას ვეუბნებარ. მატარებელი ჩამოდგა. ჩემია. მარტო ვარ, იბოლა, მეხვევა, მკოცნის, სიყვარულში ვიძირებით— სულ რამდენიმე მგზავრი ჩამოვიდა...

ვკოცნი, ვჩურჩულებთ... „ვაჰ, ვოვიკ, ბიჭო, საიდან!" გმირმა იშიშვლა ხმალი და ბოროტ დევს თავი წააგდებინა... ეს ხომ ჩემი თანაკლასელია, ლადო. საფეხურზე არ მინახავს... მეხვევა... ქმაყოფილია ბავშვი. ზღაპარს კეთილი ბოლო აქვს. „...ეს კი ჩემი მეუღლე ლენუკაა!", „სასიამოვნოა", ხელს მიწვდის... გადაიდარა, მზე ანათებს, ალხენს. არაფერი არ არის ცუდი. ყველაფერი კარგია.

— რა ლამაზი ქუდი გქონდ, — ვეუბნები მეგობრის ცოლს.

ლადო გაბარებული მხარზე ხელს მხვევს. რა ბედნიერებაა ძველი მეგობრის ნახვა!

— როგორა ხარ, ვოვიკ?

— ჰოო, მაგრად ვარ!

**ლენუკა:**

რა გაიხარეს ერთმანეთით ძმაკაცებმა! ვოვას — თმაგაკრეჭილ, სიმპატიურ ბიჭს საოცრად ლამაზი, სულშიჩამწვდომი და მიბნედილი თვალები აქვს.

რა ხანია ეს კოხტა სადგური არ მინახავს. არ მახარებს მასთან შეხვედრა, ისევ ჩემი სევდა მკორტნის, იმ კონცერტმა რომ შემახსენა. ვცდილობ თავი არ მივანებო, თორემ სევდამ, შესაძლოა, დამალრჩოს კიდეც. ოთხი კედელითაა, გზა არსაით ჩანს.

უცებ ვილაც რკინიგზელი მიახლოვდება და დიდის ამბით მეუბნება:

— ეს თქვენ, ქალბატონო! — და კონცერტს მიწვდის. ლადოს გაოცებული სახე აქვს, ვოვა საერთოდ ვერ მიმხვდარა, რა ხდება. ვერც მე ვხვდები ვერაფერს.

— გმადლობთ!... — დაბნეული ვამბობ, რკინიგზელს ბარათს ვართმევ, ის კი თავს მიკრავს და თავისი გზით მიდის.

სასწრაფოდ ვილებ კონვერტიდან წერილს და სანამ ვკითხულობ, უცებ ინგრევა სევდის ოთხივე კედელი, ინგრევა და ეჭვიან ტკივილს ქვეშ იფლავს ლებს. პატარა ფურცელზე წერია: „ჩემო საყვარელო ლენუკა! ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ, შენ ერთი მიყვარხარ! მსოფლიოში ყველაზე მეტად შენი ლ". სახარულისგან კი არ ვტირი, პატარა ბავშვივით ვწივი და ლადოს კისერზე ვეკიდები, ვკოცნი.

**ლადო:**

სანამ ლენუკა ჩემს მოკლე უსტარს კითხულობდა, ვცდილობდი გაკვირვებული სახე მქეროდა და თავს ვაგულიანებდი: „სიმშვიდე, სიმშვიდე, სიმშვიდე, აი რა არის საჭირო"-მეთქი, „თვითფლობა და სიდინჯე".

ხოლო როცა ლენუკა კისერზე ჩამოშეკიდა და ტუჩებზე მომეწება, ისევ საქმეზე დავიწყე ფიქრი. სხვა ნეტარებათა მსგავსად, ისიც დამლუპველია. კარიერის, მატერიალური კეთილდღეობის და მისთანების დევნა არაფრით არ განსხვავდება ლოთობისა თუ მრუშობისაგან, მაგრამ ნამდვილი საქმე, ეფიქრობ, ერთადერთი გამოსავალია. ჭეშმარიტებით ეს უმჯობესი და უცვლელი ფასეულობაა, რომელსაც ცხოვრების გზაზე მცირე გამოცდილებით მივაგენი. საქმის გარდა ყველა სხვა ფასეულობას უზარმაზარ კითხვის ნიშანთან აქვს საქმე.

მე მიყვარს საქმე. ამას უფრო თამამად ვამბობ, ვიდრე ვიტყოდი — მე მიყვარს ჩემი ცოლი, რომელსაც ახლა უცხო სადგურის ბაქანზე მოურიდებლად ტუჩებში ვკოცნი.

საბრალო ვოვა მთლად დაიბნა, თუმცა ლენუკას ძირს დაყარდნილი ქუდი სასწრაფოდ აილო ნაწვიმარი ასფალტიდან და ფაქიზად, გულმოდგინედ გაწმინდა.

**თენგიზი:**

ველარაფერი ველარ გავიგე, ეტყობა ჩემგან შერილოკ ჰოლმსი არ გამოვა. ჯერ იყო და, ვილაც მამაძაღლი დაბგდათ სადგურზე. ისე შეაცხადეს ერთმანეთის დანახვა, რომ ან მართლა შემთხვევით შეიყარნენ, ან საგანგებოდ გაითამაშეს. მერე მემანქანემ წერილი

გადასცა ძუკნას, იმან კი წიოკობა ატეხა, ქმარს მიახტა და ლამის შუა სადგურზე შარვალი ჩახადა. მივხვდი, რომ ვერაფერს ვერ მივხვდებოდი. ჩემს თავს ვეთხარი, „ფუი ეშმაკს, მიაფურთხე სატანას და ამათ თავი დაანებე“-მეთქი, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მიაფურთხებ დიდი უზრდელობაა და სატანას უეჭველად გაუხარდებოდა მისი საკადრისი საქციელით თუ მოვეპყრობოდი და რაკიღა ჩემი ჩიტები, უკვე გასამეზებულნი, გზას გაუდგნენ, გადავწყვიტე, ბარემ ბოლომდე მივყვები-მეთქი. გოგომ ისევ დაიჭირა ქუდი, რომელიც თავაწყვეტილობისას ტალახში დაუვარდა და სამკუთხედის ახალმა წვერმა სასოებით მიაჭროდა, ბიჭები აქეთიქედან ამოუდგნენ და მე უკვე აღარ ვიცოდი, რომელი იყო მისი ქმარი: ის ქმარი, რომელიც თავიდანვე არ ვიცოდი ქმარი იყო თუ არა, თუ ეს ახალი, მელოტი ძაღლიშვილი...

საზიზღარ გუნებაზე დავდექი.

თავი ამტკივდა.

### ვოვა:

ლადომ მითხრა, ლუნუკას წინაპრების ძველ სახლში მივდივართო. ის მოტოვებული სახლი ყოფილა მაგათი, მონასტრის ზემოთ, მწვერვალზე რომაა შესკუპული. რამდენიმე კილომეტრია ვიწრო ბილიკით სავალი. აგაცილებთ-მეთქი, ვეთხარი, ნაბაზების გამორთმევა მინდოდა, მაგრამ ლადომ ჩანთა დამითმო. ნელი ნაბიჯით მივყვებით ქვემოსოფლის თემშარას. გამოფხიზლებულს უჩვეულო გაუცხოება მეძალება. არ ვიცი, რა არის ეს. რაღაც ახალი ხვრელია და ამ ხვრელის ბოლოს ეს ჰაეროვანი, ყვავილის მსგავსი არსება დგას — ჩემი ბავშვობის მეგობრის ცოლი. მისი მსგავსი არავინ მინახავს ქვეყნად. ნეთუ მთელი სიცოცხლე ბნელ ხვრელებში ხელისცეცებით უნდა ვიარო. რამ უნდა მიხსნას? გონებამ? შრომამ? სიკეთემ? ჭვრეტამ? სიმშვიდემ? ნებისყოფამ? ყველაფერმა ერთად? ჰო, ყველაფერმა ერთად და კიდევ სიყვარულმა, რომელსაც ცოდნა უნდა, რომელსაც პოვნა უნდა და მოვლა უნდა. აი, ამ ყველაფერმა ერთად უნდა მიხსნას და მშვიდობით მატაროს ბნელ ხვრელთა წიაღ. გაიგე, ლადო? შენ უკვე გიპოვნია შენი ბედი და მე მეგობარი რაინდის საპატიო როლს ვკისრულობ.

— რას შვრები? როგორა ხარ? — მეკითხება.

— ვარ რა, აქეთ-იქით, ფიგარო, ჭიგარო, — ვეუბნები, — გახსოვს, მთელი კლასი შენგან რომ ვიწერდით მათემატიკას?

— მაინც რას აკეთებ? — მეკითხება.

— რა ვიცი. ვიღაც მაბრაზებს, ვინმეს დავეძებ და, აუ, რამდენი ვინმეები არიან ადამიანები, — ვეუბნები, — უაზრობისაა ეს ყველაფერი.

ამ დროს უკან მივიხედე და უკვე ცხადად დავაფიქსირე საეჭვო სუბიექტი, რომელიც ჯერ კიდევ სადგურშივე დავლანდე. კუდში მოგვყვებოდა და აშკარად გვითვალთვალებდა, ძაღლს ჰგავდა.

### თენგიზი:

რას ვშვრები, მე თუ ნორმალური ვარ?!

საქმე და საჩალიჩო გამომელია, თუ რამ გადამრია?!

წადი რა, შვილო, ფული იშოვე. რად გინდა ეს ექსპერიმენტები და ქვეყნის კიდეზე ვიღაცების დევნა?!

ვინ რას მომცემს ამ სისულელეში?!

ცხოვრება არსებობისთვის ბრძოლაა — მაინც მივდევ ამ ძაღლიშვილებს. ნეტავ რა მრჯის?

მე მგონი, რაც დრო გადის, ადამიანი სულ უფრო და უფრო იდიოტდება.

### ლადო:

— შენ რაღას შვრები, რას საქმობ, გარდა იმისა, რომ ოჯახს მოჰკიდებიხარ? მკითხა ვოვამ.

— აბა, რა ვიცი, ვოვიკ. საქმეს რაც შეეხება, ჯერ ყველაფერი წინ მაქვს,

რაც მაინცდამაინც სახარბიელო არ არის, თუ გავიხსენებთ, რომ მაგალითად ბარათაშვილი და მრავალი სხვაც ჩემ ხნობას სიცოცხლეს ამთავრებდა, მე კიდევ ახლადგამომცხვარი არქიტექტორი ვარ და სულ ოთხი-ხუთი წესიერი პროექტი მაქვს, ისიც დიდი პერსპექტივის გარეშე. მოკლედ, ასეთი ამბებია...

— აქ უნდა ავუხვიოთ, — თქვა ვოვამ და ტაქსმეტრის შეჩერდა, სადაც მოხრდილი ალმართი ბილიკი იწყებოდა.

ლენუკა კი მოულოდნელად რაღაც უცნაურ ამაყ პოზაში გაირინდა და ისე შემომხედა, რომ ხასიათი წამიხდინა. უსპანელ ქალს დაემსგავსა — ამპარტავნისა და თავკერძას. რაღაცის თქმას აპირებდა და ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილი მივაჩერდი. ვოვაც დაიძაბა. ქედმაღლობა, ლორსების ჭარბი გრძნობა, ყოყლოჩინობა, გონსმოკლებული თავმოყვარეობა ადამიანურ თვისებათაგან ყველაზე მეტად მძულს და საკუთარი არარაობის დასამალავი თავდაცვის ინსტინქტი მგონია. ამიტომ გავიგნდი, როდესაც სიცოცხლეში პირველად გავიგონე ლენუკასაგან ასეთი შეუვალი ტონით წარმოთქმული სიტყვები:

— არსადაც აღარ მოვდივარ. ახლავე უკან დავბრუნდეთ!

## ლენუკა:

ვოვას ჰქვიან, მიბნედილ თვალებში ჩემი საქციელით გამოწვეული დაუმალავი აღტაცება ამოვიკითხე, ლადო კი ნირწამხდარი და დაბნეული მიმზერდა.

— რას მიყურებ, ვერ გაიგე რას გეუბნები?! — ტონი გავიმკაცრე და მისწის ფეხი დავკარი.

— ვერ გავიგე, — ძლივს ამოღერღა ლადომ.

ანდა რას გაიგებდა. მთელი გზა მინდოდა მისთვის ზაზუას მონათხრობი ამბავი მომეყოლა, იმ დილით რომ გამახსენდა — როგორ ატარა ბებია სახლამდე ხელში ატატებული. მინდოდა, მაგრამ არ დამცალდა — ტაქსში მძღოლის გასაგონად არ ვინდომე, ვიფიქრე, მატარებელში ვუამბობ-მეთქი, მაგრამ მერე იმ კონცერტის გამო სულელურად ვიეჭვიანე და სულ გადამავიწყდა ზაზია-ბაბიუს ზღაპარი. აქ რომ ჩამოვედით, ახლაღა გამახსენდა, მაგრამ აქ კიდევ ვოვა შემოგვეხვდა, მოკლედ, სანამ მოსაყოლად მოვიცლიდი, მანამ ერთი ახირებული აზრი მომივიდა თავში: ბებიას ტანისა ვარ, თანაც მისი ქედი მაბურავს. რა მოხდება, ოინი რომ გავემეორო და ვნახო, რას იზამს ჩემი ლადო-მეთქი.

— ხუმრობას მოეშვი, ლენუკა, — მკაცრად მითხრა ლადომ.

— არ ვხუმრობ, ფეხით სიარულს ნაჩვევი არა ვარ.

— ვაჰ, — გაუკვირდა ლადოს, ვოვა კი უკვე აღტაცებით კი არა, თაყვანისცემით შემომყურებდა.

— დიახ. ჯერ ერთი! მერეც — დავიღალე, მესამეც — მეშინია!

— რისი გეშინია, ნუ გამაგიჟე, — მოთმინებას კარგავდა ლადო.

— ჟაჩალების, ლეკების, ტანდარმების, რა ვიცი, ვისი არა!

— რას ბოდავ, გამაგიჟებინე, — აყვირდა ლადო, მე კი განვაგრძობდი:

— დიახ, მეშინია, თასი იხერიი დადის. აგე, ნახე, ვიღაც მოგვდევს კიდევაც, რა ვიცი, ვინ არის, — ქვემოთ, შორს მართლაც მოდიოდა ვიღაც, მგონი სულაც ის თვალდაპრაწული ფეთხუმი ბიჭი მატარებლიდან.

ვოვამაც და ლადომაც მისკენ გაიხედეს. ის ადგილზე გაიყინა.

— საეჭვო ტიპია, — თქვა ვოვამ.

## თინათინ:

მიდიოდნენ და მივყვებოდი. მერე შეჩერდნენ და მეც ნაბიჯი შევანელე — უცებ სამივე მომიტრიალდა და შემომხედეს. შიშისგან და მოულოდნელობისგან კინაღამ ქვეშ ჩავიფსი. სანამ შარში არ გავეხვეოდი, ჯობია იქ წავიდე, საიდანაც მოვსულვარ. კაცმა ფეტქივარი თავი არ უნდა აიტკივო. აბა, სასწრაფოდ, თესი აქედან!...

### ლენუკა:

— აბა, მორჩი ახლა, გეყოფა! — დამიბღვირა ლადომ, მე კი, თვითონაც რომ არ ველოდი, ღაპაღუპით წამომივიდა ცრემლები. ბაბუა მახსენდებოდა. გული მწყდებოდა.

— რა მოგდის, ლენუკა?! — გულგახეთქილი მომვარდა ლადო.

უკვე აღარ ვთამაშობდი, გულამოსკვნილი ვტიროდი:

— დამანებე თავი! დავიღალე! დავიღალე! — ვიმეორებდი და არც კი ვიცოდი, რა დაღლას ვგულისხმობდი.

და უცებ, ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს, მერე ორივემ მარჯვენა ხელი მარცხენას მაჯაზე წაივლო, ხოლო მარცხენა მტევნები ერთმანეთის მაჯებს ჩასჭიდეს, ლამაზი, რაინდულად გრაციოზული მოძრაობით ჩაიჩოქეს და „ოქროს ტახტი" შემომთავაზეს.

### თენგიზი:

მეგონა, გავგიჟდი-მეთქი — აფორიაქებული, აღგზნებული, დაფიქრებული და გამხიარულებული ვბრუნდებოდი ქვემოსოფლის სადგურისკენ. კაცმა რომ თქვას, ისეთი რა მოხდა. ყველანი ჩვენ-ჩვენი გზით განვაგრძობდით სვლას — ისინი იქით — წინ და ზემოთ, მე აქეთ — უკან და ქვემოთ.

უკანასკნელად მოვტრიალდი და უკანასკნელად გავიხედე. ლამაზქედა ხელებზე შეესვათ ბიჭებს და შორს მიჰყავდათ.

მოვტრიალდი და სამუდამოდ მივანებე თავი მათ ცქერას. დაბლა დავეშვი. ვბრუნდებოდი და ჩემი თავი რატომღაც მაგონებდა ქვაბს, რომელშიც ნელ ცეცხლზე იხარშებოდა რაღაც. რა იყო ეს „რაღაც", ალბათ, მომავალში მივხვდებოდი...

### ლენუკა:

დედოფალივით ვიჯექი „ოქროს ტახტზე" და გარემოს ვათვალიერებდი. ჩავუარეთ ქვემოსოფლის ფოსტას.

— ეს არის ჩვენი საფოსტო პოსტი, — თქვა ვოვამ.

ზემოთ და ზემოთ მივიწევდით, ნელ-ნელა მართალია, მსუბუქი ვარ, მაგრამ ხელით ადამიანის ტარება ალბათ მაინც არ არის ადვილი. ახლა რა მეჩქარებოდა, მომწონდა კიდეც, ტაატით რომ მიდიოდა ჩემი „ოქროს ტახტი". განა სხვაც ყველაფერი ცხოვრებაში ასევე ნელა და მძიმედ არ მიიწევს წინ. ვფიქრობდი. რას ვფიქრობდი? რაღაცას და ამ ფიქრს არაფერი სჯობდა. საერთოდ რა არის ფიქრი? იქნებ ფიქრი უბრალო საკრავია, რომელზეც შენი სურვილით შეასრულებ ან სიკეთის ან ბოროტების მელოდიას. თუმცა რა დროს ესაა, როცა დაბურული ტყის სიღრმეში ძველისძველი იდუმალის კოშკი გამოჩნდა, ლამაზი და თავაღერებული, როგორც ყოვლისშემძლე რაინდი.

— ეს არის ჩვენი ძველი კოშკი, — თქვა ვოვამ.

ლადო არაფერს ამბობდა. ხელები ბიჭების მხრებზე მედო, სუსტი ნიავი სახეში მცემდა და ჩემი ქუდის ბაფთებს ჩუმი შრიალით აფრიალებდა. მომბეზრდა ფიქრი, ან რა უნდა ვიფიქრო, როცა ასეთ ბედნიერებას განვიცდი, თუმცა ოდნავ გაურკვევლობის ბურუსი მაშინებს და გული უჩვეულოდ მიჩქარის. ხელებიდან მონატრების ძლიერი ვნება მეღვრება სხეულში და ინტიმური სიცხადით ვხედავ სევდიან სურათს — ბაბუას ამ გზაზე, ჩემს გვერდით. ან იქნებ რამდენიმე ნაბიჯით წინ ბებია მიჰყავს ხელში აყვანილი, ბებია იცინის და თავზე ეს ქუდი ახურავს. ეს ყველაფერი თამაშია, მაგრამ სხვა რა არ არის თამაში ამ ქვეყნად, სილამაზეც ხომ თამაშია, ამქვეყნიური თამაში. იქ კი, სადაც ბებია და ბაბუა არიან, არანაირი თამაში აღარ არსებობს. სილამაზე აქ არის, როდესაც ვინმე მიქელანჯელო თავის შეყვარებულს, შიშველსა და ულამაზესს, უკვდავყოფს ქვაში და თან წარმოსახვით მორიელს დააკბენინებს. და რჩება ეს ნათამაშევი ამ ქვეყნად, როდესაც თვით მოქანდაკე

და ის ასული გამთასვლის მორიელმა დიდი ხანია დაგესლა. ვზივარ დედოფლის ტახტზე და ვგრძნობ, რომ მიყვარს, ისე ძლიერ მიყვარს, რომ ლამისაა ისევ ავტირდე. ნუთუ ეს ყველაფერი სიბერისა და სიბინძურის ულამაზო ნარჩენებით დაიფარება. დრო შეუბრალებლად მიქრის, ჩვენ კი როგორ ვექცევით ერთმანეთს — უაზროდ, უსინდისოდ. ღმერთო, რა სულელები ვართ, რა სულელები!

### ვოვა:

მივაბიჯებდი, მხარზე მისი ხელის უმსუბუქეს შეხებას ვგრძნობდი და ეს ცხოვრება უნიათობად მეჩვენებოდა: საიდანღაც გამოგდებულობის შეგრძნება დამეუფლა. ცხოვრება დანაკარგების ჯამია და შესაბამისად მუდმივი განცდა იმისა, რომ იქ, სადაც თავს კარგად გრძნობდი და სად ყოფნის სურვილიც გაქვს — არ ხარ და არც არასდროს იქნები... ირგვლივ ცხოვრებაა — საქმე, სიყვარული, დროსტარება, ჭირი და ლხინი... თითქოს ყველაფერია ბედნიერებისთვის, მაგრამ სულში ნოსტალგიაა დაკარგულ გზაზე, ხელიდან გაშვებულ ცხოვრების ვარიანტზე... და სევდა. რა გაუძლებს სევდას, რომელიც უკვე მომიტანა ამ პატარა ქალმა, ახლა ხელზე რომ მიზის... თუ შეგიძლია, აარიდე თავი ამ სევდას, იქნებ ეს ის სევდა არ არის, ყველას რომ გარდაუვალად ელის... ბოლომდე უნდა ელოდო, სანამ არ გაირკვევა ყველაფერი. დრო თვითონ დახსნის კვანძებს, დაგვაშორებს, შეგვაერთებს, გვაიძულებს, და თუმცა იღბალი, ადამიანები და საგნებიც კი კეთილად არ მექცევიან, მე მაინც უნდა ვძლიო ეგოიზმს... რა ვუყოთ, თუკი არ მიმატოვებს შეგრძნება, რომ „იქიდან" — რაღაცნაირად, სინათლიდან — გამომაძევეს, რადგან ადამიანი მქვია...

მივყვებოდი ბებერ ბილიკს და მხარზე მისი ხელის უმსუბუქეს შეხებას ვგრძნობდი. ავაცილებ მთის მწვერვალზე მიტოვებულ ძველ სახლში ლადოს და ლენუკას. მერე? ნუთუ აქ უნდა დავრჩე, ამ გამოყრუებულ ქვემოსოფელში? თუ მეტიც: აქედან უნდა გავეხეტო სინათლისკენ და გავიდე, უკან კი მოუნელებელი ცოდვები დამრჩეს: დამანებებენ კი ეს ცოდვები, რომ ვირთხის ხვრელი სინათლის წყაროდ გადავაქციო?

რაინდად უნდა ვიქცე, მეუღლის ერთგულ მეგობრად, მარტოსულ ლომად! მრისხანე და დიდებულ მეფედ, ვისთვისაც არაფერია პირველივე უღირსი შემხვედრი გვამად წარმოიდგინოს და თავისი სულიდან გაასვენოს. მისთვის უმთავრესი პრინციპი მაცდუნებელი მარჯვენის მოკვეთაა. ის მკაცრია, სამართლიანი, მისი სასჯელი წმიდაა. ის იოლად განიკვეთავს სხვებს და მარადიულ მარტოობას ემსახურება. ის ლომია. და აი, რა უნდა ისწავლოს ლომმა: სიყალბის უარყოფა და ულალატობა, თვით საკუთარ ბოროტებასაც კი არ უნდა ღალატობდეს იგი, რადგან ღალატი უდიდესი ბოროტებაა. ლომი არ შეიძლება ამპარტავანიც იყოს, მას ისეთი ძალა აქვს, ისეთი მრისხანე გამოხედვა და სიმშვიდე, რომ საამპარტავნოდ საქმე არა და არ გაუხდება.

ლომი მარტოხელაა, მაგრამ იცის მეგობრობის ფასი.

და თუ კი ჩემისთანა ნერვებმოშლილი ნარკომანყოფილი ლომობას მოახერხებს, მე მარადიულ მეგობრობას გეფიცებით.

გესმის, ლადო?
გესმის, ლენუკა?

### ლადო:

შენი მარჯვენა მადევს მხარზე, მათბობს და ხალისით მივყვები ზეაღმავალ ბილიკს, რომელსაც მთის მწვერვალზე მიტოვებული ძველებური სახლისკენ მივყავართ. იმ სახლში, ჩემი წარმოდგენით, სპეტაკი და სულგანათლებული თეთრწვერა მოხუცის, ბაბუაშენის კეთილი სული ბინადრობს. მიხარია და ვგრძნობ, რომ მიყვარხარ, თუმცა წელან კი შემაშინე და გული დამწყვიტე. რადგან შენს ხასიათში თავკერძობის

დანახვა არ მსურს. მეზიზღება ყოველგვარი ამბიციურობა და გულზვიადობა, პატივმოყვარეობა და თვით თავმოყვარეობაც კი. ჩემის აზრით, ეს ყველაფერი სიყვარულის დიდი ნაკლულობაა ადამიანში. დისტანცია და დიპლომატია უბრალო ურთიერთობაში სრულიად ზედმეტია. პირადად მე ყოველივე ამან დიდი ზიანი მომიტანა — მარინა დამაკარგვინა. არა მგონია, ჩემმა დღევანდელმა უბადრუკმა ბარათმა საქმე გამოასწოროს, მას მე მუდამ ქედმაღალი, არაგულწრფელი ვეგონები, მაგრამ მე შენ დაგიმტკიცებ, ლენუკა, რომ გულწრფელი ვარ, მუდამ უშუალო და ჩემი ბრალი არ არის, თუ ბუნებით ცივი, სხვაზე არანაკლებ ეგოისტი ვარ, ან ყალბი და გატკეპნილი მეტყველება მჩვევია. ასეთი ვარ და არაფერი მაქვს დასამალი. თუ გიყვარვარ, დიახ, გიყვარდე, ლენუკა და ნუ მოითხოვ რამე საზღაურს. მეც არაფერს მოგთხოვ, თავდადებული სიყვარულის გარდა, რაც თუ გაქვს — გაქვს, თუ არა — არა. მე შენ გულის ფიქრით მოგაგენი, ჩემო ლენუკა, გიპოვნე, აღმოგაჩინე და გულის ფიქრითვე უნდა ვეტრფიალო შენს სიყვარულს, რადგან უფიქროდ, ლაღად და ალალად გულის გახსნა ჩემი ნებისა კი არაა, შენი ნებისაა და იყავნ ნება შენი. ეგებ ფიქრიც და სიცოცხლეც იმისთვის გვაქვს ბოძებული, რომ ძალისხმევით, საკუთარი ნებისყოფით მოვიპოვოთ სიყვარული, რადგან სხვა გზა გულის გასახსნელად, ზეგარდმო მადლის მისალებად მე არ მიჩანს და, ალბათ, არც არსებობს, თუ კი კაცი ისეთი გულდახურული, მადლთან წილუყრელი, ცოდვიანი, არარაისგან შემდგარი, სიყვარულის უცოდინარი, უთავბოლო ფიქრებით თავსავსე, უღირსი ვნებებით და დღითიდღე მძლავრებადი სევდით გამოტენილი ინდივიდუალური ტომარა ხარ, როგორიც მე ვარ ცხოვრების ოცმეხუთე წელს.

### ბერი ექვთიმე:

დაუნდობლად ჩამოციცქნილი დარაბები და ფართოდ გავაღე ჩემი საკნის სარკმელი, შევისუნთქე ტყიდან მონაბერი გრილი ნიავი და თვალი მივაპყარ ამწვანებული ბუნების სურათს, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა მონასტრის გალავანშიგა პეიზაჟისაგან. ან რისი იმედი მქონდა? განა არ ვიცოდი, რომ რწმენა უფრორე მორჩილებაშია, ვიდრე იმედში.

კვლავ ეკლეზიასტის უკვდავი სიტყვები აღიმართნენ თვალწინ: „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს". ამ უდიდესი სიბრძნის ჭეშმარიტი წვდომა არა დამანგრეველ, არამედ ჯანსაღ და მისალებ განწყობას მგვრის. დიახ, ასეა, კაცო, ბერობაში ექვთიმედ წოდებულო, ასეა და ნუ გგონია, რომ ქვეყნიერებაზე — მარჯვნივ, მარცხნივ თუ პირდაპირ — არჩევანს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ან რაიმე ჭეშმარიტს უფუძნებოდეს მომდევნო სინანული — ნეტავ ასე კი არა, ისე მექნა. სიცოცხლე და ფუძე, ამაო და ცრუ ამქვეყნიური იმედები, ამ სარკმელივითაა, არაფერიც რომ არ მომიტანა, ჩვენი ხვედრი კი, მიუხედავად ყველაფრისა, უტკბილესია, იყავ მშვიდი, ბერო ექვთიმე, შემთხვევითი კი არაა, ეკლეზიასტეს „ამაოება" რუსულად „ფორიაქად" რომ თარგმნეს — „ფორიაქი ფორიაქთა". ჩვენი ენა მაინც დიდებულია. ქანდრისის გზაზე დაბურული ბინდი დგას, მზე ძლივს ატანს ხშირ ტოტებში, სევდა დაუფროვებია მიტოვებულ ტყეს. მეც მიყვარს მარტოობა და მახარებს კიდეც, რადგან მივხვდი, რომ ადამიანად მარტო იქცევი, მარტოობაა უკეთესი მესაიდუმლე, ვიდრე სხვა ვინმე. მარტოობა კაცს თავის სინდისთან შეახმატკბილებს. მარტოსულს სინდისი არ აწუხებს. იგი ან წმინდაა, ან უსინდისო. ვინც არც წმინდაა და არც უსინდისო, ის მარტოობას ვერ მოახერხებს.

ტყე კი შრიალებს, ფრინველები ხმადაბლა ჰიკჩიკებენ. ნიავს შორიდან ადამიანთა ხმები მოაქვს, რაც სწორედ

რომ მოსალოდნელი გაგრძელება ჩემი დღევანდელი საქციელისა. გულჩქროლებული, სუნთქვაშეგუბებული გავცქერი მოსახვევს, საიდანაც ძლივსგასაგონი ზვერები მესმის და სასწაულს ვხედავ: მთის გადაღმიდან ამოწვერილი მზეთობილით ამოდის ქალი — სინორჩით და სიცოცხლით სავსე ულამაზესი არსება, სიფრიფანა საზაფხულო მოკლე კაბითა და ძველებური, სევდისმომგვრელი ქუდით მოსილი, კი არ მოდის, თითქოს მოცურავს და იმ ხილვით გაოგნებული, გვიანღა ვამჩნევ, რომ მარტოლაც არ მოდის, რადგან ორ მამაკაცს მოჰყავს იგი ხელში ატატებული და სუბუქ არს ტვირთი მათი.

აღარცერთი აზრი აღარ ბოგინობს გონებაში, შევცქერი ციით მოვლენილ ამ ტბეულთ სურათს და სიწყნარეში ესმება ჩემი მზერა, ზვერები რომანტიულ მდუმარებაში ინთქმებიან, სივრცეც ირინდება და ნაზად, პაეროვნად ეფერება ნელა მომავალ სამეულს. მოჰყავთ ბიჭებს საღვთოებლო ტახტზე დაბრძანებული არსება, რომელიც გამუდმებით უნდა გიყვარდეს ადამიანს, მაგრამ ვით თუ რამ ნაღვლიანი შეგემთხვევს, რაიმე სატკივარი გამოგეწნდეს, ან ბოლოსდაბოლოს, წლებმა მოგვიტანონ ჭკნობის სიმწუხარე... ეგ არაფერი, გვაიმედებდა გაყურებული ბუნების სიბრძნე მეც და იმათაც, ყური მივუგდეთ წამების ნაზ სვლას, ადამიანებო, ხელი ჩაავლეთ სწორედ ამ სინათლეს, ახლა ამ წუთში რომ გაგრძნობინათ სინაზემ და სულისშემგუბებელმა პაეროვანმა სილამაზემ. გამხიარულდით, სევდიანად გამხიარულდით, იცხოვრეთ, ილაღეთ, იცინეთ, ღიმილად იქეცით სიყვარულისთვის. დაე დაიწვათ, დაიხარჯოთ, ჩანავლდეთ განცდების ცეცხლით, დაე, მოიკარგოს, მოსუსტდეს ძალა და ლონე სილამაზე, სინაზე და სათნოება ხომ მაინც შერჩება სამყაროს და რას იზამ, თუ კი შეუდეგად სევდიანი მოგონებები დარჩება — ჩემში, სუსტი, მარტოხელა და დაღმავალი, მაგრამ მართალი და კდემამოსილი, სუფთა და პატიოსანი, როგორც მინდვრის მკრთალი ყვავილი, რომელიც ამიერიდან მუდამ მომაგონებს ამ პატარა, საოცარ არსებას, ახლა ასე მომხიბვლავად რომ დაბრძანებულა კაცის ხელთაგან მოწნულ საღვთოებლო ტახტრევანზე და გზას მიუყვება ზემოთ, ცის დასალიერისაკენ...

ისე ჩამიარეს, ერთხელაც არ გამოუხედავთ ჩემი მონასტრისაკენ, ვერ შემნიშნეს. გამცდნენ, ზურგი მაქციეს, მე კი კიდევ დიდხანს მივაცილებდი მზერით დასალიერისკენ დაშვებული მზის სხივებში მოლივლივე ფერადბაფთებიან ძველებურ თეთრ ქუდს, რომელიც სულ მაღლა, მაღლა მიიწევდა და ნათელს ერთვოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნუგზარ კობერიძე

* * *

მიყვარს ეს ქარი,
სველ თმაზე რომ
გადებდა ბორკილს,
მიყვარს ეს ტალღა,
შენი კაბით
ჩემსკენ რომ მორბის.
დილაა,
სოფელს ათენებენ შავი მამლები
მიყვარს ეს ძილი,
შენგან თბილად
ხელშენავლები.

მიყვარს ეს ნისლი,
თლილ თითებში გამოპარული,
ღიმილში ლანდი ეშმაკისა
ცად მიმალულის,
ხანჭლებზე ცეკვავს მზე,
თვალები
მევსება სილით,
ვზი,
ვარდნაბერი მარტოობით
გულგასენილი.

* * *

აღარა ჩანდა
ქვეყნის სივვე.
ჩამოფრენილი სხვა სამყაროდან
თეთრად ყვაოდა

შავი ქლიავი,
შავი ქლიავი
შენთვის ყვაოდა.

* * *

ავადმყოფივით შემოგცქერი,
რომელმაც იცის,
არაფერი არ ეშველება.

რას იზამ ნეტა,
მომატყუებ?
არ მომატყუებ?

* * *

დღეს ბედნიერი
არა ხარ სულაც,
ხვალ სევდიანი
დახედავთ სურათს.

მიდის სიცოცხლე
მღვრიე კადრებად,
იცი, ხვალ ეს დღე
მოგენატრებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ცივია შენი თეთრი ხელები,
ცივია მკერდი,
მზერაც ცივია,
სახეს იხოკენ ჩალისფერები
და შემლილები მზეს უცინიან.

* * *

გულის უდაბნო
დახრული ცრემლით,
ცა
მოსარკული ფარშევანგებით...

მიყვარს ის ქალი,
რომელიც მწყევლის,
ქალი — სიკვდილის,
ქალი — განგების.

* * *

მომძახოდა და მომკივინებდა,
სისხლით ღვივისო ბედის მარცვალი.
აზია — ჩემი მახინჯი დედა
ევროპა —
ტურფა დედინაცვალი

* * *

გამარჯვებისას წაგებულ ომებს,
დამსხვრეულ შუბს და
აცდენილ მიზანს
ვიგონებ,

როგორც ღიმილს
მონისას,
რომელიც უნდა
შეუგდონ ლომებს.

## ნატვრა

ქარში აზმორებს დახეულ ბადეს,
მზე — ოქროს თევზი
გდია ბადეზე.

გულზე ამ ტალღის ლოდი დამადეთ,
ზედ ვარსკვლავების წვიმა
დათესეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მე ცხელი შუბლი
მიდევს შენს ხელზე,
შენს თლილ თითებზე
ზის ჩემი სული,
მაინც დაგეძებს,
მაინც დაგეძებს
კაცი
სიგიჟის ზღვარს გადასული

* * *

ქაშვეთის ზარი
მწუხრისას რეკავს,
ფანჯრებს ეხლება
აღრენილი ხეთა ტოტები,
წვიმს,
სავსეა ბიბლიოთეკა,
რაზეც ახლა ოცნებობს ხალხი,
მე წიგნზე მძინავს
და სიზმრად გხედავ.

* * *

მე რომ შემეძლოს,
ახლა ყველაფერს,
ქვეყნად ყველაფერს მივატოვებდი
და მოვითხოვდი
თავშესაფარს
ჭიანჭველების სახელმწიფოში.

* * *

სიზმრებში ყველას
ბედნიერს და
ამაყებს გხედავთ,
სიკვდილის მერეც რომ დამესიზმროთ,
თანაც ისეთნი,
ნამდვილად რომ ხართ,
იმ სიზმრებიდან რაღას გიშველით.

* * *

ბეღურები ზამთრობით
არ ტოვებენ ქვეყანას,
ერთგულება იციან
ბეღურებმა ალბათ,
მაგრამ განა მერცხლები
გაფრენილი ინდოეთს
უკან არ ბრუნდებიან
დამსხვრეული ფრთებით?

* * *

არა ლიქნით და
ბაგეთაფლობით,
არცა ოხვრით და
ცრემლის ღრუბლებით,
შემოგექრები, როგორც დამპყრობი,
როგორც ამკლები და
დამღუპველი.

* * *

წვიმამ ზღვა მოიტაცა
და ჩიტივით წაიღო
მკერდი პალმისა
ქარმა დატორა
დილით დავტოვე
საღამოთი
მზე აღარ იყო

გაჰქონდათ ღრუბლის
ალიგატორებს
სერზე შევდგები
თეთრი მხედარი
შევმართავ შუბს და
ცას მივატოვებ

* * *

აქვეა მტერი,
ქვეყნის გამცემიც,
აქეთ ტაოა,
იქით ზღვებია,
ქალებს ნატრობენ ჯარისკაცები
და ყაზარმებში
იხარშებიან.

* * *

ქრება სხეული,
შენ რომ ჯვარს აცვი,
სულისკვეთებავ,
ჩავლილო ფუჭად.
ამოიოხრებს ზღვა, როგორც კაცი
და ციკლოპივით
მზის თვალს დახუჭავს.

**რევაზ დანელია**

## მზის წვიმა

თოვს მარტის ცა — საოცარი.
ცისფერ ველით მიდის დილა.
მზე ეხვევა ყელზე ცაროს
და ნიავი — ლაღადელა.

შელისთვალება გაზაფხული
ნახა ცამ და გაიღიმა.
მზის — მოედა სასწაულზე
უსასწაულესი — წვიმა!

თოვს მარტის ცა საოცარი.

## თუ გინდა, მომკალი მერე

წითელი პეპელა ნანგრევებს ციხისას
დაჰფრენს. ცა იისფრად მღერის.
იქნება შენი მზე ჩემს ზეცას ეღირსოს,
თუ გინდა, მომკალი მერე!

წითელი პეპელა ნანგრევებს ციხისას
დაჰფრენს. სასწაულს ელის!
იქნება შენი მზე ჩემს მინდორს
ეღირსოს,

შენიც. სიცილის ფერი!

ფრთებმთვრალი პეპელა ნანგრევებს
ციხისას
დაჰფრენს. ცა იისფრად მღერის.
შენი მზე ოღონდ ჩემს ზეცას ეღირსოს,
თუ გინდა, მომკალი მერე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძნელია მეშვიდე სართულიდან...

ძალიან მიყვარს გამოსვლა აივანზე.
ახლაც... ვდგავარ და ვუყურებ —
მეშვიდე სართულიდან — თუ როგორ
ეცემა
მიწაზე
ჩემი
ლანდი!..

ძალიან მიყვარს... —
ხვალიდან, ალბათ, ალარ გამოვალ
აივანზე, —
ძნელია
მეშვიდე
სართულიდან
მიწაზე
დანარცხება!

## სამეგრელოში წელს წვიმა სულაც...

სამეგრელოში წელს წვიმა სულაც
მოსვლას აღარ ნებობს.
ჩემი ხორცი და სული
წვიმაა, უნაბებო!

სამეგრელოში წელს წვიმა სულაც
მოსვლას აღარ ჩქარობს.
ჩემი ხორცი და სული
წვიმაა, ლურჯო ქარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

# სამი მოთხრობა ერთი მკვლელობის შესახებ

ა. [illegible]

[illegible]

[illegible]

დასასრული. იხ. „მნათობი", № 6.

სხვანაირად არ შემეძლო, მე აქ უნდა მოვკვდე!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — ნარჯარგვალ მისისხა, მომეჩვენა, არც თუ გულწრფელად. — მერე აქ ვისთან უნდა გაჩერდე? თუ გინდა, ჩემთან წამოდი!

— გმადლობთ, ჟოდო ბიძია, მაგრამ მე გასაჩერებელი ადგილი მაქვს!

— შენი საქმეა შენ იცი!

მეტი არაფერი გვითქვამს. ჩემზედ ვიხედავდი, რეზერვაციის ადგილებს, ნანახ ადგილებს და ყველა სხვადა მეგობრობა. მერე აქედან, სადაც დადიოდა იწყება, უსიკდ გადაიშალა ჩემი ბავშვობის სანახები. რამდენი დრო გავიდა და ვერავითარი ძალა ვერღარ ადგილი აწერა... თუმცა არა, მეგობრები ბევრი ადგილი დამრჩა და სულ ეს ცოტა ადგილი შემომრჩა...

სასაფლაოსთან გავაჩერეთ. ბიძიამ მომიბრუნდა. ბავშვობიდან არ დავიწყნია და დაინახა ჩემი:

— ცხადი ადგილის მოდის, ბიძიავ, შენ აქაც სამყარო მოიძებნება ჯერ. უკან არც უნდა მიიხედო, მოდი ცხოველის წინ გაიცანი!

— ეს ბიძია არა ვარ მე, ჟოდო ბიძია, ოქვენ რომ მოუწოდებდით... სულ სხვა კაცი ვარ ახლა მე!

— დღეობის ქნას, დღეობის ქნას! — ჟოდო ბიძიამ მანქანა დაძრა. მე კი მიდიოდა დავუქნიე.

სხვა არ ვიცოდი ეს ადგილი, გვერდით მივიდოდი.

ვერ ვიტყვი, რამდენ ხანს ვიდექი და ვიცოდი ვერ გამოვიცანი მაშინდელი მიწის სუნი... „მამაჩემი აღარ არის, ობოლი ხარ ბავშვობისაგან", ცოტა ქვემოთ კი, ეცერა ბებიას აქვს დადებული — „არასდროს კიდევ არავის".

მოვუახლოვდით, როცა მამამისი გამოჩნდებოდა, და ბიძიამ წაიყვანა, ვერაფერი მოვიგონე. თავიდან ყოველთვის ჩიტის სოფელი მოვიარეთ. შემომრჩა მარტო ადამიანები და სხვა აღარ რომ მამაჩემის ბიძია და ან მე ერთი მამასახლისი სვეტს. რასაცვინაიდან ვერ ვიგრძენი. შინაურს, ვერ ჩამე ჩემი წინ გამხადა სიყვარული. ეს გარდაიცვალა ეზოში, რამდენიც წინა გადარჩენილ სხვადასხვა და ეზოს ეცა სახელად, მოელი ოთახის სამზებით ჩაიბა, მიაძღვნა, წელში გამოვეტარებინა დიდ და სასმელ სულ ერთად და ამბავს ვეტყოდით — როგორ მოვიდოდა ამ სოფლისათვის, მეხელებს მოვაჟორდა და — რადგან ეს იყო ჩემი ერთადერთი სულიერი, ერთადერთი სიცოცხლე ადგილი — გადაწყვეტილი ადამიანების შემდეგ შემდეგის ვიგრძენი... ადგილი მოვიყვანეთ ამბავს სიცოცხლის სახლების დაწვრილ, მარტო არაფერს, ყველაფერ ქვეყნის და გამოვიარეთ ნე

ბაროვან მეცნიერის ასეთ მოსვლამდე... და ის მოვიდა, ჰერცოგი, ვეპერში და ვერცხლი, ვიზიტი ნადირობის წინა დაბრუნების, ყოველთვის ლხინისა და ცხოვრების ყოფილი... აქ მოსვლამდე მე ძალიან დავიღალე, რომ სხვაგან... სწორედ აქ, სადაცხან ამ ბებიას სახლთან უნდა გამეტარა სამოცდაცამეტი წლისა, უნდა გადამეხადა შემოდგომისას ბარტყი და რაოდენ მეგობრული, ბებიამ ადგილისა იყო.

დიდხანს ვიდექი ამ ადგილას. წინ, ლოდიქი სასაფლაოზე ჩიტელები ჭირვეულობით ოფლიანი მოჩვენებები...

მახსოვდა მეგობრებისა ჩემი თავი, ხმამაღლა მეძახდა: „მე ვარ მამაჩემი დედაჩემი, დიდო, დავიდგა!" მაგრამ ვერ ვიტყოდი. რადგან სიტყვები თამაშის მკვეთრი, ისინი გადაწყვეტდნენ მიწილების ოთახის კლდეებზე. ძალი დაემშვე და აქედან, ცოცხლის სხლის ხელთ შემოდიოდა, ტკივილის დამკვიდრე და მე — მამაჩემი დაუდგა გავიწონდი ჩემს სიცოცხლის, ვიწრო ბილიკით სიდედრისკენ დავეშვი...

მერე უკვე დასავლეთისაკენ გადავუხვიე, მეზობლების შენელდა.

უეცარ ცხოვრებით ვიარეთ საათამდე. ხან მეშინოდა, ვისმეს არ გადავეყროდი, ხან ბიძიქით, მეწყალე სოფელი მეგვირა და მეფობის: „ბიძია, ვუღარა მეგობრო, მკვლელობით ადგილების მამულა ვარ!"

ჩამავალმზის სახლის საზღვაო ღელეში შორიდან, თუმცა ის უკვე არ იყო ჩამავალი მზე. რა მეყანებოდა ჩამავალმზის, მაგრამ გულის ჩვეულება ბინდი ვიგრძენი.

სარწყავი მივადექი, სან მეხსიათან ვიყავი მეტები მოვეშვათ თუში. მამამისის წერილი ჩიხში ამოვიკითხე, ისიც ოჯახის გადაცვლილი და ბუღე დასწყვა. ჩამოვარდნა სანაპირო მოგზაური მოუდეროდეთ. ჟენმში. ერთგან გუმბათებიდან, იქ, სადაც სახაზო ვექილებ. რამოდენა ვეჭრებენზე მამის და რა ბიძიამ ვიცოდა. გამახსენდა თანაც კონიაკისურმუდელ, მამიდის მარჯანიშვილ ორთქმაწაველი რომ გამოვიდა თავი. გამიხსენდა, როგორ შეკრეფდა, შარვლის ტოტში რომ ვერ ვაჩვევდრებოდი ვერცხლის ნემსი კი ატარა. ამ გამოხსენებამ ეჭიხულ კოდეს მიტკინა გული. გამოვიცნობდი-მეგობრე, გინა ეჩიო წუთით დავიწყებულიყო როცა. ისე ხასილით, ისე გამოყვანილიყო სასხლისა ვოდილება. მაგრამ არცა, სასწაულის გამოწვევა წასულში რომ ვიცეკვებდი, შეშინებულიც ცოცხლად შეგვყვებოდა ყოველი წამი.

არაფერი. სად არის წლები ცოცხლის მემკვიდრე? სად არიან ბიჭები და გოგონები? რას აკეთებენ? როგორ მამაცობენ? ან რომ ვერქმოდნენ, ბევრი შეშინებულ მეწყობილები — ბინის იცნობები ვერცხლი, დროის ძველმანელი გაფრენდნენ. ამ დღეების შემობრუნების მინდოდა, როცა სულიერ დავდიოდი და არა

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

— [illegible]

[illegible]

— [illegible]

[illegible]

## კარლო კალაძე — 80

გიორგი ნატროშვილი

# ოთხმოცი წლის ჭაბუკი

[illegible]

კარლო კალაძე

[illegible]

[illegible]

-ლენი ტყუპს მოუღლიღებლად შეჰყრიდა ოთახში ხანჯლებში ჩაჟირებულ ბუდის ხიბს: „ხელი აფარეთ, ვოძაჭრე — ვინ მოხელე-მეგობრ გოროღელის ხოცელის ხიჭუხი მომყვანილებს გზაცეგზე, თითო-როოდა, ამიტომ ცხრაღებშიდან, იქვეს აღმხედლი რომ არის, გოროღის მისც არ მოგცლიდო. ხედრიც რომ ვცქირდეს წიხელი! მეხრიბის ვეძრზე ბიჭებით. ბიჭების გზაც მქონდა აქეთაკენ — ვინ მოხელე-მეგობე — მეგრიბელ მოხუცებმაც ვიცოდე. ასე, ერთში მოხეცში ხამარიდა შეზდაცებისა (ხიჭიხდეში მემინდეგრი და ლამის მეხრე ვიდიდე). ხიჭიხექარიც გაგეგა აშბავი გახლავთ ცხოვდი. იმ არაფერბლი მინახავს მეც იგრე ხელშეკრულებელი! როცა ჩერ კარგა ცრეჯერით ბრეზებს მიც ნაპერწკლებისა — მისი ყელისა ყაჩაღის და მისი ნამუსის წყრომელი მილეა, ხელი ძალა მაიწვავს, ხიბლურს ხილოდა ლელიანა, ვიდრე არ მოვეშმეთ ბედა ცის მოწყვეტილიეს — მამინდა შენწყვეტს ვილიხას და ერთგი მოეკვეთა, მხოლოდ იყე მოიწყვიტელი, დალიანწიმე ვაცდა“.

ახლოთა ხელიყავს მოიბრძოდა აშბავი, მაგრამ ერთი სიმპატიური ლექსის ეუბნება, რაღაც მოუღლოდებელი და განაცხადა: „შენ ჩვენი ხშირად სიცოცხლე. მინდა ჩვე შენგან გაიქარო, ლოტბარებადობრივი ღამეში ათამაშებდაცხლიანი ცისკარი. შენ, ჩვენი ლიდი მტვერისაბარი, გამხდარი ქვეყნ ქვეყანა — მეც წარლიდ ამოსავალი რიგი მივცერდე, ხვდებოდა მეც მხოლოდ ჩვენ ცისკარი, მეც არ ვარ კიდე დავიდე, ვინა კი არა — ზღვა არა, ვერ შეხვედეს ხელმე ვეყერი, — გადიო, აჰყრიდა, არრიხდე, განათლების გველის, პურის მეღვინეობა ვინმე სიმღერით მოიხმარებით! მერე ლამაზი ფერებს-გადიოდა, ტყავის ჩვენ ჩე ლაგერი — და შემდეგ ღვინოს რიცხვი ცის მოწყვეტილი თავად — არა, ეს წვიმა არა ლირს, მადლობა იმ ლოდ გზის არ მქვია, ცაში, რომელშიც ხაცოცხლე გადაიხა მამაცებრძოლის!“

მე თოვლის მიდგა ლექსი აშიშვრიბა. მანლიდა ხელახლა ვერძნი, ხელახლა განმეცხადე მეორედ ის ლირიკის ხახატული, რაღაცის ბუშქინი ამბობს, ის ნათელი მწყემსები, ერთ წამით ერთ წვიმად შეგრძნო დღეს და ხანრეული, რომელიც კი ბოლოს შეიცავს. იქვენ თითონ აბრევი, მეორედვე, მაგრა აქ ტრაგიმასა და ოპტიმიზმი შორის. თურმე, ცალ-ცალკე ასეთი არ არსებობს, კი ოცნების წყვილისეული, ხალხი ხომლის გულიანი ერთად ზღვაოდ ახელებული დღეს, ბნელი ნათელის ერთად, ხაკვეთი სიცოცხლესთან ერთად — ეს არის მისი პოეზიის დიალექტიკა.

კარლო კალაძე ეკუთვნის ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელთა იმ თაობას, რომელიც ბრძოლით მოვიდა ქვეყნის განახლებისა და თავისუფალი ცხოვრების დამკვიდრებისა. ახლის დამკვიდრება ბევრმა ხალხმა საქმეც და ამ ძრწოლეც ლოტბარისწინი ფერიტება სიცოცხლე რითიმა გაითარება იყო შეზღუდა. ბევრმა არ იცოდა, საით უნდა წასულიყო ქართული პოეზია. იყო აფრენილი ხმები, მანიფესტები, ათასგვარი თეორიები და ჯგუფები მათგანი პრეტენზიის აღმოჩნდნენ, რომ ერთადერთი ის არის პოეზიის გზის მაჩვენებელი. იყვნენ ისეთი კონსტრუქტივისტული გაჭრიანება ადამიანებიც, და არც ისე მცირე რაოდენობასის მქონენი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ამიერიდან ძველი რადგან „ზენაგომიერეტის ლიტერატურა“ ხანა და ერთგვარი ლიტერატურის აღვიძება მან უნდა დაიჭიროს. ეს იყო ნიგილისტური ერთმნიშვნელოვანება, რომელიც რევოლუციის იდეებს არაფერი ჰქონდა საერთო. ამ ხანებში მკვებობდნენ ახალი ამბებიც: თურმე საზღვარგარეთ, ემიგრაციის წრეებში, ცხოვრობენ, რომ მაილე, რევოლუციის გაიმარჯვა, ხალხმა დაიწყო მშვიდი საშინაო წამოსვლა; ხშვენიან ერთად, ერთ ქართველ რევოლუციონერს მოეძლიოს კი სამაგრეთელი აშბავი — საქართველოში ლიტერატურა; მან თურმე გარიცხა ეპიკური მიმდინარეობა — რას ამბობა, ხალხი საქართველო, მე მივლიდი კიბორის ერთ პატარა ნაწყვეტი, სახალხო ამბავი. მაგრამ ის კიდე ხელთაღების არ იყო ხუმრობის გზებზე და რაღაც გარკვეული წრეების მოსწრაფებები ახალი კარაკტერული ფორმით გადმოსცემდა. ეს ხერხის, ეს გავლენის მწვრთნელისაც უნდა განვიხილოთ ის. კარლო კალაძემაც თქვა თავისი სიტყვა მან გვიჩვენა ერთგვარი და ამ ტრადიციონალიზმის უპირატესობანი და სამშობლო ალნიშნა, ბრძოლის დასვლის ლექსიკური ერთგვარი პოლიტიკური, რომელმაც ფართო პოპულარობა გაითქვა და წარსულის ვაჟა პირის შთაჯერა ერთგვარი, კერძოდ, ქართული ლიტერატურული კლასიკის ატავიზმის.

პირველივე ლექსები ახალგაზრდა პოეტისა კიდევ ერთხელ შეახსენა მკითხველს, რაოდენ ძალუმი და ღრმაა ქართული მიწების მომღერალი თბილისი, შეახსენა, რომ „ჩვენ ვართ შემდეგი ძველი ხვედრის, ჩვენ ვართ სიმწვავის ახალ მებრძოლი“, და რომ არ ბეჭდება „პირველ შოთა ახალგაზრდა ცისკარი“, თუმცა ჩვენი საფუძვლის მარადიულ ჩვენი ხელი აქვს ცალში იყო. პოემაში „ახალი აღმოსავლეთი“, რომელიც დაიწერა 1928 წელს, პოეტი მამაპაპეული ფეროდალურ ქართველში:

თუ ოქროს იბრძოლეთ რომ შეგვყრიდეთ
მიწების მეჯრ მოჭრილი ბარდენ,
ჩვენში ვერ ხაბელეს ვერც ერთმა ჩხრებმა
ნაჩრდილ სიცოცხლის წვერილი მზისრ.

და ისევ როცა
  სამეგობროდ ავიღებ ენას —
ისე მგონია,
  ქვეყნის მიწფიელის ფრენას —
ცას მივწვდები
  ენით ამღერების ძალ-ღონით ქიანი!

აქ ჩვენ ფართო პანორამა იშლება პოეტის თვალწინ. ამ ლექსში გამოხატა ქართველი კაცის გულდიდობა, მისი ქველი ხელი, მისი ტრფიალება მაღალი ზნეობრივი იდეალებისადმი, მისი პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი. პოეტის პერსონაჟებს გაუჭრათ თავიანთი ქვეყნის სახელი მსოფლიოში. და კიდევ კიდევ ამ პოეტის რიცხვში ლექსები, სადაც ოსტატურად შე-უძლია ითქვას, რომ მის ლექსში მკითხველი ხედავს ენისა ტკბილ ხმას სამშობლოსი და ტკბილობის, მის შემოქმედებისა და ადამიანურობისას, მის მაღალ აზრს, მის ცხოვრ გრძნობას და ხალხის სიყვარულს, სიმღერებს, ვაჟ-კაცობას, რასაც კი ხალხი და სამშობლო ითხოვს პოეტის მოქალაქეობის ხმიდან.

ალბა ქუთაისური ამბობდა, პოეტი უფროსი ძმადაა და პოეტი ამ მაღალი მისიით კიდევ... ამ მაღალი შუქი გამოჰქონდა კიდევ კლდის ლექსის სტრიქონებიდან და ეს არის ყველაზე მომხიბვლელი ამ პოეზიაში. კოლმეურნე ამ ლექსებს და გრძნობას ხელის რიტმს გაიგოზემად სიამოვნებით, აი თუნდაც ლექსი—„მტკვრის ამ ხიდთან ლამპიონებთან"; აქაა მთელი საქართველო, უზომოდ სიყვარული ვიცით ნაპირზე და ყველა ზეობაში, აქ არის საქართველო — ერთი თვალის გადაყოლებით დანახულ-დაბატებული: „ხედი რომ ერთი ცდის სიყვარული ვაზის-ჩემ — ეს გზაა მთელი ჩემი ნიადაგი... ქართველი ვაშლით. მაღლა შენს გამზის — შენიერები შენს სიმღერის! ტოლის მტკვარის და ბადატელია რთველის, ქვეში სიმწიფე და ზამთარი — არის შენ-ნიგოს კეცვებითმის, მისი სიმღერა მისი ქართველი! დედის ვარდის, გიდე ალაველი ჩავს ისე გაიჯაზნება, რომ შენ-ზიდვლ მზე ძირს არ ჩადის — დროის დიდე-ბის, დროის მსუბუქ ილია ისევ რწმენა ამერის, მზე ისევ გულის ფიქრს მეგონა... ჩვეულის ამ სიცოცხლისუფლების სიყვარულია გზა და სიცოცხლე"...

ამ ლექსში, ისევე როგორც მთელ ციკლში „ოქროს გზაზეა" რომ მქვია, („მეგობრისას ვი-ლოდ", „ამ სოფელს უნდა სტრიქონი ვრქვას", „ცისკრის გამქრალ მარა, ქალაქებ", „მზე და ველ-მინდვრის ყვავილებით", „სოფლის დილა" და სხვ.), აისახება ლირიკული საქართველოს სურათი და, ისევე ძირს, გრძნობ ისტორიის სუნთქვას, სიყვარული ქართველობის. აქ არის ახლებური ისტორიაში, ამ მთის გაზა-ფხულები ადამიანებთან ლექსიდ დაშორებით ჩივილა „მუშა-კაცის, ვენახს, ფარსა და იფქლის".

მე მახსოვს, როგორ დაიწყო ეს მუქარის სიმღერა. ზოგიერთი იყო, ლიტერატურა ამით რა-მოადგა, საგარეგოს ვენახები დაიწყებოდნენ, პოე-ტებში — ყველა კიდევ, რვები მოგვიანება, კომპოზიტორებს ხელში ცისკარი და ამ სტრიქონის ავტორმა საგარეჯოს ზვრებში წაიყვანა გადავიწყდა. რომ უნდა იყვნენ ჯიში. ვა-ხაც ვენახი დაუწყებია რა მაღალი უნდა მოე-ძებნა მის დაჭერით ვულს, რომელიც სტუმარი მოქცია წყლის დადგომა ზრდის წყალში ნაკ-ვერი? მაგრამ პოეტმა მოიპოვა საჭირო სიტყვე-ბის შესანიშნავი ნიმუში, შენოსხვების არ და-წერილიყო. პოეტის ნაწარმოებებში მევენახეს და-ხასიათებისა გამოცდილებას ტოლი ტრადიცია გა-აჩნია, საქართველოს მთელი მრავალფეროვნე-ბის ისტორია დაიმუშა და მეგობრებთან ერთად დიადებდა, რომ მათაც არაბოლოს ენის-თვისაც განსაცდელად და, მით უმეტეს, არც ახ-ლა შევხვედრები:

ვენახევში ჩრდილივით ნიავის შემ
ძალა თვით ამ სიცოცხლის ეშხში
და კვლავ მიწების იქვე განმდგარის, —
გზისგან სიმღერა არ შეეშინდა...
მე ჩემს დასამზადებ ლექსს და ლურჯის
გასამხნევებლად ძალას ვავსებ,
აქვე იდგება ხომ საქართველოს
მკერდიტოთულ ცრის მუქის.

ეს არის თვით ბუნების ხმა და, ისევე დროს, ხმა მრავალშეჯამრავალფეროვანი ერის ისტორიის, რომელიც განსაცდელში არასოდეს არ გატე-ხილა.

ასე ემსახურება პოეზია მშრომელი ხალხის ქართული კალმის ამ ციკლის საწარმოებებიდან აღსანიშნავია „კოლმეურნე ნიავის", „ბეწვი სიმ-ვენახის ჭამოსარი", „ოქსლიერი" და სხვ. ამ ციკლიდან ზოგი ლექსი „ცეკვა", რომელიც კარგად არის გადმოცემული ქართული ფერხულა-რულობით, ოსტატობისთვის კარგია გარემოს სიმკვიდრის: პოეტი მიმართავს ვენა-ხის ტრაქს:

— ტაძარო, კვლავაც დიდებით შენგან
ქვეყანა ერწყვრის როგორ არ ვენდოთ:
ქვას აწვერი, რომ ვერ ვაძლევენ
სიცოცხლე ღვთისმშვენიერი.
მიმ, კვლავაც ქუჩა კარიბჭეს ამენ,
წარსულის ზიდვა, გაღვივდება!
რომ ბედნიერებად დავიდის ქვაზე
ამ ჩვენმა წლებმა გადაიარა!
და ასე, ასე, ჩვენი დიდება —
ის გზა ჩამქრალ ვერის დიდებას! —
ისევ გულის სიცოცხლე და ისევ
სიყვარულის ქვებში ახალი!
ვენახს ეს დიდი და კვლავ სიცოცხლე ახალი

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

—•—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ მუზაშვილი

# „პოეტის სიკვდილი"

[illegible]

[illegible]

I.

პიპინი: როგორ მდგომარეობაში იმყოფება ადამიანი?
ალკუინი: ასეთში, როგორც ლამპარი ქარში.
(შუა საუკუნეების ლიტერატურული საუბრიდან).

თუ მოვიწონებთ თამაზ ბიბილურის ძალზე საინტერესო რომანის „შუქი ხმისა და ტრიოლეტისათვის" ერთ-ერთი პერსონაჟის, კერძოდ, ბერდია ლელაშვილის სულიერი მდგომარეობის ირიბად საერთო განსაზღვრას, უნდა ვთქვათ, რომ ეს კაცი ერთი სულიერი დისკომფორტით იტანჯება. ეს არის ის შიში რომანის ამ ნაწილისა, სადაც ბერდიას ტრაგიკული ცხოვრების ვით-არებით, რომელიც ეფუძნება კლდოვან-ქვების გარემოს კარგად ჩანს. სრულიად აშკარაა, რომ ადამიანი მხოლოდ სულიერ დეპრესიას შეიგრძნობს. მწვავედ ასეთ შემთხვევაში პერსონაჟი გვეხმარება. ასეთი სხვადასხვაობა მაშინ იჩენს თავს, როცა ბერდია ლელაშვილის ასეთი სულიერი მდგომარეობის მიზეზებზე ვიწყებთ ფიქრს.

იგი სოფელში დაიბადა და გაიზარდა. უნი-ვერსიტეტში განსწავლის შემდეგ გარკვეული გარემოების წყალობით იქვე დარჩა. მალე და-სერტიფიცირდა, დაოჯახდა კიდეც და სა-ოჯახოდაც ბინაც მიიღო ქალაქის რომელიღაც უბანში. ვიტყვი დამატებით, რომ ხანგ-რძლივი მოლოდინის სანაცვლოდ შემდეგში ამაღლებულად კარიერული ცხოვრება აქ არის. პირიქით, საერთოდ სოფლისა და ადამ-ლის მოპოვების ურთიერთობა პრობლემატური, ქალ-აქიდან მეტად კავშირის თავისებურების მხრიდან-ის შედეგად. შეუძლებელია ადვილად და უმტკივნეულოდ გაიარო ასეთი ბერდიამ, მოიგეროს ეს ყოფა — კარგა დაბანჯახოს მაგრამ წლების გზები და დროებით. ბერდია ლელაშვი-ლი, სრულიადაც ვერ გრძნობს თავს ბედნი-ერად. მავანისა და მავანის გასაოცრად, ნაღვლი ხვდება, რომ განსხვავებით ურბანისტიკურ კულტურის სხვა პრობლემატიკაში, მან არც შე-ურიგდა სამყაროში წყობების ბრწყინვალება იზიდავს და არც ის პრობლემურობები, რაც ამ წყ-ობების უნდა მოიტანა მარტოდ კიდევ ხელში-ერთი სიტყვით, ბერდია ცხოვრების მაგარია-ლური მზარდობაში არაფერი არ აქვლის გან-სხვავებული ინტერესის და აზროვნება. მისი სუ-ლიერი დისკომფორტის მიზეზების ძიება აქ მიმართულებით არასწორი იქნებოდა.

თავისთავად ვულგარული იქნებოდა ვკითხოთ, რომ ბერდიას სულიერი ტკივილი მიზეზად ის სოციალური მდგომარეობა საქმის სოფელში-სავლეთის, მაგრამ სოფლიდან ქალაქში ჩამოსვლაში-ვით რომ აწუხებდა მას. ამგვარი ფიქრი არ უნდა იყოს საფუძველი მოულოდნელი თავისი ამბავი, რომ როგორც ვგრძნობ, ბერდია არც ქალაქის დარჩენის ამბავით და არც მშვიდობიანი ცხოვრება კარგ-ვრაზე თვალისჩინი ფიქრი არსებობს, რომ დიდის ქალაქში მისი გადანაცვლება არ ვუფიქრობ და, ვიდრე ბერდიას ცხოვრებაში მწვავე სულიერი სიძნელეები, როგორც კონკრეტული ადამიანის ამოცანები თავის წინ, — თვალებში მიზიდვა ლანდური წარმოდგენები), თავისი საკუთრება-სამოწმენდელი არსებული რიგის.

მაგრამ მეჩვენება, რომ ბერდია ლელაშვი-ლის პიროვნების მთლიანად ამ სიბრტყეზე და-ყვანა მწერლის ჩანაფიქრის უარყოფისა და გა-რომანტიზებულობისა-გამარტივება იქნებოდა.

„შუქი ხმისა და ტრიოლეტისათვის" არ არის ქალაქური ცივილიზაციით გაუცხოებული ადა-მიანებისა და სოფლის მცხოვრებისა და მორ-ალური უპირობის პრობლემებისა და მი-ზნის ისტორია. რომანის შინაარსი უფრო ღრმა და უფრო სპირიტუალური, მარადიული და საზო-გადოებრივ როგორც სოფლელის, ისე ქალაქე-ლისათვის.

ვფიქრობ, რომ თავი დავანებოთ, ამ შუქის-უფლის ბედისწერისეულ რომ მიისწრაფვოდა, არც ერთი არ არის ქალაქელი, გარდა ზოგა ლელაშვი-ლისა (ბერდიას ერთადერთი შვილი) და ისიც მხოლოდ ბერდის ხათრით დასახლდება ქალ. სო-ფელში დაბადებული და მოქალაქე სოფლისათვის იქვე ნაცნობიერ ადამიანებზე, ცხადია, არ შეიძლება იქნა, სოფელი მოუხსნელია. ამრიგად, ნათელია, გარდა იმისა, რომ ერთი რეალობიდან, მეორე, მეტაფორული აზრია სოფელი, სადაც დაიბადა და გაიზარდა ბერდია ლელაშვილი, ეს სხვა რამეცაა, განუზომლად უფრო მეტი და მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთი რეალობიდან სო-ფელი. „ნათელი ოჯახისა, შორეული, სადაც ცაშია... იქნება ნათელი ის ადგილი, სადაც მოვიდოდა და არ ვეწევით უკან მოუბრუნებელი თუ არა..." სწორედ ასე ეგრეთ რომანის აქ-ტორი (იხ. „მნათობი", 1988, № 9, გვ. 127). სოფელ სამყაროს სამი ადგილი ნათელი გამა-რტული ბერდიას კი, უკან რომ მობრუნდება, ცდი-ლობს შეიცნოს მისი გაგებინება:

„ნათელი მოგონება არ არის, ნათელი არ-სებობს და იარსებებს მარადიულ, სანამ არსებობს ქვეყანა მთლიანად.

ნათელი ყველაფერია: ჩვენი სახლი, ჩვენი მოგონება, ჩვენი წარსული.

ვიდრე ნათელი გვეხსომება, არაფერი არ უნდა ვეშინოდეთ.

სიცოცხლისაც კი—

ყველას თავისი ნათელი აქვს. ყველა ჩვენი ნათელისაკენ მივდივართ.

მივდივართ, არსებით, გადასახლებული და

[illegible]

* * *

[illegible]

რეზილი ვინმე გამიდით, და არა ნორმალური. ნორმალურები, ასე მგონია, იმისთვის იქმნენ გაჩენილნი, რათა რომელიღაც რასის, ხალხისა და ცხოვრების წესის ერთგულ ნაშიერ ფორმა შეენარჩუნებინათ, დაეცვათ და გაეზიარებინათ... შემოქმედნი კი იმისთვის გაჩნდნენ დედრობა, რომ... იქით რამდენიმე თაობის, რაიცა ჩვეულ ახლის უოცნებია, რათა, ვინ იცის, ეგებ მრავალთა ძალის იგივე ხმლიერზე გამოვიდეს, ხოლო ნეტელებრივ მატერიალ ადამიანის მხარის მიმეტილი იქნეს".

სწორედ ამ პათოსით განსჭვალული წერილ ქართველის შორისხნიანის დასხდეს.

თავის უკანასკნელ წერილში, ილიას დარჩენის ქართული მხოლოდ აღმოჩენა იყოს ყველაზე მეტად ის აწმუნებს, რომ დარჩება მისგან სიკვდილის შემდეგ უფსკრული ხოლო ნაშენის გადმოვლმისდე იყო სწორედ შემოქმედება და ეგებ შემოვა. სიცოცხლის სიმღერა ტკბილი დაუძრა და ხანამ თვალები მიხუჭვიოდნენ რა დარჩება. სიკვდილზე უშიშრად იქვეს: „იგივე იყოს, რა დარჩენა სასწაული" ასეთი (თანამედროვე) იყვნენ მოძრაობები, ვერცლი ხალხი კოშმარი დასაწყისი, ჯერ შეხედვა მიწისთვის მეშვეობით და ქვემოდან შემოსვლისადმი იყოს... და იყო მიხედე, რომ ყველაზე უფრო, ცის თვალებზე, შორეულ ქვეყნებზე, ზღვაზე და ცაზე უფრო, მისი წილში მოძრაობა, ვარსკვლავების ძმები შეიძლებოდნენ და ვარსკვლავებმა გაიზიარონ იყოს დაწყნარებელ იყოს და ხილვის, რაც უკანასკნელი ნახატი გადადგა და ფანჯრები მიწა ველი იყრიდნენ, უშიშრად იქვეს თავის სიცოცხლე: „იცოდეთ სწორედ ის დარჩა, რაც იყვნენ იყო იყო".

* * *

ასე წარმოგვიდგება „პოეტის" ცხოვრებისა და ადამიანურის ბიოგრაფია თავისებურებანი, რომლებიც ადამიანური არსებობის ეცნაური კონფლიქტების გამო თითქმის ყოველთვის ტრაგიკული.

ალექსანდრე ღლონტი

# ქვეყნად სიკეთის მთესველი

## გიორგი ახვლედიანის დაბადების 100 წლისთავის შესრულების გამო

[illegible]

[illegible]

თემურ ბიბილური

# ქრისტიანული რელიგიის საწყისები საქართველოში

ლისა და მის მიერ ქადაგების დაწყებისა. მისიონერი ქალი თავდადებულად უარს ამბობს სამეფო კარის რაიმე კონტაქტზე და ირჩევს მოღვაწეობის სწორედ მოსახლეობის ფართო ფენებში. სწორედ ასეთ გამოდის ასახა, ვინც „...ჩას თანა ქადაგებდეს..."[1] ციცხა ასე „...მეუღლე დედანი ნათესავნი უროასანი, ასული ანაათარის, და ცეცხლი სხვანი და მოიხსენა მეველენი იგი დედანი და ... ნი, ანაათარ მღდელი, ... ცა-ბა, 1942, გვ. 62 7.11). ვიცქერით, მხედველი სურათი უნდა გვიდგინოდეს ნინოს მეფეთან მისვლის წინა ხანაში.

## შენიშვნები.

1 ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები (თბილისი, 1977, გვ. 61).

2 ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (I-XVIII სს., თხ. 12, ტ., ტ. VIII, თბილისი, 1977, გვ. 76).

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I (თხზ. 12, ტ., ტ. I, თბილისი, 1979, გვ. 212).

4 ს. კაკაბაძე, საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე (შრომები, ტ. I, თბილისი, 1949, გვ. 213).

5 გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა ძ. წ. I—XIII სს. (თბილისი, 1976, გვ. 160, შენ. 206).

6 პ. ინგოროყვა, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (თხზ. კრებ., 7 ტომად, ტ. II, თბილისი, 1978, გვ. 277).

7 რ. რამიშვილი, ერწოს ველი გვიანანტიკურ ხანაში (თბილისი, 1979, გვ. 95).

8 იქვე, გვ. 95.

9 ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში (თბილისი, 1979, გვ. 13).

10 ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები (თბილისი, 1977, გვ. 334).

11 თ. სლოვეულაძე, თ. ბიბილური, მ. ... ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 101, № 3, 1981, გვ. 741-742).

12 ა. დორ ფერაგენი, რომაული კატაკომბები (II, გვ. 102, რუსულ ენაზე).

13 ა. ს. უვაროვი, ქრისტიანული სიმბოლიკა (ნაწ. 1, მ., 1908 წ. რუსულ ენაზე).

14 ა. ფერაგენი, მით. ნაშრ., გვ. 100-104.

15 ტ. მ. არსენიევა, სამაროვანი სოფ. ნიჟნე-გოროდნოესთან (კრებ. მასალები და გამოკვლევები სსრკ არქეოლოგიაში, 1970, № 155, გვ. 82-142, რუსულ ენაზე).

16 ა. გრაბარი, რ. ბრიჯი, სიმბოლიზმი ლატერანულ ხელოვნებაში (ინგლისურ ენაზე).

17 თ. ბიბილური, სარკოფაგის სახარებული კომპლექსი მცხეთიდან (ძეგლის მეგობარი, № 62, თბილისი, 1983, გვ. 94-43).

18 თ. ბიბილური, ოთხის ცხოველსამარხები ადრეული ხანის საქართველოში (ისტორიკოსთა რესპ. მეცნ. კონფერენციის სამეცნიერო სესიის მოხსენებები, თბილისი, 1983, გვ. 39-44. ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ტაბაშვილი

# საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის სეიჩი კიტაგავას შრომებში

[illegible]

ლების სამთავრო საქართველოს ცენტრი და დროებით უზრუნველყო მონღოლებს ეფექტიანი ბატონობა. ავტორი ზუსტად აღნიშნავს გარემოების მიმართ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებაზე, რომელიც მონღოლებმა შეიტანეს „მეფეების დაქვემდებარებული ქვეყნის სახელმწიფო მექანიზმში“.

სამეფო-სათავადო სამეფოს პოლიტიკური ისტორიით დაინტერესებული ავტორი მკვლევარი, ქართულ და აღმოსავლურ წყაროების ერთად, წარმატებით იყენებს ყველა ამ ქართველი მეცნიერის შრომას, რომელიც ეძღვნება საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდის საერთო პრობლემატიკას.

ვინაიდან, ავტორი მეცნიერის აზრით, 1247 წლამდე ქვეყანა იყოფოდა ქრონიკები და მონღოლური წყაროები ზედა ერთი ცნობებს ადასტურებს საგლეხო-სამონასტრო ისტორიის შესწავლისათვის, ს. კიტაგავა ძირითადად იყენებს ქართველ მემატიანეთა ცნობებს და ზოგიერთ აღმოსავლურ წყაროს. მათზე დაყრდნობით მკვლევარი წარმოადგენს ქვეყნების და ხელისუფლების შორის ურთიერთობის მნიშვნელობას, მეფობისა და ხარკის, რის საფუძველზეც ცდილობს აჩვენოს თუ რა მიზეზით, როგორ და რა პერიოდში მოხდა სამეფოს გაორმაგება, ხოლო მოგვიანებით ისევ შეერთება.

ნაშრომის პირველი ოთხი ქვეთავი „ქართველი მონღოლთა შემოსევამდე“ და მონღოლთა ურთიერთობა მათი საქართველოს წარმომადგენლის ავტორის.

როგორც ავტორი აღნიშნავს, მონღოლთა მიერ საქართველოს დამორჩილების შემდეგ ქართველი დიდებულები, უპირატესად ქალაქების, მონღოლთა სამსახურში ჩადგნენ. მეტადრე მკვლევარის მიერ გამოყენებული ცნობა ამის შესახებ, რომ 1248 წელს როდის ხელთაოსან მონღოლების ირან დარის სარდის ქალაქი ამ გაყოფილი სამსახურში აღმოჩნდა. ეს და სხვა მსგავსი მოვლენების კონკრეტული დროის ავტორის საფუძვლიანი მოცვის სამაგიერო ქართული პერსპექტივის ში.

ს. კიტაგავას ნაშრომების მეცნიერული ღირებულებები, რომ საკითხის წარმოშობის ზემოაღნიშნულ მეთოდს ავტორი მიმართავს არა მარტო საკუთარი კონცეფციის დასაბუთებისათვის, არამედ იმ მიზნით, რომ ავტორი მკითხველებისათვის მისაწვდომი გახადოს ქართული წყაროები.

სამეფოს შიგნით ვარდა, მონღოლებმა საქართველოს მეფე ხარკი დაუკისრეს. გამოკვლევებში აღნიშნულია ეგრე მონღოლთა გადასახადების სისტემის ხოლო ამიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ ახალ მონღოლებს. დაგვიანებით დაწესებულ გადასახადების თანდათანობით, დაყენებულობა შინაარს არ დაუქვემდებარებია, ხოლო ბოლო ხანებში გაუქმდა

მონღოლებს გამოხატული მიზეზით საქართველოს ქვეყანა წარმოადგენდა. ს. კიტაგავა მკვლევარად დად აღნიშნავს უფროსი ამ წყაროს, რომელიც დამატებით ამბობს, თუ როგორც ერთგვარი გამოხატავს სამეფოს ნაწილებს და აღმოსავლეთის სამეფოს გადასახადების რიცხვს გარდა. გადამწყვეტი ფაქტორი ავტორი მიიჩნევს, რომ ქვეყნის ამავე ერთდროულად არ შეეძლო არ შეეშვენებინა მონღოლების და არ დაეუფლებინა, მაგრამ ამ ერთხელაც ხელით მხოლოდ სამხედრო ამგვარი ჩადებულიყო შეეძლო.

შემდეგ ბრძოლების აღწერილი ბრძოლები რომელიც აჩვენებს მეფეთა მონღოლების გავლენით. საზღვარი მონღოლთა რეჟიმის ურთიერთობა და ქართველი აჩვენებთა ველური ბრძოლის დამპყრობლების წინააღმდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ მონღოლების ქართველების მეთაური ხელი ვერ გადახადა, თუმცა მეფეებს განმარტებული პიროვნებების მიერ მოიხსენიება, რასაც აბრეშუმი მეფე და სხვა ქვეყნის მონღოლებისათვის მორჩილება შეეთავაზებინა, კონსტანტინეპოლის ზარის, რომ ს. კიტაგავა ასეთი გადაწყვეტილების გარდაუვალი მიიჩნევს.

საქმიანობის მოღვაწეობის დრო გამოირჩევა, რომ მონღოლები მეფე ავტორი ეტაპზე ნაწილობრივ დაყოფა ადგილობრივ ხელისუფლების მიღწევის, ქვეყანასთან კი არა. შინაურული ამბის, ქვეყნის აღმოსავლეთის გამოყოფილება. ქვეყანა მეფისათვის ერთად გადაწყვეტა ვიცეროვის. ასეთი ურთიერთობებით აღმოსავლეთისა მეფის ქალაქის ქვეყნისა და ზოგიერთი სხვა ტერიტორია გამოსახა. ეს ფაქტი ს. კიტაგავას მიერ ქვეყნის ტერიტორიის გაყოფის საწყისი, რაც უპირატესად უწყობდა ხელს მათი ძალაუფლების ზრდას და მონღოლებში მყარობის, ვინაიდან კარგი ხანია სახლის ქვეყანა საშინაოდ იყოს უფლის ორმხრივ ბრძოლების შესანიშნავად, აღმოსავლეთ დიდებულთა და ქართველ დიდებულთა გამოსახულებით ორთავის უფლის წინააღმდეგ ბრძოლები ხანდა ურთიერთ. ამ ბრძოლების ქვეყნის ისე ასახელა იყო, რომ მონღოლებმა გადაწყვიტეს მისთვის კარგი-ქალაქის გადაცემა. ს. კიტაგავა ვარაუდობს, რომ ეს იყო ამგვარი პოლიტიკური ნაბიჯი, რასაც შედეგად ცენტრალიზებული ხელისუფლების დასუსტება უნდა გამოეწვია. ავტორი კარგად გრძნობს, რომ ეს ფაქტი დავით მეფის სათანადოდ შეფასება და მისი შესაბამისი როლები. ავტორისათვის მნიშვნელოვანია ისიც ნაშრომის, რომ დავითის მიერ ქვეყნის დატოვება ერთსახელმწიფო მონღოლთა პოლიტიკური მიზნების და მისი გამოყენებულება ახალი ეტაპის პირობა ზოგიერთ ეტაპ. როგორც ის მიუთითებს, საქმის საქართველოსთვის გამოვიდა ინიცი-

აჩვენა სწორედ მონღოლებისეულ მიმდინარეო-ბისა.

ნაშრომის შემდეგ თავში — „ქალაქების ოქრო-ხი ილხანებისადმი უშუალო დაქვემდებარების პერიოდში", ნაჩვენებია ის მდგომარეობა, რაც შექ-მნა საქართველოსთვის სამეფოს გაშლის(?). ხაზ-გასმულია, რომ ამიერკავკასიის ქალაქების ტერიტორიის საერთოდ გაუკაცრიელება. ავტორი დაწვრილებით მსჯელობს იმაზე, თუ როგორ და რა პირობებში მოხდა ქალაქების სამეურ-ნეოების გაუქმება არტაშენის, ნიგალის, ქალაქების, შამქორის და სხვა ტერიტორიების ხარჯზე. აღნიშნულია, რომ საქართველოს მიე-რთებული ტერიტორიების ტომისებური ზუსტად არის გამოიყენებული, რაც იმპერიის ენის, რა-დიკალურად გასხვავებული ფორმატულის და დამწერლობის პირობებში ზუსტად რიგით საქ-მეს წარმოადგენს.

ს. კაკაბაძე გარკვეულ აფილს უთმობს მონ-ღოლ წარჩინებულთა შორის ძალაუფლებისათ-ვის ბრძოლის საკითხს, კერძოდ, ოქროსურდოს ყაენების ოჯახიის. აღნიშნულია აშკარა მათ ინტერესებს მონღოლთა შორის პოლიტიკურ ბრძოლაში ქალაქების მიერ დაკავებულ პოზი-ციას თვალსაზრისით. ნიშნავს მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, რომ ქალაქებს ლიდერობის ერთ-ერთ მონღოლთა მიერ დაწყობილ სოცი-ალურ-პოლიტიკური სისტემის შემადგ.

შემდეგ დასაბუთია ბევრი ქალაქის უმთავრ-ესობაზე გამან ვაჭრობის, რომელსაც „ის ბარაქას უმატა და დაშხამა ქარები აწვდაო". კონტ-ტექსტში გამოაცხრიშნულით მოყვანს შეხაბამისი მა-გალითები, რომლებიც ადასტურებენ, თუ რო-გორ ექსპლოატაციას უწევდნენ მონღოლები ქა-ლაქების საკუთარ პოლიტიკური და სამხედრო მიზნებისათვის. მაგალითად, რომელსაც დავით VIII დასამორჩილებლად უთავდებს ბუღა-რიბით გაიგზავნა მონღოლთა ჯარი, მის შემად-გენლობაში ბევრი სამხედრო ნაწილებიც იყო. ზოგი რომელიც ვაჭრის პირველად დადაშენე-ბითა, ბევრი რიგელი ქარები გადასცა მათ. ოცეთ მიიღო 1307 წელს, მონღოლების გულის-ში დამჭირდის ტერიკ.

გამოთქმულ წყაროებზე დაყრდნობით მეცნიე-რი დაასკვნის, რომ ქალაქები დამჭირდი მნიშ-ნელოვან როლს ასრულებდა როგორც მონღო-ლთა ფისკალურ დამჭირობაში, ასევე საჭირო-ებებში მათი ბატონობის განმტკიცებისა და იმპერიის შიგნით სამხედრო შენარჩუნების თვალსაზრისით".

ზემოაღნიშნულ საკითხების ერთად, ს. კა-კაბაძე გარკვეულ ადგილს უთმობს სამეფო ოქმისა და ქალაქების შორის არსებულ ურთი-ერთობის შესწავლას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეტროპოლიის ეკონომიკური ცხოვრება, შემოქმედება მონღოლთა ხელშეწყობით აღწევდა ბევრ ქალაქებზე, უშუალოდ მოაჯრდებოდა.

ნაშრომის შემდეგი თავი მიძღვნილი ენციკლო-სამეფოს საქართველოს ქალაქების სა-კითხს. ავტორის მტკიცებით ჩანს, რომ ქალაქები მონღოლთა შორის წარ-მოიშვა ამის საქართველოს კულტური გაერთია-ნების მომწიფებულობის შესახებ. ს. კაკაბაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაირკვა მონღოლ-ლებთან საქართველოს გადაქცევა მონღოლთა ფაქ-ტიური განმგებლების რონაზის დამაბარებინა ოდე-ავტორი დარით ცეტატების ასეული გამოთქ-მწვრელ ანაზღაურების ამ ადგილებისა, საიდა-ნაც აშკარად მოთხრობილია. ეს ნაზღაურებით ნო-ბისის პერიოდი სამკვიდრო გაორება მეფისადმი, მა-გრამ ავტორი თვითონ ასე აცხდა და მის წყა-როებს ისე უთითებს, ხანი სული აჩვენოს, რომ საქართველოს სამეფოს გადასცემი წა-რმოადგენდა არა სუბიექტურ და შემთხვევით, არამედ გეგმაზომიერ აქტს. ეს ავტორი აზია-რებს დ. ლენგის აზრს იმის თაობაზე, რომ ნიშანთა გაორება ბრწყინვალეს სახელი გაზებსა პოლიტიკური მოსაზრებით, ნახევრ მხედრი უთ-ოოგრაფიის დამყარების წინასწარ შემუშავე-ბული გეგმის საფუძველზე. ასევე აღნიშნულია ისიც, რომ ქალაქები აწვდილებდნენ იქვენ გა-ვების გადაწყვეტილებას დამორჩილებინებულ მიადგენს, რომ მათი ტერიტორია არ შემ-ცირებულა და ერთგვარი კონტროლისფის სახით მათ გადაეცათ მნიშვნელოვანი თანამდებობა ათაბაგობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მათ მონოპოლიას წარმოადგენდა. დასიოლით, აღნიშნულია, რომ მე-14 საუკუნეში ათაბაგობა მთავრდება აღნიშნული ტერიტორიის ასეულთა.

დასკვნაში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალაქთა ილხანებისადმი დაქვემდებარე-ბისა და შემდეგ ისევ მეფის მორჩილებაში შესვლის დროის მონღოლებისათვის მათ ხელ-სურველ ართვლობა მნიშვნელობა არ ჰქონდა ეთერ მეტი, შეღავათების ასრული, აღნიშნულ საკითხზე ვერცხლი გადაწყვეტილება ცალმხრივ ხასიათს ატარებდა. მონღოლებს გააჩნდათ ამი-ერკავკასიაში ბატონობის საკუთარი პოლიტი-კური ხაზი, რომელსაც მიჰყვებოდნენ, მიუ-ხედავად, იმპერიისათვის პოლიტიკურ კურსის წარმართავდნენ. „ამით მამაპაპეულ სამფ-ლობელო მონღოლები აძლიერებდნენ მეფის ძა-ლაუფლების გარკვეულ ფარგლებში მოქცევას და ოლქისეულ კონტროლისთვის დაქვემდებარე-ბისას". მაგრამ ეს ამით პოლიტიკურ მხოლოდ უფრო მეტი ღრძ. ეროვნულად მონღოლები ბევრს უჭერდნენ მეფის ძალაუფლების ჩამო-ნაშთის დაუქვეითებლობის, რადგანაც მიაჩნი სა-კუთარ ინტერესებისათვის სახიფათოდ ხედავდნენ.

1980 წელს თბილისის ისტორიული საზოგა-დოების კრებულში „სიგელი ხანი"-ში („ისტო-რიულ მეცნიერებათა ვერსიები"), რომელიც ტრაქის უწყვეტობაში სწერს, დაიბეჭდა

[illegible]

[illegible]

ხელით ძლიერების დაცემა". ამის შემდეგ, წერს უცხოელი ისტორიკოსი, მონღოლებმა გაძლევამოსილ არმიას მტრის მარცხები სანამართლოს, რასაც მოჰყვა საქართველოს მეფის დამოუკიდებლობის მოსპობა.

ს. კიტაგავას ბოლო ნაშრომი რომელიც ოქმის შემცველის, ასე მისი განხილვის თვალსაზრისით, რისთვის მეტად მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, მეტად ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებს გვაწვდის. სართოდ კი აღნიშნული ნაშრომში, ისევე როგორც მის ადრეულ სტატიებში, ს. კიტაგავა ამყარებს მაღალ მეცნიერულ დონეს და ფართო ერუდიციას, სწორედ ამიტომ, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში დაწინაურებული ქვეყნის წარმომადგენლის შეფასება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ს. კიტაგავას მოღვაწეობას სხვა მხარეებსაც, რაც აშკარად შეიმჩნევა მის შემოქმედებაში. ეს არის მისი სერიოზული პოპულარიზაცია ყოველთვის საქართველოს ისტორიული წარსულის და მისაწვდომი გახდის ის იაპონიის საზოგადოებრიობისათვის. სწორედ ამიტომ კიტაგავას ყოველ სტატიას ერთვის ზუსტი ბიბლიოგრაფია, რუკები და მოქმედების ადგილების აღწერილობა, ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა გენეალოგიები და ხრონოლოგიური ცხრილები, ბოლო სქოლიოებში რეზიუმე საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ ყველა ის ცნობა, რომელსაც მკითხველი უჩვეულებს სრულიად უცხო სამყაროს ამბავს. აშკარა მაგალითია მისი მიერ 1980 წლის გამოცემული ბიბლიოგრაფიული ცნობარი, სადაც მოცემულია საქართველოს ისტორიის წყაროების და ქართველ ისტორიკოსთა შრომების მიმოხილვა.

ამდენად ის შეეხებს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ სახელმწიფოებრივ [illegible] ზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული ს. კიტაგავას დამსახურებას უწევს სტუდენტებთან ლექციების მაღალ დონეზე ჩასატარებლად (ამდენად ის მომავალი უნივერსიტეტის თანამშრომლისა). აღსანიშნავია, რომ ს. კიტაგავა საქართველოს ისტორიის კურსის წასაკითხავად მოიწვიეს იაპონიის სახელმწიფო ტოკიოს უნივერსიტეტში. ამ ფაქტში ვარწმუნდებით, რომ არ გამოვრიცხავ, აღვნიშნავთ, რომ იაპონიაში ხშირად ხდება საქართველოს მიმართულების დიდ მეცნიერებთან დიდი ადგილი ეთმობა, რაც, მით უფრო, რომ, ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას და მეცნიერებათა უნარის განვითარებას.

ამ რამდენიმე წლის წინ კიტაგავა სამეცნიერო მივლინებით იყო საქართველოში. მან ნამდვილად და მეგობრულად კონტაქტები დაამყარა ქართველ კოლეგებთან, რომლებიც დიდხანს აღნიშნავენ უცხოელი მეცნიერის ღრმა ინტერესსა და თავგანწირულ ქართველთა სიყვარულს, მისი კულტურისა და ისტორიისადმი. ვისურვებდით, რომ უცხოელი ისტორიკოსის ეს კეთილგანწყობილება დასაწყისად გახდეს მის შემდეგ შრომებსაც.

[illegible] დამწერლობით აღჭურვილობული გამოქვეყნდება სტატიებში კიდევ ერთხელ დაადასტურებს ქართველთა სახელს ისტორიული გამოცდილების დიდ პოპულარიზაციას მსოფლიოში.

---

სერგი დურმიშიძე

# არნოლდ ჩიქობავას რამდენიმე მოსაზრება

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა წლების განმავლობაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი იყო. ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას ის გამოირჩეოდა თავისი საფუძვლიანი აზრით, ლოგიკური გამართულობით და ზუსტი სინთეზირებით. არნოლდ ჩიქობავა [illegible] სკოლის მოღვაწე იყო, რომელსაც კარგად მოეხსენებათ დედაენის მნიშვნელობა ერის მეობისათვის, ქართული სალიტერატურო ენის როლი ქართველი ხალხის ისტორიული და აწინდელი ცხოვრებისათვის. ვაქვეყნებ მის ერთ გამოსვლას აკადემიის საერთო კრებაზე 1967 წლის 28 მარტს.

„ქართველი ენა არის ერთიანი კულტურის ენა; კულტურის ენას გარდა სხვა ფუნქციაც მოეპოვება (მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა...). მაგრამ ენა არის კულტურის ძირითადი ფორმა. ამიტომ ბუნებრივია და კანონზომიერია, რომ ენის საკითხი აინტერესებს ყველას, ვისთვისაც ერის კულტურის საკითხი ძვირფასია. ქართული მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ენა ამავე დროს არის ხალხურიც. ქართული კულტურის ძირითადი ფორმა. მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენა მუდამ იყო კულტურის გამოხატვის ფორმა. მაგრამ ქართველობისთვის, რომელიც არც სწავლობს, არც მეტყველებს ლიტერატურულ ენაზე, ის ბუნებრივი არ არის. ეს შეიძლება დადასტურდეს ფაქტით ერთი მაგალითით: საქართველოში, რომელიც ჩვენ სკოლაში, მეტყველებაში, ლიტერატურაში ქართული ენის ნორმები დაცული არ არის, თავისუფლად შეიძლება შეხვდეს ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელიც აქ არის ქართულ მეტყველებში და სკოლებში დაცული ტერმინებიდან რაიმე...).

ეს ეხება მე-5 საუკუნის და უძველეს ძეგლების სიტყვებს, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ბერძნულს არ ფლობს აქ, საქართველოში შექმნილ მეცნიერებისათვის, ან სხვა მეცნიერებისათვის მეტყველ ან სხვათა ენა. ზე და ეს მოვლენაც იმის, რომ, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ქვეყნის, წინაარმაზის რომის იმპერიის, ეგვიპტის თარგმნილ წიგნებს აქ ხალხის ენაზე, სადაც მას ქრისტიანობა შექმნილი ქართული ენა იყო სალიტერატურო ენა მეცნიერებისათვის, სწავლებისათვის (აგრეთვე მონებისათვის, როცა მათ საქართველოს სახელმწიფოს დარგებში შეუთვლიდნენ).

მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაისვა საკითხი მეცნიერებისა და სწავლებისთვის საკუთარი მწერლობისა და საკუთარი ანბანის შექმნისა. საკითხი დაისვა კავკასიის სასწავლო ოლქში, სადაც შეიქმნა ანბანი მეგრელებისთვის, აფხაზებისთვის — სვანებისთვის, ვაითავდა პეტერბურგის მისიონერები. რა თქმა უნდა, ეს მიზანი ისახავდა არა მართლმადიდებელი რუსეთის მისიონერების გაძლიერებას, არამედ იმას, რომ მეგრელი და სვანი ბავშვებისათვის მოესპოთ საშუალება ქართული „დედა ენის" ხელში აეღოთ და ქართულ სალიტერატურო ენას, ქართულ კულტურის ზიარებოდნენ. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა გამოეყოთ მეგრელები და სვანები ქართული ერისგან კულტურულად.

მეგრელისგან, რომ ამ ცდამ სასტიკი პროტესტი გამოიწვია საქართველოს მოწინავე საზოგადოების მხრივ და კავკასიის სასწავლო

ილქი რეულებული იყო ამ ცდაზე ხელი აეღო...»[1]

ეფექტური, მისი სტალინისეული დამსახურება-ბელი უნდა იყოს, აღრიცხა ნაწვდები მისი ერთი განცხადებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1960 წლის 31 მარტს:

«ჩვენ მოვისმინეთ აკადემიკოს-მდივნის ს. დურმიშიძის საანგარიშო მოხსენება, მოკლე მოხსენება, რომელშიც თავმოყრილია და შეჯამებულია წარმოდგენილი ანგარიში, რაც ეხება ჩვენი მოხსენებაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიური მუშაობის შედეგებს.

რამდენიმე ციფრი, რომელიც აქ, ამ მოხსენებაში იყო დასახელებული, ცხადად გვიჩვენებს იმ ფაქტს, რომ აკადემიის მუშაობა თანდათანობით უფრო იზრდება, აკადემია იზრდება განვითარდება და ზრდის მეცნიერებს ეს ციფრები.

ამ უკანასკნელი ზრდის საჩვენებლად ჩვენ დავასახელებთ მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობას — 88 დოქტორი, 765 მეცნიერებათა კანდიდატი, 888 მეცნიერ-თანამშრომელი, რომელთაც წინ კიდევ არა აქვთ ხარისხი. ეს ძალიან კოლექტივია. ჩვენ რომ მოვისმენთ, რა ვიყავით ამ 18-19 წლის წინათ, როცა მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა და შევადარებთ ახლანდელ მდგომარეობას, ეს, მართლაც ამ ციფრების შედარება გვიჩვენებს იმას, რასაც მოვცემთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თავისი სამეცნიერო კოლექტივის მეშვეობით, უნდა სათანადო ადგილი აჭერს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკურ აკადემიათა შორის, არა უკანასკნელ ადგილს, რბილად რომ ვთქვათ (მეცნიერებაში ტრაბახი არ შეიძლება).

ახლა ერთ შემთხვევას: აი ამ 1700 კაციან კოლექტივში, კერძოდ ამ 1500 ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკში, რამდენი ადმინისტრატორია, რომელიც მეცნიერების ქმნადობის და რამდენი აჭრობა არის, რომელიც მეცნიერებაში მსახურობს. მაინც ჩვენ ახლა უნდა ვიქონიოთ, რომ მართალია ბევრი ამ კოლექტივში მეცნიერების პირველად ემსახურება და მოღვაწეობს...»[2]

პრობლემის თვითონ დაყენების პირებაზე აკადემიის სამეცნიერო წლიურ არჩევანი ჭიათურელ მეცნიერთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. ადრე იყო საქართველოში არ მუშაობდა და ამის შემდეგ კოლეგებს შორის ხმა საყოველთაობის მეცნიერები ნაკლებად აღნიშნეს. არნოლდს ჩიქობავა. თ. დავითიანი ერთმანეთს არჩევდა აკადემიკოსის და თავისი ვაჟკაცობა მოწყენილიყო. ვფიქრობ იყოლა, რომ თვითონ დაყოთასი ჩემი მეთაური იყო და ჩანახან დაკავშირებული ხელოვნების განვითარების უხერხულად მე მოწოდებულიყო ხილვის. ალბათ, ამ მიზეზით იყო გამოწვეული, რომ ეროვნულ ბატონმა არნოლდმა მიიღო გამოწვევ მისივის ერთი საათი დაყოვნებული დრო, ჩვენც სტრიქონი პრობლემაზე უნდა ვესაუბროთ აგრეთვე არნოლდ ჩიქობავას მე ისევე დიდს ყოველი მოწაფეების.

— ბატონი სერგი, მე ძალიან მაინტერესებს ის, რაც 1947-1948 წლებში მოხდა საბჭოთა კავშირში ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგში. ვიცი რომ თქვენ შეესწრებოდით, მე უკვე ვიცოდი აკადემიკოსების ჯანსაღ მუშაობა და თვითონ დაესწრო. ხომ შეიძლება გითხრათ, რომ ბატონი სერგი ვინმე შეხვედრილა ივანე ლისენკოს მეცნიერულ ტრიბუნასთან, ლისენკოს მოსაზრებათა და ცნებების. თქვენ გაერთიანებული მიჩურინელთა, ალბათ უფრო რაზეც საქმე ემანსიპირდება არნოლდ ჩიქობავას რატომ ამტკიცებს ასე ბიოლოგიური პრობლემები. 1947-1948 წლების ტრაგედიას, ჩემი აზრით, სანამ კვლავ უნდა შევხედოთ პირველი, ეს არის წმინდა მეცნიერული საზღვარი. მეცნიერული სამყარო მეცნიერული საქმეს მიერ — მოწინავეების საქმიანი, თავისუფლებით არის დარღვეული უმაღლესი ენსამართლიანობა და, ხოლო, ვრცელდება ამასთან ტ. ლისენკოს დომინირებას. მეცნიერების სამოღვაწეო კარიერით უნდა იყოთ მეცნიერული დარწმუნებული უდიდესი ნაწილი და მკაცრად უნდა აღმოჩნდა ვიდრე დამხმარე პარტია. მე მქონდა ბიოლოგიური ენათმეცნიერების საკითხებზე შეკამათება ა. ჩიქობავას და დავიწყებულიყო, თუ რა ენით წარმართა 1947-1948 წლების დისკუსიები და რა საშუალებით შედეგებიც მოხდა. ეს უშუალოდ ტ. ლისენკოს მიერ არ უთქვამს განსაზღვრული ტრ. ლისენკოს საქმიანობის არამეცნიერული გზით ენათმეცნიერებაც დაამტკიცა. თქვენ, ბატონო სერგი, რაც დარწმუნებით იყო ამ საკითხის შესახებ, მოგვიყვეთ. მე აქვეს იმედს დავწერო კიდევ ჩემი შეხედულებები ბიოლოგიის დარგების თაობაზე.

ბატონ არნოლდს შეკითხვისთვის მომივე, თუ რა შეხვდა ამ დროს მოსკოვში 1948 წლის აგვისტოს დისკუსიის შემდეგ. მაინც ეგონა ბიოლოგიურ მოაზრებს ამ ფაქტს, რომ

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამეცნიერო საქმე, № 1029, წიგნი II, საარქივო ფონდი № 1.

[2] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამდივნო, საქმე № 102, საარქივო ფონდი, № 1.

მოსკოვის უნივერსიტეტის მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ პროფ. დიმიტრი საბინინმა, [illegible], რომ კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის რექტორი აკადემიკოსი ვასილ ნემჩინოვი [illegible], რომ ამავე აკადემიის [illegible] კათედრის პროფესორს ჟუკოვსკის [illegible], რომ მან არ უარყო გენის არსებობა. და ვინ იცის, რამდენი მეცნიერის [illegible], ან რა [illegible] ნ. ვავილოვმა, დ. საბინინმა, პ. სუკაჩოვმა, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს.

[illegible], როგორც მეცნიერთა [illegible] ტრ. ლისენკოს [illegible] განვითარების თეორიას და [illegible] მეცნიერთა რიგებს.

[illegible], როგორც [illegible] გამოჩნდა შემდეგ!

ბატონი არნოლდი [illegible] „ხარკს" [illegible].

— [illegible], ბატონო [illegible], [illegible] მეცნიერებს [illegible] როგორც [illegible], [illegible], რომ [illegible], [illegible], [illegible], [illegible] ტრ. ლისენკოს.

[illegible] ბატონი არნოლდი [illegible].

ბატონი არნოლდის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ გამოვიდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის" XII ტომი (1978 წ.). აქ [illegible] აკად. არნოლდ ჩიქობავას წერილი — „როგორ იყო და როგორ". [illegible], რომელიც [illegible] ბატონ არნოლდის [illegible] (გვ. 24-36):

„1947 წელს, როცა [illegible] მეცნიერებათა აკადემიაში [illegible] მეცნიერებათა [illegible] ტრ. ლისენკოს — მ ი ჩ უ რ ი ნ ი ს ა და [illegible] ს ტ ა დ ი უ რ ი თ ე ო რ ი ი ს [illegible].

[illegible], [illegible] „[illegible] ორი მოძღვრების", „[illegible]"

[illegible] ტრ. ლისენკოს და [illegible] ნ. მარის [illegible].

1948 წ. დისკუსიაში ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტმა [illegible] საბჭოთა ენათმეცნიერების [illegible] მეცნიერება [illegible] ს ტ ა დ ი უ რ ი [illegible] ს ტ ა დ ი უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს [illegible].

„[illegible] საბჭოთა ენათმეცნიერებაში ნ. მარის „ახალი მოძღვრების" [illegible] — [illegible].

1949 წელი საბჭოთა ენათმეცნიერებაში მარის წელი იყო".

[illegible] ტრ. ლისენკოს [illegible] ს ტ ა დ ი უ რ ი [illegible].

„[illegible] მ ი ჩ უ რ ი ნ ი ს [illegible] „დისკუსია [illegible]" (ტრ. ლისენკოს [illegible] „ვეისმანიზმ-მორგანიზმის" [illegible], როგორც [illegible], ს ტ ა დ ი ა [illegible]).

[illegible] „დისკუსია [illegible]".

„[illegible] — [illegible].

„[illegible]" [illegible] — [illegible] „[illegible]".

როგორც [illegible], ბატონი არნოლდი [illegible] ტრ. ლისენკოს [illegible], როგორც [illegible] ენათმეცნიერებაში [illegible] საბჭოთა ენათმეცნიერების [illegible] აკად. არნოლდ ჩიქობავას წერილი „საბჭოთა ენათმეცნიერების [illegible]" („პრავდა", 1950 წ., 9 მაისი).

ბატონი არნოლდის [illegible] ტრ. ლისენკოსთვის „მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ს ტ ა დ ი უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა" [illegible] (ნ. მარის [illegible]) [illegible] ნ. მარის [illegible] ს ტ ა დ ი უ რ ი [illegible].

[illegible] როგორც [illegible], [illegible]" (გვ. 35).

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

[illegible]

[illegible]

— [illegible]

— [illegible]

[illegible]

— [illegible]

[illegible]

[illegible]

— [illegible]

[illegible]

[illegible]

„[illegible]"

[illegible]

[illegible]

[illegible]

———

# რ. მ. რილკეს, ბ. პასტერნაკისა და მ. ცვეტაევას მიმოწერიდან

### ბორის პასტერნაკი რილკეს

მოსკოვი, 12 აპრილი, 1926

დიდო, უსაყვარლესო პოეტო!

არ ვიცი, სად დამთავრდებოდა ეს წერილი, ან რითი განსხვავდებოდა მას ცხოვრებისაგან, ოცწლიანი სიყვარული, გაოცებისა და მადლიერების გრძნობას რომ [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ნაკმა ეს წერილი მიიღო 1926 წლის 3 აპრილს.

1 ლ. ოს. წერილი — ლეონიდ პასტერნაკის მიერ რილკეს წერილი, სადაც რილკე ქებით იხსენიებს ბ. პასტერნაკის ლექსებს, რომლებიც მან პარიზში ერთ-ერთი ანთოლოგიიდან წაიკითხა. ამ წერილის ასლი ლ. პასტერნაკმა გადმოუგზავნა თავის ვაჟს, ბ. პასტერ-

ლიტერატურის სინამდვილის, უფრო ვიწროს აღმნიშვნელის (არა სულაც მიმდინარე შეთანხმებით სალიტერატურო) მისი საქმე იყოს იყოს, რომელიც ეწინ ოდეს რომელიც ევროპამ და ევროპელმა, აქ და ახლაც ევროპული სახელით შემოსვლამდე დამოუკიდებლად, შემთხვევით, რომელიც, — თუკი ამას ღირსად და ღირსეულად აღნიშნავ, ამ გარდატეხის გამოცდენის, ჩვენ რომ გვაკვირვებს. მაშინ ევროპული ცნობილობა, სიდიადით, ამერიკელობით და დროებით, თავისუფლად და შემოქმედი ხელით. მაშინ ისეც თავისებური ხედვა, პოეტი. მას შეხვდა რაც მიეცა რაც წვეთ-წვეთ მოწყვეტილი ოთხი ამ გამომუშავებული ბედისწერების. სწორედ ისე დამინახა ამ ღრუბელმა მარადის ვიღაცის უბადლობი ვაჟა და თითქმის მტვერი, მისთვის ის რაც უსასრულო წარმოსახვით ოღონდ, ამისგამოს დამშვიდობება რუსეთული ტრაგიზმი, თუმცა უწყვეტის წვეთებიც კი არა სიტყვით აღარ შემდეგ წელს, აწეწილობით გავიცნობდი ვავიწროებული უკვე 1917-1918 წლებში ჩვენი დაწერილი.

ახლა კი თითქოს ხელახლა დავიბადე — არა შემთხვევით წვალებით. პირველი უკვე მოვაბსენით, ჩვენი ხმები მოვლენები მაშინ გაბნეულნი, რამდენიც არ უნდა ვეძიო, რაც გამიხარდა მა-ინც გამოვლენილი დარჩება. ჩვენ მოგვეცა, ზოგჯერ შემთხვევით გავიგეთ, მაგ უბედობის, რომ ოდესღაც უცხოს უცნობმა დაინახა მისეული ადგილი ამ დაკარგულ ადამიანს და ნათლად ხედვა. მორგვეულ და ყოველივეს არა ჩანდა. რომელიც მე და ეს ქალიც, ჩვენ ერთმანეთს ვხედავდით, ოქროს ნისლს და თავისუფლად წარმავლობის. დავიდოდით, ოქროვან შეგრძნებათა ძიებაში, რომელსაც ეს სიტყვა მრავალჯერ შეგვხვდა. მაშინ დიდ ეგზეგეტიკოსთა და ჩვენი ტრადიციის გარეთ, ამჯერად სხვა ნიშნით, რომელიც ერთ ხანს გადმომცა ხმით. ნუ იქნება ამ წლის ნიჭიერი და შემსუბუქებით, რაც თქვენ ბევრით გაგიხარდათ, ან თქვენი პოეზიით გამოცდილებს და ჩვენი ნიშნით ქალი — ეს ერთი პოეტის გამოძახილი გვერდით. ამ დროს პოეტი გაიხსენა მარინა ცვეტაევა. ის პოეტი გახლავთ **Марина Ивановна Цветаева**, დაბადებით პოეტი, დიდი ტალანტი ლექსის ვარსკვლავი[1] და-საწყისით მე ვიხსენებდი, ო, მომავალი, მომავლისთვის ეს სიყვარული, უფრო შეხედვით მოყვარულის რომ ნიჭის, ვიცოდის ზოგადად ჩემს თავს, მეხუთეს, რომ მასაც გასაოცარს ამ სახაროვლის მეგობრის ეპოქიდა, რაიც თქვენის წყალობით მე გადმომცემენ. ვარსკვლავებისა და აქეთკენ მიხვიდით წარმოდგენა-დაპირისპირდა თქვენი რომელთან წიგნი, ვიცოდი „ვეფხისტყაოს

1 დეზბორდ ვალმორი — (1786–1859) — ფრანგი პოეტი და მწერალი ქალი, მრავალრიცხოვანი პოემების და ზღაპრების ავტორი. დიდად აფასებდა მიღებით, ვერლენის პოეზია-ზეც იქონია დიდი გავლენა.

ვლადიმირ", რომელიც მე მიძღვნილი ქვეყნის ქვეყნად ყოფნი ო, მაპატიეთ, ეგეთია! მაგრამ ამ დრის, ვიდრე შემთხვევის გადმოცემით სინამდვილეში, ჩემი აწმყოდან ლიტერატურულიდან მდგომარეობის სისრულეში აღმა ვუდგები მათვე გადაწყდება, რომ ეს გადაცემა სისხლადობა და ჩემი თავების შენიშვნებს — შესაძლებელია, რომ ეს თავებს რაღაცნაირად საჭიროა. ვისთვის? რისთვის? ამის თქმა არ შემიძლია. აღმა პოეტისთვის, რომელიც პოეზიაში ბეჭდავდა და სხვადასხვა დროში სხვადასხვა ადგილს. მას ჰქვია **Марина Ивановна Цветаева**, და ცხოვრობს პარიზში: **19-me, arr, 8, rue Rouvet.**

ჩვენ მომეცით, ჩემი ამ თავების ასრულება თქვენს პასუხად ჩაგიდგათ და ამის ნიშნად, რომ მომავალში ერთად მასთან მოვწერო პირადად პასუხი თუნდაც ვერ ვამბობ ამას, იმედიც უკვე ჩემი დარი წერილით ამ ჟამად წერილი, რომელიც რა ოქმი ერთი შეკრებებისა და ასხვაფერებისა სიტყვა რომელიც დავიწყე, ვიქნებოდი, რომ ეს ნამდვილი «hommage»[1] იქნებოდა. უკვე მეორედ, ერთხელ იყო ოდესღაც დამსახურება არ გამოცხადებდა, რაც თქვენი ხალხი ჩემთვის და დარჩენილი სასახლეთით. ეს დამსახურე-ბა, რომ ასეთი განცდები, რომლებიც განსაკუთრებით წლების, ზოგჯერ ცხოვრების, უმეტეს ადამიანის და ვითარების, — ვერსალელის მოთხრობის თავს ერთხანზე გარე(!) წერილში. მადლიერი ლექსის, რომ დამშვიდობა. მაშინ ხომ ამ ქვეყნის ხელოვნებისაც აღარ დავწერთ. ხომ აქ მოწყენი ჩემი ნაწერის სახეს ფუძეებს, რომელი გამომჩენია ჩემი მოგონებებიციათის და მოგონებებიდან გარი ვერსალის გავეთბა, ხომ აქ მიწერს ლექსების არა რაღაცა რომელიც დამიფარული სიტყვის ბეწვი წერილებს. და ასეთ ვერთოს, რადგან მეზობლად, რომ ეროვნულ ახლად მოგიდა, ამ დამიფურდი სიტყვის წაიყოლა. მაგრამ ეს ყოველივე ზღვისპირა გამდები, რომელიც ბუნებით ყველაფერი ეწეოდეს: ეს თქვენ მოვეხმარე, რომელიც პოეზია უნდა გვეყავრდეს, რომელიც პოეზიის ნიჭის, გვეყავრდეს, რომელიც კლასიკური შეუ-მის თავის ეპოქა სხვადასხვა მწვერვალებს, გან-ცხოვრებული, ადამიანობაზეობით. ეს თქვენ მოვეხმარე და გადივიდ, რომ პირველი არ მიაღწევდა მისი სიცოცხლე არც ეს და არც ჩემი ეჭვიანი და აღმასი ეროვნული მეგობარი ქალი, გარა სახელის უკვე ბოლოდის და იმ ონბოდა, რომ თქვენი ავტორიტეტი მომავალთა მეხსიერება, მაშინ გადიოდა, ისტორიკოსებით

1. (ფრ.) პატივისცემა.

2 «Сестра моя жизнь», 1917, «Темы и вариации», 1919.

ბიგე ცვეტაევას მისამართით. შეუძლებელია წერილების მიღება აქ სათუოა.

თქვენი Борис Пастернак.

### რილკე მარინა ცვეტაევას

მისამართი: ვალ-მონტი, გლიონის მხარე, ტერი-ტე (ვო), შვეიცარია, 3 მაისი 1926.

ძვირფასო პოეტო ქალო!

ეს-ეს არის მივიღე ბორის პასტერნაკის უსაზღვროდ მოხიბლული, სიხარულითა და მადლიერებით პირთამდე სავსე წერილი. მთელი ა მადლიერება და მოწიწება, რასაც მისი წერილი აქამდე ავსებდა, უპირველესად თქვენკენ უნდა წარიმართოს. ასე ვფიქრობ მე მისი ტროპიკები, და შემდეგ თქვენკენ, თქვენის შემწეობით კვლავ მისკენ ისევ გზა. როგორ ეს წერა (ჩემი უცხოენოვანი განცდები წერილი), ამ წერილის რომ მოიცვას მთელი თქვენი, თქვენ გაცოცხლით. შემდეგ კიდევ რა ეუბნებოდა მიღებას, რაც კიდევ გამახარებს, და ეს ბოლო რაც კი განუზომელი Борис Пастернак-ს, უფრო ღრმად გაუ მეუბნება. ამიტომ შემოგწერ ვარ მისი წერილის ძალითა და სისავსით, რომ ვიცი სხვა ადამიანის თვალი არ შემიძლია: წერილიდან უფრო უღრმესი გადაფურცლეს მეგობრის მისაგონებლად, როგორც სახელი და მოფიქრება ჩემი. იცით მიგეყვანეთ? ამიტომ იყოს, რომ უფლება მაქვს, ბორისის მამა ლეონიდ ო. პ., რომელსაც 20 წლიდან ჩემი მოსკოვიდან ვიცნობ, ჩემი უახლოესი მეგობრის მოგონებათა სიყვარული, სიყვარული ლექსების შემდეგ ამ ჩანაწერის (ჩანაწერის დღიურის) უკვე მოვიდა მისი ერთ-ერთი (ბერლინიდან გამოგზავნილი) წერილი და მეც ამ სასიხარულო გადმოვცემ, რაც ამ ერთმანეთის-ცვლით-მოგონებ მოვყვებოდი, მაგრამ Леонид Осипович-ის ცნობა არ დამიწერია იმის შესახებ, რომ ამასობაში მისი ვაჟი სახელოვანი და ძლიერი პოეტი გახდა. მისი ნაწერები უკვე შორიდან (პარიზიდან) მომივიდნენ მეგობრებისა და მეც გავეცნობოდი დიდის მდელოებიდან წაკითხვამდე (რადგან რუსულად ჩემ ასე ვკითხულობ, თუმცა მეორე გონებისთვის და წარმოდგენები მქონდეს სხვადასხვა წერილები უფრო მეტად-ლები). ამ რაც იყოს განმარტებამდე, რაც მარტო გაუგებრობა, მხოლოდ შევხვდი ჩემს რუსს მეგობრებს, ისევე როგორც წელს რომ არ მინახავს, მაგრამ, რატომ — ახლა ვფიქრობდი ჩემი თავს — რატომ არ მომდის შეხვედრებისა. თქვენ შეგხვედრივართ. Марина Ивановна Цветаева? ბორის პასტერნაკის წერილი მიგიწერებენ, რომ ეს შეხვედრა ჩემს ისეთ უფლებს, უზრუნველყოფს სასიხარულო მოგონებებს. ადამიანები რომლის ამას, რაც გამოვა ბოლოს?!

### რაინერ მარია რილკე

ფრანგული გერმანულიდან «ხელოვნების» ჩვენება. ამას აქ შეხვედრებისთვის მოგახსენებთ, თუმცა ფრანგულად, თქვენი მშობლიური ენის მეშვეობით უცხოურ გადმოვცემთ.

### რილკე ბორის პასტერნაკს

ვალ-მონტი, გლიონის მხარე, 3 მაისი, 1926.

ჩემო საყვარელო ბორის პასტერნაკო,

თქვენი სურვილი მაშინვე ავასრულე, როგორც კი თქვენი ავტორი უშუალო წერილი დრაგნების ცეცხლი მომსვლია ქალიკეთ შეწირულ: «ელეგიები» და „სონეტები ორფეოსისადმი" უკვე პოეტი ქალის ხელთაა. ყოველ წერილის სხვა გამოხატულების თქვენს ღრმად ხაზზე მიიღებ. როგორ გამახარეთ, რომ დამანახეთ და მაგრძნობინეთ, თუ რა გამოხატულებით თქვენს არსებაში ასე სიღრმის. ის, რომ თქვენ გამოთქმა თქვენი სულის გაიგოთ ლოდი ნამდვილ ჩემსავე მომართვით, თქვენი სიყვარული გულის ნამდვილ ადამიანის მოწმობს გაგრძელებულ ლექსის უცნობიერის განსაცვიფრებელ სიტყვით.

თქვენი რაინერ მარია რილკე

### მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილ-სიურ-ვი[1]
9 მაისი, 1926.

რაინერ მარია რილკევ!

შემიძლია, ასე მოგმართოთ? თქვენ, განსახიერებულმა პოეზიამ ხომ უნდა იცოდეთ, რომ თქვენი სახელი — უკვე ლექსია. რაინერ მარია: ეს ეკლესიურად ჟღერს — და ბავშვურად — და რაინდულად. თქვენი სახელი დროს არ ერითმება — წარსულიდან მოდის, ან მომავლიდან — ოდითგანვე. თქვენმა სახელმა ისურვა ეს, და თქვენ აირჩიეთ ეს სახელი (საკუთარ სახელებს თვითონ ვირჩევთ, რაც შემდეგ მოდის — მისი შედეგია).

თქვენი ნათლობა მთელი თქვენი პროლოგის პროლოგი იყო, და მღვდელმა, ვინც გაგნათლათ, ნამდვილად არ იცოდა, თუ რას აკეთებდა.

თქვენ არა ხართ ჩემი უსაყვარლესი პოეტი (უსაყვარლესი — საფეხური). თქვენ ბუნების მოვლენა ხართ, რომელსაც არ შეუძლია ჩემი ყვარება და რომელიც კი არ უყვართ, არამედ გრძნობენ, ან (ესეც ყველაფერი არ არის) განსახიერებული მეხუთე სტიქია ხართ: თვით

1 პატარა სანაპირო ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში.

[illegible]

[illegible] May [illegible] Mai [illegible]

[illegible]

[illegible] 1922 [illegible]

[illegible]

1 1928 [illegible] 36 [illegible]

[illegible]

[illegible] (1903) [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

(10 მაისი, 1926) [illegible]

[illegible]

[illegible] (1873) [illegible]

[illegible]

[illegible]

1 [illegible]

[illegible] — А ты будешь читать Реникса? [illegible]

[illegible] Vandér-ზე [illegible]

[illegible]

[illegible]

მარინა ცვეტაევა

[illegible]

[illegible]

## რილკე მარინა ცვეტაევას

ვალ-მონი, ღლიონის მახლ.,
10 მაისი, 1926.

[illegible] Марина [illegible]

1 [illegible] — 1793 წ. [illegible]

2 [illegible]

[illegible] Pointe de Corbeau[1] [illegible] [2] [illegible] 1905 [illegible]

[illegible]

[illegible] Austère et mélodieux[1] [illegible]

მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილ-სიურ-ვი, 12 მაისი, 1926

[illegible]

[illegible]

1 კუნძული დასავლეთ საფრანგეთის სანაპიროს წინ.

2 სიტყვა-სიტყვით: „ყვავის წვეტიანი“.

3 [illegible] (1872–1957) [illegible] 1926 წლის 17 აპრილის [illegible]

1 (ფრანგ.) „მკაცრი და მელოდიური“.

2 [illegible]

[illegible]

В каждом любящем — заново, и в каждом любящем — вечно. [illegible]

[illegible] (belles lettres) [illegible]

1 [illegible] («Возрождение»), [illegible] 1925 [illegible] («О пустоутробии и озорстве», 6, V, 1926), [illegible] «Цветник» [illegible] «Поэт о критике», [illegible] «Благонамеренный» «Журнал русской литературной культуры», 1926 [illegible]

2 [illegible] «Литературные беседы» [illegible] 1925 წელს, პარიზში.

3 [illegible] — 1937 წელს.

[illegible]), ეს რომ ლექსად მეთქვა, [illegible] — [illegible] (მარადი [illegible] ორფევსისა და ცხოველურისა [illegible]).

[illegible] რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible]!

შენი „ორფევსი". პირველი სტროფი:

ხე აღმართულა. ო, სუფთა აღმატებავ![1]

აი, სწორედ ეს არის დ ა ლ ე ვ ნ უ ლ ი და რ ი გ ო რ ვ ი ც ი ეს [illegible]! ხე [illegible] [illegible], [illegible] [illegible], — [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible], რომელიც [illegible], [illegible], [illegible] არ [illegible] [illegible]. ([illegible] [illegible] [illegible]) და რომელიც [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] (ჩვენ, რუსებს შ ვ ი დ ი გვაქვს: Быть на седьмом небе от радости. Видеть седьмой сон; [illegible] [illegible] — седьмица. Семеро одного не ждут, Семь Симеонов ([illegible]). 7 — რუსების რიცხვია! ო, [illegible] [illegible] [illegible]: Семь бед — один ответ, და სხვა მრავალი.

„სიმღერა არის არსებობა (აქ ვოლნა, ვინც არ მღერის, ვინ არ არის, მოისაკლისებულა)![2]

„მხოლოდ მოკლე, მხოლოდ ზოლები..."[3] ([illegible] [illegible] [illegible], [illegible]). და [illegible] [illegible] შენ [illegible].

...მაგრამ ბაგენი, მაგრამ სიგრილენი...[4]

ეს სტროფები წმინდა ანტიკური ([illegible]) [illegible], წმინდა [illegible] [illegible] ([illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible]).

...რა სამარის სხვა სასუფლით
გამოკვირცხა, ეს ორფევსია
აქ და მარადის, როდესაც მღერის.

(ანუ როდესაც კვდება — მოკვდეს შორის არ, რასაც წლიან [illegible]).

„აქციისი"[5] და [illegible] [illegible] [illegible] ო, რატომ, არა [illegible] [illegible] [illegible] ([illegible] — [illegible] და [illegible] და [illegible]

[illegible]). არ [illegible] [illegible], [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible].

„ეს [illegible] [illegible] [illegible]" ([illegible] [illegible]). რატომ? [illegible] [illegible] — „[illegible]"[1] (Ремесло[2]), აქ [illegible] [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible], [illegible] კი — [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] არ [illegible], არც [illegible]. შენი [illegible] [illegible] [illegible] რიცხვი [illegible], [illegible] [illegible] და [illegible], [illegible] [illegible] არა [illegible]. არა [illegible] და [illegible]. [illegible], [illegible] და [illegible]: [illegible] [illegible].

შენი [illegible] (ანუ [illegible] [illegible]? არა. [illegible] — [illegible]) [illegible] — [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] An den Hund ([illegible]). [illegible], აი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible]! [illegible] და აი, [illegible] ([illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]) [illegible]: „აი [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომელსაც „[illegible]" [illegible]!" ([illegible] [illegible], [illegible], [illegible] [illegible], [illegible] უ-უ-უ-უ [illegible] [illegible] არა [illegible], [illegible] [illegible] [illegible]!)

რაინერ! [illegible] [illegible], [illegible]: — შენთან, [illegible] შენთვის [illegible], [illegible] — [illegible] [illegible] [illegible], და [illegible] [illegible] ([illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible]?) [illegible] და შენთვის [illegible] [illegible] — [illegible] [illegible] შენთან, [illegible] — და [illegible], [illegible].

[illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible]? და [illegible] [illegible] [illegible] ([illegible]) [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible]: [illegible] „[illegible] [illegible]", რომელიც [illegible], [illegible] [illegible] კი [illegible] [illegible] — ([illegible] [illegible] [illegible]) — [illegible] [illegible], [illegible] ([illegible] [illegible] [illegible]) [illegible] [illegible]. [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible], არ [illegible] „[illegible]" და „[illegible]". [illegible] [illegible]"[3] [illegible]. [illegible]

1 „სონეტები ორფევსისადმი", I ნაწ., I სონეტი. დედანშია: „ხე ადიმართა".

2 „სონეტები ორფევსისადმი", I ნაწ., III სონეტი.

3 „სონეტები ორფევსისადმი", I ნაწ., IV სონეტი.

4 „სონეტები ორფევსისადმი", I ნაწ., IV სონეტი. ბოლო სტროფი.

5 იქვე, V სონეტი.

6 იქვე, VI სონეტი.

1. [illegible] — [illegible] [illegible] [illegible], სადაც შ. [illegible] 1904–5 წლებში [illegible] და [illegible] [illegible] [illegible].

2 ლაკლო (1741–1803) — ფრანგი მწერალი.

3 «Приключения», ბერლინი, 1923 წ. «Феникс. Конец Казановы», მოსკოვი, 1922.

— [illegible] 75 წლის, [illegible] 75 წლიდან — 18 წლამდე [illegible] — [illegible]

— [illegible][1] [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

მარინა

გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა

1 [illegible]

□დასასრული იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისო ჭიჭიაშვილი

# „და მაინც ეს ანატოლ ფრანსია!"

[illegible]

[illegible]

წიგნისას არ ლექსებისა და ჯანის ცვალებაში, რაც ცხოვრებისეულ კეთილდღეობისა და სიმშვიდისათვის დაუკავშირებელი. ბევრ პასკალი თავის „აზრებში“ ასეთი აფორიზმი შეიძლება ამოიკითხო: „როცა კაცი ცდილობს უკეთესისკენ სრულყოს თავის ბუნება, მის წილხვდა მოუქმედება ხიფათისა, უბადლოა ჭკვიან შემთავაზება მეტი უსახურებლობის დარტყდა ხიფათისა, მეტი დიდი უსახურებლობის მოაწყვეთა ხიფათებით მიელი ზრდისა. ასე რომ, ყველაზე ხიფთა ნაცლებელი, ყველაზე ხელავს სიმკვეთს და ზნეობრ ჩხაებას ნაცარხტად აქციოს თავისი სრულყოფილება“, „ადამიანის უბედურება ისაა, რაც უფრო მეტად ცდილობს, ანგელოზს დაემსგავსოს, მით უფრო მეტად ემსგავსება ცხოველს“...

სწორედ ეს ცნობილი გამოთქმა ან. ფრანსის რომანის მთავარი გმირის, უდაბნოში დაყუდებული ბერის პაფნუტის, რომელიც რომაის დასახელებიეე ქრისტიანული რელიგიის დოგმატი ერთგულებას, მკაცრი და ჰგონია მხსნელი იყო. სანამ ქრისტიანობდე, ბერად აღიკვეცებოდა, უდაბნოში განმარტოვდებოდა და გასაკუთრებოდა, პაფნუტი, ამქვეყნიური ცხოვრების უბედურებისა და უკანონობების ქალაქის, ალექსანდრიის, შემდეგ, არისტოკრატული ოჯახის შვილი, ისეთივე ცხოვრების ეწეოდა, როგორც მაშინდელი მდიდარი სახელოვანების წარმომადგენლები. ერთი ქალის და ლექსის ხმაში, მოროყა-მოყაშვილი, გართობისა და სტიქიების ფილოსოფიური ტრაქტატების კითხვაში ატარებდა, დიდხანს მეჭეღისებრ და თეატრში, პირველად მან სწორედ თეატრში იხილა თაისი და მოიწვა გამოეხვეულა მის მიმართ ვნებით. ერთი სიტყვით, ერთის უჭირდ ფილოსოფია და სულის ხსნაზე მეტად ცხოვრებით დატკბობაზე ზრუნავდა. ეს ის ბერიოდა, როცა ამტკიცები ბერძენულ-რომაული ცივილიზაცია ანგრევა, ხოლო ქრისტიანობა უკვე იყო მომძლავრებული, რომ დაუძლურებული ამქვეყნის არ შეეძლო ამ დარიგდ გავრცელებული რელიგიურ მოძღვრების ანგარიში არ გაეწია. მწირთაილ არ გაიგონა იმ მინიშნებს, თუ რატომ შეიძლო პაფნუტი ბერად, მაგრამ შეიძლება მისი ბერად შედგომის ერთერთი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ წარმართ ქრისტიანულა ჩველი ცხოვრების დაშლისა და ახალი საზოგადოებრივი წყობისა და რელიგიური მოძღვრების გამარჯვების. რომის ამქვეყნიური რომლებისა და ხელი შეი ისტორია, ამის ცვალეზედა, ცხოვრებებს მისი ტანჯვით და სამღლოსაეებლობს, არეულეა კანონები და წესრიგობა, დარიგებულების კარგას სიცოცხლე დასხეულობა, სულიერიცმის და პესიმიზმს აქვეყნის მმართველებს და წინამძღვრებს. თუ როგორ გაწყობილება სუფევს რომის ამქვეყნის მმართველ საზოგადოებაში, ამაზე ცხადად მეტყველებს

ტკბილების რომაის ერთ-ერთი პატრიციაში, ფილოსოფოსი ნიკიასი, რომელიც შეძლებული თანამედროვეების უმეტესი, „რაც მეტისმეტია ის დიდია, ელზემ, რომ მხრიყველობის კარგადურის სიცრთლე არ არსებობს და თუ ბერად ყოფნა და ასეთი რომ გვერ ისიცეს ღმერთებივარების მიტრობის ზღაპრებში, რომელიც ამქვეყნიური რამ მოსცეს მითოლოგიას, ეს ამის ნიშნები, რომ ასეთი ღმერთის ბოროტ სიყვარულ შეუძლებელია. ამიტომაც წყენ მისი პიჯნის არაფერისა იმედი არ ჰქონდა. უძლინიშნების მოსწავლის ადგილი ამ დროების გამოტანა, რომ მსოფლიო მთელ სიმწუხრეს და სარწმუნოებას ნიღბადებია. ჩვენ ბედმა გვარგუნა, ლოცულებ, დაუვიწყარი ცივილიზაციის საშინელ აგონიას. ყველა სიტკბოება, რასაც ვიცნობ, მეცნიერება და სათნოება განადგურდება. დაცემა მხოლოდ ერთი — უმოწყალო სამართლე, ყოველი მოწმენი ჩვენი სიკვდილისა“. და იქვე განაგრძობს: „რისთვის მოგვეპყრობით ისე? ხარბარისობისთვის ადგილს მოუსყიდველ შინიშების ხელში ჩავარდება. ლიხმური გენისა და რომაული ზრდისანამყარებელია ზოგი ამებენელ ქალაქებს მალე გადაიტყავენ მოურავ სარწმუნოები. ქვეყანაში აღარ იქნება არც ბიბლიოთეკები და არც ფილოსოფია. ღმერთების გამოსახლებისას დაიმსხვრევა სამშოისცველობიშიც და ჩვენს სულებშიც. დაძველდა ვონების დამწყობისა და ქვეყნის დაპყრობილი ტანი. მარადიული ძნელი დაიკარგებოდა, რომ სარმატები ომებში ვონების მეზობლად დამწყვდენ, ფრანსის ამერიკას და ფილოსოფიის მეხრწნილს შეუშლებენ, ხოლო კაცები და მარწყვილები უსაფუძვლო ღმერთებს სიცხეს თაყვანს სცემენ, მხოლოდ მოწყენა უფროსოქს. ძველი ცოდნა, ერთი დღის რომ მხოლოდ ადამის იყო, მისი ადლფის ვარდება. საუკუნეების ღმერთის, ხორხმის, მივიწყებენ მომავალთათვის უმაწვილ ხელოვნებისა და მე ვფიქრობ უმაწვილმა ღმერთის უმაწვილი ქროშა“.

ან, ასეთი უხერხი, დაუსრულებელი გაწყობის ფობა სიდვილი ამ ეპოქაში გადატანილნი მოხლოვნებელიდა ტიპის წარმომადგენელი შორის. ისინი ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობას არც ეფისკოპოსებს, თითქოს ხელისუფლება და არ გაუთავისუფლებიან და სწორედ ამ კლასის წარმომადგენლებს, მათ ბიწიერებისა და მათ განწყობილების გარეგნულ პაფნუტი, არწივნა ქრისტე, მისი მოძღვრება, მარადიული ცხოვრება ღვთის სასუფეველში, კეთილი და ბოროტი, წარწყმედა და ცხონება, თითქოს პაროლები მდიდრულ გარდაიქმნა, გასაოცრად და გაუგონარი, მაგრამ ამ ცხოვრებიდან, რომელსაც გაექცა, მან მაინც გამოყვა მისი ქვესისმიერი დამახასიათებელი თვისებები — მოქმედებისადმი ლტოლვა, ენერგიულობა, სიმაძე და სწორედ ამან გაუმართლა სული და ჭკუა.

ამან მიიყვანა იგი დაუოკებელ სიყვარულამდე, პროტესტამდე, სულის წარწყმედამდე. უდაბნოში განმარტოებული და თითქმის წმინდანად შერაცხილი ბერი პაფნუტი გრძნობს ამ წინააღმდეგობას, მის სულში რომ სუფევს, მაგრამ სხვა გამოსავალს რომ ვერ ნახავს, თავის მოძღვრის რჩევას იგი ცდუნების მორევიდან მაშინ აშორებს, როცა ალექსანდრიელ თეატრის მსახიობს, თაისს, მოულოდნელად და გამომწვევად, უჩვეულო, კეთილშობილური ქალი მოეჩვენა, ქრისტიანების გზაზე დაყენებისა და წარწყმედისა და სასუფევლისაკენ გზას. იგი შეეცადა იგი ამ ქალზე, რა ძალისაც შევედრება ინდა თანა, სიყვარული მის სულში ისე ძლიერდება, როგორც ნაკადულ ნაპრწყინდება და იგი ამას აღარ ხედავს. ამ ვერ ხედავს, მაგრამ ეძიებს, სადაც ტაძრებსა და მისთვის დაუვიწყარი ბერების მეტს ვერა ვერ ხედავს, სადაც აღმაფრენა აღვილდა ქალისა ზიარებისა და ხილვების, ეს გრძნობა უფლისა სიყვარულამდე გაუბრწყინდა და ურთიერთ მეცნიერ, საპირო ხსნიდა კი მიიღო. გრძნობის ეს სიკეთე თავის პაფნუტის სისხლსავსე მოსახურებს. იგი გაურბის ტახტს, თავისი ტანჯვის და ღმერთის, თავისას სისხლიანს სულის და სულის ხსნას, მიწიერ და ზეციურს და ან ბოლომდე არ ესმის, არც ესმის და არც უნდა აწმის, რომ იმის სურვილის, ამ იმის ურთიერთის გამოხატავდა მისწრაფებას შეგრძნების შეუძლებელია. ამიტომაც ეშინია თავის ხან სასტიკად და ულმობელად, ხანაც უზომო თავგანწირვით და ალერსით, ხან პირდაპირ ურვას, ხანაც მოიცავს მტერივით სძულს და იმიტომ კი არ დაუშვებს გულს, რომ მოიკლას.

აღვიქსანდრიაში იგი თაისის სულის გამოსახსნელად, მისი ქრისტიანების გზაზე დასაყენებლად კი არ მიდის, არამედ სიყვარულის სულის დასამშვიდებლად. იმედი აქვს, როცა თაისს ქრისტეს რჯულზე მოაქცევს და მონასტერში გამოკეტავს, მის მიმართ სიყვარულიც გაუქრება, ამით კვლავ სიწმინდე მოიპოვებს და ღვთის წყალობას დაიმსახურებს, ადამიანურ ამაოებას იმაზე, რომ მისი რწმენა და სიყვარული ქალი უფრო ძლიერია და ხელოვნებაზე ამარცხებს ცხოვრებას. მაგრამ თავისთავს შეშლილი შემდეგ ქალისადმი სიყვარული კიდევ უფრო გაუმძაფრდება, მას არ უშველის თავის მონასტერში გამოკეტვა და უდაბნოში დაბრუნება, ლოცვაში ღამის თევით და მარხვით, ერთ ლამაზ ღამეს, ღამის ფიქრები თავისი, შეურაცხყოფილ და შეძრწუნებულ მისმა სიყვარულით. რას არ იგონებს, რა ხერხს არ მიმართავს თავის დასახსნელად! მარტოდენ ერთხელ აძლევს შორის შესვენებას, უდაბნოში ასვეტის ბოძზე ასვლის დღეებსა და ხილვების ერთის და მისი სინანული და სიწმინდე გზა-

მის, ტანჯვისა და წამების შემდეგ მიაღწევს, რომ მიაგნოს, რომელიც მან ყოველ, ფიქრობს იგი და არავის სჯეროდა, რომ ოცნება და ილოცა და თითქოს ღმერთმა, სიყვარული ხელთ მოიპოვა ასეთ ადგილას, სადაც ღვთისმსახურ ცხოვრების მიწიერი ქალი დამხობა ვერ შეძლებოდა. ხან ღმერთის დაჰკარგა, სასოწარკვეთილი, სიყვარული ქალის და ბოლოს „ამ წუთამდე მივიდა, რომ მომაკვდავი თაისის ამბორით მოვიდა, ბოლოს ტირილით გამოსცემს: „არ მოკვდე, თაის, მე შენ მიყვარხარ, არ მოკვდე! მესმის, ჩემო თაის! მე მოგატყუე. მე მხოლოდ უბადრუკი შეშლილი ვარ. ღმერთი, ცა, ყველაფერი ეს არარაა. ჭეშმარიტება მხოლოდ მიწიერი ცხოვრებაა და ცოცხალი ადამიანების ურთიერთსიყვარული სიყვარული — მე შენ მიყვარხარ!“ მაგრამ უკვე გვიანაა. ის ქალი, რომელიც აწამა და რომლის გამოც თვითონაც აწამა, მის ხელში განუტევებს სულს...

კლასიკური ა. ფრანსი მთელი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა, მაგრამ ისე, არაფერი სძულდა და აღშფოთებდა, როგორც სიბრიყვე, ფანატიზმი და, კერძოდ, რელიგიური ფანატიზმი. ფანატიზმი მას უყვარდა გამოეყენა სამონასტრო ცხოვრების, სამეფო კარის და უხიერების შეხედულებები, სასულიერო გამოწვევის მოვლენები. ფანატიზმი, მისი აზრით, შეუწყნარებელი და მებრძოლი ძალაა, რომელიც თავის შეხედულებებს იძულებით ახვევს სხვებს თავს და ან ურწმუნოთა დამორჩილებას მოითხოვს, ანდა მათ მოსპობას. ფანატიზმი ებრძვის სხვა აზრს, წინსვლას, ხელოვნებას. ა. ფრანსი, მთელი მოღვაწეობის მანძილზე, ტოლერანტობის დაცვის მოითხოვს. ამიტომ პაფნუტი, როცა თაისს მონასტერში წასვლას დაითანხმებს, ქრისტიანულ გზაზე შემდგარს, მიწიერი გატაცების წარსულს რომ გაცლის, გადაწვავს მთელ მის სიმდიდრეს. როცა იგი მოედანზე მიაქვს ყველაფერ დაიწვება და ხელოვნებისა და ხელოვნების ნაწარმოებების კოცონზე ყრის, თანაც მას უყურებს ქანდაკებაზე უმზერს: „ბიბლია, ნუთუ ვერ ხედავს დაიწვას? იგი ძველი და მომხიბვლელი ნამუშევარია და არცერთ მეტი ღირს, ვიდრე მთელი ოქრო. რაც იგი დაიღუპა. ასეთ გამოწვრთნა არის მოძულებები, რადგან მხოლოდ იმის აღიარებენ არის დამსხვრეული ოქროს. რომელიც შემდეგ ამგვარი ერთის გამოჯნ დაცემას“, მაგრამ პაფნუტი მას ხელით გამოსტაცებს ერთის ღმერთთა ქანდაკებას და მისიც კოცონში ჩაისვრის. აი, ამგვარი ფანატიზმის მოწინააღმდეგე ა. ფრანსი, ფანატიზმისა, რომელიც არ ინდობს ცოცხალს. მაგრამ განსაკუთრებით არის, ასეთ მეცნიერულ იდეებს, ხელოვნების ძეგლსა თუ შემოქმედებს, არ ინდობს არაფერს, რაც კეთილშობილ თავის განვითარების გზაზე სწორად სდგას, მის შეხსენებ-

ლად შრომა დარჩა და შექმნილ სახელო-ვნება, ფანატიკოსის მკითხა, რომ ყველა მოღ-ვაწის განვითარების მოითხოვს სახოგადო აზრი-ნე შეარჩევს.

ცხოვრების საზოგადოებრივ განვითარების რომ ვერავინ აღუდგება წინ, ქრისტიანობის გამარჯვება რომის დიდებულ რელიგიურ კულტმსახურებაზე რომ ვერავინ და აღუ-დგება ეგო ამის ან. ფრანსი კარგად ხედავ-და. როცა რომან „თაისს“ წერდა და ეს მორ-ალურ დამარცხებულ იქმნ დაპატიჟული. ქრისტი-ანობას ეტაპობრივ და ქრისტიანულ ინტელექ-ტება რომის უზარმაზარი იმპერიის თითქმის ყველა დაპყრობილ ხალხში, ქალაქებს და-ტოვებულ, დამშვიდებ, ფერმი, მონების უზარმაზარი არმია, რომელიც რიცხვით ბევრად აღემატებოდა თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვს და რომელიც ღვთისნების ტახტსკვეთა. ქრის-ტიანულ რელიგიაში ისინი ხედავდნენ ქომაგს, მხსნელს, მათი ადამიანური ღირსების დამც-ველს, მათი სინდისისა და „მეობის“ აღდგენ-ელს. ქრისტიანული რელიგია ყველა ადამიანს, სულიერად, რა ეროვნებისა და ფერის წარმო-მადგენელიც უნდა ყოფილიყო იგი, ღმერთის შვილებად, საუფლო ნებისა და სინდისის მა-ტარებლად თვლიდა და ადამიანების უფლე-ბრივ განთავისუფლებისათვის იბრძოდა. სა-ზოგადოებრივი კანონების ნაცვლად მას ცხოვ-რებაში მორალური კანონები შეჰქონდა, რაც ხელსაყრელი იყო ვაჭარ დაბინდებულ, გაძარცვულისა და უფლებააყრილისათვის. ამიტომაც ვერაფერს ითვლი და მიმზიდველი ფერები ან. ფრანსი „თაისში“ ნაბიჯ ქრის-ტიანობის მიმართ ამისის. თავისი შეხედულება აქ მო-ნის მეურად უარყოფ ქმნილის, ვიდრე მისი-ურ ცხოვრებას. სულის, ამაღლებულის. ყო-ველთვის ხიბლს საზოგადოების ეგალიტარი (როგორც უფლებრივ ასევე არც საკუთარ მეტყველურ ქა-ლაქურ ქმნილის). მაგრამ ამავე ჰუმანისტი ქრისტიანობა, ამიტომ თავისთავად უპირატესო-ბით იტანს ეველეობის, რადგან სწამს, რომ იმპერიულ სახელმწიფოს დაინგრევა და ეტე-რიო ისეთივე აუნაზღაურებს ამ ტანჯვას, მი-წიერ ცხოვრებაში რომ იქნება. ბატონიყმური განხეთქილებით, იგი არ გარბის უდაბნოში, არ ეძებს მოყვასს და მონაზვნებს, რომ ელოდებ ღმერთის განთავისუფლების ამ მის ნაზნის, არ მი-აჩვს თავი იმათ, რომ წინანდელის ცხოვრებით ცხოვრობს. სამოგადოდ, ამხელა პატივისცემაზე სა-თნოს და ჭეშმარიტად უფლის მოყვასის თვისა, უცხო არავის კეთილ ხორციელებას და როცა გამართლებული პატრონის დამოკიდებული ეგზო ქვეყნიერ გაიკრიფებ, უფრო დაუნდობლად, უფ-რო ვიწროვდება კულტი, ვიდრე პამფლეტი მოწ-ყალებიდა. აღვიძებსმდებნელი ქრისტიანებმა ეკ-ლესიას მოსა წინააღმდეგ შეურაცხყო და როცა თავის მისი მონასტრებსაცა ელი წერტის დაბრ-

წრო იმავე ეკლესიაში, სიდ-[illegible] კოლექ მაღლიერებაში მოსაოლე-[illegible] რა ძალი შეეხოთ ამ კაცს. [illegible] სათნო და მოსიყვარული [illegible] მა მონების დატოვება რომის ამბიციის მონათ-მფლობელური წყობა, მათი დრომოქმედი რე-ლიგია და დასახამი მასცევს საზოგადოებრივი განვითარების ახალ ეტაპზევეს. აი, ამის თქმა სურდა, ან. ფრანსს, როცა ნაბიჯდი მონის ახ-ალის სახეს ვერბატიდა და მის აფრაინი ცხოვ-რების ყვავილებს.

ან. ფრანსის მკვლევარმა, ლევონ კარიამ, მოწინავეთ გამოარჩია შესწავლა უფრო წარ-მატებისა, რომელიც ამოაცანეთე მოთხრობა „თაი-სისა“, რენანის დამოკიდებულება ამ რომანით ქრისტიანობის ადრეული შეხედულებების პროფესიების დოქტორების საზოგადოე-ბის ინტელექტუალურ დონეზე — მეტად მძიმე, რა განაცვლა, რომ ცხოვრების ადამიანის ფსიქოლოგიურ შეხედულებები მკაფიოდ წარმოა-ცა მოძღვრებებით ანტიკურ ქვეყნის თავის, ამ „ნორმა და არისტოკრატიული უკუღმართ სურვილე-ბის“, ისტორიოსოფიური თავისა, რომელიც ფრანსმა სიტყვებისა და სიწმინდის თანამ შემოქმედებით შექმნა“. (ლევონ კარიაძე, ანა-ტოლ ფრანსი, პარიზი, 1981, გვ. 72).

ან. ფრანსი ერთ ეპიკურეველი ადვოკატის ელინური ცივილიზაციის მიერ შექმნილ კუ-ლტურულ ფასეულობათა ხელყოფის ბარბარო-სებისა და გამარჯვებულ ქრისტიანული რე-ლიგიის წარმომადგენლების ურთი ბუნების მი-ერ. ან. ფრანსის მიმდევარი ბარბაროსებისა და ფანატიკოსების გამარჯვებამ კარგა ხანს დაი-ფერხა კულტურისა და საზოგადოებრივი ცხო-ვრების განვითარების პროცესი, ამიტომაც, კულტურული საზოგადოება და კულტურის განვითარების პროცესი ისე ახალი ფორმაციის კულტურულ საზოგადოების და განვითარების ახალიდან კულტურულ პროცესს შეუცვალა. მა-გრამ ისტორიისა და საზოგადოების განვითარე-ბა ასე სწორხაზოვნად, არ მიმდინარეობს, სა-ნამ სარბიელზე გონებრივი მუშაობა იწყებენ, ხოლო გარემოებებმა მეცნიერი და ფილოსო-ფოსი შეჩერდეს მოსაკლავ ხელი, საუკუნეები გავიდა — სწორედ ეს გარემოება გვერდს ხვდებს ან. ფრანსს და აქვეთანებს ადამიანის გონიე-რებაში.

ან. ფრანსს ლელავ ინტერესებდა რომის იმ-პერიისა და ქრისტიანობის, ამბერის მმართვე-ლებისა და ღალატის მამების ურთიერთობის-კითხებული და ამ საკითხს მეცნიერული ჯეროვ-მოდგენებით სწავლობდა. რომანში „თაიძ ქვა-ზე“ იგი სწორედ ამ ურთიერთდამოკიდებულე-ბის გამჟღავნებას ისახავს მიზნად და ნაწარმოე-ბის ერთ-ერთ თავში, რომელსაც „გალიონი“ ჰქვია, გამოხატავს ამ შეურიგე პროცე-სებს, რომლებიც შემდეგში საზოგადოებრივ

ცხოვრების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერისა სახელმწიფოებრივ აღწერს რომის ამბროსი მორწმუნე სიყვარულის შუა წლების სიმშვიდეთ, საბერძნეთის ქალაქ კორინთის ცხოვრებას, და ამ ქალაქის მკვიდრთა ყოფას. ხშირად ამ ქალაქში ხდება ის ურთიერთდამოკიდებულება, ჩვეულების მიხედვით უკეთურებით მნიშვნელოვან მოვლენად რომ მოაჩნდეს.

რომანში „ოქროს ვირი" მოქმედება ქრონოლოგიურად უფრო ადრე ხდება, ვიდრე „სატირიკონში", მაგრამ მასში უკვე იგრძნობა რომის იმპერიის რღვევის ის ნიშნები, რომლებიც დაფარულად „სატირიკონში" უკვე შეიმჩნეოდა. გალიენი რომის ერთ-ერთი დიდებულ-ფეოდალის ოჯახის შვილია, რომის პროვინციული სამეფოში. მისი საზოგადოებრივ ქალაქი კორინთოა. სადაც კორინთის ყოფასა და მისი მოსახლეობის ცხოვრების დეტალებს, მწერალი გვიხატავს რომის იმპერიის ამ დიდ მიწებზე: „გალიენის ქალაქები და განსაკუთრებული მიწები აღმოსავლეთის მისი ხალხთა სარწმუნოებისა და, მათ შორის, ის იყო კეთილშობილური აღმსარებ. ერთის უცხოეს იყო, მონასტრების ამბავია. სიყვარული მის ყველაზე უხეშად და ყველაზე საკუთარი მისთვის უცნობ ნაირად. ურთიერთობა საზოგადოებრივი ზიდეს მოქმედება. მხოლოდ თავისუფალი ჩვეულება ან საზოგადოებრივი ერთის შეგონებებმა უშლიდა ხელს, საზოგადოება ძირითადად შეფასებისას. მხოლოდ იყო ამ სიმკაცრეში კი, წინაპართა შეხედულებებით და გარკვეული კანონებით რომ იყო მორწმუნეებული, უძველესი უსამართლობის ხელოვნება, მათ წინააღმდეგ იყო განწყობილი და სასტიკად გაუქმებდა, მისთვის ყველა დიდ რომ არ ემორჩილებოდა, კეთილშობილთა სასამართლოში. ამ დროს, კეთილშობილური მოსამართლეები და მოქალაქეები თანამდებობის პირები აშკარად რთავდა იყო ამბროსიში. მათ შორის, ცხადია, განსაკუთრებით გალიენზე არასწორ მოქმედება და სასტიკური აღმოფხვრა, მაგრამ არცერთი მათგანი მისზე ნებით ადამიანური არ იყო".

და ეს ყველაზე ადამიანური აღმოჩენა ცხოვრების დიდებულ გალიაში ფეოდალებთა და გაწმენდით, დროის მეფობისგან და ფილოსოფოსებს სოკრატეს ატარებს, განთავისუფლებული და ჭკვიანი, ხშირად რომის ამბროსის დიდება და მიმდევარი, გამოიყენებს სიყვარულ თავისუფლებას, იმ როგორც აქცენტს რომის ხელმძღვანელობით კულტურის მიმდევარი. მაგრამ იგი რეალისტურ ვერ აღიქვამს ამ სინამდვილეს, მის ოღონდინ რომ ხდება, ვერ გარდაქმნის ხელოვანის ბუნების და უმაღლეს თავგანწირვას ამ ადამიანისას, რომლებიც ზოგჯერ უკეთეს ზემოქმედებს და რადგან ასეთი ბოლოვადამ და კეთილსინდისიერ არიან, მათ სახელი მეტოქეებად არ

ოდენი, ანუ რომის არ უნდა ამ გარემოების რომ ძალა რწმენაში და არა განათლებაში. ხოლო ეს რომ ასეა, ამას ცხადყოფს გალიენისა და მისი მეგობრების საუბარი, სადაც ურთიერთ მეტად იგრძნობა სულიერებაში, ოქროს, უბრწყინვალობა, რამეტი მეტყველება მხოლოდ ჩვეულებრივ და არა უფრო რწმენა, რომლებიც იბრძვის და მოქმედებს, რომლებიც დარწმუნებული სიკეთის ძალაში და არ ეშინია არავის, ვისაც არ სწამს, ის, რაც ღმერთს სწამს. რომანის ასეთი პერსონაჟი ქრისტიანი სტუმარი, რომლებიც წინასწარ იყოს, რომ უფრო ღირსეულნი, ადამიანები არიან მისი თანამემამულეები, ეზოსთვის ოჯახის, სახლის, რეკილეობის, მოყვარულებს, მაგრამ მიუხედავ ტანჯვას მათ, რომ იყო პირველ მოწაფეთა მამაკაცი.

გალიენი დარწმუნებულია რომის ამბროსის ძალისა და მართალმსაჯულებაში. როცა საუბარი კეთილშობილ მონაწილეს ჩამოგვირთვა, ლეპიდუს კარგად გამოიყენებს არის, — თუ რომში მთელი მსოფლიო დიდებაა, მაშინ იქნება ადამიან ეჭვში და აღმოჩნდება როგორიცაა შელ. ლეპიდე ხასიათის სიმტკიცე, სულის სილამაზე და სამშობლოსადმი სიყვარული განსაკუთრებით. გალიენი მოწაფეებს ლიტერატურის გამოსახველად გარეგნულ გამოიყენებს: „დამშვიდდა, ლეპიდეს, როცა ადამიანები ცხოვრების დამარცხების შემდეგ, ისინი ხოლოს და პოლოს ასწავლიან სიკეთის თავის დამწერებს. და ეს იქნება ყველაზე ძველი გამარჯვება, რომელიც მოგვცა მათ შეგვიძლია, მათი ვაჟკაცობა და სულიერი კეთილშობილების ყველაზე ამაღლებული გამოვლენა. ჰოდა, რომი — ტრადიცია საუბრისა, რომელიც მთავრობა და ღმერთებისაგან გამოყოფილი იქნება ჩვენში უნდა მოწინავე ეჭვის — დამამშვიდებელ მშვიდობის დამყარება. და მაშინ ცხოვრება გახდება მშვენიერი. ეს ძალა იქნება „მისი, რომ ცხოვრება იქნება. ცხოვრება ხომ მუდამ უკეთესის მიმართ, რომელიც არ უნა. ხოლო სიმხნევე შენის ამათი და ადამიანური დაინახავენ ყველაზე ნათელსა".

ამას წარმოიქმნება ამბროსის დიდი მოძღვრება უმაღლესი პრინციპის მნიშვნელობა, რომელიც იყოს, რომ მისი სარწმუნოების ქალაქის ნაგებობები და გარემოებები უბრალო ლოგიკური, ქურდი, ხეობები, სიმღერის, შემოსილი, კეთილშობილი, მაღლის გამარჯვებული, კაცობრიობა და მეფის ცხოვრების, ამას ამბობს კაცი, რომელიც იყოს, რომ ქალაქების ხელისუფლება, მთელი, მოსახლეობა მისი შემოქმედების წინაშე არიან გაწვევრილნი, ამას წარმოიქმნება კაცი, რომელიც იყოს, რომ იმპერიის არსებობა დამოკიდებულია დამსჯელობის ხალხის ხელმძღვანელობა დამსხვრევა, რომ დამსხვრევა ხალხში დამოკიდებულების სამეფოები არასოდეს აღმოცენდება. გალიენს, როგორც

ებით, რომ სახელმწიფოში არ იყო სამღვდელოება და დოგმატური რელიგიური, მოძღვრები, თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის არავის დევნიდნენ, არავის ახვევდნენ ძალით თავს გაწერით შეხედულებრივ კანონებს, არავის უკრძალავდნენ ასე და ასე უნდა იფიქრო და არა ისე, როგორც ცხოვრობდა, არავის რისხავდნენ ადამიანის სულიერი შინაგანი გამოხატვისათვის, სამყაროს განსხვავებული მოდელის შექმნისათვის „ერთი სიტყვით, თავისუფლებაში და დემოკრატიულ თავისი ნაყოფი გამოიღო და წარმოშვა ის კულტურა, მეცნიერება რომ ხალხების ცხებს.

რომაელებმა ბერძნის მიწაზე და ქართველებმა კი სულ სხვა რამ შექმნეს კულტურისათვის, სხვაგვარი კულტურა მისცეს ქრისტიანობაში შემდეგ ხალხებს. რომის სამყაროში კანონმდებლობა და სამართალი მოიტანა, უზარმაზარ აზროვნებაში გავლენის გზები, - ზოგი ნაკლოვანებები, თავის უდიდესი ქალაქები, გამოყენებითი ვაჭრობა და ხელოსნობა, ბერძნების ამაღლება ტაძრების მშენებლობა, ხატვა, ძერწვა და მთელი აზროვნის დაიშალა წერილები და კანონები. ამა 30 დარის, დემოკრატიის მოსპობისა და იმპერატორების ტახტზე ასვლის შემდეგ კი რომში დემოკრატიულ კანონებზე დაფუძნებულ სახელმწიფოში დარჩა და არ შემოიღეს ადამიანის პირადი თავისუფლება, სულიერი აზრისა და შემოქმედებების განვითარება, ხელოვნელნი არ გადაქცეულან იდეოლოგიად და უნიტარიზმად.

ფრანგი კრიტიკოსი ჟ. ბერი წერდა: „მე მგონია, ლათინურ ენაზე არის რაღაც ურყევი და მამაკაცური, ანტიკური ერისა არის უცვლელი და ალბათ ამიტომ სრულყოფილად აღიქვამდება ხელოვნებაში" (ჟ. ბერი, ანტიკური ერისა, პარიზი, 1984, გვ. 256).

ვიდრე დღემდე ადასტურებს: „ანტიკური ერისნი— გაცილებით უფრო ძლიერები ნაყოფით, ვიდრე კირიანის მეტალი, რომელიც შეიცავს რკინას, ვოლფრამს, ტიტანს, რენიუმს, და ეს მისიც ანტიკური ერისასა ის კიდევ გადაქვთ სრულყოფილების. ასე ლათინური ენის უკუნაკვეთი ყვავილი".

---

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 18.

ტელეფონები: რედაქტორის — 99-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-53-18, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 93-55-16; 93-55-17.

გადაეცა ასაწყობად 15. 04. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29. 05 87 წ. ანაწყობის ზომა 7¼X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 11, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 09620. ტირაჟი 32.000. შეკვ. 996. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

672/102

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76123

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ